

დაუნე შპრინგჰორნი

გერმანული საქართველოში

გერმანიულიდან თარგმნა მათა სიმონიშვილმა

რედაქტორები: ჯუულიეტა ემშაიძე, ლალი თვალაბერიშვილი, ანა ფირცხალაიშვილი, მარია ჩიქოვანი.

თბილისის გოეთეს ინსტიტუტი 2004

© დაუნე შპრინგჰორნი 2004

© თბილისის გოეთეს ინსტიტუტი 2004

ყველა უფლება დაცულია

Daphne Springhorn

Deutsche in Georgien

Georgisch von Mala Simonischwill

Herausgegeben vom Goethe-Institut Tbilissi 2004

© Daphne Springhorn 2004

© Goethe-Institut Tbilissi 2004

Alle Rechte vorbehalten

## **გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩის, უპე შარპის მისასალმებელი სიტყვა**

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საქართველოს ურთიერთობებს ხანგრძლივი ტრადიცია აქვს. პრუსიას, მოგვიანებით ჩრდილო გერმანიის კავშირს და, ბოლოს, კაიზერის იმპერიას თბილისში საკონსულოები ჰქონდათ; ძმები სიმენსები - პირველად ვალტერი, შემდეგ კი ოტო პირველი კონსულები იყვნენ. | მსოფლიო ომის შემდეგ, სახელმწიფო დამოუკიდებლობის მოკლე პერიოდში, საქართველო გერმანიის მნიშვნელოვან გავლენას განიცდიდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი გერმანია იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა საქართველოს ახალგაზრდა სახელმწიფოსთან. ედუარდ შევარდნაძის დამსახურებას გერმანიის კვლავ გაერთიანებასა და - რაც ხშირად რჩება ყურადღების მიღმა - ევროპაში მყარი სამშვიდობო წესრიგის აღდგენის საქმეში გერმანიაში არასოდეს დაივიწყებენ, არც საქართველოში მისი ეპოქის დასრულების შემდეგ.

საქართველო და გერმანია - ეს თავისთავად ისტორიის ერთი თავია. იშვიათად თუ შეგხვდებით ქვეყანა, მით უფრო, მხარე, რომელშიც ოფიციალური ურთიერთობები ისე იყოს განმტკიცებული მოქალაქეთა პირადი კონტაქტებით, ორგანიზაციებსა თუ ქალაქებს შორის კავშირებით, როგორც ეს საქართველოშია - დაწყებული მუსიკოსებითა და ქველმოქმედი პიროვნებებით, სტუდენტებით, მეცნიერებით, ხელოვანი ადამიანებით და დამთავრებული სოციალურ თუ სასულიერო დაწესებულებებს შორის კავშირებით. რა თქმა უნდა, არ უნდა დაივიწყოთ მრავალმხრივი ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობებიც, რომლებიც არ შემოიფარგლება მხოლოდ ფედერალური ან სამთავრობო დონით. ხშირად იქმნება შთაბეჭდილება, რომ გერმანელები და ქართველები განსაკუთრებით კარგად უკებენ ერთმანეთს, რომ მათ შორის სრული თანხვედრაა.

დაფნე შპრინგპორნის წიგნი წარმოგიდგენს გერმანელებისა და ქართველების თანაარსებობის შესაძლო პერსპექტივათაგან ერთ-ერთს: გერმანელთა ისტორიას საქართველოში. ეს ასლებუბი და ცოცხალი მიმოხილვაა ამ ისტორიისა, დეტალებითა და ინფორმაციით დადიდარი, ამასთანავე - ცხოვრებისეული. უპირველეს ყოვლისა, ინტერვიუები გვიქმნიან ნათელ წარმოდგენას იმ სამიწილი ხეუდრის შესახებ, რომელიც მოთმინებითა და გამბედაობით იტივრთებს ადამიანებმა. ჰიტლერის ომი და სტალინის ტერორი: ეს უკიდურესად ტრაგიკული მოვლენებია, რომლებმაც დღემდე მოუშუშებელი ჭრილობები დაუტოვეს საქართველოში მცხოვრებ გერმანელთა ისტორიას. შესაძლებელია, ჩვენს ორ ერს შორის ურთიერთობები არასოდეს ყოფილა ისე მჭიდრო და გულთბილი, როგორც დღესაა და მაინც, საქართველოში აღარ არსებობს ადრინდელი მნიშვნელობის მქონე გერმანელთა ეროვნული უმცირესობა. დღეს საქართველოს კულტურულ, სამეცნიერო და ეკონომიკურ ცხოვრებაში იშვიათია გერმანელთა ასეთი სამავალითო თანამშრომლობის შემთხვევები.

ასე რომ, ეს წიგნი თვალწინ გვიშლის ერთობლივი ცივილიზაციის დაკარგულ ნაწილს, მზგონებათა სამყაროს, გარდასულ თაობათა ცხოვრებასა და, ხშირად, ტანჯვასაც. ამავე დროს იქნებ, ეს მზერაა შესაძლებლობისკენ, რომ აღვადგინოთ დაკარგული?! რა თქმა უნდა, აქ იგულისხმება არა წარსულის დაბრუნება, არამედ მეგობრული თანაცხოვრება - როდესაც ორივე მხარე გასცემს და იღებს, როდესაც ღრმა, ისტორიასა და მოგონებებში ფესვგაძვარევი სახალოვე და მეგობრობა აღემატება დღიური სარგებლის მიღების სურვილს და მყარი საყრდენააკვს. ამიტომაც არის ეს წიგნი, რომელიც წარსულის აღწერით მომავალს ემსახურება.

იქნება მკითხველიც, თავის ოჯახური წრიდან გამომდინარე, ამა თუ იმ გვარის, პროფესიისა თუ ადგილის პონას რომ შეეცდება. დაფნე შპრინგპორნის წიგნი ასეთი მკითხველის ინტერესსაც დაკმაყოფილებს. ზოგიერთი პროფესიის გულდასმით აღწერით ავტორი იმადროულად მიგვიჩვენებს, თუ რა მიმართულებით შეიძლება კვლევა და წერა მომავალში. მაგალითად. ექიმების, აუთიაქარების, უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებლების, არქიტექტორების. მღვდლებისა თუ მისიონერების შესახებ.

თუ რეალიკის უფლებასაც მომცემთ: პიეტისტთა "კრუმორწმუნედ" მოხსენიება მართებულა არ არის! თუკი ოდესმე საჭირო იქნებოდა საპირისპიროს დამტკიცება, ამას სწორედ ვიორტმბერგიდან საქართველოში გადმოსასლებული პიეტისტები გააკეთებდნენ.

მიუხედავად ამ რეალიკისა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს წიგნი უდაოდ მნიშვნელოვანა შენაძენია საქართველოში მცხოვრებ გერმანელთა ისტორიის მეცნიერული კვლევისათვის. მრავალი, მათ შორის ზოგიერთი შემადრწუნებელი დეტალი ერთნაირად ეხება მთელ საბჭოთა კავშირში მცხოვრებ სხვა გერმანელებსაც.

ვინაიდან წიგნი საინტერესოა და ადვილად იკითხება, იგი არაერთ მადლიერ მკითხველს იპოვის და. ვიმედოვნებ, ფართო საზოგადოებასაც დაინტერესებს; სტიმულს მისცემს მას, რომ ამოკრიბოს და გააღვივოს მისთვის სასარგებლო მარცვალი.

ავტორთან - თბილისში გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახურის ყოფილ ლექტორთან, დაფნე შპრინგპორნთან ერთად, მადლიერებას და ქებას იმსახურებს ვოეთეს სახელობის გერმანული კულტურის ინსტიტუტი თბილისში და მისი ყოფილი ხელმძღვანელი, ამჟამად პენსიონერი, ილზე იოანა პაინლე. ეს წიგნი დიდი მონაპოვარია გერმანია - საქართველოს ურთიერთობებისთვის.

უკე შრამი

თბილისი, 2004 წლის 22 იანვარი

ეძღვნება  
ეპისკოპოს გიორგი კუბელს †



# შინაარსი

<b>I. წინასიტყვაობა</b>	<b>11</b>
<b>II. გერმანელები საქართველოში</b>	<b>17</b>
1. გერმანელი მეცნიერები და მათი წვლილი საქართველოს აღმოჩენაში.....	18
2. გერმანელი კოლონისტები კავკასიაში.....	24
3. გერმანელები თბილისში.....	36
4. გერმანელი მეწარმეები კავკასიაში.....	45
5. საქართველო, როგორც გერმანიის საგარეო პოლიტიკის ნაწილი (1914-1921).....	49
6. გერმანელები საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში (1921-1941).....	53
7. გადასახლება და გულაგი.....	56
8. ლეპორტაცია და შრომითი ბანაკი.....	58
9. ანისტია და სამშობლოში დაბრუნება.....	61
10. გერმანელები საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკაში.....	62
<b>III. სსრკ-ის ხელისუფლების დროის ისტორიები:</b>	<b>65</b>
1. იზოლაცია და დანდეროვა.....	66
2. ფრიდა მაიერი.....	73
3. მარია რაუ.....	84
4. გერტრუდა კაბიხტი.....	86
5. ელზა გილბერტი.....	90
6. ვოლდემარ გუტსროდტი.....	96
7. ირმა ვაისი.....	105
8. იდა შალი.....	113
9. იულიანა ფახტი.....	117
10. ოთარ ვანაძე.....	125
11. ლიანა კესნერი.....	131
12. ელზა რენატე მიულემანი.....	149
13. მარგარიტა კენინგი.....	158
14. ალა შმერლინგი.....	164
15. ემილია გაბრიელი.....	174
16. მარია პოფმანი.....	180
17. ნელი კროიცი.....	188
18. ნორა ჰეფერი.....	193
<b>IV. გიგლიოვრადი</b>	<b>199</b>
<b>ღანაართი: კითხვარი</b>	<b>205</b>



# I. ԵՌՆԵՆՈՒԹՅՈՒՆ



2002 წლის ივნისიდან 2003 წლის ივნისამდე, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ გერმანელებთან, შესაბამისად, გერმანული წარმომავლობის პირებთან ჩაწერილი ინტერვიუების გამოქვეყნებით დასასრულს მიუახლოვდა გოეთეს ინსტიტუტის დიდი პროექტი საქართველოში მცხოვრები გერმანული უმცირესობის მხარდასაჭერად. ორი წლის განმავლობაში, გოეთეს ინსტიტუტის კოლექტივმა, იოანა ჰაინლეს ხელმძღვანელობითა და ქართველ ექსპერტთა დახმარებით, მოხსენებების, გამოფენებისა თუ პუბლიკაციების მეშვეობით, ღირსეული პატივი მიაგო საქართველოში მცხოვრები გერმანული უმცირესობის წარსულსა და აწმყოს. ამ პერიოდში (2002 წლის აპრილში) დაიბადა ამ წიგნის შექმნის იდეაც, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება გერმანული უმცირესობის აქტიური მონაწილეობით მოწყობილ გამოფენას – „გერმანელები საქართველოში“. ჩვენი მიზანი იყო, ამ პროექტის საშუალებით, ერთ მთლიანობაში გადმოგვეცა ცალკეულ გერმანელთა ცხოვრებისეული ისტორიები და მათი ხმა უფრო ჟღერადი გაგვეხადა დროის ქაოტურ ხმაურში. გარდა ამისა, ჩვენი სურვილია, ეს ისტორიები გერმანული და ქართული კულტურული მეხსიერების ნაწილად ვაქციოთ და შეზოგინაზოთ, როგორც „მოგონებები მომავლისათვის“, რუსეთში განხორციელებული „მემორიალური პროექტის“ მსგავსად.

ინტერვიუებს, ისტორიული თანმიმდევრობისთვის, წინ უძღვის საქართველოში გერმანელების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი თავი. იგი ეყრდნობა გერმანულ-ქართულ კვლევათა შედეგებსა და, შეძლებისდაგვარად, ჩვენთვის ხელმისაწვდომ გერმანულ საარქივო მასალებს (საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური არქივი, ფედერაციული რესპუბლიკის არქივი და სახელმწიფო საიდუმლო არქივი). სამწუხაროდ, 1944 წელს, ბერლინის დაბომბვისას, განადგურდა იქ დაცული, თბილისში არსებული გერმანიის საკონსულოს საარქივო აქტების უმეტესობა.

ცხადია, პროექტზე მუშაობისას გაფართოვდა საკვლევე სფეროები, მაგრამ მათი შესწავლა გასცდებოდა ამ გამოცემის ფარგლებს. მაგალითად, საქართველოდან გერმანელების დეპორტაციის ისტორიის დასრულებული სახით წარმოდგენისათვის აუცილებელი იქნებოდა ქართული და რუსული საარქივო მასალების შესწავლა და იმ დროის ქართველი მოწმეების გამოკითხვა. ქართულ სოციალურ და კულტურულ ცნობიერებაზე გერმანელთა გავლენის ვრცლად ასახვისათვის საჭირო გახდებოდა გერმანული თუ რუსული წყაროების გადამუშავება და

საქართველოში დღეისთვის არსებული კვლევის შედეგების გათვალისწინება. ასევე, მოსაძიებელი იქნებოდა ყველა წყარო როგორც ამ თავში გამოყენებული ციტატებისა, ისე მათ საფუძვლად არსებული წარმოდგენებისა აღმოსავლეთის და განსაკუთრებით კი საქართველოს შესახებ. საინტერესო იქნებოდა იმის გამოკვლევა, თუ რამდენად ემთხვეოდა ერთმანეთს რუსებისა და გერმანელების შეხედულებანი საქართველოს შესახებ და როგორ იცვლებოდა ისინი დროთა განმავლობაში, მაგალითად, XIX საუკუნის ბოლოს, რუსიფიკაციის პერიოდში.

ორიოდე სიტყვა პროექტის მიმდინარეობის შესახებ: დანართში მოცემულია კითხვარი, რომლის საფუძველზეც იქნა აღებული ინტერვიუები. სხვათა შორის, ბევრმა რესპონდენტმა გამოთქვა თავისი ისტორიის თავისუფლად მოთხრობის სურვილი. ის, რაც ზოგჯერ არაარსებითად გვეჩვენებოდა, მთავარ თემად იქცა და სულაც არ იყო კითხვარით გათვალისწინებული. შესაბამისად, ინტერვიუს ჩაწერისას, შეკითხვებს საუბრის სფეროს უსადაგებდით. ამდენად, ხშირ შემთხვევაში, მრავალსათიანი საუბრებისა და მონათხრობისგან მივიღეთ სრულიად სხვა ცხოვრებისეული ისტორიები, რომლებიც განსხვავდებოდა თავდაპირველი ჩანაფიქრისგან. მათი მრავალმხრივობისა და მრავალხმიანობის შენარჩუნებისთვის, რუსულ ენაზე ჩაწერილ ინტერვიუებს, შესაბამისად, რედაქტირება გაუკეთდა და წინამდებარე სახით მომზადდა.

დასასრულ, მინდა მადლობა მოვახსენო ყველა იმ პირს, ვინც გამამხნევა ამ სამუშაოს დაწყების, მისი წარმართვისა და ბოლომდე მიყვანისათვის. უპირველეს ყოვლისა, განსაკუთრებული მადლობა ჩემს რესპონდენტებს. რომ არა მათი გულახდილობა და, ხშირ შემთხვევაში, მტკივნეული მოგონებების გახსენებისთვის მზაობა, ეს პროექტი საერთოდ ვერ განხორციელდებოდა. მინდა, მადლობა მოვახსენო მაია უნაფქოშვილს, რომელმაც ბებიის დღიურები და წერილები მანდო. უღრმესი მადლობა „აინუნგის“ წარმომადგენელ ოლგა ადვაქეს, პროექტზე მუშაობის დაწყებისას საკონტაქტო მისამართებისა და ფოტომასალების მოწოდებისათვის. მადლიერებით მინდა აღვნიშნო, რომ გერმანულ-ქართული საზოგადოების წევრმა, გოჩა ლულაურმა და, მასთან ერთად, ბევრმა სხვა პიროვნებამ მომცა საშუალება ამ გამოცემის ვიზუალური გაფორმებისთვის გამომეყენებინა მათი პირადი ფოტოკოლექცია. მადლობას ვუხდით ლუდმილა მიქელაძეს ძალზე რთული რუსულენოვანი ინტერვიუების არაჩვეულებრივი ტრანსკრიფციისათვის, ასევე – ინგე იენტცჰს, რომლის თარგმანებიც ძალზე დამეხმარა.

მრავალმა პიროვნებამ შემიწყო ხელი შესავალი თავის შედგენაში. მათ შორის არიან: ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელი და შემფასებელი, ოლერის ფრანკფურტის უნივერსიტეტ კიადრინას პროფესორი ფილიპ ტერი და ბიბლიოთეკარი, ქართველოლოგი ჰაინრიხ რორბახერი. ამ ორი ადამიანის ბიბლიოგრაფიულმა და შინაარსობრივმა შენიშვნებმა მნიშვნელოვნად განაპირობეს შესავალი თავის შინაარსი. მაია მანიას, იზოლდა ქურდაძის, ანდრე კარბელაშვილისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის დირექტორის – ოთარ კაპანაძის

გამოცემები და შენიშვნებიც დიდად დამეხმარა მუშაობაში. გარდა ამისა, მინდა, მადლობა მოვახსენო ფრედერიკ ლოდუქსისა და ოლივერ რაისნერს შთამაგონებელი საუბრებისა და საინტერესო ლიტერატურის მითითებისათვის. ძალზე დიდ მხარდაჭერას ვგრძობდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დირექტორის, ლევან ჭოლოშვილისა და ამავე უნივერსიტეტის ცნობილი ბიბლიოთეკარის, მარი ლორიაშვილის, ასევე, ოსკარ ლიუტცოვისგან, რომელმაც დროებით დამითმო მისი ბებიის დის, ოლგა რადე-ფომინას ჩანაწერები. დიდად მადლიერი ვარ ბერლინში არსებული საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური არქივის არქივარქივების – პეტერ გრუბისა და იენს ფლაიშერისა, რომლებიც, შესაძლებლობის ფარგლებში, მეხმარებოდნენ მნიშვნელოვანი აქტების მოძიებისას. მადლობა მიუწუნების ეთნოგრაფიული მუზეუმის თანამშრომლებს – იურგენ ვ. ფრემბგენსა და ღორთი შუფერს იმისთვის, რომ აღფრედ დიხის კოლექციის გაცნობის საშუალება მომცეს. უღრმეს მადლობას მოვახსენებ კლაუდია ლენგერს, ტრავმირებული ადამიანებისგან, მათი ცხოვრებისეული ისტორიის შესახებ, ინტერვიუს აღებასთან დაკავშირებული რჩევებისათვის.

მადლობა ინგო ჰაისუსა და დანიელ ციმერმანს ტექსტების შემოწმებისა და, მათ შინაარსთან მიმართებაში, მოცემული შენიშვნებისათვის. მათთან ერთად მადლობას მოვახსენებ მთარგმნელ მაია სიმონიშვილს, რომელმაც, მასალის დაგვიანებული მიწოდების მიუხედავად, ბოლომდე მიიყვანა თარგმანი და აქტიურად მონაწილეობდა წიგნის გამოცემაშიც.

განსაკუთრებული მადლობა თამთა გოჩიტაშვილს, ქართული მხრიდან, მთელი პროექტის დამოუკიდებლად, არაჩვეულებრივი წინდახედულებით ხელმძღვანელობისთვის. იგი მეხმარებოდა თარგმანში, რესპონდენტების, ტექსტებისა და ფოტოების შერჩევაში, პროექტის დასრულებამდე ყოველმხრივ ზრუნავდა მასზე. საერთოდ, თბილისის გოეთეს ინსტიტუტის ყველა თანამშრომლისგან ვგრძობდი მხარდაჭერას მათი შესაძლებლობების ფარგლებში. უღრმეს მადლობა მიუწუნების გოეთეს ინსტიტუტის ეროვნული უმცირესობების პროექტების რეფერენტს – ფრიდერ შუკალს ჩვენი პროექტის გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში წარდგენისათვის.

რამდენადაც DAAD-ის ფინანსური მხარდაჭერის გარეშე ეს გრძელვადიანი სამუშაო ვერ განხორციელდებოდა, მინდა გულთიად მადლობა მოვახსენო ამ ორგანიზაციას, რომელმაც საქართველოში ჩემი, როგორც DAAD-ის ლექტორის სამწლიანი მოღვაწეობის დასრულებისას, პროექტის განხორციელებისთვის დამატებითი სტიპენდია გამომიძიო.

და ბოლოს, მადლობა თბილისის გოეთეს ინსტიტუტის მაშინდელ დირექტორსა და ამ პროექტის მეურვეს, იონა ჰაინლუს, რომელიც ნებისმიერ დროს მზად იყო დახმარებისთვის. იგი, როგორც ძალზე საინტერესო და გონებაშახეილი თანამოსაუბრე, პიროვნული თუ სამსახურებრივი თვალსაზრისით, უნაგაროდ მეხმარებოდა და მამხნელებდა.

პიროვნება, რომელმაც წლების წინ წამოიწყო ეს პროექტი, ამ თემას იკვლევდა და მუშაობდა, საქართველოში ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესიის ეპისკოპოსი, გერტ ჰუმელი იყო. მან დიდი სამსახური გააკვიწია თავისი მდიდარი ბიბლიოთეკითა და არქივით, კონტაქტებითა და ცოდნით, მეგზურობას გვიწვედა პროექტის ყველა ფაზაში, პირადად იღწვოდა მისი დაფინანსებისა და რეალიზებისთვის. გერტ ჰუმელის გარდაცვალების შემდეგ, ამ გამოცემას მას უუძღვნით.

*დაფნე შპრინგჰორნი*

*მიუნხენი, 2 აპრილი, 2004.*



## **II. გერმანელები საქართველოში**

შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, არაერთ გერმანელ მისიონერს, მეომარსა თუ მკვლევარს უმოგზაურია კავკასიაში. ამ დროისათვის, დიდსა და პატარა კავკასიონს შორის მდებარე ეს რეგიონი, როგორც აბრეშუმის გზის სატრანზიტო დერეფანი, აღარ წარმოადგენდა უცნობ ტერიტორიას. საქართველო – კოლხეთის (შავი ზღვის აუზი) და იბერიის (ქვეყნის აღმოსავლეთი) სამეფოებიდან წარმოქმნილი სახელმწიფო – ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყო ხმელთაშუა და შავი ზღვისპირეთს, ევროპასა და ახლო აღმოსავლეთს შორის, ანტიკური, შუა საუკუნეების, ქრისტიანული და ისლამური მალაგანეთარებული კულტურების შეშეცნების არეალში. თავისი ისტორიის მანძილზე, ქართველებმა თურქეთის, სპარსეთის, რუსეთისა თუ საბჭოთა კავშირის ბატონობის მიუხედავად, შეძლეს კულტურული მთლიანობის დაცვა ადრეულ პერიოდში გაქრისტიანებითა (IV ს.) და საკუთარი ენის შენარჩუნებით. XII საუკუნეში, აღმავლობის ხანაში, შეიქმნა ძალზე ნატიფი და მრავალფეროვანი კულტურა; XIX და XX საუკუნეების ზოგიერთი მწერლისა და მოაზროვნის ნაწარმოებები კი ეროვნული თვითშეგნებისთვის აუცილებელ გამაერთიანებელ ძალას წარმოადგენდა.

## 1 ბერძნული მუსიკარაგი და მათი წვლილი საქართველოს აღმორჩენაში

1725 წელს, პეტრე დიდის ინიციატივით, დაარსდა სანკტ-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემია, სადაც უცხოელი მეცნიერები მოიწვიეს. მთავარი მიზანი, ამ მკვლევართა ხელშეწყობით, ქვეყანაში მეცნიერების ტრანსფერი და რუსული მეცნიერების განვითარება იყო. შესაბამისად, 1800 წლამდე, აკადემიაში უცხოელთა რაოდენობა ძალზე დიდი იყო (68%); XIX საუკუნის ბოლოს კი მათი რაოდენობა 26%-მდე შემცირდა. უცხოელთა უმეტესობას გერმანელები შეადგენდნენ.<sup>1</sup>

XVIII საუკუნეში კავკასიისადმი სამეცნიერო ინტერესი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამ რეგიონის სამეცნიერო ათვისება რუსეთის გვიანი კოლონიალური პოლიტიკის განზრახვაც იყო. ამიტომაც, მხარის შესასწავლად არა მხოლოდ გერმანელი მეცნიერები, არამედ სამხედრო პირები და ჩინოვიკებიც მოაქვინეს. რამდენადაც რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მკვლევართა ექსპედიციებს, ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში, ჯერ კიდევ XVIII საუკუნე-

ნის მეორე ნახევარში ჩაყვარა საფუძველი, კავკასიის შესწავლას სისტემატური ხასიათი მხოლოდ ამავე საუკუნის ბოლო მესამედში მიეცა. ამ პროცესს ოსმალეთისა და სპარსეთის იმპერიებთან სამხედრო დაპირისპირებამ შეუშალა ხელი.

გერმანიის უნივერსიტეტებში ნაკლებად იყო სამეცნიერო ექსპედიციებისა და პრაქტიკაზე ორიენტირებული სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობები, რის გამოც ბევრი გერმანელი მეცნიერისთვის ძალზე სასურველი იყო პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში მიწვევა. მათ შორის იყვნენ: ბალტიისპირელი გერმანელი<sup>2</sup> გეორგ გმელინი, ბალტიისპირელი იოჰან ანტონ გიულდენშტედტი და ბერლინელი პეტერ სიმონ პალასი. ეს სამი მეცნიერი 1801-იან წლებში ჩავიდა სანკტ-პეტერბურგში. მათ 1768-1793 წლებში, ეკატერინე II-ის დავალებით, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად იძიებდნენ კავკასიაში. ამ მეცნიერებს უნდა შეესწავლათ არა მხოლოდ ფუნა და ფლორა, არამედ ქვეყნის წიაღისეული სიმდიდრეც და წარედგინათ მოხსენება ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის მდგომარეობის შესახებ<sup>3</sup>. გიულდენშტედტს ეკუთვნის საქართველოს პირველი, დღესაც მოქმედი რუკა. ამდენად, ეკატერინე II-ის დამსახურებაა, რომ XVIII საუკუნის ბოლოს, გერმანელი და ბალტიისპირელი გერმანელი მეცნიერები კავკასიის კვლევის პიონერებად იქცნენ.

რუსეთის მიერ ამიერკავკასიის ანექსირების შემდეგ, 1801 წელს, სანკტ-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიამ ახლად დაპყრობილ რეგიონში აღმოსავლეთმცოდნე იულიუს ჰაინრიხ კლაპროთი მოაკვლინა. რუსეთს სპარსეთთან საეკონომიკური ურთიერთობის გაძლიერება სურდა და კლაპროთს ტვირთისა და სამხედრო ძალის ტრანსპორტირებისთვის გეოგრაფიული პირობების შესწავლა დაევა. მაგრამ კლაპროთი ვადაზე ადრე გაიწვიეს. სავარაუდოა, რომ მის მიერ რუსეთ-კავკასიის ურთიერთობების საკმაოდ გულახდილი აღწერა პოლიტიკურად არასასურველად მიიჩნიეს. კლაპროთის მოხსენება, რომელიც 1812-14 წლებში დაიბეჭდა ქალაქში, კავკასიის ისტორიაზე, გეოგრაფიაზე, ფაუნასა და ფლორაზე, ამასთანავე, წეს-ჩვეულებებზეც მოგვითხრობს და ავტორს გერმანული კავკასიოლოგიის ფუძემდებლად აქცევს.<sup>4</sup>

2 ბალტიისპირელი გერმანელებს უწოდებენ ბალტიისპირეთში მცხოვრებ გერმანელებს, რომელთა წინაპრებიც იქ XII საუკუნიდან დასახლდნენ და, სხვა კლასებთან ერთად, დაარსეს რიგა (1201 წ.) და რეველი (1230 წ. დღეს – ტალინი). 1285 წელს ორივე ქალაქი პანზას შეუერთდა. 1346-1561 წლებში, დღევანდელი ლატვია და ესტონეთი გერმანულ ორდენს ემორჩილებოდა. გერმანელი ფრის საღვთო რომის იმპერიის ნაწილს წარმოადგენდა. რუსეთის მიერ ბალტიისპირეთის დაპყრობის შემდეგ (1710 წლიდან), გერმანულ რაინდებს პრივილეგიები მიეჩინათ, რამაც განამტკიცა მათი მდგომარეობა უმდიდრესი ფრის წარმომადგენელთა შორის. როგორც განათლებული უმცირესობა, ისინი დიდი უპირატესობით სარგებლობდნენ რუსეთის მმართველობასა და არმიამ.

3 Auch, Eva Maria, *Öl und Wein am Kaukasus, Deutsche Forschungsreisende, Kolonisten und Unternehmer Im vorrevolutionären Aserbaldschan*, Wiesbaden 2001, S. 57.

4 მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ იხილეთ: Mallich, B., Julius von Klaproth und seine Reise in den Kaukasus 1807-1808. In: *Kaukasien In der deutschen wissenschaftlichen Literatur*, Hg. Brentjies, Burchard, Halle 1982.



კავკასიაში ჰუმბოლდტისეული ნიმუშის მიხედვით, 1811 წელს ორგანიზებულ პირველ ექსპედიციას ხელმძღვანელობდნენ გერმანელი ბალტიისპირელი მეცნიერები: მორიტიც ფონ ენგელჰარდტი და ფრიდრიხ ჰაროტი. მათ შექმნეს რუკები, რომლებიც რეგიონის ადგილმდებარეობას, სიმაღლეს, ზუსტ მორფოლოგიურ და გეოლოგიურ პროფილს აღწერდა.

1841 წელს, მოსკოვიდან თბილისში<sup>5</sup> ჩამოდის ჰუმბოლდტის ფრიდრიხ ბოდენშტელტე (1819-1892) და გიმნაზიის ფრანგული ენის მასწავლებლად მუშაობს. 1848 წელს, გერმანიაში დაბრუნების შემდეგ, იგი აქვეყნებს თავის წიგნს – „კავკასიის ხალხები და მათი ბრძოლა თავისუფლებისათვის“, ასევე – ლექსების კრებულს, რომელთა ავტორი, ბოდენშტელტეა აზრი, სუფიზმის მოძღვარი, მირცა შაფი უნდა იყოს.

1836 წელს, იენელი პროფესორი კარლ კოხი სამეცნიერო ექსპედიციას აწყობს გერმანიიდან. მისი ინტერესის მთავარ სფეროს კავკასიაში ვეგეტაციის აღწერა წარმოადგენს. კოხი რიგით მეორე ექსპედიცია, რომელშიც ენათმეცნიერი გუსტავ როზენი მონაწილეობს, ბერლინის მეცნიერებათა აკადემიისა და, განსაკუთრებით, ალექსანდრე ფონ ჰუმბოლდტის ხელშეწყობით ტარდება.

ჰუმბოლდტისავე შუამდგომლობით, დორპატის (დღეს ტარტუს) უნივერსიტეტში მოღვაწეობას იწყებს გეოლოგი კერმან აბიხი (1806-1886). ეს უნივერსიტეტი, სანკტ-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის შემდეგ, რუსეთში სიდიდით მეორე სამეცნიერო ორგანიზაცია იყო და მასში მრავალი გერმანელი თუ გერმანელი ბალტიისპირელი მუშაობდა. აბიხი, თითქმის 30 წელი, სწავლობდა კავკასიის გეოლოგიურ აგებულებას. მან, რუსეთის ხელისუფლების მიზნების შესაბამისად, წიაღისეული სიმდიდრის გამოკვლევით, თავისი წვლილი შეიტანა ქვეყნის შემდგომ განვითარებაში. მაგალითად, 1846 წელს, გერმანული ფოლადის წარმოებისათვის მეტად საჭირო მანგანუმის საბადო აღმოაჩინა; მას, როგორც მეცნიერს, ნათობის საბადოების ტერიტორიის ექსპერტიზის ჩატარებისთვის, ბაქოში ძალზე აფასებდნენ. მანვე შექმნა მეტეოროლოგიური სადგურების ქსელი მთელ კავკასიაში, რეგიონის კლიმატური თავისებურებების დასადგენად.

კარლ კოხის რეკომენდაციით, საქართველოში ჩამოვიდა ბაღების არქიტექტორი, ჰაინრიხ შარერი, რომელმაც 30 წელი იცხოვრა დედაქალაქში – განაგებდა ბოტანიკურ მუზეუმს და ხელმძღვანელობდა პარკებისა და ბაღების (მათ შორის, ალექსანდრეს პარკისა და ბორჯომის პარკის) გაშენებას.<sup>6</sup>

კავკასიოლოგთა მომდევნო თაობას წარმოადგენენ: კარლ ჰანი, არნოლდ მორიტიცი და გუსტაჟ რადე. კარლ ჰანი 1872 წელს ჩამოვიდა ამიერკავკასიაში. იგი ჯერ თბილისის გიმნაზიაში ასწავლიდა, მოგვიანებით კი, გარდაცვალებამდე (გარდ. თბილისში, 1925 წელს) – გერმან-

5 ავტორი ტექსტში იყენებს ტოლისის, საქართველოს დედაქალაქის – თბილისის რუსულ სახელწოდებას რუსეთის მმართველობისა და საბჭოთა პერიოდში.


6 Kaukasische Post N 32 ან 33, თბილისი, 2001 ან 2002.



გუსტავ რაბე (1863-1903)



ქერმან აბიხი (1806-1886)



კავკასიის მუზეუმი, არქიტექტორი ალბერტ შალცმანი (დღეს აღარ არსებობს)

ნულ გიმნაზიაში. პანი საქართველოს შესახებ მრავალი ეთნოგრაფიული და კულტურულ-გეოგრაფიული გამოკვლევის ავტორია. არნოლდ მორიტცი 1860 წელს ჩამოვიდა თბილისში. რათა კოლონია „ახალი თბილისის“ მახლობლად დაეარსებინა გეოფიზიკური ინსტიტუტის სამი წლის შემდეგ მასთან გუსტავ რადე გამოგზავნეს. მისი ქალიშვილი, ოლგა რადე-ფომინა, ასე იხსენებს მათ შეხვედრას:

„მამა მაშინვე შეუდგა ობსერვატორიის დამკვირვებლისა და დირექტორ მორიტცის ასისტენტის მოვალეობის შესრულებას. მისი ხელმძღვანელი ცნობილი იყო, როგორც მშრალი, აუღელვებელი პედანტი. მამას, ენერგიულ, თავისუფლებისმოყვარე მკვლევარს, მხოლოდ საზომი აპარატებითა და შესადარებელი ხელსაწყოებით გარემოცულს, ასეთი უგულო ადამიანის გვერდით თავიდანვე ძალზე უბედურად უნდა ეგრძნო თავი. მაგრამ იგი სიყმაწვილადანვე იყო მიჩვეული სამუშაოს კეთილსინდისიერად და ზუსტად შესრულებას. ამიტომაც უძლებდა თავის მონოტონურ საქმიანობას და კომპენსაციას საღამოობით, კავკასიოლოგებთან შეხვედრებისას, იღებდა. ისინი რეგულარულად იკრიბებოდნენ გერმანულ კლუბში. ბუნებისმომყვარულთა და მკვლევართა ამ პატარა, არაოფიციალურ წრესთან ურთიერთობით მამა იხსენებდა და ხულის ითქვამდა.“<sup>7</sup>

რადე მალე აღგება საკუთარ გზას – დიდი თავადი, გენერალ-გუბერნატორი მიხეილ ნიკოლოზის ძე მას კავკასიოლოგიაში ჩატარებულ კვლევათა შედეგების შეჯამებასა და მათ შემდგომ გაფართოებას ავალებს. რადეს მიერ ექსპედიციებიდან ჩამოტანილმა ბოტანიკურმა და ზოოლოგიურმა მასალამ, პეტერბურგის სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებაში დატულ ნატურალისტურ-ისტორიულ კოლექციებთან ერთად (რომელიც მან 1865 წელს ჩაიბარა), დღის წესრიგში დააყენა კავკასიის მუზეუმის შექმნა:

„თითქოს ცეცხლი შეუნთესო, ისე შეუდგა მამა ფართო პროფილის მქონე კავკასიის ბიოლოგიურ-გეოგრაფიული მუზეუმის შექმნას. ბერგე<sup>8</sup> და ზალცმანი, რომელთაც კარგად ესმოდათ მისი, მხარში ედგნენ მას. მამა სამშენებლო გეგმის ექსპოზიციის ასრულებდა, რომელთაც უმშენებლები ბაღებით აცოცხლებდა. მისი მიზანი იყო მაღალი დონის სამეცნიერო დაწესებულების შექმნა, სადაც მკვლევართათვის სამუშაო დარბაზები, დამთავლებიერებლებისა და განსაკუთრებით, სკოლის მოსწავლეების შემეცნებისთვის კი მხატვრულად წარმოდგენილი, თვალსაჩინო კოლექციები განთავსდებოდა.“<sup>9</sup>

7 Radde-Fomin, Olga, Lebensbild der Forscherfamilie Radde-Brandt, Füssen 1950, S. 161. (გამოუქვეყნებელი ხელნაწერი ინახება თბილისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში).

8 ადოლფ პეტრეს ძე ბერგე დაიბადა ელზას-ლოთრინგენში, გაიზარდა რუსეთში; როგორც სამართალმცოდნე და ისტორიკოსი, ხელმძღვანელობდა კავკასიის რეგიონის არქეოლოგიურ კომისიას.

9 Radde-Fomin, Olga, დასახელებული ნაშრომი. გვ. 190.

კაკასიის მუზეუმი საზეიმოდ გაიხსნა 1870 წელს, „გოლოვინსკის“ პროსპექტზე, გუბერნატორის სასახლის პირდაპირ. ხანგრძლივი დროის განმავლობაში იგი ერთადერთი მხარეთმცოდნეობითი მუზეუმი იყო მთელ რუსეთის იმპერიაში.<sup>10</sup>

კონსული მაქს ფონ ტილმანი 1872 წელს, კაკასიაში მოგზაურობისას, სწევია ახალ მუზეუმს:

„შესანიშნავი შერობაა მაზლობლად მღებარე კაკასიის მუზეუმი. ეს უახლესი დროის ქმნილებაა, ყველაზე წარმატებული მის მსგავსთა შორის, რომელთაც მე ვიცი. ეს ქვეყანა ყოველმხრივად წარმოდგენილი თავისი ნაწარმითა და ნიმუშებით... ღიდ გემოვნებაზე მიუთითებს ზოოლოგიური განყოფილების გამოფენა; ჩვენი მუზეუმებისგან განსხვავებით, რომლებშიც ცხოველთა ფიტულები ესკადრონივით რიგში ჩამწკრივებულან, კაკასიის წარმომადგენლები ბუნებრივად განლაგებულან – საღ კლდეზე ამბერალი კიხვით დაწყებული და ყვავით დამთავრებული, მკედარ აქლემს რომ თვალებს უკორტნის.“<sup>11</sup>

თავისი პუბლიკაციებითა და მოგზაურობისას წაკითხული მოხსენებებით, რად გერმანული დანტერესებული საზოგადოებისთვისაც იყო ცნობილი. საქართველოში იგი ხელს უწყობდა ქართული განათლებული ელიტის ჩამოყალიბებას და, ამასთანავე, თბილისში დააარსა საკულევო ცენტრი კაკასიით დანტერესებულ მეცნიერთათვის. მაგალითად, 90-იან წლებში, მას ხშირად სტუმრობდა მაღალმთიანი რეგიონების გერმანელი მკვლევარი, გოტფრიდ მერცხაური. ამ უკანასკნელმა გერმანიაში შექმნა იმ დროისთვის უნიკალური ბიბლიოთეკა, რომელიც, ძირითადად, კაკასიის, ცენტრალური აზიისა და რუსეთის ევროპული ნაწილის შესახებ არსებულ გეოგრაფიულ ნაშრომებს მოიცავდა (მათ შორის, რუსულენოვან გამოცემებსაც). ეს კოლექცია მკვლევარმა 1924 წელს გადასცა ბაიერნის სახელმწიფო ბიბლიოთეკას.

ლინგვისტი ალფრედ დირი – 1913 წლიდან მიუნხენის ეთნოგრაფიული მუზეუმის თანამშრომელი – 1902 წელს ჩამოვიდა კაკასიაში. იგი რამდენიმე რუსულ გიმნაზიაში ასწავლიდა და აქ ყოფნის თითქმის 10 წელი სამეცნიერო მუშაობას დაუთმო. 1918 წელს, დირი ეთნოგრაფიული მუზეუმიდან გაანთავისუფლეს, რომ კონსულ კრესს ფონ კრესსენშტაინის დელეგაციასთან ერთად, საქართველოში ემოგზაურა. მიუნხენის ეთნოგრაფიულ მუზეუმში დღესაც ინახება მის მიერ შექმნილი ფონოგრაფიული ჩანაწერები (ტექსტები და მუსიკა), ფოტოები და კაკასიური საყოფაცხოვრებო ნივთები.

10 Breuste, Jürgen, Deutsch-russische Wissenschaftsbeziehungen und die Beteiligung Deutscher an der geographischen Erforschung Kaukasiens im 19. und im beginnenden 20. Jahrhundert, Bd. 1, Halle 1982, S. 106.

11 Von Thielmann, Max Freiherr, Streifzüge im Kaukasus, Persien und der asiatischen Türkei, Leipzig 1875, Reprint Nürnberg 1979, S. 177f.

1912 წელს, მეფის მოწვევით, თბილისში ჩამოდის კოსტიუმების მკვლევარი, პროფესორი მაქს ტილკე. იგი კოსტიუმებს შეისწავლის კავკასიის მუზეუმში და, სომეხ ლიდა ბაღდასარიანთან ერთად, მუშაობს დიდ ნაშრომზე ეროვნული კოსტიუმების შესახებ. 30-იან წლებში, ტილკე ამ მუშაობის შედეგებს აქვეყნებს თავის, დღეისთვისაც აქტუალურ, ენციკლოპედიამა - „კოსტიუმების ისტორია სურათებში“.

საუკუნეთა მიჯნაზე ანუ იმ დროს, როდესაც ერთი მხრივ, საფრანგეთს, ინგლისსა და რუსეთს შორის, მეორე მხრივ კი გერმანია-ავსტრია-სა და ოსმალეთის იმპერიას შორის სამხედრო კონფლიქტი დაიწყო, კავკასიამ გერმანიისთვის სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობაც შეიძინა: 1888 წელს, ოტო ვახსმა შეისწავლა გერმანიის რუსეთზე თავდასხმის შესაძლებლობა სამხრეთიდან, კავკასიისა და შავი ზღვის გავლით<sup>12</sup>, კ. ფონ ცეპელინმა კი - კავკასიაში რუსეთის იმპერიის კუთვნილი სანაპიროები და ნავსადგურები, როგორც ხაფანგის საშუალება გერმანიის თავდასხმის შემთხვევაში<sup>13</sup>. სხვათა შორის, გერმანიის ექსპანსიური პოლიტიკა არა მხოლოდ სამხედრო თვალსაზრისით მოიცავდა კავკასიის რეგიონს, არამედ მას სერიოზული ეკონომიკური ინტერესებიც ამოძრავებდა.

## 2. გერმანიის კოლონიზაცია კავკასიაში<sup>14</sup>


რუსეთის მხრიდან კავკასიაში წარმოებული ექსპედიციები ჯერ კიდევ დაუპყრობელი რეგიონისადმი სამეცნიერო ინტერესებზე მიუთითებს. მაგრამ რუსეთის ამ რეგიონით დაინტერესება, ძირითადად, გეოპოლიტიკურ ხასიათს ატარებდა. სამეფო იმპერიის პერიფერიაზე მდებარე კავკასია თურქეთსა და სპარსეთთან გამაყვალ ბუნებრივ საზღვარს წარმოადგენდა. მისი ეკონტროლება სამეფო იმპერიის უსაფრთხოების გარანტიას ნიშნავდა. ამდენად, რეგიონის ეკონომიკური ვარგისიანობა რუსეთისთვის მეორეხარისხოვანი იყო. რუსეთმა საქართველო მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში აითვისა, უცხოური კაპიტალის მეშვეობით.

1804 წელს, ალექსანდრე I-მა სტრატეგიულად ასეთ მნიშვნელოვან რეგიონში ევროპეზებული ემიგრანტების დასახლება გადაწყვიტა, რაშიც, სავარაუდოდ, ალექსანდრე I-ისა და

12 Wachs, Otto, Über die politische und militärische Bedeutung des Kaukasus, Berlin 1889.

13 Zepelin, C.v., Die Küsten und Häfen des russischen Reiches in Europa und dem Kaukasus mit Rücksicht auf die Landesverteidigung, Berlin 1896.

14 კოლონიზტი (ლათ. *colonus*. ის, ვინც დაყრილი მიწაზე სახლდება და მის კულტივირებას ახდენს). რუსულად ნიშნავს მოსახლეს და. 1763 წლიდან, ასე უწოდებენ რუსეთის უცხოელ მოსახლეობას. იხილეთ: Brandes, Detlef, Kolonist, Bauer und/oder Deutscher? Die Russlanddeutsche Landbevölkerung zwischen den Ständen und Nationalitäten des Russischen Reiches und der Sowjetunion, In: Forschungen zur Geschichte und Kultur der Russlanddeutschen, Hg. ders., Essen 1999.



ეზერანტოს მარშრუტები კოსტანდინოპოლიდან, რაინოპოლისა და დასავლეთ პრუსიიდან შვეიცარიისა და კოლონიისკენ  
 მოძრაობები XVIII-XIX საუკუნეებში. წიგნი: Alfred, Die Russlanddeutschen. München 1909

ვიურტემბერგის სამეფოს<sup>15</sup> ნათესაურ კავშირებსაც უნდა ეთამაშა როლი. როგორც ჩანს, ალექსანდრე I მათში საიმედო, ეკონომიკურ საყრდენსაც ხელდავდა. ვიურტემბერგელ პიეტეტებს იმედი ჰქონდათ, რომ ღვთისმოსაჲი მეფე რწმენის საკითხებში ტოლერანტობას გამოიჩენდა.

უცხოელი საციალისტების დაჭირაება სიახლეს არ წარმოადგენდა რუსეთში: პეტრე დიდმა (1689-1725), ვკონოისკენ მიბრუნების შემდეგ, უამრავი უცხოელი საციალისტი, ოფიცერი, მეცნიერი, არქიტექტორი და ოსტატი მოიწვია. თუმცა, მათმა უმეტესობამ მხოლოდ მცირე დრო დააყო რუსეთში. ისინი, ვინც დარჩნენ, რუსეთის ქალაქური დასახლების პიონერებს მიეკუთვნებოდნენ და, მოგვიანებით, დედაქალაქის განაოლებული ელიტის ნაწილს წარმოადგენდნენ.

ეკატერინე II-ის (1762-1796) ტახტზე ასვლასა და სამეფო იმპერიის სამხრეთით (შავ ზღვა, ბალკანეთი) და დასავლეთით (პოლონეთი, ბალტიისპირეთი), გაფართოებასთან ერთად, მნიშვნელოვნად შეიცვალა რუსეთის პოლიტიკა უცხოელთა მიმართ. პატრონჟმური უფლებით თაიანთ მემკობლეებს დამონებული რუსი გლეხებისგან განსხვავებით, უცხოელებს სწორედ ახლად შემოერთებულ მიწებზე ასახლებდნენ. იურიდიულად, კოლონისტებს სახელმწიფო გუბნებით ეყვრობოდნენ – ისინი არ ფლობდნენ საკუთრებას და მიჯაჭვულნი იყვნენ ერთობას და მიწას. იმაედროულად მიწა სახელმწიფოს საკუთრებად რჩებოდა. მაგრამ სახელმწიფო გლეხებისგან განსხვავებით, მათ მინიჭებული ჰქონდათ რწმენის თავისუფლება, 10 წლის განმავლობაში არ იხდიდნენ გადასახადებს და არც სამხედრო და სამოქალაქო სამსახური ეკისრებოდათ; ამას გარდა, მათ თვითმმართველობის უფლება ჰქონდათ და მხოლოდ შესაბამისი რეგიონის გენერალ-გუბერნატორს ექვემდებარებოდნენ.

უკვე XVIII საუკუნის 70-იან წლებში, ეკატერინე II-ის მანიფესტის შემდეგ (22 ივლისი, 1763 წელი), გერმანული მიწებიდან, დაახლოებით, 28 000 ადამიანი გადმოსახლდა რუსეთში. ემიგრაციის უმეტეს ჰქონდათ მათ, ვინც სოფლის მეურნეობა ან რაიმე ხელოსან იყო. დაჯანმრთელი და დაჭირვინებული იყო, 300 გულდენ ნაღდ ფულს ან შესაბამისი ღირებულებას საქონელის ფლობდა და მშობლიური ერთობიდან ემიგრაციის უფლებას მიიღებდა. ემიგრაციის ხარჯებს რუსეთის მთავრობა იღებდა; გარდა ამისა, კოლონისტებს დასასახლებლად კრედიტები და სახლის მშენებლობაში მხარდაჭერაც გარანტირებული ჰქონდათ. იმ პერიოდის ემიგრანტებს შორის მცირე რაოდენობის შედეგები, ფრანგები და პოლანდიელებიც იყვნენ. ამას საბრძანებროდ, ალექსანდრე I-ის მიერ გამოცემულ მოწვევის მანიფესტებს (1804 წ.) კ. შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ ვიურტემბერგელი, ჰეფელცი, ბაიერნისა და პესენის ემიგრანტების ტალღა მოჰყვა. საეკლესიო რეფორმამ სწორედ გერმანიის სამხრეთ-დასავლეთ მიწებზე გამოიწვია არეულობა, რომელიც 1800 წელს, ზოგან სამხედრო ძალის გამოყენებითაც კი ჩაახშეს.

<sup>15</sup> ალექსანდრე I-ის დედა იყო პრინცესა დოროთეა ფონ ვიურტემბერგ-შიომპლუგარდი, მეფე ფრიდრიხ I ალექსანდრეს ბიძა იყო.

უნდა ითქვას, რომ 1817 წელს ამიერკავკასიაში<sup>16</sup> მიმავალ პირველ კოლონისტებს ცოტა რამ თუ აკავშირებდათ რევოლუციური რუსეთის ინტერესების განხორციელებასთან. მათ ნაპოლეონის შემოსევები, პოლიტიკური არეულობები, რელიგიური დევნა, შიმშილი გამოიარეს და, ოდესის, ყირიმისა და ჩრდილოეთ კავკასიის გზით, 90 დღიანი მგზავრობით დაღლილებს სურდათ, რომ ახალ მიწაზე მინც ეგრძნოთ თავი მშვიდად და ღაცულად.<sup>17</sup> მათ, თბილისის აღმოსავლეთით, კოლონია მარიონფელდი დააარსეს. ერთი წლის შემდეგ, ეიურტემბერში განმეორებითი მოუსავლიანობის და ქილიასტური წინასწარმეტყველური მოძღვრებების<sup>18</sup> გამო, კიდევ 1300 ოჯახი დაიძრა ამიერკავკასიისკენ. დაახლოებით 200 ადამიანი 40-დღიანი კარანტინის დროს დაიღუპა იზმაელში, უამრავი ოჯახი კი ოდესასა და ჩრდილოეთ კავკასიაში დასახლდა.

500-მა ოჯახმა, რომლებმაც, სირთულეების მიუხედავად, მშვიდობიანად მოაღწია ამიერკავკასიას, 5 დასახლება დააარსა: თბილისის მიდამოებში, ახალი თბილისი (ძირითადად, ხელოსნებმა), ელიზბეტტალი, პეტერსდორფი და ანენფელდი; თბილისიდან აღმოსავლეთით, 200 კმ -ს დაშორებით კი პელენენდორფი და კატარინენფელდი. ეს მათთვის წინასწარ გათვალისწინებული, მაგრამ არც ისე ადეკვატური ასათვისებელი, მთიანი ტერიტორიები იყო სუბკონტინენტალური პავით.

კოლონისტები ზამთრის დამდეგს ჩამოვიდნენ. სიცოცხლა და წვიმისგან თავდასაცავად, მათ სასწრაფოდ უნდა აეგოთ ქოხები. ერთ-ერთი მათგანი წერდა:

*„ცარიელი მიწა დაგვხვდა, ზამთარიც კარზე მომდგარიყო. არავითარი თავშესაფარი, არც პური. 5 ცხენი და მათთვისაც არავითარი თავლა და საკვები! აჰ, ეს გამოცდა იყო ღვთისანაბარად დარჩენილებისთვის! კოლონიების გაზომვისა და სახლის ადგილების კენჭისყრის შემდეგ, მუშაობას შეუდექით. ... უმრავლესობამ ქოხებში გააკატარეთ ზამთარი. კვლევები ხელი ფიცრებით იყო გარემორტყმული და ნაბლით გადახურული; ყვამლის გამო, ძნელი იყო იქ ცხოვრება. ... ნანატრი გაზაფხულიც მოვიდა; ყველა დასახლებაში თესვენდნენ და რგავდნენ, ენახებიც კი გააშენეს. გარშემო ყველაფერი ღიბებულად იზრდებოდა და უხვი მოსავალიც მოდიოდა, მაგრამ, გაზაფხული ახალი დაწყებული იყო, როდესაც სხვადასხვა დაკავებამ*

16 კავკასიის გენერალური გუბერნია მოიცავდა შავ და კასპიის ზღვებს შორის არსებულ მიწებს, მასში შედიოდა 11 გუბერნია, რომელთაგან 3 იბერკავკასიას მიეკუთვნებოდა. კავკასიის დაპყრობა 1865 წელს დასრულდა.

17 44.424 ეიურტემბერკოლდენ, რომლებმაც XIX საუკუნის დასაწყისში დატოვეს თავიანთი სამშობლო, 15.487-მა რუსეთში წამოსვლა გადაწყვიტა. იხილეთ: Dietrich, Hans-Christian, Siedler, Sektierer und Stundisten, Die Entstehung des russischen Freikirchentums, Berlin 1984.

18 ქლიაზში არის სწავლება ქვეყნიერების აღსასრულის წინ ქრისტეს მკვრივ მოსვლის შესახებ. პიეტისტი ყველთვის არაა დაკავშირებული ქლიაზთან – სხვათა შორის, შვაბი პიეტისტების საეკლესიო რეორგანიზაციის დასაწყისში. იხილეთ ასევე: Föll, Renate, Sehnsucht nach Jerusalem, Zur Ostwanderung schwäbischer Pietisten, Tübingen 2002, S. 48-51.





იფეთქა. აგვისტოს ბოლომდე, აქა-იქ თუ შეხედებოდი ვინმეს, ჯერ კიდევ რომ შეეძლო სიარული. ჯანმრთელი აღარავინ დარჩა. სიკვდილიანობამ იძენად იმატა, რომ მიეხვლით, ამ ადგილზე კვლარ დავრჩებოდი.“<sup>19</sup>

ქრონიკის თანახმად, კოლონიის მაცხოვრებელი 135 ოჯახიდან 256 ადამიანი დაიღუპა. ამის გამო, 1819 წლისთვის, კოლონია კატარინენფელდი ხელახლა დააარსეს თბილისის სამხრეთით. თავიდან პატარა სახლს კარკასებით აგებდნენ, 20-30 წლის შემდეგ კი იმავე სტილის, უმეტესად, ორსართულიანი, მასიური შენობები ააშენეს, იშვიათად – სამსართულიანი სახლებიც.

პირველი ათწლეულების განმავლობაში, კოლონიტების ძირითადი ამოცანა, პირდაპირი გაგებით, თავის გადარჩენა იყო. იმის გამო, რომ ბევრი მათგანი ქოლერამ, მალარიამ და მსგავსმა ეპიდემიებმა იმსხვერპლა, მომდევნო ოჯახებს, თითქმის, დაცარიელებულ სოფლებში ემიგრაციის უფლება მიცეს (მიუხედავად იმისა, რომ 1819 წელს, ზოგადად, ოფიციალურად აიკრძალა კოლონიების დასახლება<sup>20</sup>). ამ დროისათვის, რუსები ჯერ კიდევ ვერ აკონტროლებდნენ ყველა ეთნოსსა და ტომს. ამიტომ, თურქი თათრებისა და სპარსელების ბანდები რეგულარულად ესხმოდნენ თავს კოლონიებს. განსაკუთრებით დაზარალებდნენ კოლონიები კატარინენფელდში, ანენფელდსა და ქელენენდორფში, სადაც 1826 წლის ზაფხულში, ასობით მოკლულს თუ ტყვედ გატაცებულს გლოვობდნენ. საბოლოოდ, კოლონიტების თავდასხმებისგან დასაცავად და, ზოგადად, რეგიონში სტაბილიზაციის შესანარჩუნებლად, კოლონიებში კახაეები დასახლეს. მათი უმეტესობა შუაბ ოჯახებთან ერთ ჭურჭეშ ცხოვრობდა.

1842 წელს კიდევ 20 ოჯახი ჩამოვიდა გერმანიიდან და რუსეთიდან. ისინი აბასთუმის მახლობლად დასახლდნენ და კოლონია ფროიდეტალი დააარსეს. ჯამში 9 ძირითადი კოლონიიდან, ათწლეულების განმავლობაში, რამდენიმე შეილობილი კოლონია ჩამოყალიბდა. დღეისთვის მხოლოდ 18 მათგანია<sup>21</sup> ცნობილი. 1878 წელს, ბაიერნიდან და ვიურტემბერგიდან 30 ოჯახი გადმოსახლდა სოხუმის მახლობლად. მათ დააარსეს კოლონიები: ნაიდორფი და გნაღენბერგი<sup>22</sup>.

19 ციტირებულია მ. ფრიდრიხ შრეტის ნაშრომიდან: *Geschichte der deutschen Colonien in Transkaukasien, Zum Gedächtnis des 50-jährigen Bestehens, Tiflis 1869, S. 38f.*

20 გამონაკლისებს უშეუბნებლად პრუსიელი მწიბრებისთვის – იგნაც ლინდლის მიძღვრებისთვის ბაიერნიდან და ვიურტემბერგიდან, შვეიცარიელი მეცნაურებისთვის და პეტრისტებისთვის ვიურტემბერგიდან და ბადენიდან. იხილეთ: Brandes, Detlef, *Deutsche auf dem Dorf und in der Stadt*, In: Eisfeld, Alfred, *Die Russlanddeutschen*, München 1999, S. 27.

21 ალექსანდრეპოლი, ალექსანდრელოფი, ალექსეევკა, ბლუმენტალი, აიენფელი, ელიზავეტინკა, გორგოევსკი, გორგასელდი, გორგეტალი, გროუნფელი, გროუნტალი, პოფენგენსკალი, პეტროვკა, შტაინფელი, ტრაუნბერგი, ტრაუნფენელი, ვალდაში, ეიზენდორფი (ჰაინრიხ როზახტის მონაცემების მიხ.).

22 ნაიდორფს სხვაგან ლინდლუსკ უწოდებენ. ერთი კოლონია კათოლიკური იყო, მეორე – ევანგელისტური. როგორც ჩანს, მათ მუდმივი უსამოვნებები ქონდათ ერთმანეთთან. იხილეთ: Hoffmann, Paul, *Die deutschen Colonien in Transkaukasien*, Berlin 1905, S. 69.

მიუხედავად ნაყოფიერი მიწისა, ტყის ზონისა და წყლისა, კოლონიისტებმა დიდხანს ვერ მოხერხეს რეგიონის კლიმატურ პირობებთან შეგუება. მოგვიანებით, მათ მაინც შესძლეს თამბაქოს მეურნეობის ჩამოყალიბება.

ამიერკავკასიელი კოლონიისტების გარდა, „ეოლგის კოლონიისტებიც“ იყვნენ. მაღბრავალწლიანი მოუსავლიანობის გამო, ეოლგის სამხრეთ ნაპირებზე გადაინაცვლეს და კოლონიების მახლობლად ნაყიდი ან იჯარით აღებული მიწები ათვისეს. მაგრამ, ეს კოლონიისტები კოლონიების არა სამოქალაქო, არამედ საეკლესიო ერთობებს მიეკუთვნებოდნენ და საერთო გადაწყვეტილებების მიღებისას, ხმის უფლება არ ჰქონდათ.<sup>23</sup>

ერთადერთი კოლონიისტი, რომელიც 1863 წელს, დიდი თავადის, მიხეილ ნიკოლოზის ძის დახმარებით, მაკჰედში დასახლდა, იყო ალექსანდრე ფონ კუტცშენბახი (1835-1909). მს შვეიცარიაში ყველს წარმოება ჰქონდა შესწავლილი და შვეიცარიული ყველი პოპულარულად გახდა ამიერკავკასიაში. კუტცშენბახის 1898-1900 წლების ჩანაწერებიდან ვიგვით, თურამ განაპირობა მისი საქართველოში ჩამოსვლა:

„მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი სამხრეთ ამერიკაში, ბრაზილიაში, არგენტინაში ან აუსტრალიაში ვადასახლება, როდესაც ერთი სკოლის მეგობრისგან, ვერნერ ფონ სიმენსისგან მივიღე წერილი. იგი იტყობინებოდა, რომ კავკასიაში მეტალურგიული ქარხნის დაარსება სურდა. ამასთანავე, ჩემი შეკითხვის პასუხად, მწერდა, რომ იქ არაჩვეულებრივი მთიანი იალაღები იყო და მთავაზობდა, კავკასიაში გაველოდი.“<sup>24</sup>

კავკასიელ გერმანელთა ერთიანობისა და მათი ინტელექტუალურ-კულტურული თანაცხოვრებისათვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ეკლესიები და მათი მღვდლები. განსაკუთრებით, ბახელის მისიონერებს უნდა ეუმადლოდეთ ერთობების ჩამოყალიბებასა და ცრუმორწმუნე პიეტისტების ევანგელისტურ-ლუთერანულ ეკლესიაში დაბრუნებას.<sup>25</sup>

ამიერკავკასიაში ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესიის სტრუქტურისა და ხელმძღვანელობის ჩამოყალიბება პირველად 1832 წელს, საეკლესიო კანონის ნებართვით გახდა შესაძლებელი. 1834 წელს, თბილისში, ამიერკავკასიაში პირველი ლუთერანული ეკლესია აკურთხეს. კოლონიების ობერპასტორთა მიერ წარდგენილი ეკლესიის პასტორები სამინისტროს მიერ ინიშნებოდა, ხშირად, ერთობების მიერ გამოთქმული სურვილების გათვალისწინებით. ეკლესიის ხარკებს სახელმწიფო და ერთობა იხდიდა. მაგალითად, ჰელენდორფში ეკლესია ერთობამ ააშენა, მღვდლის სახლი კი – სახელმწიფომ. სასულიერო პირებს ხელფასსაც

23 იქვე გვ. 69.

24 ჩანაწერები წარმოადგენს მისი შოამომავლების პირად საკუთრებას.

25 იხილეთ: Groß, Andreas, Missionare und Kolonisten. Die Basler und die Hermannsbürger Mission in Georgien am Beispiel der Kolonie Katharinenfeld 1818-1870. Studien zur Orientalischen Kirchengeschichte, Hamburg 1998.

სახელმწიფო უხდოდა.<sup>26</sup> პასტორი დამატებით ანაზღაურებას თავისი ერთობისგან იღებდა, ეს უკანასკნელი ინახავდა მის საცხოვრებელსაც. პასტორთა ინციტაციით დარსდა სკოლები, რომლებიც მშობლიური შუაბის რეაწლიან სახალხო კოლეჯებს შეესაბამებოდნენ. ბაუმგებს, რვა წლის განმავლობაში, ხშირად, ერთადერთი მასწავლებელი ასწავლიდა შუაბურ ენაზე წერა-კითხვას, ანგარიშს, ისტორიასა და სხვა საგნებს. კოლონისტები თავად უხდიდნენ ხელფასს მასწავლებელს და, ამდენად, თავს ვერ მისცემდნენ ნამდვილი, კვალიფიცირებული პედაგოგის დაქირაების უფლებას.

გარდა ამისა, პირველ ათწლეულებში, კოლონისტთა ოჯახები იძულებულნი იყვნენ, თავიანთი შვილები მუდმივად ჩაერთოთ სამეურნეო საქმიანობაში. მხოლოდ მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად მოახერხეს მშობლებმა, რომ შვილების განათლებისთვის უფრო მეტი ყურადღება დაეთმოთ.

40-იანი წლების შუა პერიოდიდან, როდესაც კოლონისტები კლიმატურ პირობებს შეეგუენ და მიწაც აითვისეს, კოლონიებში განვითარდა შედარებით ძლიერი დასახლებისა და მეურნეობის ფორმები, განსაკუთრებით – მიწათმოქმედება, მესაქონლეობა და ხელოსნობა.

1865 წელს, რუსეთის მიერ კავკასიელი ხალხების საბოლოო დაპყრობის შემდგომ, უკვე შესაძლებელი გახდა, უცხოური კაპიტალის დახმარებით, რეგიონში სატრანსპორტო გზების გაყვანისა და ინდუსტრიალიზაციის დაწყება. ძველი სავაჭრო ადგილები განახლდა, ხოლო ახალი სავაჭრო გზები (ფოთი-თბილისი-ბაქო-დერბენდი), ცენტრალური აზიის ბაზრის გაკლდით, ციმბირამდეც კი აღწევდა. ახლად ჩამოყალიბებულ ადმინისტრაციულ ცენტრებში გაიზარდა მოთხოვნა კოლონისტთა ნაწარმსა და მომსახურებაზე. ჯერ კიდევ ყირიმის (1850წ.) და რუსეთ-ოსმალეთის (1870-იან წლებში) ომების დროს, კოლონისტებმა ახალ შემოსავლის წყაროს მიაგნეს კავკასიაში იმ დროისთვის უცნობი, ოთხთვალა ეტლის დამზადების წყალობით. ისინი გამოიმუშავებული ფულის ინვესტირებას სოფლის მეურნეობის პროდუქტების განოყიერებასა და გასაღებაში, მანქანების შექმნასა და შვილების განათლებაში ახდენდნენ.

ნამდვილი ეკონომიკური გარდატეხა მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო, როდესაც კოლონისტები სამეფო გადასახადებისგან განთავისუფლდნენ და შეეწინააღმდეგებოდნენ. 1871 წელს, მმართველობისა და აგრარულმა რეფორმებმა, რომელთა განხორციელება ამირკავკასიის ზოგ ნაწილში შეუერხებებით, 30 წელზე მეტ ხანს გაჭიანურდა<sup>27</sup>, ცხადი გახდა კოლონისტთა პრივილეგიები. მათდამი განსაკუთრებული დამოკიდებულება (მაღალი სასტარტო დახმარება და დაბალი გადასახადები) ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა.<sup>28</sup> აღნიშნული რეფორმების შედეგად, კოლონისტებს ჩამოერთვათ განსაკუთრებული უფლებები და თვითმმართველობა, რასაც ხელი უნდა შეეწყო მრავალთნიკურ საზოგადოებაში მათი ინტეგრაციისთვის. კოლონისტებს სამხედრო ვალდებულებები დააკის-

26 Schweinitz, Hans-Hermann Graf von, Helendorf – eine deutsche Kolonie im Kaukasus, Berlin 1910, S. 72.

27 იხილეთ: *Kaukassische Post*. გამოცემის შესახებ წელი, 7, 8, 11, ტფილისი, 1908.

28 იხილეთ: ათანდილ სონულაშვილი, „გერმანელები საქართველოში“, თბილისი, 1997; ვკ. 7-10.

**Im Baron von Kufzschenschbach'schen**  
 — Selms-Privat, Käse und Buttergeschäft — Guss-Restaurant.  
**ist Leber- und Blutwurst zu haben.**  
 Vor den Feiertagen erwarten wir Cervelatwurst und Rauchgänse.

— Restaurant und Gartenlokal — „RENAISSANCE“  
 Michael-Freytag-Str. 129 bei Projektur „Amalia“.



Inhaber Sascha Reinhold.  
 Jeden Tag grosses Mittagskonzert  
 von 2—4 Uhr und  
**Abendkonzerte**  
 von 8—11 Uhr  
 räthlichst bekannten deutsch-russischer  
**Konzertkapelle**  
**A. Benardi und D. Anastasiu,**  
 unter Leitung des russischen A. Neme und  
 anderer hervorragenden Künstler.  
 Besondere Aufmerksamkeit für Studenten unter  
 schrittlich Studenten. Besondere Aufmerksamkeit für  
 die russische Mittagsessen von 12—3 Uhr  
 à la carte.  
 Zum vollständigen Tafel- und Hotel von der Stra-  
 ße A. REINHOLD.

**Die neue Sprechmaschine ohne Nadel!**  
 Die ganze Welt  
 hat sich eifrig bemüht, das  
**Pathephon**  
 für ihre Sprechmaschine her-  
 zuzubringen.



**Vorzüge:** Diese Maschine ist so einfach, dass jeder  
 sie bedienen kann. Sie ist sehr  
 leicht und klein.  
**Preis: von 30 Rbl. und höher.**  
 Bitte nicht mit anderen Sprechmaschinen zu  
 verwechseln!  
 Pathephon spielt ohne Nadel  
 Passende Geschenk bei jeder Gelegenheit  
 für gross und klein!  
 Pathephon sollte in jeder Familie sein!  
 Zu haben bei:  
**Karl SCHUMANN, Titus,**  
 Palmen-Strasse 21 in  
 Tiflis bei Graf Collo-Celli, Gekulak. 6 13

**Kupferschmiede**

**Alfred Jeschor** TIFLIS, Michael-Pr. Nr. 52

empfiehlt sich zur Anfertigung von:

**Rektifizier- & Hognak-Apparaten**  
 in allen Grössen und Dimensionen.

**Brandwein &**  
**Käse-Kesseln,**  
**WEINFILTERN,**  
**Bade-Einrichtungen**  
 und allen Kupferarbeiten.

10—4

განცხადებები გაზეთში *Kaukasische Post*, რომელიც 1906-1922 წლებში გამოიცემოდა.  
 (ორიგინალები დაცულია თბილისში, ისტორიის სახელმწიფო მუზეუმში)

რეს და ერთობის სკოლებიც რუსულ სახალხო სკოლებად გადააკეთეს. ამიერიდან, სწავლის ბოლო წელს, ბავშვებს ისევე უნდა სცოდნოდათ რუსული ენა, როგორც გერმანული, მაგალითად – შვაბური. თუ თბილისელი შვაბები დახვეწილი რუსულით საუბრობდნენ, კოლონიებში რუსულს არცთუ ისე დიდ ყურადღებას უთმობდნენ. სამაგიეროდ, კოლონისტები, როგორც ამას ქართველი ენათმეცნიერი იური მოსიძე აღნიშნავს, მშობლიურის შემდეგ, საკმაოდ კარგად ფლობდნენ ქართულს. მოსიძემ თავის გამოკვლევებში იმის დამტკიცებაც კი შემლო, რომ შვაბებმა თავიანთ ლექსიკაში ქართული გამონათქვამები გადაიღეს. თუმცა, გრამატიკულ სიბრტყეზე, 1819-დან 1982 წლამდე (გამოკვლევის პერიოდი), ცელალებები არ ასახულა.<sup>29</sup>

ქვეყნის ახალი მმართველობის ფორმებში რეგიონულ თვითმმართველობაც მოიაზრებოდა, რომელიც, სხვათა შორის, ამიერკავკასიაში არ შემოღებულა. 1874 წლიდან, მეფისნაცვალთა წინააღმდეგობის მიუხედავად, ნელ-ნელა იქნა შემოღებული ქალაქის თვითმმართველობა დუმითა და ქალაქის საბჭოთი ბაქოში, ერევანში, ქუთაისსა და თბილისში<sup>30</sup>. არჩევნებში მონაწილეობის უფლება ქალაქის მამრობითი სქესის ყველა იმ მაცხოვრებელს მიენიჭა, რომელსაც რუსეთის მოქალაქეობა ჰქონდა, ასევე – უმრავე ქონების, საეკონომიკო და სამრეწველო საწარმოებს, იურიდიულ პირებს, კოოპერატივებს, გაერთიანებებს, დაწესებულებებს, ეკლესიებსა და მონასტრებს.

რეგიონულ პოლიტიკაში ამიერკავკასიელი კოლონისტების უმნიშვნელო როლზე მითითებს ის, რომ 1906 წელს თბილისში დაარსებულ გამოცემას – “Kaukasische Post” – კოლონიებში მცირერიცხოვანი მკითხველი ჰყავდა, რაც უარყოფითად აისახებოდა მის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. სარედაქციო შტაბის (მის წევრთა შორის იყვნენ: არტურ ლაისტი, ალექსანდრე ფუფაევი, ერის ბერნშტაინი და კურტ ფონ კუტცმენბახი) მიზანი იყო გერმანელი მოსახლეობისთვის შედარებით საინტერესო – ინტელექტუალური, ეკონომიკური, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრებასთან დაკავშირებული თემების მიმოხილვა. ამას გარდა, შტაბის წევრებმა ურთიერთობები დაამყარეს გერმანიასთან და რუსეთში არსებულ სხვა გერმანულ კოლონიებთანაც, რომლებსაც ვაზის ჯიშების, ინფექციურ დაავადებებთან ბრძოლისა და სოფლის მეურნეობაში ტექნიკის დანერგვის შესახებ აწვდიდნენ ცნობებს. 1918 წელს, კავკასიაში მოქმედი სამხედრო მისიის დახმარებით, ჟურნალი ახლიდან დაარსდა, როგორც ამიერკავკასიელ გერმანელთა გაერთიანების ორგანო. ეს გაერთიანება რეგიონში გერმანული წარმომავლობის პირთა კულტურული ავტონომიისკენ მისწრაფოდა და, ამასთანავე, სოცი-

29 Mosidse, Jurl, Zur Geschichte und zu den sprachlichen Besonderheiten der Schwaben in Georgien, In: Georgien Im Spiegel seiner Kultur und Geschichte, Zweites Deutsch-Georgisches Symposium der Berliner Georgische Gesellschaft e.V., Mai 1997, S. 105-106.

30 ისილვე: Oliver Relsner, Ethnos und Demos In Tiflis (Tiflis) – Armenier, Georgier und Russen In den Stadtdumakämpfen 1890-1897, In: Gesellschaft als lokale Veranstaltung, Selbstverwaltung, Assoziierung und Geselligkeit in den Städten des ausgehenden Zarenreichs, Hg. Hausmann, Guido, Göttingen 2002, S. 301.

ალურ-პოლიტიკურ ერთობად აღიარების მოპოვება სურდა.<sup>31</sup> სხვათა შორის, სარედაქციო შტაბმა ვერ მოახერხა კოლონისტების პოლიტიკური გააქტიურება. სწორედ ამიტომ, სასტუმროს მებატონე იაკობ ვეტცელი, რომელიც დუმაში „პროგრესისტების“ დესპუტატი იყო (ასე უწოდებდნენ თავს თბილისელი სოციალ-დემოკრატები), ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენდა. საერთოდ, გერმანელები ნაკლებად მონაწილეობდნენ დუმის არჩევნებში. ისინი იმითაც კმაყოფილდებოდნენ, რომ თავიანთი გერმანული ჯგუფი ჰყავდათ წარმოდგენილი რუსული „ოქტომბრის გაერთიანებაში“<sup>32</sup>.

სხვათა შორის, საუკუნეთა მიჯნაზე, თითქმის ყველა კოლონიაში დაარსდა გაერთიანებები, რომელთა მიზანი სამეურნეო და საოჯახო აპარატურის ზომიერ ფასებში მოპოვება იყო. ამან ხელი შეუწყო ერთობას, თავი დაეღწია ძლიერი კაპიტალის მქონე წევრთა სექულაციებისგან.<sup>33</sup> მიუხედავად ერთობის მმართველობის სურვილისა – წინ აღსდგომოდა მასში სხვადასხვა ეკონომიკური ფუნქციის შექმნას, გონიერი საქონლის პოლიტიკისა და მეურვეობის წყალობით, ზოგიერთი ოჯახი რამდენიმე მეურნეობას დაეპატრონა. ვაჭრობის ნიჭით დაჯილდოებული და პატივმოყვარე კოლონისტები, როგორებიც იყვნენ მბები ვოპერები და ჰუმელბერგის ოჯახი პელენენდორფიდან – არ დაკმაყოფილდნენ მხოლოდ მიწის ერთობით და, 1871 წელს, შეეწყინებოდას შესწავლის შემდეგ, ეენახების გაკეთილშობილებასა და ასათვისებელი ფართობის გაზრდაში დააბანდეს ინვესტიციები. 1876 წელს გახსნილი თბილისისა და ბაქოს დამაკავშირებელი ხარკინიგზო ხაზის გასწვრივ გადაწყვიდველი ჰუნქტების მოწყობასთან ერთად, მათი საქონლის გასაღების შესაძლებლობებმა მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგამდე მიადღწია. ორივე მენარმის წილი ამიერკავკასიასა და რუსეთში წარმოებული ყურძნის, ღვინის, ღვინის სპირტისა და კონიაკის საერთო მოცულობის, დაახლოებით, 3-15% -ს შეადგენდა.<sup>34</sup>

1900 წლისთვის გერმანული კოლონიები, კარგა ხანი იყო, მხოლოდ კოლონისტებისგან აღარ შედგებოდა. შრომის განაწილებიდან გამომდინარე, პელენენდორფის მაგალითით გვიჩვენებს, რომ ზოგიერთი კოლონიის შემადგენლობა პეტეროვენული იყო. საუკუნეთა მიჯნაზე, ამ კოლონიაში ეხოვრობდა: 1820 კოლონისტი, 222 სხვა ტერიტორიებიდან გადმოსახლებული

31 იხილეთ: *Kaukasische Post* 1918-1921; ასევე – თბილისში გერმანიის საკონსულოს აქტები, საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური არქივი, R 14254 (1914) და R 84117 (1933-1934). კარლ აუგუსტ ფიშერის აზრით, ეს გაერთიანება კი დაარსდა, მაგრამ აქტიურობით არ გამოირჩეოდა. იხილეთ: Fischer, Karl August, *Die Kaukasische Post*, Leipzig 1944, S.97.

32 „17 ოქტომბრის გაერთიანება“ კონსერვატორული პარტია, რომელიც ამიერკავკასიაში რუსი ეროვნების უმცირესობათა ინტერესებს იცავდა.

33 თბილისში გერმანიის საკონსულოს აქტები, საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური არქივი, R 84117 (1933-1934).

34 *Überschlagsrechnung nach den Statistiken des Kaukasischen Kalenders von 1915 (1914) bei Auch, Eva-Maria*, დასახლებული ნაშრომი, გვ. 96.

გერმანელი, 588 რუსი, ნაწილობრივ – კაზაკები, 410 სომეხი, 120 თათარი (აზერბაიჯანელი), 140 სპარსი და 80 ლეკი. თუკი კოლონისტების ძირითადი საქმიანობა შეეხებოდა იყო, მოგვიანებით გადმოსახლებული გერმანელები, უმეტესწილად, ხელოსნობას მისდევდნენ: სომეხები და სპარსები – სარეწაო საქმიანობას, თათრები და ლეკები კი მოვამავრეები და მუშები იყვნენ.<sup>35</sup> კაზაკების თავიანთ ოჯახებში მიღებისთვის კოლონისტებს გასამრჯელოს უხდოდნენ. მიუხედავად დატვირთვისა, ისინი მათი იქ ყოფნით კომფორტულს არ მალავდნენ. კაზაკები, საჭიროების შემთხვევაში, არა მხოლოდ ესმარტოდნენ თავიანთ „მასპინძლებს“, არამედ მათი გარნიზონები თავდასხმებისგან იცავდნენ გერმანელთა ერთობებს.<sup>36</sup>

სხვათა შორის, კოლონისტები უპირატესობას ანიჭებდნენ ერთმანეთთან ურთიერთობას და თავს იკავებდნენ ადგილობრივ მოსახლეობასთან კონტაქტისგან. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი ადურთოვანებული იყო გერმანელთა მოწესრიგებულობით და ქველდითუნარიანობით. ადგილობრივებმა ერთი რამ არ იცოდნენ: მართალია, გერმანული კოლონიები, გარშემო მდებარე სოფლებთან შედარებით, ბევრად შეძლებულად ცხოვრობდნენ, მაგრამ მათ არც მეურნეობის რაციონალური წარმართვა იცოდნენ და არც, გერმანიაში დიდი ხნის წინათ დანერგილი, ახალი მეთოდების<sup>37</sup> შემოღებით იყვნენ დაინტერესებულნი. როგორც ჩანს, კოლონიის უფროსების თავდაპირველი გეგმის მიუხედავად, მათ არც თავიანთი ცოდნა გაუზიარეს ადგილობრივ მოსახლეობას. ერთადერთი, რაც მათ ამიერკავკასიაში შემოიტანეს, კარტოფილის კულტურა უნდა ყოფილიყო. ამ აზრამდე მივყავართ თბილისიდან სამხრეთ-დასავლეთით არსებულ კარტოფილის მეურნეობებს.<sup>38</sup>

XIX საუკუნის ბოლოდან წარმოქმნილ „გერმანულ გაერთიანებებში“ დღედა საზოგადოებრივი ცხოვრება: ცეკავდნენ, მღეროდნენ, მუსიკას უკრავდნენ, სპექტაკლებს დგამდნენ და, ბუნებრივია, ერთად აღნიშნავდნენ დღესასწაულებს. ნებაყოფლობითა იზოლაციამ თავისი დარი მინც დასევა კოლონიებს, განსაკუთრებით, ბავშვები დაზარალებდნენ: თერაპეუტულიანი ერთობლივი ცხოვრების შემდგომ, თითქმის ყველა ერთმანეთის ნათესავი ან მოყვარე იყო.<sup>39</sup>

ამას შედეგად მოჰყვა განუეთარებლობა, ნერვული დაავადებები და დებილიზმი, რაც უცხო თვალისგან გასაიდუმლოებული რჩებოდა.<sup>40</sup>

35 პაულ პოფმანი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 77.

36 იქვე, გვ. 77

37 იქვე, გვ. 89.

38 Stadelbauer, Jörg, Studien zur Agrargeographie Transkaukasiens, Berlin 1983, S. 139.

39 გრაფი ჰანს-ჰერმან ფონ შუაინტიცი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 91-98. იხილეთ ჰუმბოლდტის ოჯახის გენეალოგია.

40 გრაფი ჰანს-ჰერმან ფონ შუაინტიცი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 111.



### 3. გერმანულ-ბრიტანული თეორიები

XIX საუკუნის ბოლოსთვის, კავკასიაში აღრიცხული 34 623 გერმანელიდან, დაახლოებით 10 000 ცხოვრობდა იმერკავკასიის 14 სოფელში, თითქმის 8000 კი ამიერკავკასიის II კოლონიაში;<sup>41</sup> დანარჩენები ქალაქებში ცხოვრობდნენ. საუკუნეთა მიჯნაზე, დელაქალაქში, 3000-4000 გერმანელი იყო.<sup>42</sup> თბილისი რეგიონის საეკონომიკური ცენტრის წარმოადგენდა – „კარაბუქს“ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, სადაც ხელოვნება და კულტურა განსაზღვრავდა სოციალურ წყობას; ადგილი, რომელიც ევროპულ სტუმარს საკმაოდ თვალსაჩინოდ სთავაზობდა ნაცნობს, რათა თავი უცხო არ ეგრძნო და, ამასთანავე, ამართლებდა XIX საუკუნის ევროპაში გაბატონებულ შეხედულებებს აღმოსავლეთის შესახებ, თავისი სიუცხივით ასეთ აღტაცებას რომ იწვევდა.<sup>43</sup>


„კონტრასტების ქალაქი ტფილისი. მხოლოდ ქაიროში თუ შეხვედებით აღმოსავლური სიუცხისა და მიშვებულობის, ევროპული ცივილიზაციისა და ფხიზელი გონების მსგავს ნაშენს. მაგრამ ილუზიები იმსხვერვა. ტფილისი არაა ქალაქი ბოდენშტეტლის „ათასი და ერთი დღიდან“... იგი თავისი აღმოსავლური ნაწილით მხოლოდ დღისითაა თვალწარმტკიცე, როდესაც ხალხის უნიკური სიჭრელე აცოხლებს კატარა ქუჩებს; საღამოობით ამ სურათის ფერადიანი სურნელი ქრება და, კაფეზის უკელაღი სიმღერის ნაცვლად, მხოლოდ გრუნინის ბუტბუტი მოისმის... ამჟამად ქალაქი ყოველ წამს იზრდება და მაცხოვრებელთა რაოდენობა მალე 100 000-ს მიაღწევს. ქალაქის განლაგებას უშუალოდ უფრო ვთქვამს; უღამაზო ფორმას, მოშიშვლებულ, ყვითელ მთებს შორის, ვიწრო ქვაბულში ჩაჭული, ჰაერისა და სიმწვანის ნაკლებობას განიცდის. ზაფხულში, როგორც კი დამქანცველი სიცხე შეუძლებელს ხდის თქვაჩურებას, ყველანი მთებში, აგარაკებზე გარბიან, რათა მხოლოდ გვიანი შემოდგომის პირველ, თავსხმა წვიმასთან ერთად დაბრუნდნენ. მზორგავი მტკეპარი“<sup>44</sup> ქალაქს ორ არათანაბან ნაწილად ყოფს; თავიდან განიერ კალაპოტში მდინარი, ქალაქს შუაგულში მოულოდნელად აღმართულ კლდეებს შორის, ვიწრო ხეობაში ექცევა. ორი ხიდი, წყალზე თამაძ რკალედა გადაჭიმული, ქალაქის ამ ახიურ ნაწილში აკავშირებს ნაპირებს, მესამე ხიდი კი, უფრო ზემოთ, რუსულ კვარტალებს შორის მოძრაობას უწყობს ხელს. ოფიციალური ცხოვრება კონ

41 პულ პოფანი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 69.

42 აქიკოლის სტუპა როგორც რუსეთის, ასევე გერმანიის იმპერიის მოქალაქეობის მქონე გერმანელები. ფიშერის დასახლებული ნაშრომი, გვ. 78.

43 იხილეთ: Said, Edward, Orientalism, New York 1974; რუსული „კონტრასტების“ შესახებ დისკუსიის უიხილეთ ასევე: Brower, Daniel R./Lazerini, Edward J. (Hg.), Russia's Orient: Imperial Borderlands and People, 1700-1917, Bloomington and Indianapolis 1997; ასევე: die Artikel von Adeeb Khan: Nathaniel Knight und Maria Torodava in: Kritika, Explorations in Russian and Eurasian History, Vol 1 Nr.4, Herbst 2000.

44 ორიგინალში ნახსენებია კურან – მდ. მტკეპრის რუსული სახელწოდება.



ავლაბრის ხიდი თბილისში

ცენტრირებულია ქალაქის რუსულ ნაწილში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. აქ განიერი ქუჩები გეზღება, თვალსაჩინო შენობებითა და ელევანტური მაღაზიებით... საუცხოოა ოთხთვალა ეტლები მოხერხებული ვაგონებით, კარგი ცხენებითა და შედარებით (კავკასიისთვის) იაფი ფასებით.“ – წერდა კონსული მაქს ფონ ტილმანი.<sup>45</sup>

XIX საუკუნეში, თბილისი, ფეოდალური სატახტო ქალაქიდან ევროპული მომხიბლობის მქონე, რეგიონის ადმინისტრაციულ და სავაჭრო ცენტრად იქცა სამი დიდი ეთნიკური ჯგუფით: რუსებით (29.8%), სომხებით (29.5%) და ქართველებით (26.5%).<sup>46</sup> აღმოსავლური ელფერის მქონე ძველ ქალაქში, მტკვრის მარცხნივ და მარჯვნივ, ნარცყალას ციხის ქვემოთ ცხოვრობდნენ აზერბაიჯანელი, სომეხი, ქართველი ხელოსნები და წერილი მოვაჭრეები, რომლებიც თავიანთ ნაწარმსა და საქონელს ბაზრებს სთავაზობდნენ.

45 ფონ ტილმანი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 175

46 1897 წელს. იხილეთ ასევე: ოლივერ რაისნერი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 305.

„თეატრთან მდებარე მოედანთან ვეროპა მთავრდება. მისგან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით, აზიის შუაგულში ედგაერთ. აქ მაზარია – აღმოსავლური ცხოვრების ცენტრი. სპარსეთისა და თურქეთის დიდი ქალაქების ბაზრებისგან განსხვავებით, ეს არ არის ჯვარედინი თაღებისა თუ, სულ მცირე, მზისგან ჭილოფებით დაცული დარბაზების კომპლექსი. იგი მხოლოდ ვიწრო ქუჩებისა და დაბალი სახლების ნაზავია, რომელთა ფასადები სულ სახელოსნოებს უკავიათ, იმავდროულად, მაღაზიებადაც რომ იყენებენ, ეიტრინები არცაა აუცილებელი – მთელი გასაყიდი საქონელი გარეთ კილია ან დახლებზეა დაფენილი. მართალია, ეს მაზარია ვერ შეედრება დამასკოს მართლაც მდიდრულ მარმარილოს დარბაზებსა და ბაღდათისა და თავრიზის უსასრულო, თაღებიან პასაჟებს, მაგრამ არც ეკლებ ინტერესს იმსახურებს თავისი მრავალფეროვნებით. ჯერ მხოლოდ სხვადასხვა ეთნოსის ცხოვრება და მათი ფუსფუსი რად ღირს: ცბიერი სომხები – მთელ კავკასიაში ვაჭრობის ბატონები, ზშირად უკვე ევროპულად ჩაცმულები; მუდმივად მზიარული და ღვინის მოყვარული ქართველის სახე, ფლანკურიანი თათარი კრაველის უზარმაზარი ქუდი; ხმელი, ტანმალაი სპარსი, შავი ყულაში ერთი თავით მაღალს რომ აჩენს და კოჭებს, უმეტესად, მოყვითალო-მოყავისფრო ამა უფარავს... აი, ამ სახეებს ევლებით მუდმივად. მათ უერთდება ნაირგვარი, უცხო შესახვედობის ხალხი: ოსები მოსახლერე მიემიდან, განუმეორებელი თუმი ქალები, თავიანთი შავი თეჭი ქულებით ყველასგან რომ გამოარჩევენ; ლეზგები წამახვილებული სახეებითა და არწივისებური ცხვირით და, კონტრასტისათვის – მამაპაისეულ კოსტიუმში გამოწყობილი გერმანელი კოლონისტი, საზიადროთა და ცხენის ცალულა კაზმლობით. ბუნებრივია, არც სამოქალაქო ტანსაცმელი აკლია თვალს. შიის ამოსულიდან დაღამებამდე, გარდა ცხელი შუადღის საათებისა, მოილტვის და მიედინება ეს მასა, გასცემს და იღებს... ახალბედასათვის გაუგებარია, როგორ უნდა იეაჭროს ამ ოროპტრიალსა და აურზაურში.“<sup>44</sup>

ერეენის მოედანზე (დღევანდელი თავისუფლების მოედანი) ყველაზე დიდი ქარვასლა მდებარეობდა. მისი ჩრდილოეთითა და დასავლეთით, მეფისნაცვალმა, მიხილ ვორონცოვმა, ევროპული მიმზიდველობის რუსული კვარტლები დააარსა: ექსკლუზიური სოლოლაკის უბანი სომეხი მოქალაქეებისთვის, სარეზიდენციო და ადმინისტრაციული კვარტალი მთაწმინდის რაიონში – მეფისნაცვლის სასახლით, თანერით, სკოლებითა და უცხოეთის საელჩოებით „გოლოენისკის“ პროსპექტზე; აქ, ევროპული მაღაზიებით, სასტუმროებით, კლუბებითა და 1848 წელს გახსნილი ბიბლიოთეკით გარემოცული, რუსული და ქართული ელიტა ცხოვრობდა.

დასავლეთით მოსახლერე ვერის უბანში რუსი ჩინოვნიკები ბინადრობდნენ. მოპირდაპირე მხარეს, მარცხენა სანაპიროზე კი 1918 წლიდან არსებობდა გერმანული კოლონია „ახალი თბილისი“. აქ გერმანული ხელოსნები იმენებდნენ ორ რიგად ჩამწყობილებულ, ერთსართულიან საკუთარ სახლებს ბაღით, რომელშიც ყვავილებს, ხილსა და ბოსტნულს რგავდნენ. ეს მეწყალები, მეფენთუმეები, მეკასრეები, მეკრავები, მჭედლები, ღურგლები, სარაჯები,

მესათეები, მეშუშეები და მექუდეები ყოველთვის თანხმობაში არ ყოფილან ადგილობრივ კონკურენტებთან, რომლებიც მათზე მეტ გადასახადებს იხდიდნენ.<sup>48</sup>

პირველად ლუდის ხარშვის კოლონისტმა მადერსმა მოჰკიდა ხელი 1850 წელს. 1865 წელს კოლონისტმა იაკობ ვეტცელმა პირველი ლუდის საწარმო გახსნა, რომლის ფინანსური მოვებაც სასტუმროს მშენებლობაში დააბანდა. კოლონისტების წრიდან გამოსული ქალაქის მაცხოვრებლები, ისევე როგორც ჩამოსახლებული ხელოსნები და ვაჭრები, რუსეთის ქვეშევრდომები იყვნენ. 1852 წელს, კოლონია „ახალი თბილისი“ დედაქალაქს შეუერთეს. მის უკანა მხარეს საღვური და რკინიგზის დეპო მდებარეობდა, რომელთა მახლობლად რკინიგზის მუშები და ქართული მეღვურები სილატაკეში ცხოვრობდნენ.<sup>49</sup>

გარდა კოლონისტებისა, თბილისის გერმანულ ერთობას მიეკუთვნებოდნენ: შავი ზღვის-პირეთიდან გადმოსახლებული გერმანელები, ვოლგისპირელი მუშები, სხვადასხვა მალაღ თანამდებობებზე მყოფი ბალტიისპირელი გერმანელები, ასევე, გერმანიის იმპერიის მოქალაქეები და ავსტრიელები, რომლებიც, სხვებთან ერთად, როგორც ვაჭრები, მუსიკოსები თუ მეწარმეები, ჯერ გავლთი იმყოფებოდნენ თბილისში, მალე კი აქ მოერე სამშობლო იპოვეს.

ბალტიისპირელი თუ დედაქალაქური წარმომავლობის რუსი გერმანელები სახელწიფო დაწესებულებებში (სამართალდამცავ და ადმინისტრაციულ სტრუქტურებში) მუშაობდნენ. მათი უმეტესობა ოფიცერი, აფთიაქარი ან ექიმი იყო. ბალტიისპირეთიდან ჩამოვიდნენ გერმანული მასწავლებლები და გუვერნანტებიც, რომლებიც რუსული და ქართული ელიტარული საზოგადოების წარმომადგენელთა შიგნით ასწავლიდნენ.

ოლგა რადე-ფომინა (1876-1963) ასე აღწერს გერმანულ ერთობაში მომხდარ ცვლილებებს:

„1863 წელს თბილისში უკვე არსებობდა გერმანული საფუნთუშეები, რომელთა ფუნთუშები და ორც ხობილები, უბრალო, პრიმიტიული პურისგან განსხვავებით, დელოკატესებად ითვლებოდა. ჩემს დროს, ეს პატარა საფუნთუშეები უკვე ქვეულოყო სოლიდურ მაღაზიებად, რომლებშიც მათი დამაარსებლების შთამომავლები, პურთან ერთად უმშენიერეს ბლითებით, ნაცხვრებით, ღვეზლებით, შაქარალაშებითა და კანფეტებით ვაჭრობდნენ. დროთა განმავლობაში, პატარა სახელოსნოები საწარმოებმა და ქარხნებმა შეაიწროვა, მაგრამ გერმანული კოლონისტები მათი საშუალებით ძალზე გამდიდრდნენ. რამდენიმე ხანში, პატარა, მოკრძალებული სახლების ადგილებზე დიდებული ვილები და მრავალსართულიანი სახლები აღიმართა, რომელთა უკან, აქა-იქ ჯერ კიდევ შემორჩენილიყო ძველი, პოეტური ძალები. მიხაელშტრასეზე (მოვინანებით, ალგზანოვის გამზირი, დღეს კი ალმაშენების გამზირი – აუტორის შენიშვნა) მიწის ნაკვეთების ფასმა უზომოდ აიწია და მათი ნაწილი სომხებს, ქართველებს, რუსებსა და თათრებს მიჰყიდეს. ასე გააქრო დრომ ამ უბანში გერმანული ხასიათის ანაბეჭდი.“<sup>50</sup>

48 აუთანდლ სონლუდამეილი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 9.

49 ივე, გვ. 309.

50 ოლგა რადე-ფომინა, დასახლებული ნაშრომი, გვ. 157f.

70-იან წლებში, ფირმა სიმენსთან ერთად, რომელსაც კავკასიაში სატელეგრაფო ხაზის გაყვანა დაუკვეთეს, ქალაქში უფრო მეტი ტექნიკოსი, მექანიკოსი და ინჟინერი ჩამოვიდა. მათი ნაწილი, ქალაქის მმართველობის დაეალებით, წყლისა- და ელექტროგაყვანილობაზე მუშაობდა და თბილისში დასახლდა.

ქალაქში კოლონიებიდან გადმოსახლებული ხელოსნები ან გლეხთა შვილებიც ცხოვრობდნენ, რომლებსაც უკვე ეპატრავებოდათ თავიანთი მშობლიური კოლონია. თუკი კოლონიების მაცხოვრებელი გერმანელები თავისივე ეროვნებისაზე ჭორწინდებოდნენ, ქალაქელები ნაკლებად ტრადიციულები და სხვა ეთნიკური ჯგუფებისადმი უფრო გახსნილები იყვნენ. განსაკუთრებით, განათლებული წრეების წარმომადგენლები არ ითვალისწინებდნენ ოჯახის აზრს სასიყვარულო საკითხებთან დაკავშირებით და ქართული, ებრაული, რუსული ან სომხური წარმომავლობის პარტნიორებს ირჩევდნენ. ეკონომიკურმა აღმავლობამ ზოგიერთ ოჯახს საშუალება მისცა, რომ შვილები გერმანიასა და, პირველ რიგში, სანკტ-პეტერბურგში გაეგზავნათ სასწავლებლად. მაგალითად, კარიკატურისტმა ოსკარ შმერლინგმა (1863-1938) სანკტ-პეტერბურგის სამხატვრო აკადემია დაამთავრა და 1891 წელს, კვალდიფიკაციის ასამაღლებლად, ერთი წლით, მიუნხენში გაემგზავრა; შემდეგ, თბილისში დაბრუნდა და სხვა ხელოვნებთან და არქიტექტორებთან ერთად, „კავკასიის კანზელ ხელოვნთა საზოგადოება“ დააარსა, რომლის საფუძველზე 1922 წელს, სახელმწიფო სამხატვრო აკადემია წარმოიქმნა. ოსკარ შმერლინგი ცნობილი გახდა თავისი იუმორისტული კარიკატურებით, რომლებიც გაზეთ „ცნობის ფურცელის“ ყოველკვირეულ

ოსკარ შმერლინგი, ნახატი სერიიდან “მეული თბილისი”





საცხოვრებელი სახლი თბილისში, გალაკტიონის ქ.22, არქიტექტორი ალბერტ ზალცმანი (მია მანიას ფოტო)

დამატებაში იბეჭდებოდა. იგი თავის სატირულ ნამუშევრებში არა მხოლოდ ქართველების ეროვნულ კონსტიტუციას თუ ფიზიოლოგიურ თავისებურებებს ასახავდა დიდი სიყვარულით, არამედ მათი ცხოვრების სტილსა და ხასიათსაც წარმოვიდგენდა. რუსული ცენზურის მიუხედავად, იგი აზერსებდა ცენტრალური მთავრობის უუნარობისა და ცალკეულ ეთნიკურ ჯგუფებს შორის არსებული დამახულობის ირონიზებას. მასზე, როგორც დროის ნათელმხილველ მოწმეზე „ფუნჯით ხელში“, დიდი მოთხოვნა იყო სომხეთსა და აზერბაიჯანში, სადაც რევოლუციულად ქვეყნდებოდა მისი კარიკატურები. ოსკარ შპერლინგის ქალიშვილმა, რენე შპერლინგმა (1901-1967), თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია დაამთავრა. მისი განსაკუთრებული ინტერესის სფეროს წარმოადგენდა ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტი და ხელნაწერები. იგი, 1941 წლიდან გარდაცვალებამდე, თბილისის ხელოვნების ინსტიტუტის ინსტიტუტში ასწავლიდა და ქართულ ხელოვნებათმცოდნეთა მთელი თაობა აღზარდა.

ალბერტ ზალცმანი, ოსკარ შპერლინგის შორეული ბიძა, 1833 წელს დაიბადა თბილისში. მანაც სანკტ-პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში მიიღო განათლება და, სწავლის მიზნით, მიაჩრა გერმანია, საფრანგეთი და ბელგია. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ზალცმანმა ააშენა: კაკასისის მუზეუმი (დღეს დანგრეულია), საქალაქო ბიბლიოთეკა (დღეს დანგრეულია), ბორჯომის საზაფხულო სასახლე (დაიწვა 1992 წელს), სასტუმრო „ორიენტი“, „კის-ფერი“ გალერეა, კათოლიკური ეკლესია, ქალთა გიმნაზია და რამდენიმე სახლი თბილისის


ბურჟუაზიისთვის, რომელთა გარე ფასადებზე ცენტრალურ ევროპული და აღმოსავლურ-სამშენებლო სტილი ერთმანეთს ერწყმოდა და ფერწერულად აირეკლებოდა.

ალბერტ ზალცმანის ვაჟი, ალექსანდრე, ჯერ მოსკოვის სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა, მოგვიანებით კი – მიუნხენში, ფრანც შტუკთან. გერმანიაში გაიცნო მხატვართა ჯგუფი „ციხ-ფერი მხედარი.“ 1910-1916 წლებში იგი პელერაუსა და დრეზდენის სახელოსნოებში მუშაობდა სცენოგრაფად, I სიოფლოი ომის შუა წლებში საქართველოში დაბრუნდა და იმავე პროფესიით განაგრძო მუშაობა თბილისის სახელმწიფო ოპერის თეატრში. 1921 წელს ალექსანდრე ზალცმანი ბოლშევიკებს გაექცა საფრანგეთში.

სხვებთან ერთად, ქალაქში ცნობილ პიროვნებებს შორის იყვნენ: არქიტექტორები პაულ შტერნი და ლეოპოლდ ბილფელდი, აფთიაქარი ფლორ შიონბერგი, მხატვარი ცოლ-ქმარა პაულ და ელენე ფრანკენები, მხატვარი რიპარდ ზომერი, პიანისტი ფრანც კესნერი და ზემო-ხსენებული „Kaukasische Post“-ის დამაარსებელი არტურ ლაისტი.

პაულ შტერნი სანკტ-პეტერბურგიდან ოპერის ასაშენებლად ჩამოვიდა თბილისში. გერმანელმა არქიტექტორმა შრეტერმა მავრიტანული სტილის ოპერის ნაგებობისთვის გამოუსაღებულ კონკურსში გაიმარჯვა და შტერნი, როგორც მშენებლობის ხელმძღვანელი, თბილისში წამოიყვანა. შტერნი აქ დარჩა და ამ პერიოდისთვის აყვავებულ „ახალ თბილისში“ აიშენა

ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი თბილისში, არქიტექტორი ეიქტორ შრეტერი (მაია მანიას ფოტო)





ძველი გერმანული ეკლესია თბილისში



ქასტორი რიხარდ ბაიერი (1869-1933)

სახლი დავითის ვარსკვლავის ფორმის ფანჯრებით – მისი ებრაული წარმომავლობის რემინისცენცია. მან ქართველი ბურჟუაზიისთვის აავო საცხოვრებელი სახლები, რომლებსაც თავიანთი ეკლექტიკური სტილით, თვალის შევლებითანავე გამოარჩევთ ტიპური ქართული მრავალსართულიანი, აივნებიანი სახლებისა და იუვენდსტილის ნაკებობებისგან.


გერმანიიდან ჩამოდის არქიტექტორი ლეოპოლდ ბილფელდი (1839-1907). იგი 1890-იანი წლების დასასრულ, გამდიდრებული ლუდის მრეწველის ვებტელის დაკვეთით აშენებს სასტუმრო „ვებტელს“; თბილისის გეოფიზიკური ინსტიტუტისთვის აგებს ობსერვატორიის კოშკს, ევანგელისტურ-ლუთერანული ერთობისთვის, მარჯანიშვილის მოედნის უკან აშენებს ევანგელისტურ ეკლესიას; „ცისფერი“ გალერეის გვერდით, ქართველი მართლმადიდებლებისთვის – ქაშეთის ეკლესიას.<sup>51</sup> გარდა თბილისის ბურჟუაზიისთვის აშენებული რამდენიმე სახლისა, მას უნდა ეკუთვნოდეს ლიკანის სასახლე ბორჯომში (ერთი იტალიელი არქიტექტორის გეგმის მიხედვით).

1829 წელს, გერმანელმა ფარმაცევტმა, ფლორ შიონბერგმა, დედაქალაქში პირველი აფთიაქი გახსნა. გერმანელებს თბილისში სულ ოთხი აფთიაქი ეკუთვნოდათ.

ცოლ-ქმარი – პაულ და ელენე ფრანკენები, XIX საუკუნის შუა წლებში, ლატვიიდან ჩამოვიდნენ თბილისში. პაულ ფრანკენის გარდაცვალების შემდეგ, მისი მეუღლე თბილისში დარჩა. აქგათხოვდა მათი საერთო ქალიშვილიც. იგი გიმნაზიის მასწავლებელს – კარლ ჰანს გაკევა ცოლად.

51 იხილეთ: შაა მანია, „თბილისის საირო არქიტექტურის სახე“, „თბილისი“, გამომცემი: მარინა ბულაშუზა ჯანგა-ლია, თბილისი, 2002; გვ. 131,133,139,143,152,153.





მეთოთაქე ზემელი (მარჯვნივ) საკუთარ აფთიაქში (ელეარდ გივილაშვილის ფოტო)

მხატვარი რიპარდ ზომერი (დაბ. 1869 წელს) სანკტ-პეტერბურგის მხატვართა საზოგადოების წევრი იყო, როდესაც ერთი არქეოლოგიური კომისიის დაველებით, 1890-1900 წლებში პირველად ჩამოვიდა კავკასიაში. 1912 წელს იგი თბილისში დასახლდა, ზატვის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა (მისი ცნობილი მოსწავლე იყო ლადო გუდიაშვილი) და „კავკასიის კაზმულ ხელოვანთა საზოგადოების“<sup>42</sup> ერთ-ერთი დამაარსებელი იყო.

ერთ-ერთი სავასტროლო მოგზაურობის დროს თბილისს ეწვია პიანისტი ფრანკ კენსერ (1851-1930). იგი ისევ ჩამოვიდა დელაქალაქში, უკრაინულ ქალზე იქორწინა და კონსერვატორიაში პროფესურა ჩაიბარა ფორტეპიანოს განხრით.

ბრესლაუერი მწერალი, არტურ ლაისტ (1852-1927), ჯერ კიდევ სწავლის პერიოდში დაინტერესდა ქართული ენითა და ლიტერატურით. 1892 წელს იგი საბოლოოდ გადასახლდა თბილისში და 1906 წლიდან ხელმძღვანელობდა “Kaukasische Post”-ის გამოცემას. 1918 წელს ხელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდანვე, გერმანულ ენას ასწავლიდა. მას ეკუთვნის რუსთაველის „კეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი თარგმანიც.

საკუთნება მიჯნაზე თბილისში ქალთა და მუსიკალური გაერთიანებები, ერთობის ბიბლიოთეკა, გუნდი და მოყვარულთა თეატრიც არსებობდა.

გერმანელი კოლონისტები, თავიანთი ენერგიულობითა და დისციპლინით, ქართველთა აღტაცებას იწვევდნენ. ქალაქის გერმანელი მაცხოვრებლები იძენად დიდ გაულენას ახდენდნენ თბილისის სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაზე, რომ მათი სახელები დღესაც ცნობილია. თავიანთი მოღვაწეობით, კონტაქტებითა და მრავალმხრივი საქმიანობით განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით ისეთ პიროვნებებს, როგორებიც იყვნენ: გუსტავ რადე და ოსკარ შპერლინგი. უნდა ითქვას, რომ პოლიტიკური თვალსაზრისით (გუსტავ რადეს, არტურ ლაისტისა და სხვა იმეოთი გამონაკლისის გარდა), გერმანელებს არც გაულენა ქაონდათ და არც ამ სფეროში მოღვაწეობით იყვნენ დაინტერესებულნი. ისინი რაოდენობრივად ძალზე მცირენი იყვნენ და, ვინც განათლებულ ელიტას მიეკუთვნებოდა, საეარაუდოა, რომ რუსეთის სახელმწიფოს სამსახურში დაწინაურებასაც ჯერდებოდა.

#### 4. გერმანელი მენარეაზი საქართველოში

რუსეთის ცენტრალური მთავრობა კავკასიას, პირველ ხანებში, მხოლოდ გეოსტრატეგიული და სამეურნეო თვალსაზრისით ასახლებდა და მართავდა. მაგრამ, XIX საუკუნის მეორე ნახევარში, რუსეთმა სიმბიძის ცენტრი სოფლის მეურნეობიდან მძიმე ინდუსტრიაზე გადაიტანა. ისევე, როგორც 70-80-იან წლებში რკინიგზის მშენებლობისას, რუსეთს ახლაც უცხოური კაპიტალის მოზიდვა სჭირდებოდა.<sup>53</sup> ამიტომაც უცხოელ მეწარმეებს, პირდაპირი ინვესტიციებისა და კაპიტალის იმპორტის საშუალებით, რუსეთის სხვა ტერიტორიების მსგავსად, ამიერკავკასიის ეკონომიკურად ათვისების საშუალება მისცეს. ამიერკავკასიაში ასარეზი გაისხნა გერმანული ინდუსტრიის, ცოდნისა და პიროვნების ტრანსფერისა და გამოცდისათვის. მაგალითისთვის, გერმანული ფოლადის მიღების წარმოების დახმარებით, სამხრეთკავკასიური ნავთობის ხაზის გაყვანა ბაქო-თბილისი-ბათუმის სარკინიგზო გზის გასწვრივ, 100 წლის წინათ, ინდუსტრიალიზაციის პირველ წლებში, უმაღლესი ტექნოლოგიური მიღწევების რიცხვს განეკუთვნებოდა.

გერმანიის იმპერიის მეწარმეთა საქმიანობის ორი ძირითადი სფერო იყო ინფრასტრუქტურის განვითარება და ნედლეულის ინდუსტრია, რომელშიც ნავთობსა და მასთან დაკავშირებულ საქმიანობას გამოირჩეული ადგილი ეკავა. რუსული ინდუსტრიალიზაციის მეორე პერიოდამდე (1885-1900), კერძოდ კი ბაქოს ნავთობის მიერ ბაზრის დაპყრობამდე, რუსეთის იმპერიის მოდერნიზაციის წამყვან ფაქტორს ელექტროინდუსტრია წარმოადგენდა.

ფირმა “Siemens & Halske” უკვე 1860-იანი წლებიდან ხელმძღვანელობდა სავაჭრო კანტორას თბილისში. ფირმა მჭიდროდ თანამშრომლობდა მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგსა და

53 სარკინიგზო ხაზი – ფოთი-თბილისი-ბაქო – გერმანული ინფრასტრუქტურისა და ტექნიკისთვის მხარდაჭერით, ასევე გერმანული კაპიტალის გამოყენებით, 1865-1883 წლებში გაიყვანა ერთმა ბრიტანულმა ფირმამ. იხილეთ: აუბი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 106-107.

ბალტიისპირეთში მოღვაწე გერმანელ მეწარმეებთან. თუმცა, კავკასიის გერმანული დასახლებები ნაკლებ ინტერესს იჩენდნენ მსგავსი თანამშრომლობისადმი.<sup>54</sup>

1858-1868 წლებში ფირმამ მთელ კავკასიაში გაიყვანა სატელეგრაფო კავშირგაბმულობის ქსელი თბილისიდან მოსკოვამდე. ადგილზე მუშაობის მეთვალყურეობისთვის, თბილისში ვალტერ სიმენსი გამოგზავნეს. იგი, იმავდროულად, პრუსიის კონსულის მოვალეობაზე ასრულებდა (1867-68 წლებში). 1968 წლის აპრილიდან იყო ჩრდილოეთ გერმანიის ფედერაციის კონსული.<sup>55</sup> ვალტერ სიმენსი ჯირითისას სასიკვდილოდ დაშავდა, რის შემდეგაც კონსულატისა და ფირმის საქმიანობის ხელმძღვანელობა მისმა უმცროსმა ძმამ, ოტომ, ითავა.<sup>56</sup>

ამიერკავკასიაში ამ ფირმას, ჯერ კიდევ, სატელეგრაფო კავშირის მეთვალყურეობასა და მის გაყვანამდე იცნობდნენ. ქედას მთაზე ბრინჯაოს მადნისა და დასკესანში კობალტის მადარის შესყიდვის შემდეგ, სიმენსების ინტერესებმა კავკასიაში ელექტროინდუსტრიიდან ლიონ-გადამამუშავებელ მრეწველობაზე გადაინაცვლა. 1891 წელს, ფირმა კავკასიაში მოპოვებული ხაილენბის 84%-ს აწარმოებდა.<sup>57</sup> მისი მომღვენო გადამამუშავებისთვის თანამედროვე სადნობ ღუმელებს იყენებდნენ, მანდნულისა და ნათობის ტრანსპორტირება კი, სხვა საშუალებებთან ერთად, შემავალი რკინიგზითა და მილგაყვანილობით ხდებოდა. მიღები ფირმა "Mannesmann" კუთვნოდა და მსოფლიოში საუკეთესო იყო, რადგანაც პირველად იძლეოდა რიულ გეოგრაფიულ პირობებში თხევადი საწვავის ტრანსპორტირების საშუალებას. სწორედ ქედას მთის ხაზის წარმატებამ განაპირობა, იმზანად (1896-1907), მსოფლიოში უდიდესი, ნათობის მილგაყვანილობის მშენებლობა ბაქოსა და ფოთს შორის. პროექტს, როტმილდების სახლის შუამდგომლობით, საერთაშორისო კონსორციუმში აფინანსებდა.<sup>58</sup>

1879 წელს "Gute Hoffnungshütte Westfalen" -ის დირექტორმა ჭიათურასთან არსებულ მანდნულის ტერიტორიები შეისყიდა. იმავე წელს, ფირმა "Krupp"<sup>59</sup> საშუალებით, მანგანუმს მოპოვებად დაიწყო. იგი აუცილებელი იყო ხარისხიანი ფოლადის წარმოებისთვის. გერმანიის

54 Bovykin, Valerij, Deutsch-russische Wirtschaftsbeziehungen und deutsche Unternehmen in Russland von der zweiten Hälfte des 19. Jahrhunderts bis 1914, In: Beitrag der Deutschbalten und der städtischen Russlanddeutschen zur Entwicklung des Russischen Reiches von der zweiten Hälfte des 19. Jahrhunderts bis zum Ersten Weltkrieg, Hg. Meissner, Boris/Elsfeld, Alfred, Köln 1999, S. 151.


55 სახელმწიფო საიდუმლო არქივი, აქტები GStA PK III. HA საგარეო საქმეთა სამინისტრო, II N. 464.

56 მან კოლად შერთო ომში დაღუპული თავადის, ბირსკის (გუბერნატორის ძმა) ქრეივი. თავდაც ახალგაზრდა 35 წლის დაიღუპა 1871 წელს.

57 Benneckenstein, Horst, Transkaukasien – Expansionsziel des deutschen Imperialismus vor dem ersten Weltkrieg, in: Studien zum deutschen Imperialismus vor 1914, Hg. Klein, Fritz, Akademie-Verlag, Berlin 1976, S. 265.

58 აუხი, დასახლებული ნაშრომი, გვ.178.

59 Klaus Thörner, Deutscher Kaukasusimperialismus, In: Wider dem Zeitgeist, Hg. Lembeck, Andreas Oldenburg 1996, S. 119.



ფირმა Siemens & Halske-ს მიერ გაყვანილი ინდო-ევროპული სატელეგრაფო კაბეზირგაბმულობის ქსელი



ძმები სიმენსები. ლეანან (მარჯვნიდან მარცხნივ): ეალტერი (1833-1868),  
 კარლი (1829-1906), ვერნერი (1816-1892), ოტო (1836-1871).  
 სხედან: ვილიამ სიმენსი (1823-1883) და მისი მეუღლე ანე გორდონი (1859-1901).

სამთო მრეწველობა ამ მხიძე მეტალის იმპორტზე იყო დამოკიდებული. XIX საუკუნის ბოლოს შალკერის კუთვნილმა მალაროებისა და მეტალურგიული ქარხნების გაერთიანებამ, რომლის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეც ავგუსტ ტისენი იყო, კავკასიაში მადნეულის ტერიტორიების გადაიღვა დაიწყო. გარკვეული დროის განმავლობაში, გერმანელი მრეწველები ცდილობდნენ, 1898 წელს დაარსებულ, კავკასიელ მანგანუმის მრეწველთა გაერთიანებასთან ერთად უთანამშრომლოთ. მაგრამ მანგანუმის ინდუსტრიას გასაქანი მხოლოდ ომის წინა წლებში მიეცა, როდესაც გელზენკირხენის მალაროების სააქციო საზოგადოებამ (სხუვეთან ერთად, დოიჩე ბანკი, დრეზდენის ბანკი, დისკონტიორთა საზოგადოება და ტისენის კონცერნი) და „გერმანიის საიმპერატორო ფინანსურად სუსტ მიწის შესაკუთრეთა პროფკავშირმა“<sup>60</sup> ხსენებული მიწის ნაკვეთების დამუშავების უფლება მოიპოვეს.<sup>61</sup> რუსეთის კანონმდებლობის მიხედვით, მიწის მფლობელთა საკუთრებაში გადადიოდა წიაღისეული სიმდიდრეც. 1910 წელს ჰამბურგში დაარსებულმა კავკასიის მალაროთა გაერთიანებამ, რომლის უკანაც “Krupp” სააქციო საზოგადოება იდგა, 1911 წელს, რუსეთის მინისტრთა საბჭოსაგან, საგარეო საქმეთა სამინისტროს ჩარევით მოიპოვა საკუთრების უფლება მადნეულის წარმოებისას მიღებულ მოგებაზე. ამ სამეწარმეს ტერიტორიით რკინიგზით გადაქონდა ფოთის ნავსადგურამდე, იქიდან კი საზღვაო გზით, მდ. რიონსა და რურზე აწოდებდა მსხვილ მომხმარებელს. I მსოფლიო ომამდე, დასავლეთ ევროპაში, შუაირალებისადმი გაძლიერებულ სწრაფვასთან ერთად, განუწყვეტლივ იზრდებოდა მოთხოვნა რკინა-ფოლადის პროდუქციასა და, შესაბამისად, მანგანუმზეც. ომის მმდინარეობისას, გერმანელი ფოლადის მწარმოებლები თხოვნით მიმართავენდნენ სახელმწიფო უწყებებს, რომ დაეკავთ მათი ინტერესები ამიერკავკასიაში.

მართალია, უცხოური კაპიტალი აუცილებელი იყო რეგიონის ეკონომიკური განვითარებისთვის, მაგრამ, მანგანუმის მეტალურგიული ქარხანაში გერმანული კაპიტალის ჩადებამ, ნავთობის ინდუსტრიაში შედურისა და ინგლისურის, სამთო მრეწველობაში თუ ფრანგულ ინვესტიციების დაბანდებამ, ძალზე შეივიწროვა ადგილობრივი მრეწველები<sup>62</sup>. გამონაკლისს თუ არ ჩავთვლოთ, მათ არასაკმარისი კაპიტალი ჰქონდათ უცხოელ კოლეგებთან კონკურენციისათვის. მხოლოდ 1919 წლის რევოლუციის შედეგად შეძლო საქართველომ საკუთარ კონსტიტუციის გამოცემა და წიაღისეულ სიმდიდრეზე უცხოური კაპიტალისთვის ლიმიტის დაწესება.

60 Lemke, Heinz, Deutsche Unternehmen In der kaukasischen Manganindustrie 1900-1914, in: „das einzige Land in Europa, das eine große Zukunft vor sich hat“: Deutsche Unternehmen und Unternehmer im Russischen Reich im 19. und frühen 20. Jahrhundert, Hg. Dahlmann, Dittmar/Scheide, Carmen, Essen 1998, S. 159.

61 Ischchanian, B., Nationaler Bestand, berufsmäßige Gruppierung und soziale Gliederung der kaukasischen Völker, Berlin 1914, S. 81.

## 5. საქართველო, როგორც გერმანიის საგარეო პოლიტიკის ნაწილი (1914-1921)

I მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, გერმანიამ „ბუფერული სახელმწიფოების“ შექმნა გადაწყვიტა გერმანიისა და რუსეთს შორის. მათ რიცხვში იყო: ფინეთი, უკრაინა, პოლონეთი და საქართველო.<sup>62</sup> გერმანია, თბილისში გერმანიის კონსულის მოხსენებების საშუალებით (1911 წლიდან – გრაფი ფონ ღერ შულენბურგი), კარგად იყო ინფორმირებული ამიერკავკასიაში არსებული სოციალური და ნაციონალური დამაბუღობის შესახებ. ქართველებს აღარ სურდათ რუსეთის პოლიტიკურ დაქვემდებარებაში ყოფნა. აქედან გამომდინარე, საგარეო საქმეთა სამინისტრო, ქართველ თავად-აზნაურ ლიბერალთა განმათავისუფლებელი მოძრაობისა და მთის მამამდიან ხალხთა დაზმარებით, „კავკასიის რუსეთის წინააღმდეგ გარეოლუციონერებას“<sup>63</sup> გეგმავდა. ამ საკითხთან დაკავშირებით, 1905-1907 წლების რუსეთის სამოქალაქო რევოლუციის მონაწილე თავადი გიორგი მაჩაბელი მხარდაჭერას უცხადებდა საგარეო საქმეთა სამინისტროს. გეგმის განხორციელებისთვის, სხვებთან ერთად, ქართველი ტყვეების სარეკრუტო გაწვევა უნდა მომხდარიყო. ამ მიზნით, ისინი რუსი ტყვეებისგან გამოიყვნენ. სამხედრო ტყვეებისთვის გამოცემულ გაზეთს (1915-1916 წლებში – „კავკასია“, 1916-1918 წლებში – „ქართული გაზეთი“)<sup>64</sup>, რომლისთვისაც ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდიაც წერდა, ეს აზრი უნდა მოეწიფებინა. მაგრამ ქართველები საქმალ ურჩები აღმოჩნდნენ გერმანელების მიერ შემუშავებული „რევოლუციური“ იდეის მიმართ, არც გერმანიამო მოღვაწე ქართველ თავადებს ჰქონდათ საქმარისი გაკლენა თავიანთ თანამემამულეებზე. 1905 წლის რევოლუციის შემდეგ, ქვეყნის ხელისუფლებისთვის ბრძოლაში, სოციალ-დემოკრატმა მენშევიკებმა უპირატესობა მოიპოვეს თავად-აზნაურთა ულიტაზე.<sup>65</sup> ამის მიზეზი ისიც იყო, რომ ქართული არისტოკრატისა და მოსახლეობის დიდი ნაწილის ინტერესები არ ემთხვეოდა ერთმანეთს. მაგალითად, 1861 წელს, რუსეთში მიწის რეფორმის გატარების შემდეგ, ქართველმა თავად-აზნაურებმა მაინც შეინარჩუნეს თავიანთი გლეხების ექსპლუატაციის უფლება.<sup>66</sup> მენშევიკები არა მხოლოდ ქართველი გლეხობისა და მუშების ინტერესებს იცავდნენ, არამედ სომეხი ეაჭრებისა და რუსი ჩინოვიკებისაც. ამან განაპირობა, რომ 1917 წლის თებერვალში, თბილისის დატოვებამდე, მეფისნაცველმა სახელმწიფოს მართვა სოციალ-დემოკრატთა ლიდერს – ნოე ჟორდანიას გადააბარა.

62 Fischer, Fritz, Krieg der Illusionen, Düsseldorf 1969, S. 759.

63 Fischer, Fritz, Griff nach der Weltmacht, Düsseldorf 1971, S. 149.

64 Chotiwari-Jünger, Georgier In Berlin, Berlin 1999, S. 20f, S. 35.

65 ოლიერ რაისნერი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 328.

66 სხვებთან ერთად იხილეთ: Relsner, Oliver, Wanderer zwischen zwei Welten – Identitätskonflikt und Nationalbewusstsein der Tergdaleulebi, in: Georgien Im Spiegel seiner Kultur und Geschichte, Zweites Deutsch-Georgisches Symposium der Berliner Georgische Gesellschaft e.V., Mai 1997, S. 48.

1918 წლის მაისში დაიწყო სამშვიდობო მოლაპარაკებები თურქეთს, გერმანიის იმპერიასა და ახლადდაარსებულ „ამიერკავკასიის ფედერაციულ რესპუბლიკას“ (მასში შედიოდა საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი) შორის. თურქეთს სურდა, ისევ მოეოკებინა 1828 წელს ოსმალეთის იმპერიის მფლობელობაში მყოფი კავკასიის ტერიტორიები და ბაქომდე გაეფართოებინა თავისი საზღვრები. ქართველებს, პირიქით, რეგიონში თავიანთი უპირატესობის განმტკიცება და თურქეთის ექსპანსიის შეჩერება უნდოდათ. გერმანიის განზრახვა კი ამიერკავკასიური სახელმწიფოს მოწყობა და რეგიონის პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით გაკონტროლება იყო. როდესაც თურქები, ინგლისელი მოკავშირეების წინააღმდეგ ირანში ჯარების ტრანსპორტირების საბაბით, სამხრეთ კავკასიაში შემოედნენ და რუსულმა არმიამ უკან დაიხია, ამიერკავკასიის ფედერაციაც დაიშალა.<sup>67</sup> ნოე ჟორდანიამ ისარგებლა ხელსაყრელი მომენტით და ბათუმში საიდუმლოდ შეხვდა გერმანელ გენერალ ფონ ლოსოვს, გერმანიის მხარდაჭერით, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთვის მოსამზადებლად.

1918 წლის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ახლადშექმნილი სახელმწიფოს საზღვრების დაცვაზე პასუხისმგებლობა გერმანიამ აიღო და ამ მიზნით, გენერალ-კონსულ კრესს ფონ კრესსენშტაინის მეთაურობით, საქართველოში სამხედრო-დიპლომატიური მისია გამოეზავნა. ამის სანაცვლოდ კი საქართველოს მთავრობისგან მანვანუბის საბაბოების ათიუბისა და მოპოვებული მანუელით ეაჭრობის საეგნებო უფლებები, სარკინიგზო ხაზითა და ფოსტა-ტელეგრაფით სარგებლობის ნებართვა მოითხოვა.<sup>68</sup>

1918 წლის 23 ივნისს ფონ კრესსენშტაინი პირველი ესკადრონით მოადგა ფოთის ნაპირებს. ბაიერის სარეზერვო-ვერთა ბატალიონის 1080 ოფიცერსა და რიგით ჯარისკაცს, პრუსიის მოიერიშე ბატალიონის 488 ოფიცერსა და რიგით ჯარისკაცს ქვეყნის შიგნით გამავალი სარკინიგზო ხაზი და საქართველოს მთავრობის დაცვა ევალებოდა. 1918 წლის სექტემბრის შუა რიცხვებამდე კავკასიაში მყოფ გერმანულ სამხედროთა რიცხვი კიდევ 19 000-ით გაიზარდა. ამას ემატებოდა საეკლესიო ლაზარეოთი, რადიოსადგური, მძიმე ავტომობილების კოლონა და საავიაციო განყოფილება.<sup>69</sup> ფონ კრესსენშტაინი ასე აღწერს მისიის საქმიანობასთან დაკავშირებულ სირთულეებს:

„საქართველოს მთავრობისგან აშკარა, შეუპოვარ წინააღმდეგობას წაეწყვიდი, როდესაც კცილობდი, რომ იგი მოქმედი, რეგულარული არმიის შექმნაზე დამოთანხმებინა. აქ განსაკუთრებით იგრძნობოდა მარქსისტული უტოპიების გავლენა, მინისტრების პარტიკულ-

67 ამიერკავკასიიდან ჯარების გასვლის შემდეგ მოსახლეობაც უფრო მოშალდებული ჩანდა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოებისთვის. იხილეთ: Suny, Ronald, Grigor, The Making of the Georgian Nation, Stanford 1988, S. 191.

68 კრესს ფონ კრესსენშტაინი, დასახლებული ნაშრომი; დანართი: 1-7 დოკუმენტი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური არქივიდან, R 7308.

69 Bihl, Wolfdieter, Die Kaukasus-Politik der Mittelemächte, Teil II, Die Zeit der versuchten kaukasischen Staatlichkeit (1917-1918), Wien 1992, S. 76.

მიჯაჭველობა და წითელი არმიის შიში. ბოლოს, იძულების ხერხს მივმართე – მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ჯერ პირადად ვაცნობე, შემდეგ კი ნოტა გაუუგ ზაენე: საქართველოს მთავრობა მანამ ვერ მიიღებდა მისთვის ასე სასწრაფოდ საჭირო, ვულთან დაკავშირებულ ხელშეკრულებას გერმანიიდან, სანამ სახელმწიფოს არსებობისთვის აუცილებელ პირობას – საკმარისად ძლიერ არმიას არ შექმნიდა. ბერლინში ვითხოვე, რომ ვალის შესახებ მოლაპარაკებები გაეჭიანურებინათ, ვიდრე საქართველოს მთავრობა ამ დათმობაზე არ წაყვილდა. ზეწოლამ სასურველი შედეგი გამოიღო. კმაყოფილება ეგრძენი, როდესაც, 14 აპრილს, ეროვნულმა სათათბირომ, მცირედი შესწორებებით, ერთხმად დაამტკიცა ჩემ მიერ, გერმანული ნიშნების მიხედვით, მომზადებული სამხედრო კანონი. გარდა ამისა, აღდგენილ იქნა რევოლუციის დროს გაუქმებული სამხედრო იურისდიქციაც... თავდაცვის მინისტრმა, გენერალ გედევანოვის (ქართულად – გედევანიშვილი, გამომცემლის შენიშვნა) სახით, ძალზე საქმიანი და სიმპათიური მოადგილე აირჩია; მასთან თანამშრომლობა ძალზე სასიამოვნო და საიმედო იყო ჩვენთვის... არმიის ჩამოყალიბების საქმე საქმად წელი ნახევრით მიიწევა წინ. ამის მიზეზი ქართველ ოფიცერთა ერთი ნაწილის საბოტაჟი იყო – გენერალური შტაბის უფროსის, ვენერალ თავად ანდრონიკოვის მეთაურობით: ირწმუნებოდნენ, რომ ეს საკითხი გერმანელებზე უკეთ ესმოდათ. და მაინც, წლის დასასრულამდე, არმია იმდენად გაძლიერდა, რომ ქართველებმა საკუთარი ძალებით მოახერხეს, წინ აღდგომოდნენ იმ სომხებს, რომლებმაც, გერმანული ჯარის თბილისიდან გასვლის მთავრად დღეს, ომის გამოცხადების გარეშე, მზაკერულად გადმოლაბეს საზღვარი და ერთი დღის სავალზე მიუახლოვდნენ დღეაქალაქს.<sup>70</sup>

სხვათა შორის, კრესსენშტაინისთვის გერმანული მხარის უნიათობაც იყო ცნობილი:

„კავკასიას რომ ეტოვებდით, ფოთში მანგანუმის მთები იდგა. ჩვენმა ქვეყანამ თავი ვერ მოაბა მადნეულის ტრანსპორტირებისთვის საჭირო ვეშების გამოგ ზაენას. მადნეული ანტანტისტებს ჩაუვარდათ ხელში.. როგორც უკვე აღვნიშნე, კავკასიაში საყოფაცხოვრებო ნივთების დიდი ნაკლებობა იყო. ჩემს დაინებულ თხოვნას, გამოეგ ზაენათ საყოფაცხოვრებო ნივთებით დატვირთული ვეშები, რომელთა გერმანიაში შექმნა ჯერ კიდევ შეიძლებოდა, შედეგი არ მოჰყოლია. რომელიმე ებრაული ფირმა, შესაბამისი მოვების გარანტიით, უუჭველად შეასრულებდა ამ დავალებას. ამიტომაც, გასაკვირი არ იყო, რომ არაკეთილმოხუნერ აგენტთა გაყვანის ქვეშ მოქცეულ კავკასიელებში ფეხი მოიკიდა არცთუ მცდარმა აზრმა, რომ გერმანელები ვიყენებდით მათ ქვეყანას, სამაგიეროდ კი არაფრის ვაღება არ ვკსურდა. იმის გამო, რომ ჩვენ მხოლოდ უცოდულობით და არაფერს ვყიდით, რუბლის მოპოვებაც უფრო და უფრო მეტად გვიძნელებოდა.

70 Kress von Kressenstein, Friedrich Freiherr, Meine Mission im Kaukasus 1918 (mit einer Einleitung von David Paltschadse), Tbilissi 2001, S.73-74. (მეზურების ნაბეჭდი უზემპლარი ინახება ბაერის საზღვრო არქივის ხელნაწერთა კოლექციაში, HS 2227).



აქედან ერთი რამ ვისწავლევ: შორულ ქვეყნებში მსგავსი საქმიანობის წამოწყებისას, იქსურ ეკონომიკურ ურთიერთობებსა და სატრანსპორტო საშუალებებს გაცილებით მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს, ვიდრე ეს ჩვენ შემთხვევაში მოხდა“<sup>71</sup>

საქართველოში მოღვაწეობის პერიოდში, ფონ კრესსენშტაინი აქ მცხოვრები გერმანული მოსახლეობის ინტერესებსაც იცავდა. გერმანიის ფინანსური მხარდაჭერით, მან ხელი შეუწყო თბილისში გერმანული გერმანული ვიზნაზისი<sup>72</sup> დაარსებას, „Kaukasische Post“-ის რედაქციას დაეხმარა ახალი თანამშრომლებისა და ფინანსური წყაროების მოძიებაში. მისი დამსახურება ისიც, რომ 1919 წლის 7 იანვარს გერმანული დელეგაციის გამგზავრების შემდეგ, ლოქტორ მერვაილერის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი სამხედრო ლაზარეთი სამოქალაქო საავადმყოფოდ გადაკეთდა.

ქართველი ისტორიკოსის, დავით ლიჭავაძის აზრით, ფონ კრესსენშტაინის საქართველოში ყოფნისას მნიშვნელოვანდ გაიზარდა ქართველების კეთილგანწყობა გერმანელების მიმართ.<sup>73</sup>

I მსოფლიო ომამდე, გარკვეულ ქართულ წრეებში უკვე საგარეო იყო გერმანიისადმი ინტერესი: ჯერ ერთი, ქართული ინტელექტუალური ელიტის ნაწილმა გერმანიაში მიიღო განათლება და, მეორეც, ქართველი სოციალ-დემოკრატები სწორედ თავიანთ გერმანულ კოლეგებზე იყვნენ ორიენტირებულნი. ინგლისელები საქაოლ ორჭოფულად უყურებდნენ ქართველთა კეთილგანწყობას გერმანელებისადმი და, შესაბამისად, ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობაშიც თავშეკავებულობას იჩენდნენ. ამის გამო, ნაკლებად იგერმანობდა მათი გაეღწა პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ წრეებზე.<sup>74</sup>

I მსოფლიო ომში დამარცხებამდე და, შემდგომ პერიოდშიც, გერმანიის მთავრობა მხარს უჭერდა საქართველოს დამოუკიდებლობას. მაგრამ, ქვეყნის შიგნით არსებული პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, გერმანიამ მხოლოდ 1921 წლის 21 იანვარს სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, რუსეთმა კი უკვე 1920 წლის 7 მაისს აღიარა ქვეყნის სუვერენიტეტი.

71 იქვე, გვ. 79.

72 გერმანულ კოლონისტებს სურდათ, რომ ამ გზით მიეცათ თაყვანთა შიშისთვის გერმანიის უმჯობესი სასწავლებლები განათლების მიღების საშუალება. სხვათა შორის, ამ ატესტატს გერმანიაში არ ცნობდნენ, რადგანაც არ შეესაბამებოდა მიღებულ სტანდარტებს. იხილეთ: აქტები საქართველოში სასოლო განათლების შესახებ, საერო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური არქივი, R 62661 (1923).

73 დავით ლიჭავაძე, შესავალი კრესსენშტაინის დასახელებული ნაშრომისა.

74 სურნი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 193ჟ.

## 6. გერმანელები საქართველოს საბჭოთა სოსიალიზტურ რესპუბლიკაში ( 1921-1940)

„იანვარში საქართველოს სახელმწიფომ დიდებულად აღნიშნა დამუკიდებლობის სამი წლის-თავი. ტფილისში უზარმაზარი ფოიერვერკი მოაწყვეს, უკეთეს მომავალზე აკეთებდნენ მინიშნებას. მაგრამ, თებერვლის პირველ დღეებში, როგორც ამას უტყვ დაერქვა, სომხეთ-საქართველოს ომი განახლდა... ჩემი თანაკლასელები, მათ შორის, მუც, საყოველთაო მობილიზაციას დავემორჩილეთ და მოხალისეებად გამოვცხადდით. ბებიას ცრებლები წასკდა, არ უნდოდა ჩემი გაშვება. ხანში შესულ ბებიას და მძიმედ ავადმყოფ დეიდა ასტას მარტო ვერ დაეტოვებდი და ღამით ავარაკზე დაერჩი, მეორე დღით კი ისევ ვაპირებდი დაბრუნებას. ღამის სამი საათი იყო, ბებიამ რომ გამაღვიძა: „აღდექ! ჭეჭა-ჭუხილი და სეტყვას! აიენზე გამოდი! იჭიდან ვერცელი მულანის ვაკე მოსჩანდა, რომლის იქითაც მტკეარი მიუღივება. დაეინახე, რომ ევლი გახვეულიყო უთვალავი იარაღის ცეცხლის აღში; ჭეჭეხების გრუხუნს, შიგადაშიგ, ტყვიამურჭეკეის კაჟანი ფარავდა. მივხვდი, რომ ეს სომხები არ იტყობდნენ – თბილისს რუსები მოადუნენ. ქართველები ვერ გაუმკლავდებოდნენ ასეთ უთანასწორო ძალას.“ – წერდა ზემოსხენებული ალექსანდრე ფონ კუტცემენბახის ერთ-ერთი შვილიშვილი.”

1921 წელს, საბჭოთა ხელისუფლების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ, როგორც გერმანული, ისე ქართული და სომხური ორგანიზაციები ნელ-ნელა იქნა ლიკვიდირებული ან გასაბჭოებული. როგორც დაწესებულებებში, ასევე სკოლებსა და უნივერსიტეტებში, სავალდებულო ენად რუსული შემოიღეს.

1922 წელს მუშაობა შეწყვიტა „Kaukasische Post“-ის რედაქციამ – იგი აღარ მიესადაგებოდა ახალ სისტემას. ერთი წლის შემდეგ დაიშალა „ამიერკავკასიელ გერმანელთა გაერთიანება“. საქართველოს კომუნისტური პარტიის გერმანულ სექციის თავმჯდომარემ, თეოდორ სპილმანმა, ზემოსხენებული ჟურნალის ნაცლად, ყოველკვირული გაზეთი „სოფლის მეურნეობა“ გამოსცა, რომელსაც კოლონიებში აერცელებდა.

1924 წელს გაასაბჭოეს გერმანული გიმნაზია<sup>75</sup>. შესაბამისად, მნიშვნელოვნად შეიზღუდა გერმანიის იმპერიის გავლენაც. გიმნაზიის დირექტორი, მარტინ იეკელი, მცირე კადით დაასატიმრეს და, საბოლოოდ, ჭევენიდან გაასახლეს. სამშობლოში დაბრუნდნენ გერმანიის მოქალაქეები, რომლებიც მასწავლებლად მუშაობდნენ. კომუნისტური პარტიის გერმანულმა სექციამ სკოლის ხელმძღვანელობა ბალტიისპირელ გერმანელს, მიკეტცს გადააბარა. ერთი წლის შემდეგ ეს სკოლა დახურეს. მასწავლებელთა კონფერენციაზე ახალმა ხელმძღვანელმა ასე გამართლა თავისი ქმედება:

75 ალექსანდრე ფონ კუტცემენბახის შვილიშვილის, ალფრედის ჩანაწერებიდან. შიდაოქმების პირადი საკურთხევე. 106f.

76 227 მოსწავლედან, რომლებიც 1924 წელს სწავლობდნენ ამ რეალურ გიმნაზიაში, 92 გერმანელი, 60 ქართველი, 16 სომხები, 20 რუსი და 34 სხვა ეროვნებისა იყო.

„იყო თუ არა გერმანული რეალური გიმნაზია ლოიალური? რა თქმა უნდა, არა. მასწავლებლები არისტოკრატიული წოდებებით მიმართავენ ერთმანეთს, ხელმძღვანელს დირექტორს უწოდებენ. ეკლესია და სახელმწიფო არ არის ერთმანეთისგან გაყოფილი. ბიბლიოთეკა სამოქალაქოა (ბისმარკის ლიტერატურა!) მოსწავლეები არ არიან დაყოფილნი სოციალური მდგომარეობის მიხედვით. რეალურ გიმნაზიას უფლება არა აქვს, შეგნებულად მოქმედებდეს გერმანული სამოქალაქო პარტიების სასარგებლოდ, ის რუსეთის მოქალაქეებს უნდა ზრდიდეს კლასებთან ბრძოლის სულისკვეთებით. მასწავლებლებმა ეს საკუთარი თავიდან უნდა დაიწყონ; უეჭველად, ვარდაქმნას საჭიროებს სეპარო-ტექნიკური განყოფილება; რეალური გიმნაზიის განყოფილება კი ზოგიერთ პუნქტში უნდა შეიცვალოს (მაგ., ორღენელი ქალწული – ფიესკოთი ან მარცელებით; ჰერმანი და დოროთეა – რაინიკე მელათი, მესინას კატარაძლი-გ. ასუპტმანის ვებერთი და ა.შ. დეტალები ვერ კიდევ დასაზუსტებელია.“<sup>77</sup>

გერმანული შრომის სკოლა, (I-VIII კლასები), რომლის ხელმძღვანელი გუსტავ პეფფერი იყო, ხელუხლებელი დარჩა. მასთან მიერთებული ტექნიკუმი კი (V-VIII კლასები) მამინდელი ელრისა და გერმანელი მრეწველების ინიციატივით გაუქმდა, რომლებსაც, საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ წლებში, ადგილზე სურდათ გერმანულ სპეციალისტთა აღზრდა.

1921 წლის ოქტომბერში კიდევ 109 გერმანული წარმომავლობის სტუდენტმა მოახერხა სამხედრო და სამოქალაქო ტყვეების ტრანსპორტით, ნოვოროსიისკის გავლით, გერმანიაში გამგზავნება. ეს იმაზე მეითიბეს, რომ საქართველოს გასაბჭოება ნელ-ნელა ხდებოდა: ლენინი კავკასიის გასაბჭოების უფრო წინდახედულად წარმართვას უჭერდა მხარს და მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ იქნა ძალადობრივად განზოციელებული, სტალინისა და სერგო ორჯონიკიძის მიერ.<sup>78</sup>

1924 წელს ქვეყნიდან გაასახლეს ყველა ის უცხოელი, რომელმაც უარი განაცხადა საბჭოთა მოქალაქეობის მიღებაზე. სხვათა შორის, გამოჩენილისებამ ამ შემთხვევაშიც იქნა დაშვებული; გერმანიის საკონსულოს მონაცემებით, 1926 წელს, საქართველოში გერმანიის, ავსტრიისა და შვეიცარიის 781 მოქალაქე ცხოვრობდა.

რუსთიფიკაციის წლების შემდგომ, გერმანიის მოსახლეობა ეროვნულ უმცირესობად აღიარეს; გერმანული, როგორც ადმინისტრაციული და სწავლების ენა, ერთ რაიონში თავმოყრილ კოლონიებში დაუშვეს. სხვათა შორის, ამ დროისათვის, 12074 გერმანულიდან, მხოლოდ 5349 საუბრობდა მშობლიურ ენაზე.<sup>79</sup>

77 აქტები თბილისში სასკოლო განათლების შესახებ, საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური არქივი, R 62662 (1923-1925).

78 სუნი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 204-237.

79 თბილისში გერმანიის საკონსულოს აქტები, საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური არქივი, R 84176 (1923-32).

მიწის დანაწილებასთან დაკავშირებით, გერმანულმა კოლონიებმა, პირველ ხანებში, ნაკლები ცვლილებები განიცადა. ამის მიზეზი ის იყო, რომ კოლონიზატებს მიწა მხოლოდ მემკვიდრეობითი სარგებლობის უფლებით ჰქონდათ, და არა – საკუთრების. ვინც დაღვნილ ნორმასზე მეტ ფართს ფლობდა, იძულებული იყო, ღარიბი გლეხებისთვის გადაეცა. ამ სოციალური თანასწორობის წინააღმდეგნი არც საშუალო და ღარიბი ფენის კოლონიზატები ყოფილან. ცალკეული საწარმოები „ნებაყოფლობით“ გაერთიანდნენ კოპერატივებად; ამასთანავე, ასალმა მფლობელებმა, ჯერ კიდევ, მეფის მთავრობის დროს არსებული ამხანაგობების მაგალითზე, შეძლეს მათი ხელში ჩაგდება. ამიტომ იყო, რომ მევენახეთა ორივე კოპერატივმა, პელენენდორფის (დღეს აზერბაიჯანის ტერიტორია) „კონკორდიამ“ (დაარს. 1908 წელს) და კატარინენფელდის „უნიონმა“, როგორც „საერთო სარგებლობის ორგანიზაციებმა“, საბჭოთა პერიოდის დასაწყისში კიდევ შეძლეს თავის შენარჩუნება. თუმცა, 1930 წლის მარტში, კოლონიების კოლექტივიზაციასთან ერთად, ისინიც დაიშლნენ. თბილისში გერმანული საკონსულოს აქტებში დაცული ერთ-ერთი წერილი დოკუმენტურად ასახავს იმ განწყობას, რომელიც კოლონიებში სუფევდა:

*„გაურკვეველ მდგომარეობაში ვიმყოფებით და გამოსავლიც ვერ ვგეგმავთ. სახელობრ, ყველაფერი, მთელი სოფელი ერთ კოლექტივში უნდა გაერთიანდეს, მაგრამ ჩვენ მასში შესვლის უფლება არ გვაქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ საერთოდ გავკანახლებენ აქედან. წარმოდგინე, რა უბედურება დატრიალდება, ეს რომ მართლაც ასე მოხდეს. გერმანიის მოქალაქეებს კიდევ რა უჭირთ, წასვლა მაინც შეუძლიათ. ჩვენ წასასვლელიც არ გვაქვს. დღეს ჩვენს ხელში უნდა გადაწყვიტოს... ყველა, ვისაც შეუძლია, თავის ქონებას ყიდის და აქაურობას ტოვებს. არც ვიცი, რომ ჩვენთან აძლენი გერმანელი ცხოვრობდა. ამაჟამად, დაახლოებით 15 ოჯახი ამირებს ვამე ზაერებას. (მწერ: თქვენთან სტუმრობა თუ შემოიღიაო. მხოლოდ ის მინდა ვითხრა, რომ თუ გერმანიის მოქალაქე არ ხარ, უკან აღარ გავიშებენ. აქ დარჩენა კი იმას ნიშნავს, რომ ცოცხლად დამარხო). ახლა აქ რუსეთიდან ჩამოსული ბევრი ადამიანი მათხოვრობს. ვინ იცის, იქნებ, მალე ჩვენც მათი ბედი გველის.“<sup>80</sup>*

ერთობის მმართველობა გამოიძახეს და აიძულეს, კოლექტივიზაციისთვის ერთხმად დაეჭირა მხარი. მოწინააღმდეგეები დააპატიმრეს. გერმანიის მოქალაქეებმა თავიანთი აუჯი და ევნახი გაყიდეს. თუმცა, საბოლოო ჯამში, მათ მხოლოდ აუჯის გაყიდვად მიღებული, მცირედენი თანხა გადაურცხეს ღიდი დაგვიანებით.<sup>81</sup> როგორც ჩანს, კოლონიების ყველა მაცხოვრებე-

80 თბილისში გერმანიის საკონსულოს აქტები, საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური არქივი, ლ 84176 (1923-32). ავტორის მონაცემები უცნობია.

81 გერმანიის მოქალაქე, ერნსტ ალბენდინგერმა, კუთვნილი თანხის მხოლოდ 5% მიიღო. იხილეთ: თბილისში გერმანიის საკონსულოს აქტები, საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური არქივი, R 84177 (1933-1934).

ლი არ გამხდარა რუსეთის ანუ საბჭოთა კავშირის მოქალაქე. პირველი კოლონიისტიები იძულებული იყვნენ, პრივილეგიების შესანარჩუნებლად მიეღოთ სსრკ-ს მოქალაქეობა; მოგვიანებით გადმოსახლებულებიდან კი (მაგალითად, გერმანიიდან ჩამოსულმა ნათესაეებმა) ყველამ არ შეასრულა ეს პირობა. უფრო მეტიც, ზოგიერთმა, 1871 წლის შემდეგ მოპოვებული რუსეთის მოქალაქეობა გერმანიისაზე გაეცვალა.<sup>82</sup>

იმ პერიოდში არც საგარეო საქმეთა სამინისტრო და არც მოსკოვში არსებული გერმანიის გენერალური საკონსული იჩენდა თანმიმდევრულობას კოლონიებსა თუ ქალაქებში მაცხოვრებელი გერმანიის მოქალაქეების უფლებების დაცვის საკითხში. მიზეზი ის იყო, რომ მათ არ სურდათ გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობების გაფუჭება.<sup>83</sup> მიუხედავად იმისა, რომ პრობლემებმა იმატა, ფულის საფოსტო და საბანკო გადარიცხვები კი შეუძლებელი გახდა, გენერალურმა საკონსულიმ გამზავრებისგან თავის შეკავება ურჩია სამშობლოში დაბრუნების მსურველებს (1935 წელს, თბილისში – 120, კოლონიებში კი სულ 350 გერმანიის მოქალაქე ცხოვრობდა. კოლექტივიზაციის შემდეგ, 30%-მა დატოვა საქართველო). 1934 წელს დაატომრებებიც დაიწყო. სსრკ-ის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდება შემდეგ, საბჭოთა კავშირში მცხოვრები ყველა გერმანელი საზოგადოებისგან მალულად შეიყვანეს სიბჭოთაში; ერთი წლის შემდეგ, ანუ ფელდა და ქელენდორფში მაცხოვრებელი 600 ოჯახი იძულებით გადასახლეს აღმოსავლეთ კარელიაში.<sup>84</sup>

## 7. გადასახლება და გულაგი

ჯერ კიდევ 1918 წლის სექტემბერში, საბჭოთა პოლიციამ მთავრობისგან ოფიციალური დაელოდა მიიღო „კლასობრივი მტრების“ ბანაკებში იზოლირების თაობაზე. ის, რაც თავდაპირველად, „ხელახალი აღზრდის ბანაკებად“ იყო ჩაფიქრებული, 20-იანი წლების ბოლოსთვის, „შრომა-გასწორების ბანაკებად“ იქცა. ნებაყოფლობით არაფერი მიდიოდა ამ ძნელად ასათვისებელ მიწებიან და ნესტიანი კლიმატის მქონე რეგიონში, 20 გრადუს ყინვაში, ქვანახშირის მადარობში სამუშაოდ. მაგრამ, სტალინის იაფი მუშახელი ესაჭიროებოდა საბჭოთა კავშირის სწრაფი ურბანიზაციისა და ინდუსტრიალიზაციისთვის.

82 რუსეთში ცხოვრებისთვის გადაწყვეტილ აუცილებლობას არ წარმოადგენდა რუსეთის მოქალაქეობის მიღება. ვიკი-კულწილად. მომენტალურ კი იყო გერმანიის მოქალაქეობის შენარჩუნება ან ისევ დაბრუნება. იხილეთ ასევე: Maurer, Trude, *Between German and Russian Cultures: Germans In the Cities of the Tsarist Empire*, in: *Europa als Wanderungsziel, Ansiedlung und Integration von Deutschen Im 19. Jahrhundert*, Hg. Peter Marschalck, Osnabrück 2000, S. 13-24.

83 იქვე.

84 იქვე.

ე.წ. „ელასობრივი მტრების“ დევნას და დაპატიმრებებს სისტემატური ხასიათი მიეცა, ხოლო წინასწარი პატიმრობის ვადები შეშემცირდა. პერიოდულად განმეორებადი დასაპატიმრების ტალღა ახალ ჯგუფებს გადაუვლიდა და ბანაკებს აესებდა. 1938 წელს, „დიდი წმენდის“ კულმინაციის პერიოდში, მსგავს ბანაკებში უკვე 2 მილიონზე მეტი ადამიანი იმყოფებოდა.

„ბანაკები შემზარავად გამოიყურება, – წერდა ვარლამ შალამოვი<sup>85</sup>, რომელმაც 20 წელი გაატარა ბანაკებში, – მთელ დღეობაშია არც ერთ ადამიანს არ ვუსურვებდი ამის ნახვას. ბანაკებში მიღებული გამოცდილება მხოლოდ უარყოფითია – თვით უკანასკნელ წუთამდეც კი. იქ ბევრი რამ ხდება ისეთი, რაც ადამიანს არასოდეს უნდა გამოეცადა. ის არ არის ყველაზე სამინელი, რომ ცხოვრების ფსკერს ხედავ. ყველაფერზე უარები ისაა, რომ ეს ფსკერი ადამიანის საზრისად იქცევა; იგი თავისი მორალის მასშტაბად ბანაკის გამოცდილებას იღებს, რადგანაც ცხოვრებას კრიმინალთა მორალი მართავს – ადამიანის გონება არა მხოლოდ ამართლებს ამ „ბანაკის გრძობებს“, არამედ მზადაა, რომ ემსახუროს კიდევ მათ.“<sup>86</sup>

სტალინის უმნიშვნელოვანეს იარაღს, დაპატიმრებისა და ინტერნირების წარმართვისათვის, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი წარმოადგენდა (შინსაკომი). ეს ტერორისტული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფო უშიშროების, შინაგან საქმეთა და ერთი კერძო სასამართლოს გაერთიანებას წარმოადგენდა, შიშის ზარს სცემდა საბჭოთა კავშირის მოსახლეობას.

საბჭოთა კავშირის მთავრობამ, საფუძვლიანი ანალიზის შედეგად, დაახლოებით 15 მილიონი ადამიანი დაამწყვდია გულაგში სტალინის გარდაცვალებამდე. აქედან, დაახლოებით 20%, ანუ ყოველი მეხუთე, დაიღუპა; მსხვერპლთა შორის, სულ მცირე, 3-4 მილიონი ქალი იყო.<sup>87</sup> კიდევ 5 მილიონი ადამიანი სხვადასხვა ტერიტორიებზე გადაასახლეს.

85 ვარლამ შალამოვი (1907-1982) 1937 წელს გაასამართლეს კონტრრევოლუციური საქმიანობისთვის და გადაასახლეს კოლიმაში – გულაგის სისტემის ცენტრში, ადოსაველთ ციმბირში, დაუსაღებელ ტერიტორიაზე. 1953 წელს სტალინის გარდაცვალების შემდეგ, იგი განათავისუფლეს და მოსკოში დაბრუნდა, სადაც 1954-72 წლებში ე.წ. „კოლიმის მითხრობები“ დაწერა. ნაწარმოებების პირველი რუსულენოვანი გამოცემა 1978 წელს გამოვიდა ლონდონში. გერმანული გამოცემა (Warlam Schalamow, Schocktherapie: Kolyma-Geschichten, Berlin 1990) დღესთვის მიუწვდომელია. შალამოვი დაყრუბდა და დაბრმავდა. იგი მოსკოვის ფსიქიატრიულ კლინიკაში გარდაიცვალა. შალამოვის აზრით, სოლენციინმა საერთოდ ვერ გათვო ბანაკის არხი. თავისი მითხრობებით მას სახარისხაროს დამტკიცება სურდა.

86 Schalamow, Warlam, Geschichten aus Kolyma (გამოცემის ადგილი და წელი მითითებული არაა), zitiert nach: Kapuscinski, Ryszard, Imperium, Sowjetische Streifzüge, Frankfurt am Main 1993, S. 267f.

87 Stark, Meinhard, Frauen Im Gulag, München/Wien 2003, S. 37. Siehe auch: Stettner, Ralf, Archipel GULag: Stalins Zwangslager. Terrorinstrument und Wirtschaftsgigant, Paderborn/München/Wien/Zürich 1996; Appelbaum, Anne, Gulag: A History, Britain 2003; Conquest, Robert, The Great Terror: A Reassessment, Edmonton/Alberta 1990.

დაატიმრებები, უმეტესად, ღამით ხორციელდებოდა. შინსახკომის უშიშროების წარმადგენლები დაატიმრების ორდერის წარდგენის შემდეგ, სახლის ჩხრეკას იწყებდნენ. ე.წ. „ტროიკა“ (კომუნისტური პარტიის ერთი წევრი, მილიციის უფროსი და უშიშროების ხელმძღვანელი პირი) დაატიმრებულებს „კონტრარევოლუციური საქმიანობისთვის“, „ანტისაბჭოური აგიტაციისა და პროპაგანდისთვის“, „შპიონაჟისა“ ან „სამშობლოს ღალატისთვის“ - სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე პარაგრაფის თანახმად, უმძიმესი დანაშაულებებისთვის, სულ მცირე, ხუთწლიან, მაქსიმუმ ოცდახუთწლიან პატიმრობას ან სიკვდილს უსჯიდა.

ნსდმპ-ს მიერ ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ, გერმანელები „შინაურ მტრებად“ ითვლებოდნენ. გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმას, ზემოხსენებული სიის საფუძველზე დაატიმრებებისა და გადასახლების ახალი ტალღა მოჰყვა. 1941 წლამდე დახვეტილთა და დაატიმრებულთა სრული რაოდენობის აღგენა, აქტების მიხედვით, დღემდე არ ხერხდება.<sup>88</sup>

1990-იან წლებში, საბჭოთა არქივების გახსნის შემდეგ, ცნობილი გახდა, რომ დაატიმრებულები უაღაშაულონი იყვნენ. ისინი გეგმის შესრულების მსხვერპლნი გახდნენ - ყოველი ოლქის ადმინისტრაციას, პარტიისა და სახელმწიფო ხელმძღვანელობის მიერ წინასწარ განსაზღვრული რაოდენობის „ხალხის მტრები“ და „შპიონები“ უნდა გაესამართლებინა. ის ფუნქციონერები, რომლებიც თავს არიდებდნენ „დაკისრებულ ვალდებულებებს“, თავად იქნენ დაატიმრებულნი.

## 8. ღაორატაშია და შროშითი არშია

1930-იან წლებში საბჭოთა მრავალეროვან იმპერიაში მცხოვრები ზოგიერთი ეროვნების წარმომადგენლები „გადაადგილებულნი იქნენ“<sup>89</sup>. სხვებთან ერთად, გადასახლეს ინგუშები, პოლხელები, ებრაელები, უკრაინელები, სომხები, ბერძნები, ბულგარელები, ქურთები და აზერბაიჯანელები.<sup>90</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ისტორიული არქივის ღირექტორის - ოთარ კაპანაძის ინფორმაციით, 1941-51 წლებში, საქართველოდან დეპორტირებულ იქნა 200 000 ადამიანი; 1941 წელს - 23 580 გერმანელი, 1944 წელს - მოსაზღვრე რეგიონებში მცხოვრები მაჰაღანეები, 1949-50 წლებში კი - ბერძნები, თურქები და სპარსეები.

სხვადასხვა ეროვნების ხალხთა გადასახლების მიზეზები დღესაც უცნობია. დადგენილია ის, რომ სტალინის, საბჭოთა ხალხების გაერთიანების პროცესში ანუ იძულებითი რუსიფიკაციისას, გარკვეული ჯრების განადგურება სურდა. დღემდე არსებული მასალების შესწავლის შემდეგ, ისტორიკოსი ღიტმარ დალმანი ასეთ დასკვნას აკეთებს:

88 Dahlmann, Dittmar, Deportationen der deutschen Bevölkerungsgruppe in Russland und in der Sowjetunion 1915 und 1941. Ein Vergleich, In: Ausweisung und Deportation: Formen der Zwangsmigration in der Geschichte, Hg. Gestrich, Andreas, Stuttgart 1995, S. 108.

„1920-იანი წლების დასაწყისიდან, სტალინი ავითარებდა თეორიას, რომლის მიხედვითაც, გაერთიანების, თითქოს, ობიექტურ და ბუნებრივ პროცესს დაამკარებდა ცალკეული ერების ავტონომიური სტატუსის გაუქმება. ეს დასაშვებს ხდის იმ დებულებას, რომ ომი მხოლოდ მიზეზი იყო იმ ხალხთა განადგურებისთვის, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ ისტორიის ობიექტურ მსვლელობას.“<sup>90</sup>

ასე რომ, შესაძლებელია, პიტლერის საბჭოთა კავშირზე თეოდანხმა სტალინიმ, გერმანულ ხალხთან მიმართებაში, მანაც საბაბად გამოიყენა თავისი იდეოლოგიური კონცეფციის რეალიზებისთვის. გერმანელები რაოდენობრივად აღემატებოდნენ სხვა ეროვნების დეპორტირებულებს და, ამიტომ, ეკონომიკური თეალსაზრისითაც, მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ. ყოველ შემთხვევაში, მათ ისეთ ტერიტორიებზე ასახლებდნენ, რომელთა ურბანისაცა და ინდუსტრიულიზაციაც 1930-იანი წლების ბოლოდან იგეგმებოდა.<sup>91</sup>

1942 წლის დასასრულამდე, ახალი გამოძიებების შედეგად, კიდევ 1. 209 430 გერმანელის ანუ მთელი გერმანული მოსახლეობის (გარდა უკრაინისა და ბესარაბიის ტერიტორიებზე მცხოვრები ნაწილისა) დეპორტაცია მოახდინეს.<sup>92</sup>

საქართველოში დარჩენის უფლება მხოლოდ არაგერმანულ ოჯახებში გათხოვილ ქალებს მისცეს. ბავშვები და არასრულწლოვნები, რომელთა გერმანელი მამები დახვრიტეს ან გადაასახლეს, 16 წლის შესრულებამდე, დედასთან ცხოვრობდნენ. შემდეგ მათაც გადასახლება ელოდათ. სსრკ-ს სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტის ვადაწვევტლებით, გერმანელების დეპორტაცია 1941 წლის 8 ოქტომბერს დაიწყო.<sup>93</sup> უმეტესობას, ბარგის ჩასალაგებლად რამდენიმე საათი მისცეს – თან მხოლოდ სურსათის, ტანსაცმლის და სხვა პირადი მოხმარების საგნების (1 ტონამდე წონის) წაღების უფლება ჰქონდათ. მათ საცხოვრებელ სახლებს, ბინებს, ავეჯეულობასა და საქონელს ყადაღა დაადეს. დეპორტირებულები საქონლის ვაგონებით ჩაიყვანეს ომსკში, ნოვოსიბირსკში, ალტაის მხარეში, ყაზახეთსა თუ ვირგიზეთში. ბევრი მათგანი, მრავალკვირიანი მგზავრობისას, უმეტესად, კატასტროფული სატრანსპორტო პირობების გამო დაიღუპა ან გადასახლების ადგილზე ტიფმა, მალარიამ და სხვა ინფექციურმა დაავადებებმა იმსხვერპლა. დეპორტირებულებს არავითარი სამედიცინო მომსახურება არ ჰქონდათ და შინსაკომის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდნენ. მათ მხოლოდ სპეციალური ნებართვით შეეძლოთ საცხოვრებელი ადგილის დატოვება და რეგულარულად უნდა გამოცხადებულიყვნენ კომენდატურაში. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 ნოემბრის

90 იქვე, გვ. 112. იხილეთ ასევე: Fleischhauer, Ingeborg/Plinkus, Benjamin, Deutsche in der Sowjetunion, Geschichte einer nationalen Minderheit im 20. Jahrhundert, Baden-Baden 1987; Eisfeld, Alfred, Die Russlanddeutschen, mit Beiträgen von D. Brandes und W. Kahle, München 1999.

91 Eisfeld, Alfred, Die Russlanddeutschen, a.a.O., S. 128.

92 დალანი, იქვე, გვ. 111.

93 Eisfeld, Alfred/Herd, Victor (Hg.): Deportation, Sondersiedlung, Arbeitsarmee, Deutsche in der Sowjetunion 1941 bis 1956, Köln 1996, S. 105-106.



დადგენილებით, დეპორტირებულებს ადრინდელ კოლონიებში დაბრუნების უფლება ჩამოერთოთ. მას, ვინც თვითნებურად მონიღობდა გადაადგილებას, 20-წლიანი კატორა ელოდა.“

1941 წლის ოქტომბერ-ნოემბრიდან, მამრობითი სქესის გერმანელი დეპორტირებულები, გერმანულ ჯარისკაცებთან და წითელი არმიის ოფიცრებთან ერთად, ე.წ. „შრომით არმიებში“ გაიწვიეს. 1942 წლიდან, მათ რიცხვს უშეიღო ქალები შეემატნენ. მოგვიანებით, „შრომით არმიამ“ გაგზავნეს ის ქალებიც, რომლებსაც ჩვილი ბავშვები არ ჰყავდათ. ეს ადამიანები საწარმოო დაწესებულებების, რკინიგზის, ქუჩების, არხების, საბოთო სამრეწველოების მშენებლობებზე და, შესაძლებლობების მიხედვით, ოქროს მალაროებში სამუშაოდ გაამწვიეს.

„შრომით არმიამ“ გაწვეული გერმანელების საერთო რაოდენობა დღესაც დაუზუსტებელია. იმ შემთხვევაში, თუ საგანგებო საქმეთა სამმართველოს უფროსის მიერ, 1946 წლის 13 აგვისტოს გაცემული ინფორმაცია სწორია, შეგვიძლია, დაეუშვათ, რომ ყოველი მეოთხე გერმანელი (მათ შორის – ბავშვებიც) მსახურობდა შრომით არმიამში.“ ზუსტად არც ისა ცნობილი, თუ რამდენი მათგანი გადაურჩა ამ უკიდურესად მძიმე საცხოვრებელ და სამუშაო პირობებს. ოთარ კაანაძემ თავის წიგნში, რომელშიც საქართველოში გერმანელთა ბედის შესახებ მოგვითხრობს, ოური ბრაუნსტერგელის<sup>94</sup> მონათხრობი გადმოგვცა:

„ურალში, ჯავშანტრანსპორტიორების ჯარხნის მშენებლობაზე გამგზავნეს. ტერიტორია, რომელზეც შრომითი არმიელები ცხოვრობდნენ, ნამდვილი სატუსალო იყო (ე.წ. „ზონა“) – 100 ჰექტარი მიწა, ვარშემორტყმული ეკლიანი მკეთულის ორი რიგით, მათ შორის ხნულები (აკრძალული ზონა); ყოველ 50 მეტრში საკუშაგო კოშკი და მოდარაჯე ძაღლები. მიწურ ბარაკებში, ორსართულიან ტახტებზე (მიშველი გაუშალამინებელი ფიცრები), თოთრეულის გარეშე გვეხინა... რიგები მკაცრი იყო – დილის 4 საათზე ადვომა და სამუშაოდ წასვლა. ყინვაში დიდხანს დგომის, რამდენჯერმე გათელისა და გამოძახების შემდეგ, ზონიდან გაყვავილი, რომ ჯარხნის უფნდამენტისთვის ორმო ამოკვეთსარა. მხოლოდ ძალაყინით, 3 მეტრის სიღრმეზე ვამტერეკელი გაყინულ მიწას... 30 გრადუს ყინვაში დალაშობამდე ემუშობოდით. ოთახები მხოლოდ ზედამხედველებისთვის თბებოდა. მოკლე ხანში უკვე შავი, მოყინული ხელები და ფეხები მჭონდა, სრულიად გამოვიფიტე. სამედიცინო ჰერსონალის არარსებობის გამო, ადამიანების შრომისუნარიანობა ძალიან მარტივი წესით განისაზღვრებოდა: ამიშვლებდნენ და ათვლიერებდნენ, კიდევ თუ მჭონდა ხორცი ძელებზე. ასეთები ვარგისად ითვლებოდნენ, ვინც ცარიელი ძალი და ტყავი იყო დარჩენილი – 30%-ით ვარგისად. უკიდურეს მდგომარეობაში მყოფი „სპეციალურ რაციონზე“ გადაჰყავდათ – დღეში 200 გრამ ჯურსა და 1 კარდალა სუპზე (მხოლოდ წყალი, ზორბლის გარეშე). ამას დიდხანს ვერაყინ უძლებდა; მკედრებსა და მომაკვდავებს ოთხთვალაზე ყრიდნენ და მალარობი

94 აისველი/ქერდტი, დასახლებული ნაშრომი, გვ.307.

95 იქვე, გვ. 293-295; ასევე – აისველის დასახლებული ნაშრომი, გვ.133

96 მარგარიტა ლენინგის მუკლეე, იხილეთ ამ წიგნის მომდევნო თავი.

მიყვადთ. ამბობდნენ, რომ ჯერ კიდევ სულთმობრძაიე ჩაუვლიათ მალაროში. მე 30%-ით ვარვისდა ჩამოვლენ, წყალსა და პურს მაინც მაძლევდნენ.”<sup>97</sup>

## 9. ანისტია და საჰუმოლოში დაბრუნება

1955 წელს, სსრკ-მ საომარი მდგომარეობის დაბრუნება აცნობა გერმანიას. მოლაპარაკებები დაიწყო ამ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური და ეკონომიკური ურთიერთობის აღდგენის-თვის. გერმანული მხარე გერმანელი სამხედრო ტყვეებისა და სამოქალაქო პირების დაბრუნე-ბითა და რუსი გერმანელების მომავალი ბედით იყო დაინტერესებული. 1955 წელს, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებით, გაუქმებულ იქნა საგანგებო დასახლებათა რეჟიმი – რუს გერმანელებს პატიმრობის ადგილის დატოვების ნება დართეს, მშობლიურ მხარეში დაბრუნების უფლების გარეშე.

მიუხედავად ამისა, უშუალოდ, დეკრეტზე ხელის მოწერისთანავე იქნა მიღებული პირველი ზომები რუსი გერმანელების მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის. თუ მანამდე, მრავალი წლის განმავლობაში, იკრძალებოდა გერმანულად საუბარი, ახლა გერმანულენოვანი გაზეთები გამოიცა და გერმანულენოვანი რადიოგადამცემების მოსმენაც გახდა შესაძლებელი. ბევრმა ბეშქემა და ახალგაზრდამ, რომლებსაც 16 წლის განმავლობაში არ აქონდათ სკოლაში სწავლის საშუალება – უნივერსიტეტზე რომ აღარაფერი ეთქვათ – მიზნობრივ დახმარება მიიღეს. 1957 წლიდან, ზოგიერთ სკოლაში, მშობლიურ ენად გერმანული ისწავლებოდა. სხვათა შორის, ივრძნობოდა გერმანული ენის აღდგენისათვის საჭირო სასწავლო მასალებისა და მალაქა-ლიფიცირი მასწავლებლების ნაკლებობა. 1972 წელს გაცემული, არაოფიციალური ბრძანების მიხედვით, დებორტირებულებს საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება მიეცათ, მაგრამ, აღინიღელ საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნებისთვის საჭირო იყო სპეციალური დამატებითი ნებართვა. მას მხოლოდ იმ შემთხვევაში გასცემდნენ, თუ იქ კადრების ნაკლებობა იყო და უარის თქმისთვის პოლიტიკური მიზეზი არ არსებობდა (მაგალითად, გერმანელებს არ მისცეს ესტონეთსა და ლატვიაში დაბრუნების უფლება). ჩეჩნები, ინგუშები, ყალმუხები, ბალყარები და ყაბარდოელები, ჯერ კიდევ 1956 წელს, ზრუმოვის ცნობილი „საადამლო სიტყვის“ შემდეგ, სტალინის კულტის დემონტაჟისთანავე, დაბრუნდნენ თავიანთ სამშობლოში და, ვოლენსპირელი გერმანელებისგან განსხვავებით, ავტონომიური რესპუბლიკებზე აღადგინეს.

1979 წლამდე 2053 დებორტირებული გერმანელი დაუბრუნდა საქართველოს. მათ ყველგან არ ზღვებოდნენ კეთილგანწყობით. 1941 წლიდან, ადგილზე შემორჩენილ გერმანული ქალების ნაწილს, როგორც „ფაშისტებს“, 50-იანი წლების დასასრულამდე, უზღვროდათ ლაბორვა-შუქარის ატანა. ისინი, მოსალოდნელი ღვევისგან დასაცავად, შეიღებეს გერმანულ ენასაც არ ასწავლიდნენ. მეორე მხრივ, ბევრმა მათგანმა პედაგოგიური განათლება მიიღო და

97 ს. ვ. ოტლენი (ოთარ კასანაის ფსევდონიმი), „დამანი არ ირჩევს დროს“, თბილისი, 1998; გვ. 421ff. (რუსულად, ნაწილობრივ თარგმნილი ინტე ინტერნის მიერ).

კერძოდ თუ სახელმწიფო სასწავლებლებში ასწავლიდა გერმანულ ენას. უმთავრესად, ამან განაპირობა, რომ გერმანული ენა დღესაც ასე გაერთიანებულია საქართველოში.

## 10. გერმანული დამოუკიდებელი საქართველოში

უმალესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დეპორტაციის შესახებ ბრძანების გაცემიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ, 1991 წელს, თბილისში, „საქართველოს გერმანელთა ასოციაცია“, ე.წ. „აინუნგი“ დაარსდა. მისი მთავარი მიზანი „გერმანელთა გაერთიანება, მათი ეროვნული თვითმფრინვის აღდგენა, გერმანული ენის სწავლება და უმწეო, მარტოხელა აღმამიანთა დახმარება“ იყო. მასში, დახლოებით, 1500 გერმანული წარმომავლობის ადამიანი გაერთიანდა. მათ უმეტესობას გერმანიიდან ფინანსური დახმარების მიღების ან გამგზავრებისთვის ხელშეწყობის იმედი ჰქონდა. მას შემდეგ, რაც 1991 წელს საქართველო ხელმოკრულ გახდა დამოუკიდებელი, ოდესღაც მდიდარ საბჭოთა რესპუბლიკაში, ცხოვრების სტანდარტი სულ უფრო უკან იხვედა. იმაერდროულად, ზოგიერთებს ერთ დროს აყვავებული, ევანგელისტურ-ლუთერანული ერთობის აღდგენის მოთხოვნა გაუჩნდა. 90-იანი წლების შუა პერიოდში, ზარბრეუკენის უნივერსიტეტის თეოლოგიის პროფესორმა, დოქტორმა გერდ ჰუმელმა, პენსიანზე გასვლის შემდეგ, მუდღესთან ერთად საქართველოში გადმოსახლება, აქ ახალი ეკლესიის აშენება (ძველი ეკლესია 1945 წელს დაანგრევს გერმანელმა სამხედრო ტყვეებმა) და საქართველოში ლუთერანული ეკლესიის აღორძინება გადაწყვიტა. ჩანაფიქრის განზოცელებისთვის, საქართველოს მთავრობამ მას გერმანელთა ყოფილი სასაფლავის ტერიტორია გადასცა.

ყველა გერმანელი და გერმანული წარმომავლობის ადამიანი, რომლებიც სტალინის პოლიტიკამ იმსხვერპლა, 1998 წელს, საქართველოს მთავრობის მიერ იქნა რეაბილიტირებული და მათ, მიღებული 14 ლარის ნაცულად, 45 ლარის ოდენობის პენსია დაენიშნათ. მიუხედავად ამისა, ეს თანხა ხაზარსებო მიზიმუმსაც კი არ უტოლდება. ვინც გერმანულ ენას ფლობს, მოსწავლეების კერძოდ მომზადებითა და ე.წ. „გერმანულ საბავშვო ბაღში“ მუშაობით შოულობს მცირედონ თანხას. თუმცა, ასეთები უმცირესობას წარმოადგენენ.

საქართველოში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებების შემდეგ სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია თითქმის არ შეცვლილა, ერთობის ბევრი ასაკოვანი წევრი კი მარტოხელაა და შიმშილი თუ სიცივე აწუხებს. ამის გამო 1999 წლის მარტში საქართველოში ევანგელისტურ-ლუთერანული საეკლემოქედო ორგანიზაცია „დიაკონური სამსახური“ დაარსდა. იგი თორმეტადგილიან მოზესთა თემსაფარს ინახავს, თავისი სამედიცინო განყოფილებით და ღარიბთა სასაფლავით. ვისაც ამ სასაფლავოში მიხვლის ფინანსური საშუალება არ აქვს, საკვებს პაკეტებით იღებს.

„აინუნგსა“ და „დიაკონურ სამსახურს“, სხვა ორგანიზაციებთან ერთად, გერმანიის მთავრობა აფინანსებს. ამ გაერთიანებებს გერმანული უმცირესობებისთვის, თავიანთი საშობოლოში, პერსპექტივის შექმნა ევალება.



კიკო კოპოსი გერტ კუშელი (1933-2004)



ახალი ვვანგელისტურ-ლუთერული  
ეკლესია თბილისში

მწელი დასადგენია, რამდენი გერმანელი ანუ გერმანული წარმოშობის ადამიანი ცხოვრობს დღეს საქართველოში. 2001 წლამდე, 1 544<sup>66</sup> ადამიანი გაემგზავრა გერმანიაში. რომ არა დამთრგუნველი მატერიალური გაჭირვება და ქვეყნის მომაველის გაურკვევლობა, ბევრი მათგანი დარჩებოდა საქართველოში. ზოგიერთმა გაემგზავრების მსურველმა საჭირო საბუთების წარდგენა ვერ მოახერხა ან გერმანული არ იცოდა, ზოგმა კი თავისი სურვილით არ დატოვა საქართველო.

გერმანიასა და საქართველოს შორის განსაკუთრებული ურთიერთობების საფუძველია ის ფაქტი, რომ საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა, ედუარდ შევარდნაძემ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე ყოფნის დროს, განსაკუთრებული როლი შეასრულა გერმანიის ერთიანობის აღდგენაში. ამის გამო, 90-იან წლებში, საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ ათწლეულში, გერმანიამ მიზნობრივი დახმარებები გამოყო საქართველოსთვის და ხელი შეუწყო ამ ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ურთიერთობის აღორძინებას. თუ როგორი ფორმით მოხდება იმ ეკონომიკური კავშირების ჩამოყალიბება, რომლებიც XIX საუკუნეში ასრულებდა მნიშვნელოვან როლს საქართველო-გერმანიის ურთიერთობაში, ამას დრო გვიჩვენებს.

ისტორია არ მეროდება და, როგორც ვხვდებით, ზალხთა გადასახლება, ამჟამად, საპირისპირო მიმართულებით მიმდინარეობს – დღეს ქართველები მიემგზავრებიან გერმანიაში ბელის საძიებლად.



### **III. ცხოვრებისეული ისტორიები**



## იზოლდა დანდურია

იზოლდას ბაბუა, დედის მხრიდან, ბალტიისპირელი გერმანელი პეტერ ბიკი, პატარა მამულს ფლობდა ვენცილისში (ლატვია). მას სამი ვაჟი (სამივე მცირეწლოვანი დაიღუპა) და თერთმეტი ქალიშვილი ჰყავდა. პეტერ ბიკს მენშევიკებმა სახლი ჩამოართვეს. 1914 წელს, მისი უმცროსი ქალიშვილი, ლუტსი (1882-1977), თბილისში გადმოსახლდა. ერთ წელიწადში, იგი ცოლად გაჰყვა სომეხ გეორგი დანდუროვს (1890-1934). 1919 წელს ცოლ-ქმარს ქალიშვილი, იზოლდა, შეეძინათ. მან სკოლა თბილისში დაამთავრა და, მოგვიანებით, 40 წლის განმავლობაში, უნივერ-

სიტეტში ასწავლიდა გერმანულ ენას. 1954 წელს იზოლდა ცოლად გაჰყვა ებრაელ ექიმს (1913-1975), სამხედრო პოსაიტალის თანამშრომელს. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, იზოლდა მარტო ცხოვრობს თბილისში.

### რატომ ჩამოვიდა დედათქვენი თბილისში?

დედამ ვინღაუს შეიდწლიანი რუსული გიმნაზია დაამთავრა, რის შემდეგაც ლიბაუში, თავის დასთან გაემგზავრა. იქ 8 კლასიც დაასრულა და მასწავლებლის კვალიფიკაცია მიიღო. მატერიალური პრობლემების გამო, იგი იძულებული გახდა, ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას, ემუშავა. მას მასწავლებლობა სურდა, მაგრამ სკოლის დამთავრების შემდეგ, სამსახური ვერ იშოვა; იმ პერიოდში, საქართველოში მცხოვრები ერთი შორეული ნათესავისგან წერილი მიიღო: აქ შენთვის მოიძებნება სამსახურიო. დედამაც ბარგი ჩაალაგა და თბილისში გაემგზავრა, 1914 წელს. მაშინ იგი 21 წლის იყო.

### სად იბრუნა დედათქვენმა საბოლოოდ სამსახური?

დედა ახალციხის ვაჟთა გიმნაზიაში გაემგზავნეს, სადაც ფრანგულსა და გერმანულს ასწავლიდა. მან იქ გაიცნო მამაჩემი, კიევის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული. მათ 1915 წელს იქორწინეს. სომხეთ-თურქეთის ომი რომ დაიწყო, დედა და მამა ახალციხიდან გამოიქცნენ. იქ სომხებს სასტიკად ეპყობოდნენ. ერთხელ დედა მომიყვა, თუ როგორ ჩაიარა მისი სახლის წინ ცხვირმოჭრილმა სომეხმა კაცმა. მამა თბილისელი იყო; ისინიც თბილისში დაბრუნდნენ და ბებიაჩემთან ცხოვრობდნენ, ხანამ ორთახიანი ბინა არ მიიღეს.

მე 1919 წელს დაიბადე. 1921-22 წლებში, საქართველოში, დიდი შიმშილობა იყო, რის გამოც დედამ ბალტიისპირეთში წამიყვანა. გამეზარების წინ, პასტორ მაიერის სახლში მომნათლეს. დედა, 18 თვის განმავლობაში, დამხმარე მასწავლებლად მუშაობდა ლიბაუში. მე მარტო ვერჩევიდი. ნახსადეურში მივრბოდი და მეზღვაურებს ვეკითხებოდი: მამაჩემი ხომ არ ჩამოსულა-მეთქი. არც იქ იყო ცხოვრება ისე ადვილი, როგორც ბაბუასთან, სადაც 7 ოთახი და 2 სამზარეულო ქონდათ. ადრე, ბაბუაჩემს რამდენიმე მოსამამასხურე ჰყავდა, რომლებიც სხედანსხეა საშუალოს ასრულებდნენ. მოკვიანებით, ბებიას ორი ძროხა შემორჩა, რომელთაც თვითონ უყვლიდა. საქართველოში ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესების შემდგომ, დედა თბილისში დაბრუნდა.

### **სად დადიოდით სკოლაში?**

თბილისში ერთი წელი ვიარე გერმანულ საბავშვო ბაღში. უკვე ვიცოდი გერმანულად და რუსულად წერა-კითხვა და გერმანული სკოლის ღირეჯტორმა სკოლაში ერთი წლით ადრე შესვლის ნება დამართო. სკოლა 1935 წელს დაეამთავრე. 1937 წელს ზოგიერთი მასწავლებელი დააპატიმრეს, ზოგი დახვრიტეს, ზოგი გადაასახლეს და დიდი ხნის შემდეგ დაბრუნდნენ. მე აქ დაერჩი, რადგანაც სომეხად ვითვლებოდი.

### **სად მუშაობდნენ თქვენი მშობლები თბილისში დაბრუნების შემდეგ?**

დედა ჯერ საშუალო სკოლაში, შემდეგ კი, 1954 წლამდე, უცხო ენათა ინსტიტუტში მუშაობდა; მამამ ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი დაამთავრა და თბილისში, უცხო ენების კათედრის გამგე იყო.

### **როგორი მოგონებები გაქვთ შირეთი მშობლების სახლთან?**

სახლში მამას რუსულად ველაპარაკებოდი, დედას – გერმანულად. მამამ ცოტა სომხურიც იცოდა, ხევათაშორის, ქართულსა და ფრანგულს უკეთესად ფლობდა. დედა 10 წლისას დამელუკა. ახლაც მახსოვს მისი ეროვნული კოსტიუმი, მოკლე ლოკონები და გაზის ქუდი. ასე ეცვა, როდესაც სახლიდან გადიოდა. დედას თავის დედამთილთან უპრობლემო ურთიერთობა ჰქონდა, აი, მულებთან კი – უსიამოვნებები; ისინი უკმაყოფილონი იყვნენ იმით, რომ მათმა ძმამ გერმანულზე იქორწინა. მამას პირველი ცოლი უკრაინელი ჰყავდა. იგი ჩემი ნახევარძის დაბადებიდან ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა. დებს სურდათ, რომ ძმას ახლა მაინც მეერთო სომეხი. ამის გამო მხოლოდ სადღესასწაულო დღეებში გვექონდა ოფიციალური ურთიერთობა. მამამ რომ დედა შეირთო, ჩემი ნახევარდა უკვე შეიდი წლის იყო.

1937 წელს დედ-მამა განქორწინდა. რატომ – ჩემთვის არ უთქვამთ. მხოლოდ ის მითხრეს, რომ ამიერიდან ცალ-ცალკე იცხოვრებდნენ. რადგანაც მიზეზს არ მიმხვლდნენ, მივხვდი, აღარც სურდათ ამ თემაზე საუბარი. დედა ძლიერი ქალი იყო. მამა მუდამ მაკითხავდა, ყოველ შაბათ-კვირას ერთად ვსივრობდით. ის დედასთანაც ძალიან მეგობრულად საუბრობდა, მათ შორის მტრობას ადვილი არ ჰქონია. ოპერაშიც კი ერთად დადიოდით. ალბათ, ორივე მიზეზდა, რომ ერთმანეთთან აღარაფერი აკავშირებდათ, მე კი ძალიან ვიტანჯებოდი ამის გამო.



მათ 1934 წელს მოკლეს. ერთ დღიას დედამ მოულოდნელად მომაკითხა სკოლაში. გაპიჯა. რომ დავინახე, შშობლები ხომ მხოლოდ მამინ მდიონდრენ სკოლაში, როდესაც ბავშვები რაღაცას დააშავებდნენ. ჩემს თავს ვეკითხებოდი: რა უნდა ხდებოდეს-მეთქი? დედამ მაძინა. რომ მამამეტი მძიმედ დაჭრეს. არ გამიძხილა, რომ უკვე მკვდარი იყო. წარმოვიდგინე. როგორ იწვა დაჭრილი მამა საცაქებზე, პერანგზე სისხლის ლაქებით. წავბორძიდი და, როდესაც დედამ წამომაყენა, ვკითხე: რატომ მატყუებ, ვგრძნობ, რომ მამა ცოცხალი ადარაა-მეთქი. მას მაშინვე მივხვდი. ბოლოს, მძიმედ დაეუადი. ორი თვე მტანჯავდა ღვრეხა. სულ საწოლში ვიწექი, კედლის კენ მიბრუნებული. ბოლო მომიღო იმან, რომ მამის მკვლელები ვერ იპოვეს. მას შემდეგ, მხოლოდ მოგონებები შემომჩრა მასზე.

### **როგორ ცხოვრობდით მამის დაღუპვის შემდეგ?**

მამის სიკვდილის შემდეგ დიდი ოთახი წაგვართვეს. ორნი ერთ პატარ ოთახში ვცხოვრობდით. უკვე შეუძლო ქართულად ლაპარაკი. ბევრს ვკითხულობდი გერმანულ და ქართულ ენებზე. ქალაქართუ გასვლის საშუალება არ გექონდა, მაგრამ სოფელში კი მივიდიდი. იქ ნაცისტებთან ვცხოვრობდით უფასოდ და ასე ვისწავლე ქართულიც.

1941 წელს ყველა გერმანელი გაასახლეს. მძიმე ცხოვრება იყო. აქ ბრძოლები არ ყოფილა. მაგრამ საკვები ტალღებზე იყო. პური იშოვებოდა, მხოლოდ ისეთი შავი, რომ დღეა ვერ იტანდა. ზოგჯერ შაქარს და ქვასავით მაგარ კანფეტებს გვირიგებდნენ. დედა რკინიგზაში მუშაობდა და, ამდენად, ერთ თვეს 6 კილო თეთრ პურს აძლევდნენ, მეორე თვეს – 6 კილო ხორცს; ძალი უფრო მეტი იყო, ვიდრე ხორცი. მამიდასთანაც დავდიდიდი, უკვე კარგი ურთიერთობა გექონდა. მამიდეტი მხოლოდ თავიდან იყენენ ამ ქორწინების წინააღმდეგე. მამიდა გემრიელ კერძებს აკეთებდა, ის ხორცს ამზადებდა, მე კი მის ნათესავ ბიჭთან ვთამაშობდი.

### **სკოლის დამთავრების შემდეგ, რისი შესწავლა გქონდათ მიზნად?**

სკოლა რომ დავაბთავრე, მოსკოვში მინდოდა სწავლის გაგრძელება, მაგრამ დედას ჩემი მარტო გაშვება არ სურდა – ვერ მხოლოდ 16 წლის ვიყავი. ამიტომ მოსკოვის უცხო ენათა ინსტიტუტის დაუსწრებელი ფაკულტეტი დავამთავრე. იქ მხოლოდ წელიწადში ორჯერ, გამოცდების ჩასაბარებლად მივიდიდი. წიგნებით ვმეცადინებოდი და კონსპექტებს ვიწერდი. ომის დროს, მობილიზაციამ მოკვეცი კომკავშირიდან და სამხედრო შტაბში გამაძინეს თარჯინადა. გერმანულიდან რუსულად ვთარჯმნიდი. უინტერესო სამუშაო იყო.

ერთ დამეს, თავდასხმის ბოლოდინში, სამხედრო შტაბში მთელი დოკუმენტები დავწეს, მათ შორის – ჩემი. პიატიგორსკში ხელმეორედ მომიხდა დაუსწრებელი ფაკულტეტის დამთავრება. დიპლომი რომ მქონოდა. გერმანულის ხელმეორედ ჩაბარება არ დამჭირვებია, მაგრამ ისტორიული მატერიალიზმი, დიდიეტიკური მატერიალიზმი და პოლიტიკონომია კი ჩაყაბარე.

ომი რომ დამთავრდა, გენერალთან მივედი და განთავისუფლება ვთხოვე. ვერ საშუალო სკოლაში ვემუშაობდი, შემდეგ კი უნივერსიტეტში, ერთი გერმანელი გაემგზავრა და მის

ადგილზე მიმიღეს. ეს ასე მოხდა: ერთხელ, სკოლაში, ჩემს გაკვეთილს კათედრის გამგედ დაესწრო და შემამოწმა. გაკვეთილი რომ დასრულდა, მიმიხმო და მკითხა, რას ესაქმანობდი და მასთან ხომ არ ვისურვებდი მუშაობას. მან განცხადების დაწერა შემომთავაზა და შემხილდა: ხელს შევიწყობო. გადაწყვეტილება სამეცნიერო საბჭოს უნდა მიეღო. მე და ფრაუ კრიცი ერთად მივეიღეს. უნივერსიტეტში 40 წელი ვიმუშავეთ.

### **როდის გაიცანით თქვენი მეუღლე?**

1953 წელს. ჩემი მეგობრის დედა სამხედრო ჰოსპიტალში მუშაობდა. იმ პერიოდში ჩემი მომავალი მეუღლე ლენინაკანიდან გადმოეყვანათ. იგი ჯერ ჩემი მეგობრის დედამ, შემდეგ კი თავად ჩემმა მეგობარმაც გაიცნო. ჩვენ, სამი მეგობარი, ხშირად ეხვედებოდით ერთმანეთს. ჩემი ქმარი მათ უკვე იცნობდა და ერთ-ერთ მათგანს უთქვამს მისთვის: იცით, ჩვენ შესამე მეგობარი გვყავს და, როგორც კი მას ნახავთ, მაშინვე შეგიყვარდებით.“ ბუნებრივია, ეს ხუმრობა იყო. მერე ერთმანეთი გავიცანით და მას შემდეგ კულში დამსდევდა. ძალიან ოფიციალური და დახვეწილი თაყვანისმცემელი იყო. არაგითარი ინტიმური ურთიერთობა არ გექონია, მაშინ ეს სირცხვილად თიულებოდა. მას ერთი ქალიშვილი ჰყავდა, რომელიც მოსკოვში, მაიდასთან ცხოვრობდა. ჩემი ქმრის პირველი მეუღლე ლენინგრადის ბლოკადის დროს დაიღუპა. პატარას კი კანზე ამოაკაწრეს სახელი და ობოლთა თავშესაფარში მიიბარეს. მაშინ ჩემი მეუღლე ფრონტზე იყო, როგორც სამხედრო ექიმი. მან იქიდან მისწერა დას: ბავშვი მოტყენო. ჩემმა მულმა, ომის პერიოდში, მთელი ქვეყანა მოიარა, ვიდრე გოგონა ერთ ბავშვთა სახლში არ იპოვა. ბავშვი სრულიად მოუელეელი იყო, პატარა ველურ ცხოველს ჰგავდა და ველარკის ცნობდა. ის 1938 წელს დაიბადა და 4 წლის იყო, რომ იპოვეს. ჩემმა მულმა მოსკოვში წაიყვანა და გაზარდა. როდესაც ჩემმა მომავალმა მეუღლემ ჩემზე დაქორწინება გადაწყვიტა, დედამეტი, უკვე პენსიონერი, ვენდილსში იყო დაბრუნებული. ჩემმა მეუღლემ მას წერილი გაუგზავნა და ჩემთან და თავის ქალიშვილთან ერთად ჩასვლის ნებართვა სთხოვა. ასე გავიცანი ლიდა. ჩვენ დაუმეგობრდით, თუ ის ღვიძლი შეილითი მიყვარს. დედასთან მთელი ზაფხული დავტარეთ. ძალიან მომწონდა ჩემი მომავალი მეუღლეც. სხვათა შორის, ის ებრაელი იყო. ებრაელი გახლდათ ჩემი მეგობარი გოგონაც. ებრაელებს აქ არასდროს ჰქონიათ პრობლემები. ზოგიერთი მათგანი 1937 წელს დაასატიმრეს, მაგრამ არა მათი ეროვნების გამო. ებრაელები აქ უკვე 2000 წელია ცხოვრობენ.

დაბრუნების შემდეგ, ჩემმა მომავალმა მეუღლემ ოფიციალურად მთხოვა ხელი და ისიც მკითხა, ჩემი გუარის დატოვება მსურდა თუ მისაზე გადავიდოდი. ვეითხე, ამას მისთვის თუ ჰქონდა მნიშვნელობა. – არაო – მითხრა. ამდენად, ჩემს გუარზე დავტარე – არ მიწილდა ჩემი ღოკუნებების კიდვე ერთხელ გადაკეთება. მაშინ 34 წლის ვიყავი. ჩვენ 1954 წელს ექორწინეთ თბილისში. ჩემი გერის გადმოყვანაც მიწილდა, მაგრამ მე-10 კლასის ამთავრება და იქ დაეტოვეთ – აღარ მოეწყვიტეთ თავის გარემოს. გარდა ამისა, მან ქართული არ იცოდა, ეს კი აუცილებელი იყო აქ სწავლის გაგრძელებისთვის. ლიდამ მოსკოვის ოქროსა და ლითონმცოდნეობის ინსტიტუტი დაამთავრა და იქვე გათხოვდა. მას შემდეგ, რაც მეუღლე გარდაემკვალა, ყოველ წელიწადს ჩამოდის ჩემთან.

### **სად სწავლობდა თქვენი მუღლუე?**

ჩემმა ქმარმა მოსკოვში დაამთავრა სამედიცინო ფაკულტეტი, მოგვიანებით კი ადამიანის-მაკვარი მაიმუნების ქცევებმა დაინტერესა. სოხუმში მაიმუნების საკვლევი საშენი იყო და იქ გაიარა პრაქტიკა. სწავლის დამთავრების შემდეგაც იქ მუშაობდა. მაგრამ, მისი აზრით, ბიოლოგია კარგად არ იყო და გადაწყვიტა, კიდე ერთხელ შეესწავლა ეს დარგი. ამიტომ იყო, რომ გვიან გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. მან საბუთები გაეზაუნა ლენინგრადის სამხედრო აკადემიაში, რომელშიც მამინეუ მიიღეს. იქ შეუღლესა და ქალიშვილთან ერთად გააბილა. შემდეგ ფრონტზე გაეზაუნეს. არ ვიცი, მისი ცოლი ლენინგრადში როგორ ცხოვრობდა – ბლოკადა ხომ 900 დღე გრძელდებოდა; თავიდან ის გადარჩა, ვინც ვირთხებით იკვებებოდა, შემდეგ კი ვირთხებიც გაქრნენ. ჩემს ქმარს, როგორც ექიმს, ყველგან აეზაუნინდნენ, თბილისშიც ასე მოხდა.

### **გერმანელი ტყვეები თუ გახსოვთ?**

იხინი თავისუფლად დადიოდნენ, ეზოებში შემოდიოდნენ და კითხულობდნენ, ვინმეს ხომ არ სჭონდა შემა დასარჩები. ერთხელ, ერთი თერძი შემოვიდა, მას ვალტერი ერქვა. ჩვენ გერმანულად გამოვესაუბრეთ ერთმანეთს. ორი დღით ჩვენთან დარჩა და პალატებს გვიკურავდა. ვკითხუ: ამას როგორ ახერხებ, ღამით ხომ ყაზარმაში უნდა იყო-მეთქი. როგორც მან გვიამბო, ფულს იხდიდა და მის არყოფნასაც აღარ იმჩნევდნენ.

ერთხელ, ხელში ნათესავი ბიჭი მეჭირა და ისე ჩავეურე მშენებლებს. ბავშვს რამდენიმე სიგარეტი მივეცი და ტყვეებთან შეეკაზაუნე. ვინ გააჩერებდა პატარა ბიჭს?! იქ ერთი ხანდაზმული, შავოსანი ქალიც მოდიოდა და თავად გაჭირვებულს, ტყვეებთან პური მიჰჭონდა; მათ ყოველდღე აკითხავდა და პურის ნახევარს უნაწილებდა. შესვლას უშლიდნენ, მაგრამ თავისი მინც გაქონდა. ჩემი ბიძაშვილიც შეუშვეს. მათ არავინ ეჩხუბებოდა და არც შეურაცხყოფას აყენებდა. ერთხელ ამ ქალს ქართულად ვკითხუ: ასე რად იქცევით-მეთქი? მიასუსხა: ჩემი ვაჟიც ტყვედა და იქნებ რომელიმე გერმანელმა დღეამ მასაც მისციეს ერთი-ორი ნატეხი პურიო. ეს რომ მახსენდება, თვალები ცრემლებით მეცხება ყოველთვის.

### **სად ცხოვრობდით მუღლესთან ერთად?**

თბილისში. ერთი ოთახი 30-იან წლებში ჩამოგვართვეს. ბევრი სარდაფებშიც ცხოვრობდა. მშენებლობები, თითქმის, არ მიმდინარებოდა. ეისაც შედარებით დიდი ბინა სჭონდა, ყველას ჩამოართვეს ოთახი. ორი სული მოსახლისთვის 20 კვ.მ. საკმარისი იყო. ასე ვიცხოვრე ჩემს ქმართან ერთად. მართალია, მან ერთ ფინურ სახლში მიიღო ოთახი, მაგრამ აბაზანას და სამზარეულოს სხვა ოჯახთან იყოფდა. ამიტომაც, ვცხოვრობდით დიდ სიღირსოვებში. არც რამეს ყიდვის უფლება გვქონდა. უნივერსიტეტი რომ აშენებდა ამ სახლს, ბინაზე განაცხადი შევიტანე. სამწუხაროდ, ჩემი ქმარი ვერ მოესწრო ამ ბინაში გადმოსვლას.

### **მუღლე როლის გარდაიცვალა?**

ქარი 1975 წელს დაძლეულა. მას კუჭის კიბო ჰქონდა და ოპერაცია გაუკეთეს. ექსი თვის შემდეგ გარდაიცვალა კიდეც. მარტოს მომიხდა ამ ბინაში გადმოსვლა. ჩემი ნახევარდაცხოვრობდა ჩემთან. მოვეციანებით, ის ავარიში მოყვა. ეს ღამე მოხდა. ყველგან ვეძებდი ტელეფონით. მე ფეხი მქონდა მოტყენილი და არ შემებლო სიარული. ღამის 2 საათზე მეზობელი შემოვიდა და მითხრა, რომ ჩემი და საავადმყოფოში იწვა დაშავებული. ჩემი მდგომარეობის მიუხედავად, მაშინვე მოვინდომე იქ წასვლა. ჩემი და უკვე გონდაკარგული იყო და მხოლოდ კეხსოდა. ექიმს ეუთხარი: მის გადასარჩენად ყველაფერი გააკეთეთ, ფულზე ნუ იფიქრებთო. იმხანად, ფულს მალულად იხდიდნენ. რაც საჭირო იყო, უკვე ყველაფერი გააკეთეთო. მან სულ რამდენიმე საათი იცოცხლა. საწოლთან ევეჯეტი და მისი ხელი და ფეხი მეჭირა, ვიდრე არ მიიცილა. მას შემდეგ, მარტო ვცხოვრობ.

### **როგორ გამოიარეთ დამოუკიდებლობის პირველი წლები?**

თავიდან ყველანი ეთიორიაში ჩაკვიდნენ. დამოუკიდებლობა! ეს ხომ ყველას ხურდა და გასაგებიცაა, რადგან ქართველები მუდმივად სხვაზე იყვნენ დამოკიდებულნი. შემდეგ კი მიშველი რეალობაც მოვიდა და სირთულეებს ბოლო აღარ უჩანს. ყველაზე უარესი უშუშეერობაა. მაგრამ, საერთო ჯამში, ეახერხებთ თავის გატანას. ჩემი პენსია 47 ლარია (23 ევრო). პირადად მეხოლოდ 14 ლარი მეკუთვნის, მაგრამ ჩემი ქმრის კუთვნილ პენსიასაც მძღვევენ. მიუხედავად ამისა, ეს ფული საკმარისი არ არის. გერმანულში ვატარებ ყველა გაკეთილებს, რათა გაზის საფასურის გადახდა ან ჩემი წამლის ყიდვა შევძლო.

### **როგორია თქვენი სოციალური გარემოცვა?**

ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს ჩემს მეზობლებთან. მე ხომ ქართულიც ვიცი. ქართველები გულკეთილი ხალხია. მე აქ გავიზარდე, რუსულიც ვიცი. ჩემს თავს არც ასპროცენტთან ვერმანძლად და არც რუსად მივიჩნევ. ეიტყოდი, რომ კოსმოპოლიტი ვარ. ჩემთვის არ არსებობს ეროვნული საზღვრები. არ მესმის ეს სიძულელი. როგორ შეიძლება, ვინმე მისი ეროვნების გამო შეიძლო? ეს საშინელებაა. ადამიანებს მათი თვისებების მიხედვით ვაფასებ: თუა მშრომელი, წესიერი, ღვთისნიერი. ქართველები არ არიან მტრულად განწყობილი ხალხი. ცოტა ფიცხები, მაგრამ კეთილები არიან. ახლა მძიმე დროა და ისინიც, უფრო მეტად, თავის თავში ჩაიკეტნენ – საკეუბზე ფიქრობენ. მათთვის, ვისაც სოფელთან აქეთ კონტაქტი, საქმე უფრო გაიოლებულია – ფეტილს, ლობიოსა და ხილს უგზავნიან. ყველაზე მეტად ქენსიონერებს უჭირთ, მათ არავითარი ხელშეწყობა არ აქვთ. ადამიანს ყოველგვარ სიტუაციასთან შეუძლია შეგუება, რადგან უკეთესობის იმედი აქვს. ძალიან მინდოდა, მეფილი მყოლოდა. ერთ დროს ბავშვის აყვანაზეც ვფიქრობდი. შემდეგ გადავწყვიტე, რომ ჩემს ქმარს ამით გულს ვატკენდი – მას ხომ ქალიშვილი ჰყავდა. სულ კეუბნებოდი, ის ჩემი შვილიც არის-მეთქი.

### **თქვნი აზრით, რა არის ტიპური გერმანული?**

ჩემთვის ეს გერმანული ენა და ლიტერატურაა. ერთ მოსწავლესთან ერთად წაიკითხე „ვერ-აგობა და სიყვარული“, რამაც ძალიან იმოქმედა მასზე. უურჩიე, კლასიკის გაცნობილი და სხვა წიგნები მივეცი: თომას და ჰაინრიხ მანები, კაუკა და ბიოლი.

### **გსურთ გერმანიაში ცხოვრება?**

ნამყოფი ვარ გერმანიაში – ოთხჯერ ვიყავი ვერ-ში. ახლა გამორიცხულია ჩემი გამგზავრება. სად წავალ ჩემი გაუბედურებული მუხლებით? არ მინდა გერმანიაში გადასახლება, რა უნდა გაეკეთო იქ?! არაფერს მყავს, მხოლოდ პენსიას ავიღებ და მოხუცებულთა თავშესაფარში ვიჯდები. არა, ეს არ მინდა! მიუხედავად იმისა, რომ ინვალდი ვარ, აქ აქტიური ცხოვრება მაქვს. მოსწავლეები მოდიან, მეზობლები და მეგობრები მაკითხავენ. ჩემს დაბადების დღეზე ყველანი მოდიან. გერმანიაში კი არაფერს მყავს. დასაყვლეთ გერმანიაში არ ვარ ნამყოფი და ენა-ხაელი, რომ შემქმნოს. მაგრამ, ეს აღარ მოზერხდება; ჯერ ერთი, ძალზე ასაკოვანი ვარ, მეორეც – ინვალდი და მესამეც – ამისთვის ძალზე ღარიბი.



## ფრიდა მაიერი

ფრიდა მაიერის წინაპრები 1817 წელს ჩამოვიდნენ თბილისში, უფრო ზუსტად კი – მარიენფელდში. ფრიდა მაიერის მამამ, ასტორმა რიჩარდ მაიერმა, ებილია ვეტცელზე (1869-1933) იქორწინა. ებილიას მამა, იაკობ ვეტცელი, ლუდის საწარმოს მფლობელი იყო. მან, გამდიდრების შემდეგ, არქიტექტორ ბილფელდს სასტუმროს მშენებლობა შეუკვეთა მიხეილის პროსპექტზე (დღევანდელი აღმაშენებლის გამზირი). გარდა ამისა, იაკობ ვეტცელი ქალაქის მუნიციპალიტეტის წევრიც იყო. 1931 წელს ასტორი მაიერი დააპატიმრეს და ნოეოსიბირსკში გადაასახლეს.

მისი ქალიშვილი ფრიდა 1906 წელს დაიბადა თბილისში. იგი ცოლად გაჰყვა რუს ნიკოლოზ მელიკოვს. ცოლ-ქმარს ერთი ქალიშვილი შეეძინა. 1936 წელს ფრიდა დააპატიმრეს; იგი, 16 წლის განმავლობაში, მონაცვლობით, იმყოფებოდა ციხე-ბრისა და ყაზახეთის ბანაკებში. 60-იან წლებში ფრიდა თბილისში დაბრუნდა და ოპტიკოს ალექსანდრე მიულემანზე იქორწინა. 1994 წელს ცოლ-ქმარი გერმანიაში გადასახლდა. ალექსანდრე მიულემანი იმავე წელს გარდაიცვალა. სიბრძნის მიუხედავად, ფრიდა მაიერმა მემუარები დაწერა და 1998 წელს ერთ-ერთ კერძო გამოცემლობაში გამოაქვეყნა.

## რა იცით თქვენი მშობლების ბავშვობის შესახებ?

დღეა ცოტა რამეს მიახმობდა, მაგრამ ვიცი, რომ ის ყოველმხრივ კარგ პირობებში ცხოვრობდა. დედა ფლობდა გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებს. მამას მუსიკალური მონაცემები ჰქონდა და უნდოდა, პიანისტი გამხდარიყო, მაგრამ მასწავლებელს უთქვამს: უკვე დაკვიანებულიაო. ბაბუას, ვაჭარ იოჰან მაიერს, ისედაც სხვა გეგმები ჰქონდა შეილებთან დაკავშირებით: ხუთივეს სამედიცინო განათლება უნდა მიეღო. ამიტომ მამამეტი სასწავლებლად რეველსა (დღევანდელი ტალინი) და გეტინგენში გაგზავნა. თუმცა მამა, ანატომიის შესწავლისას, გამუდმებით კარავდა გონებას, რის გამო სპეციალობა შეიცვალა და თეოლოგია შეისწავლა.

## როგორ გაიცნეს თქვენმა მშობლებმა ერთმანეთი?

იმხანად, თბილისში, გერმანული საზოგადოება ცხოვრობდა. ჩემი დედ-მამაც იქ შეხვდა ერთმანეთს. მათი მამები კარგი მეგობრები იყვნენ. ჩემმა მშობლებმა 1899 წელს იქორწინეს.



ქასტორი მაიერი ოჯახთან ერთად

### **როგორ გამოიყურებოდა თქვენი მშობლების სახლი?**

ჩვენი სახლი ჯერ კიდევ იდგას. ადრე ის მარჯანიშვილის მეტროს მოპირდაპირე კუთხეში, ეკლესიის გვერდით იდგა. ეს ეკლესია 1946 წელს დაანგრიეს გერმანელმა ტყვეებმა. მარჯანიშვილის ქუჩას რომ აუყვებოდა, იდგებოდა შენიშნაუთ ამ შენობის ფლიგელს. იქ ქასტორატი იყო. იდგებოდა ეს შენობა ნაცრისფერია, ადრე წითელი აგურის იყო. ჩვენი სასადილო ოთახი 40 კვადრატული მეტრი იყო, საცხოვრებელი ოთახი – 60 კვ.მ., მშობლების საძინებელი – 28 კვ.მ., ბავშვების ოთახი – 24 კვ.მ., სასტუმრო ოთახი – 22 კვ.მ., მამაჩემის კაბინეტი კი 28 კვ.მ. იყო. გარდა ამისა, ფართო სამზარეულო ოთახიც გვქონდა. ასე ზუსტად იმიტომ მასსოვს ოთახების ფართი, რომ, მოგვიანებით, ყველა მათგანი გაზომეს და დააყვეს. ნებადართული აღარ იყო, რომ ყოველ ადამიანს საკუთარი საცხოვრებელი ფართი ჰქონოდა. ოთახს მთელ სიგრძეზე გასდევდა ფართი, ღია აივანი. ჩვენ მეორე სართულზე ვცხოვრობდით, რეალური გიმნაზიის ღარი-სების შემდეგ კი მესამე სართულზე გადავედით. ბავშვებს შუაში ძიძა გვყავდა, კოლონიიდან. ზამთრობით კოლონიის მაცხოვრებლები ქალაქში ჩამოდრიოდნენ ფულის საშოვნელად.

### **რომელ სკოლაში სწავლობდით?**

საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში დაარსდა გერმანული რეალური გიმნაზია. ეს კარგი სკოლა იყო. იქ ქართველები, რუსები, ებრაელები და გერმანელები სწავლობდნენ. არ მახსოვს, განსხვავებული ეროვნების გამო, რაიმე უთანხმოება ყოფილიყო. გიმნაზია 1925 წლამდე არსებობდა. საქართველოს გასაპყობის შემდეგ, ამ სკოლებში ქართულ ენასაც ასწავლიდნენ. ექვსი წელი ვსწავლობდი ქართულს, მაგრამ ენა, როგორც ასეთი, არ მისწავლია - საერთოდ არ გვექონდა პრაქტიკა. პირველად, გერმანულთან ერთად, რუსულად ვლაპარაკობდი, შემდეგ სკოლაში ვსწავლობდი ქართულს; ამასთანავე, კერძოდ ვემზადებოდი ფრანგულსა და ინგლისურში.

### **როგორ შეიცვალა თქვენი ცხოვრება, როდესაც წითელი არმია შემოვიდა?**

ჩემი და - ელა, როგორც პასტორის ქალიშვილი, ასოციალური, არასასურველი წარმომავლობის მქონე, კონსერვატორიიდან გარიცხეს. მეც აგრეთვე მიყურებდნენ, თუმცა, არ განვიციდელი. მაგალითად, ერთ-ერთ სტუდენტურ შეკრებაზე განმიცხადეს, რომ, რადგანაც პასტორის ქალიშვილი ვიყავი, ბევრი ფული მექნებოდა. არადა იმ დროს უკვე ვმუშაობდი. დამატებით კაკეეთილებს ვატარებდი, მაგრამ, ზემოხსენებული მიზეზით დაეყვინა და გაასამართლეს. ელიტას უკვე ის ეკუთვნოდა, ვისაც მუშა ან, სულაც, კომუნისტი მამით ტრაპაზი შეეძლო.

მამა 1931 წელს დააპატიმრეს. ადვილი წარმოსადგენია, თუ რატომ... მოგვიანებით ხომ თავად მომიწია ამ გზის გაელა?! კრიზისალური კოდექსის 58-ე პარაგრაფის მე-10 პუნქტი კონტრევოლუციურ იდეოლოგიას, ავტაიას, პროპაგანდას და კონტრევოლუციურ ლიტერატურას ეხებოდა, მე-11 პუნქტი კი - ორგანიზაციებს. ნათელია, რომ მამას, როგორც ობრპასტორს, აღმინისტრაციული თანამდებობა ჰქონდა. მე-6 პუნქტი შიშისაგან შესახებ იყო. იმ პერიოდში გერმანიის საკონსულოსთან სრულიად ოფიციალური ურთიერთობაც შიშისაგან ითვლებოდა. გარდა ამისა, რელიგიასაც ებრძოდნენ. კომუნისტურ წყობას არ სჭირდებოდა ღმერთი. ეკლესიები დაანგრიეს, ადამიანები დახვრიტეს. ზოგიერთი ცნობის თანახმად, მამაჩემიც დახვრიტეს. მაგრამ მე ეს არ მეჯერა. ეს უფრო ადრე იყო - 1931 წელს, ასე უბრალოდ ჯერ კიდევ არ ხვრეტდნენ ადამიანებს. ვფიქრობ, ციხის პირობებმა შეიწირა მამის ჯანმრთელობა, ამიტომაც გარდაიცვალა.

### **რა გეგმები გქონდათ სკოლის დამთავრების შემდეგ?**

სასწავლებლად გერმანიაში ვამგზავრება მინდოდა, რის ნებართვასაც სამი წელი ტყვილად ველოდე. თეოლოგიისა და ორლანის შესწავლას ვაპირებდი. ეს თანხებთან იყო დაკავშირებული - ყოველი განაცხადისთვის ფულს ვიხდიდი. ამიტომაც შევეშვი ამ მცდელობას და უცხო ენათა ინსტიტუტის კურსები დავამთავრე. მართალია, მასწავლებლობა არ მინდოდა, მაგრამ როგორღაც ხომ უნდა მეც ხოვრა?! მეც ენას ვასწავლიდი. ერთი წლის განმავლობაში ექვსიამო ორლანისტადც ვმუშაობდი. წელიწადი ბაქომი ვცხოვრობდი და დღედაშვილებს



ვამეცადინებდი. იქ ყოფნისას, დაუსწრებელზე განავარძე სწავლა. 1928 წელს, როდესაც კურსები დაასრულე და გერმანიაში სწავლის გაგრძელების თაობაზე საბოლოო უარი მივიღე, ერთი გოგონას მომზადება შემოთავაზეხ. იგი ლენინგრადის უცხო ენათა ინსტიტუტში აბარებდა. ასე მოვხვდი ერევნის უნივერსიტეტის პრორექტორის ოჯახში. შემდეგ მამამ მოთხოვნა გააკეთა, რომ მის ქალიშვილს ერევანში ესწავლა; რადგანაც უმუშევარი ვიყავი, პრორექტორმა მეც იგივე შემოთავაზა. მიწოდდა კიდევ მესწავლა და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე შევედი. იმ პერიოდში რეალურ სასწავლებელს არ ჰქონდა ფიზიკის კაბინეტის მსგავსი რამ და, ამდენად, ჩემთვის ძალზე საინტერესო იყო ქიმიასი ცდების ჩატარება. თუმცა იმის გამო, რომ სოხუმის ცოდნა მესაჭიროებოდა, სწავლა შევეწყვიტე – მაინც არ უპირობო სოხუმში დარჩენას. შემდეგ, თბილისში, სუბტროპიკების ინსტიტუტში შევედი, სადაც სასწავლო პროცესი რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. იქ გაეიცანა ჩემი რუსი მეუღლე, 1931 წელს. ორი წლის შემდეგ დაქორწინდით. დედამისი ფორტეპიანოს მასწავლებელი იყო, განათლება ლენინგრადში ჰქონდა მიღებული. მამამისი, ექიმი, 1921 წლის სამოქალაქო ომში დაიღუპა. ქმართან ერთად, ცოტა ხანს, მხოლოდ 4 წელი ვიცხოვრე – 1936 წელს დამაპატიმრეს.

### რატომ დაგაპატიმრეს?

ამისთვის არც იყო საჭირო კონკრეტული „რატომ“. ეს, როგორცაც, ენის კურსებს უკავშირდებოდა. ინსტიტუტის ხელმძღვანელი ნინო ამაღლობელი იყო, საქმეთა მმართველი კი – ერთი რუსი, თეთრი გვარლის ყოფილი ოფიცერი, გვარად ოზეროვი. იგი 1934 წელს დააპატიმრეს. ვფიქრობ, ოზეროვს საეჭვო პიროვნებების დასახელება მოსთხოვეს, მან კი მე, ანგლისტიკოს ერთი სტუდენტი და ჩაკერტი დაასახელა. მანამდე ჩაკერტი გერმანულ რეალურ სასწავლებელში ასწავლიდა. დამაბრალეს, თითქოს, ჩაკერტისგან დავალეებებს ვიღებდი. დაასკენეს, რომ ის ბაქოში ჩამოსული იყო ჩემთვის რაღაცის გადმოსაცემად, მაგრამ რის – არავინ იცოდა. ჩემი მამის გამოძიება რომ დაמתაერდა, სამხედრო სასამართლოს გადასცეს, მას ეკუთვნოდა პუნქტი შიონრაიის შესახებ. სასამართლომ გამამართლა, მაგრამ შემდეგ ხელახლა მონიდომეს ჩემი საქმის შესწავლა. 1937 წელი ახალი დაწყებული იყო, ამიტომაც ციხიდან აღარავის უშვებდნენ. ჩემთვის არ მოუთხოვიათ არავითარი მტკიცებულება. უბრალოდ, კრიმინალური კოდექსის 58-ე პარაგრაფის მე-12 პუნქტით წამომიყენეს ბრალდება – რომ რაღაც დაეშალე და არავინ დაეასმინე ისეთი, ვის შესახებაც მთავრობისთვის უნდა მეცნობებინა. არც ვიცი, ვინ უნდა დამეხმინა.

სტალინი ერთპიროვნული მმართველი იყო. მას ახალი დაწყებული ჰქონდა წმენდა და, პირველ რიგში, თავისი პარტიიდან მოიშორა მეტოქეები. სტალინს სამუშაო ძალა სჭირდებოდა, რისთვისაც ხალხი დააპატიმრებინა – ასე იმოუვა იათი მუშახელი. მან გამამარტოვა გამოძიების პროცესში. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში, საერთო ფაშში, კიდევ 9 თვე მიმდინარეობდა ჩემი დაკითხვა. საქმის მოსმენა დასრულდა თუ არა, სამხედრო სასამართლომაც შეცვალა მეთოდი: ადამიანები, უმეტესად, ღამ-ღამობით გაკაცავდათ საკნებიდან ე.წ. „სამეულთან“, რომელსაც განაჩენი გამოჰქონდა: ხან 10 წელი, ხან დახურეტა; ყველაზე მცირე

ვად 5 წელი იყო, შემდეგ – 10 წელი, უმაღლესი კი – დახვეწა. ომი რომ დაიწყო, ხალხს 10, 15, 25-წლიან ვადას ან სიკვდილს უსჯიდნენ. სინამდვილეში განთავისუფლება ბევრთათვის, მაგრამ არ გამოძიშვეს, რადგან ის სამხრელი პერიოდი დაიწყო. 8 წლით მომსახურეს ბანაკი. ჩემი ოჯახის ოთხმა წევრმა „გაიცნო“ შინსახკომი: მამაჩემმა, მე, ლეონ-გრადმა მყოფმა ჩემმა უმცროსმა დამ და უმცროსმა ძმამ, რომელიც დახვეწილს.

### **სად წახვედით სასჯელის გამოტანის შემდეგ?**

ციხიდან, სამგზავრო სადგურის ნაცვლად, სატვირთო სადგურზე გავიყვანეს. პატივები საქონლის ვაგონებში შეგყვარეს – იმდენი, რამდენიც ღვეტელოდით. ბაქოში გემზე გადავიყვანეს. კასპიის ზღვა გადავტურეთ და კრასნოვოდსკში გადავგვისხვს. გამუდმებით გვყარულობდნენ. 16 წლის ანუ მთელი იმ ვადის განმავლობაში, რომელიც მომსახურეს, 20 სხვადასხვა ადგილი მოვიარე. გამოვვიძახებდნენ: „ნა ეტაპ!“, რაც იმას ნიშნავდა, რომ მომდევნო ტრანსპორტირებისთვის უნდა მოემზადებულყავით.

### **როგორი საცხოვრებელი პირობები იყო ბანაკში?**

სამუშაოს მიხედვით ვიღებდით პურს, რომლის გემოზე საუბარიც არ შეიძლება. რაღაც ხუკს, შერიას, ქერის ბურღულსა და ბოსტნეულს გვირეგებდნენ. ციმბირში გაყინულ კარტოფილს და ძალიან ცოტა ცხიმს ვეატლევდნენ, ზოგჯერ – შაქარსაც. ჰიგიენური პირობები ხან ცუდი გვექონდა, ხან კი – შედარებით უკეთესი. აბანოში ყოველ თვე დაყავდით, რის შემდეგაც ჩვენი ტანსაცმლის დეზინფექციას ახდენდნენ. ჩვენი ნივთები, კარგა ხანს ყარდა სადღეინფექციო საშუალებების სუნი.

### **როგორ გეყარობდნენ მცველები?**

ხვადასხვა წარმომავლობის მცველები იყვნენ: რუსები, უზბეკები, უკრაინელები. ყველაზე აარაღს ატარებდნენ, ზოგიერთი მათგანი არმიიდანაც იყო. ერთმა უზბეკმა დაივინა, რომ მთელი დღე იზოლატორში გამეტარებინა. ეს მხიარული ისტორიაა, თუმცა ჩემთვის არც ისე სახალისო: ტანსაცმლის ანგარიშმწარმოებლად ვემუშაობდი ბიუროში. ახალი ტუსალები რომ მოკავდათ, მეც იქვე უნდა ვყოფილიყავი და ჩამეწერა, რას იღებდნენ სახელმწიფოს კუთვნილი ტანსაცმლიდან. ერთხელ ერთი ჯგუფი შუაღამეს მოვიდა. სანამ საქმეს დაეამთვრებდით, დაგვათენდა კიდევ. ის იყო, თუი მიეღე და ყარაულიც მოვიდა – ხელახლა უნდა დაგვეანგარიშებინა. დილაობით ადრე გვიწვევდა ადგომა, რომ გადაგვეთვალა; კოდა, რომ გაკადვიდა, ხმადებლა ვუთხარი: ჯანდაბამდე გზა გქონია-მეთქი. სასწრაფოდ უნდა ავმდგარიყავი. მან მაშინვე ბანაკის უფროსთან დამასმინა, რის გამოც მთელი დამე იზოლატორში უნდა გამეტარებინა. ოთხ კედელში ერთი ტახტიც და ორმო იყო, რომელიც დამის ქოთნის მაგივრობას სწევდა. ვიცოდი, რომ ხეზე უნდა დავწოლილიყავი და თბილად ჩაიცვი. არ მიხლოდა, შეტყობოდა, რომ ჩემთვის რაიმე მნიშვნელობა ჰქონდა იზოლატორში ერთი დამის გატარებას.

### **სად იმყოფებოდით ომის დაწყებისას?**

ომი რომ დაიწყო, ძალიან კარგ ბანაკში ვიყავი. ბანაკებიც განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. ხის ბანაკებში ხის ტახტები იდგა მთელ სიგრძეზე. იქ ერთი მეზობელი ქალი მყავდა – ვოლგის პირელი გერმანელი, ერთი გაუბედურებული ადამიანი. სულ მუდამ რწყილებს ჰვებდა – დაჯდებოდი თუ არა, ყველგან მაცოცდებოდნენ. იძულებული ვხდებოდი, ტანსაცმელი გამეხადა და რწყილები დამტვირთა; ყოველ დღილას ვამოწმებდი, ხომ არ მყავდა. იყო თმისა და ტანსაცმლის რწყილები. რის პოენასაც შევძლებდი, ვიმორებდი და შემდეგ მივდიოდი ბიუროში სამუშაოდ.

### **ჯანმრთელობის მხრივ, როგორ გრძნობდით თავს იმ პერიოდში?**

ჯანმრთელობა მქონდა, ძალები კი – არა. ხან ასე ვიყავით, ხან – ისე. თუ საკმარისად მოგვეპოვებოდა საკვები, ცოტა ძალაც გვექონდა, თუ არა და მკვდარი უფრო გვეთქმოდა, ვიდრე ცოცხალი. არ ვავადმყოფობდით, მაგრამ გამოფიტულებს მუშაობის თავი აღარ გვექონდა. თავდაპირველად მიწორში გამგზავნის მძიმე სამუშაოზე, მოგვიანებით კი კანტორაში მივედი. სხვათა შორის, ის კაცი, ვინც ხელი მომიკიდა და კანტორაში დამსვა, ებრაელი იყო. ომამდე იქ ვიმუშავე, შემდეგ სამკერვალო ფაბრიკაში მივედი. ნახევარ წელიწადში გათვალტყავებულ ჩონჩხად ვიქეცი. 1943 წელს მგვონა, რომ ბოლო მომეღებოდა; წერილიც კი დავწერე იმ შემთხვევისთვის, თუ მოკვდებოდი. სრულიად დაუძღვრებული ვიყავი. იმ პერიოდში, ტილებისგან გულშეწუნებულმა, სულ მოკლედ შევიჭერი თმა.

### **განსხვავებული ბანაკები იყო?**

სპეციალური ბანაკები იყო ქალებისა და კაცებისთვის, მაგრამ ერთად ვმუშაობდით. სულ თავიდან პოლიტიკური და კრიმინალური დამნაშავეები სხვადასხვა ბანაკებში იყვნენ. შემდეგ მათი რიცხვი ისე გაიზარდა, რომ ბანაკები შეატეთეს. მე შერეულ ბანაკებში მომიწია ყოფნა.

### **ბანაკში შეგებლოთ მეგობრული ურთიერთობების დამყარება?**

პატიმრებს სულ მუდამ უტყვიდნენ ადგილს, რათა არ დამეგობრებულყვნენ და ადამიანებად არ ეგრძნოთ თავი. ადამიანი არაა შექმნილი განდევნილად ცხოვრებისთვის და, ბუნებრივია, მეგობრებს ეძებს. მაგრამ ეს მეგობრობა დიდხანს არ გრძელდებოდა – მენ გტოვებდნენ, სხვებს კი შორს აგზავნიდნენ. გარდა ამისა, მეგობრობისთვის ძალზე არამყარი საფუძველი იყო; არა მარტო პატიმრები, თავისუფალი ადამიანებიც ერიდებოდნენ ერთმანეთს. მათ თავიანთი პატრიოტიზმი უნდა ეწვევებინათ, ფრთხილად ყოფილიყვნენ, რომ უცხო ელემენტი არ აღმოცენებულაიყო საღმე. ეს განსაკუთრებით რთული იყო ბანაკში, ისეთ პატარა ტერიტორიაზე ხომ იმდენი ადამიანი ცხოვრობდა.

### **ასე რომ, ვერაეის ენდობოლით?**

ვერა. თავადაც მსხვერპლად ვიქეცი, უმნიშვნელო მსხვერპლად – მე ხომ გერმანელი ვიყავი და ჯერ ომიც არ იყო აღმთავრებული. გარდა ამისა, ინტელიგენციას მივეკუთვნებოდი, მასზე კი ყოველთვის ადვილად მიუწვდებოდათ ხელი. ვერ ვამჩნევდი, რომ მაკვირდებოდნენ. ერთხელ, ბარაკის უფროსი გამოძახებდა: „შენ ხომ განათლებული ხარ. ბარაკის გახუთის გამოცემა გეინდა. შეგიბღია, გადახელო?“ რა უნდა შეასუსხა? ვუთხარი, რომ არაფერს დავწერდი. ასე რომ, მხოლოდ ტექნიკური რედაქტორი ვიყავი – გახუთს ვამოწმებდი და ვასწორებდი. ერთხელ ჩემი დასმინის მიზეზი თავადაც მივეცი მათ. ხმა დადიოდა, რომ ერთ-ერთი გახუთის ძალზე საინტერესო ნომერი გამოსულა; თითქოს, სტალინმა ერთ ინგლისელ ჟურნალისტს მისცა ინტერვიუ და 20 შეკითხვას უპასუხა. ბარაკის უფროსს ვთხოვე: გახუთი რომ გამოვა, მეც წამაკითხეთ-მეთქი. შუალამისას გამაღვიძეს და ბარაკის უფროსის კუთხესთან მიმიყვანეს – გახუთის წასაკითხად დამიძახეს. ძალიან ფრთხილად ვიყავი, რომ რაიმე არამართებული არ წამომცდებოდა. მიზეზი კი მივეცი, მაგრამ ის ხომ არ მითხოვია, ღამე წამიყვანეთ-მეთქი? ორი მოწმე მყავდა, მათ რომ პირი შეეკრათ, ჩემი საქმე წასული იქნებოდა. მაგრამ ორივეს ეყო სინდისი და არ დამასმინეს. მანამდე უკვე ორი შემთხვევა იყო, როცა უნდა მიემხედარიყავი, რომ ისე მდევნიდნენ, როგორც ველურს.

ბოლოს, მაინც გავეცი მათ ხაფანგში. იმ ბანაკებს შორის, რომელიც მენახა, ეს უდიდესი იყო; მასში, დაახლოებით, 5000 ადამიანი ცხოვრობდა. იქ სამკერველო ფაბრიკაში შემტანეს, ორ ლიტველ ქალთან ერთად. მერე დაასვენეს, რომ შევიკარით და ოთხნი ეუწევიდით ავტაციას ადამიანების გარკვეულ ჯგუფს. გამასამართლეს და 8 წელი დამიმატეს. უკვე 8 წელი მქონდა მოხდილი და ორ თვეში კიდევ უნდა გაეთათვის უფლებინე. ამის შემდეგ სასწრაფოდ მოგვაშორეს იმ ბანაკს, რათა ჩვენი გამცემის ვინაობა არ გაგვეზილია. მე კი ზუსტად ვიცოდი, რომ ბარაკის უფროსს, ომის დროს დაპატიმრებულ ერთ უკრაინელ ქალს, უნდა ცხოვრების გათვალისწინებოდა. მეორე ქალი, რომელმაც ჩემი საწინააღმდეგო ჩვენება მისცა, ებრაელი იყო; ჩემი ერთად მიველდით ციმბირის ბანაკში. ორკვირიანი კარანტინის პერიოდში ის ჩემს გვერდით იწვა ტახტზე. მე უფრო ადრე ვიყავი მისულის და ჩემი საბანიც მქონდა. იმ ქალს ჩემს საბანს ვაფარებდი. კარანტინის შემდეგ სამზარეულოში მივიდა და კარგადაც დანაყრდა. ამ ორმა დამასმინა. რა თქმა უნდა, ადამიანთა უმეტესობას იყოლიებდნენ, რომ დამსმენები ყოფილიყვნენ. ჩემი დაჭირავენაც სცადეს. ის იყო მომდევნო ბანაკში გადამიყვანეს, რომ ბანაკის შინსაკომისის წარმომადგენელმა გამომიძახა. „აქ გერმანელები არიან. თქვენ გერმანული იცით და ყურადღება მიაქციეთ, რაზე ლაპარაკობენ.“ – მითხრა მან. მიუუკე: არა, ასე არ მოვიქცევი-მეთქი. ალბათ, იმანაც მოახდინა შთაბეჭდილება მასზე, რომ უკვე ჩონჩხად ვიყავი ქვეული, და უნებლად გამოძიშა.

### **ხშირი იყო დასმენები იმ პერიოდში?**

დას. ბევრი თავდაცვ გამოთქამდა მზადყოფნას. ხშირად მიფიქრია: როგორ აგრძელებ ცხოვრებას ადამიანები, რომლებიც ასე იქცევიან? მათ ხომ იცოდნენ, რომ ვიღაც გააუბეჯურებს; მათ ხომ ესმდათ, რასაც სჩადიოდნენ – გულუბრყვილო ბავშვები ხომ არ იყვნენ. მაგრამ ასეთი იყო ბანაკის ცხოვრება. არც ვარტყ იყო უკეთესი ეთიარება. ყველა სასკოლო სახელმძღვანელოში წაიკითხავდი პავლიკ მოროზოვის ისტორიას: მისი მშობლები ვლუბები იყვნენ. მათ ზამთრისთვის გადაინახეს საკვები, რომელიც უნდა ჩაეხატებინათ. ამის გამო პავლიკ მშობლები დაასმინა. ის მშობლების დასმენისთვის აღიარეს გმირად!

### **მორიდ გასამართლების შემდეგ როგორ გრძნობდით თავს?**

მორიდურად ისეთი განადგურებული ვიყავი, რომ მდგომარეობიდან ვეღარ გამოვიდი – თითქოს მოეკვდი. ჩინჩხად ვიქცევი. გადავწყვიტე, დედაჩემისთვის არაფერი მიმიწერა; ვუპრობდი: სუბოს, ჩემებს მკვლარი ეგვონო, ვიდრე ის გაიგონ, რომ კიდევ 8 წელი მომიხაყებოდა. აღრინდვლთან შედარებით, მეტი საკვები გექონდა, მაგრამ მანაც ვერ მოვუჯობინდი. გამოთიშული ვიყავი, ყველაფერი სულერთი გახდა. ვფიქრობდი, როგორი რეაქცია აქვს თვითმკვლელს. ის აფექტისას, პირველივე წუთში მოქმედებს. მე კი გაოგანებული დავრჩი კარგა ხანს. შემდეგ ჩემს თავს ვკითხე: რა უნდა ექნა, ასე ხომ ვეღარ ვიცხოვრებოდა. 30 წელი მისრულდებოდა, პირველად რომ დამაპატიმრეს; სასჯელი რომ გამიორმაგეს, 38 წლის ვხვდებოდი – ჯერ კიდევ არ ვიყავი ბებერი, მაგრამ აღარც ძალიან ახალგაზრდა მეთქვოდა.

პირველი 8 წლის განმავლობაში ბევრი რამ მოხდა – მაღარია შემეყარა, რა აღარ შემეხუჯათუცა საინტერესო იყო იმპერიაში არსებული მცირე იმპერიის გაცნობაც. ეს კრიზისალებს სახელმწიფო იყო. მეც მუდამ მათ შორის ვიყავი. ასაკს ჯერ კიდევ არ ვგრძნობდი, მაგრამ არც თუ ისე ნათელი პერსპექტივა იყო ყველაფრის ახლიდან დაწყება. ჩემმა უმცროსმა დამ, რომელიც დედასთან ერთად გამიწვეს ყაზახეთში, ჩემი ადგილმდებარეობის გასაგებად, ბანაკში წერილი გამოვზავა. აღმინისტრაციაში გამომიძახეს და მკითხეს: რატომ არ სწერო. აუხსენი მიზეზი. მაგრამ დამყოლეის, რომ ისევ გამოვხმაურებოდი ჩემს ოჯახს. ქმარი, ჩემი დაპატიმრებდიან ერთი წლის შემდეგ, დამშორდა. ჩემი შვილი უკვე დიდი იყო და დედის სახელის გაგონებაც არ სურდა. ვფიქრობდი: დედაჩემი და ჩემი და მეტებენ, ახლა მათ უნდა მიწერო ყველაფერი-მეთქი. დედაჩემი ყოჩაღი ქალი იყო და პასუხად მიმიწერა: „მე შვილი ვაყვ. ეს ნუ დავაწყველებათ.“ მან ისევ დამაყენა ფეხზე. შემდეგ იქაც გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც დამეხმარნენ. უფრო ეზრათები მეხმარებოდნენ. გარეგნულადაც ისევ დავეშვებავ ადამიანს. ასე, ნელ-ნელა, დაუბრუნდი ცხოვრებას.

### **ბანაკში პოლიტატიმრებიც გაიცანით?**

არ შემინიშნავს, რომ რომელიმე ორგანიზაციას ისევ ჰქონოდა გავლენა. თუმცა, ჩემთვის ნათელი იყო, რომ იქაც აგრძელებდნენ მუშაობას. მქონდა ბედნიერება იმ ადამიანების გაცნობისა, რომლებიც, ადრეულ წლებში, იატაკქვეშეთში მუშაობდნენ.

ჯერ კიდევ შინსახკომში ვიყავი, საკანში მარტო ვიჯექი. უცებ კარი გაიღო და საზაფხულო კაბასა და ქუდში გამოწყობილი, ლამაზი, მომლიძარი ქალი შემოვიდა. მისი სახელი და გვარი იყო საშა დარახველიძე. ის იატაკქვეშეთში მუშაობდა და კომუნისტური იდეებით იყო აღვრთვებული. საშა უკვე მეორედ დაუპატიმრებინათ. გაოცდა, რომ გაიყო, პოლიტიკასთან არაფერი მაკავშირებდა. შემდეგ მითხრა: რომ გეცოდნოდა, ეს ყველაფერი სადამდე მივიღოდა, ამას ნამდვილად არ შეეწირავდიო. ჩვენ ახალგაზრდობასო. ბერია ეზუქრებოდა მათ, რადგან კომუნისტური მთავრობის ზოგიერთი განკარგულების წინააღმდეგ მოაწყვეს დემონსტრაცია. იქ იყო ოპოზიცია, რომელსაც დუმბაძე და დიდიძე მიეკუთვნებოდნენ. ზოგ ასეთ ნამდვილ კომუნისტსაც მოეცნარი საქართველოს გასაბჭოების პერიოდში. კომუნისტური ელიტისთვის სასწრაფოდ უნდოდათ კარგი პირობების შექმნა. მათ შესახლებას უპირებდნენ დაპატიმრებული ან გადასახლებული ადამიანების ბინებში, რომელთა უმეტესობა ძალიან დიდი და მდიდრულად მოწყობილი იყო. ნამდვილმა კომუნისტებმა უარი თქვეს ამ ცდუნებაზე. მათ ძალზე მოკრძალებულად სურდათ ცხოვრება. მე მქონდა ბენიერება, ასეთი ადამიანები გამეცნო. მათთვის კომუნიზმი ნამდვილი მოწოდება იყო. მოვიკანკებთ, მათ ყველას თავი მოუყარეს და დახეირტეს, გაანადგურეს.

### **სად წავიყვანეს, როდესაც თქვენი ბანაკში ყოფნის ვადა ამოიწურა?**

სულ 14 წელი ვიყავი ციმბირში. 11 წელი პატიმრობაში გავატარე, შემდეგი 3 წელი კი - მთვალეურების ქვეშ. იქაურობის დატოვების უფლება არ გვექონდა. თავიდან არც ვიცოდით, სად წავიყვანდნენ. ბანაკში მყოფი გერმანელები შეგვეკრიბეს, საქონლის ვაჭრობა შეგვეყარეს და გზას გავვიყვინეს. მუშინოდა, რომ ისევ ციმბირში დაგვებრუნებდნენ. სულ უფრო ციოდა, მაგრამ არ გვეუბნებოდნენ, სად მივიდიოდი. უეცრად მატარებელი გაჩერდა. ბიხლოტში ჩამოგვსხეს. მეგონა, დახვერტას გვიპირებდნენ, მაგრამ მსვავსი არაფერი მოხდარა.

### **როგორ ცხოვრობდით განთავისუფლების შემდეგ?**

განთავისუფლების შემდეგ, ძალიან სწრაფად გაეთხოვდი ხელმეორედ. მარტო ყოფნის მუშინოდა, საფრთხის მოლოდინი არ მტოვებდა. ის კაცოც, ასევე, ბანაკიდან გამოუშვეს. 10 წელი გაეტარებინა იზოლატორში. 4 წელი ვიცხოვრეთ ერთად. იმ წლების განმავლობაში შეგობრობას მიწვევდა. ამინსტიის შემდეგ, ის მოსკოვში დაბრუნდა.

### **ბანაკში სირთულეების დაძლევაში თქვენი რწმენა თუ დაგეხმარათ?**

ჩემს თავს წამებულს არ ეუწოდებ. ამ ყველაფრის რაიმე იდეისთვის გადატანა უფრო მარტივი იქნებოდა. ჩემი რწმენისთვის არ გავუსამართლებივარ მაშინ. პასტორის ოჯახიდან ვიყავი, მაგრამ ზეწოლას არ ვანეციდიდით, არაფერს გვაძალიდნენ. სკოლაშიც არ გვიკითხავდნენ ქადაგებას ღმერთის შესახებ. იმ დროს მორწმუნე ვიყავი. ყოველ შემთხვევაში, შემოქმედი ყოველთვის მწამდა, მაგრამ სხვა ღმერთი - არა. შემოქმედი შემოქმედა, ღმერთი კი მარტოდენ შემოქმედი არ არის. ჩემი რწმენა ნელ-ნელა განვითარდა. დღეს სხვაგვარად

მწამს – ამით ვარ მოცული. შეიძლება, ასი პროცენტით არა, მაგრამ ჩემმა რწმენამ მაინც განიცადა ცვლილება. იმ პერიოდში არ დავესვი წერტილი ჩემს ცხოვრებას – დარწმუნებულ ვიყავი, რომ ამის უფლება არ მქონდა: მე თავად არ შემიქმნია ჩემი ცხოვრება, მე არ განუკარგავ მას და ისეთი უნდა მივიღო, როგორც მერგო. დღეს, ჩემი რწმენა ბევრად უფრო პოზიტიური და სიღრმისეულია. როდესაც ლაებრძოლი, კიდევ ერთხელ გაეფიქრე თავის მოკლად, მაგრამ დაეიზორჩილე თავი.

### **როგორი იყო საქართველოში დაბრუნება?**

მძიმე. ადამიანები გამოთავყანებულები იყვნენ. ვერ ხედავენ, თუ რა შეგვემთხვა, მე და სხვებს. ადამიანს პოლიტიკური ცხოვრების აღქმის უნარიც უნდა ჰქონდეს! ჩემი ქალიშვილი კომუნისტების ოჯახში გათხოვდა და მე მივაჩინდი დამნაშავედ. იქაურობას აღარ მივესადაგებოდი, როგორც პოლიტიკური პატიმარი. დედა გარდაცვლილი დამხვდა. კიდევ ერთხელ ვიღე: ქი გზის დასაწყისში, სადაც არაფერი იყო, და მაინც უნდა გამეგრძელებინა ცხოვრება. ორი წლის განმავლობაში საბუნებისმეტყველო საგნებს ვასწავლიდი სკოლაში. ენის სწავლება არ მინდოდა – ისევე შიონაჯად ჩამითვლიდნენ. მუსიკა? დიპლომი რომ არ მქონდა?! დღესაც ვუკრავ ცოტას. არ ვიცოდი, საიდან დამეწყო. ბოლოს, იძულებული გაგხდი, ისე გერმანული ენისთვის მომეკვიდა ხელი; ჯერ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ემუშაობდი, მერე – უნივერსიტეტში. იქ ნდობით განუწყვეტენ ჩემდამი. თექვსმეტწლიანი იზოლაციის შემდეგ, ძალიან მინდოდა, მგერძნო, რომ მეც ადამიანი ვარ. მაგრამ, შევნიშნე, რომ ახალგაზრდობა სერიოზულად არ იყო დაინტერესებული სწავლით და სამსახურს თავი დაეანებე. ვარდა ამისა, ხელფასიც მცირე მქონდა. შემდეგ კერძო გაკვეთილების ჩატარება დაივიწყე, რითაც თავის რჩენა შემეძლო. კიდევ ერთხელ გაეთხოვი – მიხაროდა, რომ ისევე ვიპოვე ცხოვრების თანამგზავნი.

### **როგორ გაატარეთ საქართველოს დამოუკიდებლობის შემდგომი პერიოდი?**

ერთხელ გამსახურდიამ ოფიციალურად განაცხადა პრესაში ლაზებისა და დაღესტნელების შესახებ: „ისინი გახურებული რკინით უნდა ამოშანთო“. მართალია, ეს არ იყო გერმანულენოვანი მისამართით ნათქვამი, მაგრამ გაეფიქრე, რომ ერთ დღეს ჩვენც შეგვეხებოდა – დღეს თუ ერთზე ამბობს, ხვალ სხვებზეც იტყვის-მეთქი. გამსახურდიას ეს შენიშვნა გერმანელებს ძალიან მოგვხვდა გულზე. სამოქალაქო ომის დროს, ქუჩაში გასვლა არ მსიამოვნებდა, რადგან მატყობდნენ, ქართველი რომ არ ვიყავი. ერთხელ ტროლეიბუსში ვიჯექი, სხვა მგზავრებისკენ ზურგით. ხმაურიანი ქალები იყვნენ. ისინი როდიროვნის შესახებ საუბრობდნენ, რომელმაც ასეთი არეულობა მოიტანა. მერე კი ენად გაიკრიფნენ – რუსებისა და, ზოგადად, უცხოელების მიმართ საშინელი სიძულვილით დაიწყეს ჩხავილი. შიშისგან უკან ვერ ვიხეუდებოდი.

### **რა იყო თქვენი გერმანიაში გამგზავრების მიზეზი?**

გამსახურდას ეს შენიშვნა იყო ობიექტური მიზეზი. როდესაც ხალხის მიერ არჩეული მთავრობის წარმომადგენელი ასეთ რამეს იტყვის – „გახსურებული რკინით უნდა ამოშანოთ“ – თავს დაუკლავ ვეღარ იგრძნობ.

სუბიექტური მიზეზი კი ჩემს ქალიშვილთან ურთიერთობა იყო. კუთხარი: მიმიღე და, როგორც აღმბიანს, ისე შემხედვ-მეთქი, მაგრამ, მან არ ისურვა. თავისი პრინციპები ჰქონდა და თავისებურად აღიქვამდა ჩემს ბედს. მეტი აღარ შემეძლო. უბრალოდ, იქ ღარჩენა აღარ მინდოდა. ბუნებრივია, სხვა მიზეზებიც არსებობდა, მაგრამ ჩემს ქალიშვილს რომ სხვაგვარი განწყობა ჰქონოდა, ვინ იცის, იქნებ, ყოველგვარი მატერიალური პრობლემების მიუხედავად, მაინც დაერჩენილიყავი. ჩემს წიგნში ასე მკაცრად არ ესაუბრობ ამაზე.

### **რატომ დაწერეთ თქვენი ამბავი?**

წერა ძალიან გვიან დავეწყე – გორბაჩოვის დროს. მანამდე თავს არ ვენდობოდი. როდესაც უშიზეზოდ 16 წელი გაქვს დაკარგული, აღარ გინდა, რაიმე მიზეზი კიდევ მისცე. ალბათ, ძალზე დაგვიანებული იყო ჩემთვის წერის დაწყება, რადგანაც დავმბრძავე. მაგრამ ბრძოლის დამწერლობა შევისწავლე და პრიმიტიული ხელსაწყოებით დაწერე ეს წიგნი. ჩემი ქალიშვილისთვის დაწერე. ის ხომ მუდამ ხალხის მტერს ხელაქვდა ჩემში. იმედი მაქვს, რომ იღესმე შეიცვლის აზრს.

### **როგორ დაბრუნდით გერმანიაში?**

გერმანიაში რომ ჩამოვედით, უკვე ბრმა ვიყავი. 2 თვის შემდეგ კმარი გარდამეკვალა. პასტორის მთელი ოჯახი დაგვაპატიმრეს და გაგვანადგურეს. ჩემი ძმა, პერბურტი, დაიჭირეს და დახვრტეს. ოჯახის სხუი წევრი ვადაგვხევეს, მხოლოდ ორი მათგანი მოუესწართ საბჭოთა კავშირის დამლას. ახლა, მარტო მე დაერჩი ცოცხალი. ორთოდოქსებსაც და კათოლიკებსაც იგივე დაემართათ.

### **როგორია ქართველებთან ურთიერთობის თქვენული გამოცდილება?**

რა თქმა უნდა, მყავდა და მყავს ქართველი მეგობრები. თუმცა, ქართველების უმეტესობა ძალზე თვითდაჯერებულია და ყველაზე ნიჭიერად, ყველაზე ლამაზად მიიჩნევენ თავს. აი, ყველაზე მშრომელები კი არ არიან. ქართველები ბუნებით ზარმაცი ხალხია. სიამოვნებით აზრომებენ სხვებს თვითანთთვის. ერთხელ, ერთმა სტუდენტმა მითხრა: „მიწასთან აზურბაიჯანელებმა უნდა იძუშონ, ფაბრიკებში – რუსებმა, ქართველებმა კი მათ უნდა ეუხეზმდვანელოთ.“





## მარია რაუ

მარია რაუ 1922 წელს დაიბადა თბილისში, გაიზარდა უპატრონო ბავშვთა სახლში. 1941 წელს, პავლოდარში გადაასახლეს, სადაც 31 წელი გაატარა. 1976 წელს საქართველოში დაბრუნდა და მას შემდეგ სოხუმში, ერთ სულიერად და ფიზიკურად დაჯდომილ ქალს უკლის, რომლის ძმაც აფხაზეთის ომში მოკლეს. მას შემდეგ, მარია რაუ, თავის აციენტთან ერთად, სოხუმის ერთ-ერთ მივარდნილ ადგილას ცხოვრობს და, როგორც მომეღვლი, წითელი ჯვრისგან, მცირე ხელფასს იღებს; დროდადრო ხვდება გერმანული წარმოშობის სოხუმელებს.

### როდის ჩამოვიდნენ თქვენი მშობლები საქართველოში?

ვერ გეტყვით, აქ როდის ჩამოვიდნენ. ისინი გერმანელები იყვნენ. მე თბილისში დაიბადე, 1922 წელს. პატარა ვიყავი, როცა ჩემი მშობლები გარდაიცვალნენ. მე უპატრონო ბავშვთა სახლში წამიყვანეს. სკოლაში მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში დავედი. 1941 წელს, ომის დაწყების შემდეგ, პავლოდარში გადამასახლეს.

პირველად, კოლმეურნეობაში ვმუშაობდი, მერე – მწველავი გაეხდი. სრულიად ახალგაზრდას 25 პროზა მყავდა ჩაბარებული. სკოლაში აღარ მივლია. პავლოდარში 31 წელი გაატარე, რის შემდეგაც მომცეს საქართველოში დაბრუნების ნებართვა.

### თბილისში?

არა. თბილისში კი არა, აფხაზეთში. მითხრეს: მარტოხელა ხარ, არაყინ გყავსო. ერთი ქალისთვის უნდა მომეყოლო. მაგრამ, სულ სხვა რამე გამოვიდა, სრულიად სხვა. ახლა თავად ვარ ასაკოვანი...

### გათხოვდით?

არა, არა. შეილები არ მყავს, არც არაყინ. ეს ქალია ჩემთვის შვილიც და საერთოდ – ყველა.

### როგორ მოხვდით ამ ოჯახში?

აქ არ ვიყავი ჩაწერილი. ჩაწერის გარეშე ცხოვრების ნებაც მქონდა. ამ ოჯახს კი ვილაშტვირებოდა, ვინც ამ ქალს მიხვდავდა. ასე ვარ აქ 1976 წლიდან. მისი ძმა კარგი ექიმი იყო. ის ომის დროს დახვრიტეს.

### **ახლა მარტო ცხოვრობთ მასთან ერთად?**

დიახ. მოხარული ვიქნებოდი, სხვა ადამიანებთან რომ მქონდეს კონტაქტი, მაგრამ, აბა, ვისთან? ჩვენ, გერმანული წარმომავლობის სოხუმელები, თვეში ორ-სამჯერ ვიკრიბებით, მაგრამ ჩემი მტკივანი ფეხით, თვეში ერთხელ ან ორ თვეში ერთხელ თუ მივლივარ. დიდი სიამოვნებით შექნებოდა ურთიერთობა ჩემი ეროვნების ადამიანებთან. მაგრამ, არავინ მყავს.

### **გერმანიაში გაბეზავრება გსურთ?**

რა შელის იქ? ენა კარგად არ ვიცი. ჯობს, მოეკვდე. გარდა ამისა, ამ ქალს რა უყო? მისი წაყვანა ხომ არა და არ შემიძლია და აქაც ეერ დავტოვებ მარტო.



## გერტრუდა ჰაბიტსი

გერტრუდა ჰაბიტის წინაპრები, დედის მხრიდან, 1818 წელს ჩამოვიდნენ საქართველოში და ანენ-ფელდში დასახლდნენ. მოგვიანებით, ბებია და ბაბუა თბილისში გადმოვიდნენ. ბაბუა სარაჯად მუშაობდა ერთ-ერთ ქარხანაში. მათი ქალიშვილი იდა ცოლად გაჰყვა რიველ ვოლდემარ ჰაბიტს, რომელიც აფთიაქში მუშაობდა. მათ ერთადერთი ქალიშვილი, გერტრუდა შეეძინათ. გერტრუდამ გერმანული ტექნიკური დაამთავრა და, პენსიაზე გასვლამდე, ტექნიკურ მხაზეულად მუშაობდა; 1936 წელს ცოლად გაჰყვა ერთ ლიტველს, რომელიც 1950 წელს გარდაიცვალა.

1937 წელს ცოლ-ქმარს გოგონა შეეძინა. დღეს გერტრუდა ჰაბიტის თბილისში ცხოვრობს.

## შეიძლიათ, გაახსენოთ, როგორ გაიცენეს თქვენმა მშობლებმა ერთმანეთი?

დღეა ძალიან სწრაფად გათხოვდა. მამაჩემი რიგიდან იყო, პროვიზორად მუშაობდა აფთიაქში.<sup>99</sup> სწორედ იქ გაიცენეს ერთმანეთი. შემდეგ მამა ბულალტრად მუშაობდა საბურავების საამქროში, ბოლოს კი გერმანულ სკოლაში ასწავლიდა შრომას (1929-37).

1937 წლის ოქტომბერში მამა დააპატიმრეს; ღამით მოვიდნენ და წაიყვანეს. ორ დღეში ისევ მოგვკითხეს – ტანსაცმელი და მთელი ევრცხლეულობა წაიღეს. დღეა იმდენად პატიოსანი იყო, რომ ჩვენი თერთმეტი პატარა ვერცხლის კოვზიც კი გაატანა. ერთი თვის შემდეგ ვერცხლეულობა დაგვიბრუნეს. თვეში ერთხელ ციხეში მივიდიოდი და 50 მანეთი მიმქონდა. 1938 წლის მარტამდე ვაბარებდი ფულს, მამა კი, თურმე, შობის დღეებში დახვრიტეს. რატომ? ამ კითხვას არ სვამდნენ 1937 წელს. მამას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს და მორჩა. ვინც იმ დროს მოესწრო, დამიჯერებს. ჩვენ გვეგონა, რომ ციმბირში გაგზავნიეს. ამიტომაც მივედი სამმართველოში ცნობის ასაღებად 1959 წელს. მდივანი ფორმულარს რომ ავსებდა, წიგნში ჩახედვა მოვახერხე და წავიკითხე, რომ მამა დაუხვერტათ. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში აქაურ გერმანელებს არ ავიწროვებდნენ, მაგრამ 1937 წელს სხვა ვითარება იყო. მამა თავისი ეროვნების გამო დახვრიტეს.

<sup>99</sup> აფთიაქი „ზემელთან“ 1898 წელს გახსნა აფთიაქარმა ზემელმა ზელიქ-ზარინის სახლის მახლობლად (დღევანდელი კიბოს სახლის პირდაპირ). დღეს ეს აფთიაქი აღარ არსებობს, ამ ადგილს კი ისევ ზემელს უწოდებენ.

### **რა ენაზე საუბრობდით სახლში?**

სახლში მხოლოდ გერმანულად ვსაუბრობდით. ჩვენს ეზოში მხოლოდ სამი გერმანელი ცხოვრობდა, სხვა ყველა სომეხი, რუსი ან ქართველი იყო და ამიტომაც რუსულად ვლაპარაკობდით.

### **თეატრში დადიოდით?**

დიახ. აქ ბევრი თეატრი იყო: ქართული, სომხური, რუსული. დაახლოებით 1922-1930 წლებში, გერმანული სახალხო თეატრიც კი არსებობდა – მარჯანიშვილის თეატრის პირდაპირ მდებარეობდა. კვირაში ერთხელ ღარბაზს ქირაობდნენ, სპექტაკლებს რადიოინი დგამდა (მედიანებით, გრიბოედოვის თეატრში მუშაობდა).

### **რა გახსენდებათ სკოლაში სწავლის პერიოდიდან?**

ჩემი საუკეთესო მოგონებები სწორედ სკოლის პერიოდს უკავშირდება, რადგან სხვადასხვა ეროვნების მეგობრები მყავდა. გერმანელები ყველაზე ცოტანი იყვნენ. სკოლაში ძალიან კარგი განათლება მივიღეთ. მათ, ვინც გერმანული სკოლა დაამთავრა, აღარც კი სწირდებოდა უმაღლესში ჩაბარება. იქ მოგვცეს მთელი ჩვენი ცოდნა. ჩემს სკოლაში ბოლო სამი წელი პროფესიულ განათლებას ეთმობოდა – მანქანათმშენებლობას გვასწავლიდნენ. ტექნიკუმში ორი სომეხი პედაგოგი გვყავდა, მათ გერმანიაში სწავლასთან დაკავშირებული განათლება მიძღვრილი. განათლებულ ქართველებსაც ჩვენს სკოლაში მოჰყავდათ შვილები. სწავლება რვაწლიანი იყო. ბოლოს კი, შეგვეძლო ტექნიკუმში შეგვსწავლათ პროფესია, მაგალითად: ბულატრის, ელექტრიკოსის. 1938 წელს გერმანული სკოლა დაკეტეს. მალევე გაეთხოვედი და, ქალიშვილის შეძენის შემდეგ, 20 წელი, ტექნიკურ მხაზველად ემუშაობდი.

### **თქვენი მეუღლე სად გაიცანით?**

საეკვაო მოედანზე გაიცანი, ერთმანეთს კარგად ვიცნეკეთ. 1936 წელს დაქორწინდით. ჩემს ქმარს დღეაც და მამაც ლიტველი ჰყავდა. მათ აქ პატარა რესტორანი სწავლათ. მამამისს ვერ მოეხსწარი. ჩემი დედამთილი 18 წლის ჩამოვიდა კაუნასიდან, აქ გაიცინო თავისი ქმარი. ჩემი მეუღლე დეკორატორი იყო. ჩვენი ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდა – ერთ დღეს ჩემი ქმარი გაიცვდა და ჭლეკით დააუღდა, 10 წელი იავადმყოფა და, ბოლოს, 1950 წელს გარდაიცვალა. ჩვენი ქალიშვილი 13 წლის იყო. მას შემდეგ აღარც მიხლოდა გათხოვება, ძალიან კარგი ურთიერთობა შეინდა დედამთილთან. მაგრამ ისე მოხდა, რომ მეორედ გაეთხოვედი; ჩემს ყოფილ სკოლეს, ერთ პოლონელს, გაყვევი. ის ჩემმა დედამთილმაც კი მიიღო. დიდხანს არც მასთან ერთად მიცხოვრია.

### **თქვენც გადავასახლეს ყაზახეთში?**

მე დამტოვეს, რადგან ლიტველი ქმარი მყავდა. ოჯახის ყველა სხვა წევრი გადაასახლეს: დედა, ბიძა და ხუთივე ბიძაშვილი. მე გაუცაილე სატყირთო სადგურზე. იქ, გერმანელების გარდა, ქართველებიც დაგვხვდნენ – მეგობრებს აცილებდნენ. ყველა ქართველი მეგობარი და

ნაცნობი მეზმარებოდა. მტარებელში ტვირთის ასატანი ადგილი არ იყო. ამის გამო, ძირითადად, საკები მიჰქონდათ. ყაზახეთში ჩასვლის შემდეგ, დეპორტირებულები მდინარე ირტიშის მიმართულებით გაამგზავრეს; სხვადასხვა ადგილას ჩერდებოდნენ და ხალხი გადააკაედათ იქ დასასახლებლად. საბუნდოვროდ, ჩემი ოჯახის წევრები ერთად დარჩნენ. ისინი ერთ უფანჯრო სახლში ცხოვრობდნენ. ამიტომაც, სახლის წინ გადასაფარებლები დაკიდეს. ერთხელ სამმა ყაზახმა გადასაფარებლები ჩამოგლიჯა და შეგნით შევიდა. დედა ვერ მიხვდა, რა უნდოდათ. მოგვიანებით ვილაცამ უთხრა, რომ იმის შესამოწმებლად მოვიდნენ, გერმანელებს რკები და კულები ზომ არ აქვთო. იქაურებს ასეთი შეხედულება ჰქონდათ გერმანელებზე. ჩემი ბიძაშვილები შრომით არმიამი გაგზავნეს – ციმბირის ტყეებში სამუშაოდ. იქ დაიღუპა ჩემი ბიძაშვილი ვილი ელერტი.

იმ პერიოდში ბევრი იბალებოდა, დეპორტაციისგან თავის დახსნას ცდილობდა. ბევრმა გერმანელმა ეროვნება შეიცვალა. ქალები ფიქტიურად ჭორწინდებოდნენ, მხოლოდ ამ გზით შეძლოთ აქ დარჩენა. ყველაზე ცუდი ისაა, რომ, ვინც საკუთარი ეროვნება უარყო, ახლა თავი წამოყო და, უცებ, გერმანელად იქცა; „დახმარება ხომ არაა?“ - კითხულობენ. „თვეში იქ არის, სადაც წყალი ღრმაა“. თავს იმით იმართლებენ: ადამიანი უკეთესობას ეძებსო. ახლა გერმანული ენის აღორძინებასაც მოეესწარა. 1937-1990 წლებში, საქართველოში ერთი გერმანული სიტყვაც არ გამოიყენებოდა. ვინც აქ დარჩა, ის ხომ ქართველი, რუსი ან სომეხი ვახდა (გაქართველდა, გარუსდა ან გასომხდა).

### **როდის დაბრუნდა დედათქვენი საქართველოში?**

დედა 1947 წლამდე დარჩა ყაზახეთში. შემდეგ მთავრობის წარმომადგენლობასთან მივიდა, დაბრუნების ნებართვა ითხოვა და თანხმობაც მიიღო. ყაზახეთიდან ახალი წამოსული იყო, როცა იქ მყოფ ყველა გერმანელს ხელი მოაწერიან და დაკუმენტებენ, რომლის მიხედვითაც სამუდამოდ ეკრძალებოდათ ყაზახეთის დატოვება. დედას არ მოუწერია ხელი ამ დაკუმენტზე და ჩემთან ჩამოსვლის უფლებაც მისცეს; თუმცა, უკვე თიბლისში მყოფი, პოლიციაში გამოიძახეს და კითხეს: აქ რა დავიკარგეთო? აქ ცხოვრობს ჩემი ერთადერთი ქალიშვილი, რომლის მეტე არაინ მყავსო. საბჭურ დაკითხეს და 20 წლით ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს; 1953 წლამდე იქ დარჩა. სტალინის გარდაცვალების შემდეგ გაათავისუფლეს და ყაზახეთში გაამგზავრეს უფლება მისცეს – ჩემთან ჩამოსვლა ისევე არ შეეძლო. 1950 წელს ქმარი გარდაემტკვალა, 1955-ში კი დედას მისცეს დაბრუნების უფლება. ის აქ გარდაიცვალა, 1957 წელს.

### **იმ დროს, როგორ გრძობდით თავს საქართველოში?**

ერთხელ მეც მითხრეს: გერმანელი ძალი ხარ, ფაშისტიო. წარმოდგენის უუნარო, გონებაშეზღუდულმა ადამიანებმა მითხრეს ეს. გამუდმებით ვმუშაობდი და არც არასოდეს განვიცდიდი ზეწოლას. სადაც უნდა მივიღე და უთქვა: გერმანელი ვარ-მეთქი, თბილად მიღებენ. აქ გერმანელებს ღიადებული ბალები ჰქონდათ – ეს ანსოვთ ქართველებს.

### **საქართველოს დამოუკიდებლობას როგორ უყურებთ?**

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, საქართველოში მდგომარეობა მხოლოდ გაუარესდა. ახლა ერთადერთი, რაც შევიძლია, მთავრობის ლანძღვაა. ყველაფერი ფასიანია: წყალი, შუქი, გათბობა. საქართველოს პერსპექტივასაც ვერ ეხედავ. ქართველები რუსეთს უნდა შეურიგდნენ. 70 წლის განმავლობაში, რუსეთი კვებავდა საქართველოს; ყველაფერს რუსეთიდან ეივებდით, ზორბალსაც კი. მთელი თავი ის არსებობის მანძილზე, სხვა არჩენდა საქართველოს. ეს ქვეყანა არასოდეს ყოფილა დამოუკიდებელი. ერთხელ მეზობელმა მითხრა: „იცით, რა თქვა კანკლერმა კოლმა? ქართველების ჩაცმა და გამოკვება მუქთად შეიძლება.“ უუპასუხე: გერმანული მუქთად არასოდეს არჩენს ვინმეს-მეთქი. მას ეგონა, რომ, სამაგიეროდ, არაფერი უნდა გაეკეთებინა. ძალიან მიყვარდა ქართველები, ახლა კი ვეღარ ვცნობ მათ.

### **შევიძლიათ, საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების მენტალ-ტეტი დაასისათოთ?**

ადრე ქართველები წესიერები, კულტურულები, მორიდებულები იყვნენ. ახლა ენითაუწერლად შუიციანენ. ყოველთვის სტუმართმოყვარეები, არასოდეს ყოფილან უხეშები და უსიტყვიელოები. ახლა ბევრი ქართველი ცდილობს ქვეყნიდან წასვლას. თავს უკვე გერმანულად ეგონობ. ჩემს თავს არ ვუვლისხმობ, მაგრამ იმასაც მნიშვნელობა აქვს, როგორ იზრდები და რას გასწავლიან. ადამიანი ადამიანად რჩება – ის არ უნდა დაგაკვიფრდეს; ჩვენს გარემოცვას ანგარიში უნდა გაეუწიოთ. ბუნებრივია, რუსულიც ეციდი და გერმანულიც. გერმანელი ყოველთვის აკურატულია, თავის სიტყვას ასრულებს; პუნქტუალური და სუფთაა, პატიოსანი. ადამიანს აუცილებლად უნდა ჰქონდეს შრომის უნარი და სურვილი. ქართველებს საერთოდ არ უნდათ მუშაობა. სიმშვებს ორივე თვისება აქვთ და, ამასთანავე, ეშმაკებიც არიან. აზურბაიჯანელებიც ბევრს მუშაობენ.

### **გერმანიაში გამგზავრება თუ გსურთ?**

გერმანიაში ნათესავეები მყავს, მაგრამ არ მივიფიქვარ, რადგან აქ ჩემი ქალიშვილია. ის ნახევრად ქართველ, ნახევრად სომეხზეა გათხოვილი. შვილები ჰყავთ და ამიტომაც ვერ წამოშვება. ბელის მადლიერი ვარ იმისთვის, რომ ამდენ ხანს ვიცოცხლე, რომ მუშაობა კიდევ შემიძლია, რომ კიდევ მყავს მოსწაელები და საბავშვო ბაღშიც ვასწავლი. იქ ორივე აღმზრდელი ქართველია.

### **ახლა როგორ ცხოვრობთ?**

სკოლის დამთავრებამდე კარგი პერიოდი მქონდა. მოვიგინებოთ კი ერთ უბედურებას მჭირებოდა. წუწუნი არ შემიძლია და არც მინდა. 85 წლის კიდევ ვცოცხლობ. უკვე 30 წელია, პენსიაზე ვარ. საბჭოთა პერიოდში შეიძლებოდა პენსიით ცხოვრება. დღეს კი. სულ რაღაც 14 ლარი მაქვს. 4 წელიწადია, პენსიის მომატებას ველოდები – როგორც პატიმრის ქალიშვილს, უფლება მაქვს 46 ლარი მქონდეს, მაგრამ თელში ნაცარს მაყრიან; სულ იმას მეუწეებიან: ფული არ არისო. სხვებიც ჩემს დღეში არიან. შეუძლებელია 14 ლარით ცხოვრება.



## ელზა გილბერტი

ვილჰელმ გილბერტი, ხუთი კოლეჯის თანხლებით, 1857 წელს, მალაროების შესყიდვის მიზნით, ჩამოვიდა საქართველოში, აქ დარჩა და ერთ ელიზაბეტტალელ გერმანელზე იქორწინა. მისმა ვაჟმა, კარლ ჰერმან გილბერტმა, საბულაღტრო საქმიანობა შეისწავლა და იაკობინა ბაჟუერი შერთო კოლონია კატარინენფელდიდან. ელზა გილბერტი 1914 წელს დაიბადა თბილისში. გაქცევის წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, ოჯახი კატარინენფელდში გადასახლდა. ელზა გილბერტმა იქ გაიცნო მომავალი მეუღლე, რომელიც ქართველი იყო. ცოლ-ქმარმა 48 წელი

იცხოვრა ერთად. ელზა გილბერტმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა და, ჰენსიაზე გასვლამდე, უცხო ენათა ინსტიტუტში ასწავლიდა გერმანულ ენას. იგი დღეს, თბილისში, მოხუცებულთა თავშესაფარში ცხოვრობს.

### შევიძლიათ, გაიხსენებთ თქვენი ბაბუის ისტორია?

ბაბუა, ჯგუფთან ერთად, დახლოებით, 1857 წელს ჩამოვიდა შტუტგარტიდან საქართველოში – კოლონიისტებისგან გაეგო, რომ მთებში სპილენძის საბადო უნდა ყოფილიყო. ეს ჯგუფი ჯერ კიდევ გერმანიაში შეიქმნა. მისი წევრები იყვნენ: ერთი მეტალურგი, ერთი გეოლოგი, ერთი ელექტროინჟინერი და სხვ. მანუელში მათ სპილენძი აღმოაჩინეს და მალაროები შეიძინეს; პატარა ელექტროსადგური, ხუთი პატარა სახლი და მადნის ჩამოსასხმელი სააქრო ააშენეს და ეაფლის ფორმების, უთოებისა და ტაფების წარმოებას შეუდგნენ. მას შემდეგ, რაც ყველა კოლონია მოაპარაგეს ტაფებითა და უთოებით, საქართველოში მსვავსი პროდუქტების გასადგების შესაძლებლობები ამოიწურა. პირველ ხანებში, ნაწარმი ვაგონებით გაქონდათ ველზე, მაგრამ ტრანსპორტირებისას ტვირთის ნახევარი ზიანდებოდა. ამის გამო, ჯგუფის ერთ-ერთი წევრი სამინისტროში მივიდა და კოლონიიდან თბილისამდე რკინიგზის გაყვანა შესთავაზა იმ პირობით, რომ საჭირო თანხის ნახევარს თავად ჯგუფის წევრები, ნახევარს კი სახელმწიფო გაიღებდა. საქართველოს მთავრობას ფული არ ჰქონდა. მათაც მეტი რა დარჩენილია? შეძლებინდავეყრან, ყველაფერი თბილისში ჩამოიტანეს, გაყიდეს და ანგარიში გაასწორეს. ამის შემდეგ ბაბუას აქ დარჩნა და თუჯის მიღების წარმოების დაწყება შესთავაზეს (მანამდე საქართველოში მხოლოდ თიხის მიღები არსებობდა). ერთ წელიწადში ბაბუას მზად ჰქონდა მიღები და მათ წარმოებასაც თავად ჩაუდგა სათავეში. მან თბილისში პატარა მეტალურგიული ქარხანაც ააგო. სადგურიდან გამოსვლისას, მარცხნივ, პატარა ორსართულიან სახლს დანახათ,

ეს ღურსმნების ფაბრიკა იყო. მის მახლობლად სახლიც აიშენა თავისთვის. ბაბუას გერმანელები და ქართველები აპყავდა თანამშრომლებად.

ბაბუამ ელიზაბეტტალელ ბარბარა ბაუერზე იქორწინა. მათ ხუთი შვილი შეეძინათ. შემდეგ ბაბუას დღის გარდაცვალების ამბავი შეატყობინეს გერმანიიდან და იქ გაემგზავრა. გზაში პენიენგიტი შეეყარა და აეადამყოფობამ იმსხვერპლა. ბებია თავად უძღვებოდა წარმოებას ვიდრე, 1923 წელს, სახელმწიფომ არ ჩამოართვა მთელი კონება.

მისი ერთი ქალიშვილი ზამურში გათხოვდა. ბებიამ იქვე უყიდა სახლი და, მოგვიანებით, თავიდან მასთან გადავიდა საცხოვრებლად. მეორე ქალიშვილი ერთმა უნგრელმა შერთო. მესამე ქალიშვილი კი ცოლად წაჰყვა ერთ მეტალურგს, რომელიც მათთან მუშაობდა ქარხანაში.

### **როგორ სკოლაში დადიოდა თქვენი მამა?**

მამა ერთი-ორი წელი გერმანულ, მერე კი რუსულ სკოლაში სწავლობდა. მან საფინანსო-ეკონომიკური ლიცეუმები დაამთავრა და ბუღალტერი გახდა. პირველ ხანებში, გერმანელობის გამო, სამსახური ვერ იშოვნა და ამიტომაც შეიცვალა ეროვნება. ბიძა კი ბოლომდე გერმანიის მოქალაქე დარჩა. ჩემი ბიძაშვილი გერმანიის საკონსულოში მუშაობდა. 1923 წელს მამა მინაგან საქმეთა სამინისტროში გამომიძახეს და საკონსულოს შესახებ ინფორმაციის შეგროვება მოსთხოვეს, რაზეც მან უარი განაცხადა; სახლში რომ დაბრუნდა, დედას უთხრა: აქედან უნდა ავიარგოთო. ყველაფერი გაკვირდით და ბათუმში წავედიო. იქ ერთი წელი გაატარეთ იმის იმედით, რომ რომელიმე გემს წაუკვებოდით. ერთი წლის შემდეგ კატარინენფელდში გავებეზარეთ ბინის მოსაძებნად. ბინა ვერ ვიშოვნეთ, მაგრამ მამას მოულოდნელად შესთავაზეს, რომ მადნეულში მალაროების ტოპოგრაფიული აღწერა ეწარმოებინა (ამ მალაროებს ბაბუამ, თავის ხუთ კოლეგასთან ერთად, ჩაუყარა საფუძველი). ამის მერე მამა ბუღალტრის თანამდებობაზე მუშაობდა კატარინენფელდში.

### **სკოლაში სად დადიოდით?**

კატარინენფელდის სკოლაში დაედიოდი, ბოლოს კი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი დაეამთავრე. 1935 წელს თბილისში მინდოდა სწავლის გაგრძელება. იქ ღვინისა და ხილ-ბოსტნეულის მაღაზიაში ემუშაობდი ლაბორანტად. ღვინოს ვამოწმებდი, ვიდრე მას ბოთლებში ჩაასხამდნენ. ამავე პერიოდში უიზო ენათა ინსტიტუტში მისაღები გამოცდებისთვის ვემზადებოდი. ერთი წელი ვისწავლე, შემდეგ კი გავთხოვიდი და სწავლა მიატოვე – დეკრეტულ შეებულებაში გავედი. მოგვიანებით, თბილისში ჩამოსვლის შემდეგ, ისევ გაუავტმელე სწავლა და 1948 წელს დაეამთავრე უნივერსიტეტი.

### **სად გაიყანათ თქვენი მეუღლე?**

ჩემი მეუღლე მთავარი ექიმი იყო კატარინენფელდში. მას მოვეწონე – წესიერი და სასიამოვნოო. ის კარგად იცნობდა მამაჩემს, რომელიც სახელფასო განყოფილებაში მუშაობდა. სხვათა შორის, თავიდან არ მომწონდა და ამიტომაც წამოვედი თბილისში. მხოლოდ ერთი წლის



შემდეგ გადაწყვიტე მასზე გათხოვება, რასაც იმანაც შეუწყო ხელი, რომ თბილისში ბევრი წინააღმდეგობა შემხდა. მეგონა, ბიძაჩემთან ვიცხოვრებდი, მაგრამ მან არ ისურვა ჩემი მიღება – თავად ყოველდღე სამი ჯაშუში დასდევდა კუდში. ბოლოს, სამ გოგონასთან ერთად ვიქირავე ოთახი. ვამიჭირდა, თავს მარტოდ მარტო ვგრძნობდი, ამ ქართველს კი ბინა ქონდა. გათხოვების შემდეგ თბილისში დაბრუნდი, მის ოჯახს ქართველი რძალი უნდოდა, დედამთილი თბილისში ცხოვრობდა, მაგრამ არ მიღებდა. ერთი თვის შემდეგ ჩემი მეუღლე ჩამოვიდა და უკან დაბრუნება მომთხოვა – ცოლ-ქმრის ცალ-ცალკე ცხოვრება სად გაგონილაო; შემპირდა – ერთ წელიწადში თბილისში გადავალთ და სწავლის გაგრძელებას შეძლებო. მას სამუშაოდ გადმოსვლა უნდოდა თბილისში. ერთის ნაცვლად სამ წელიწადს დაერჩით. როცა ჩემმა ქმარმა სამსახური იპოვნა, ომიც დაიწყო და ერთი წლით წაავიდა. მისი ჩამოსვლის შემდეგ, როგორც იქნა, თბილისშიც გადმოვედი. ქმარს ვთხოვე – როგორც გამომიყვანე ინსტიტუტიდან, ისევე იზრუნე იქ ჩემს დაბრუნებაზე-მეთქი. ქართველებს ხომ ნაცნობები არ დაეღვეათ – ბიძაშვილი აკადემიკოსი ჰყავდა და ის დამეხმარა, თორემ უსწავლელი დაერჩებოდი. იმ პერიოდში გრძამელებს არ აძლევდნენ უნივერსიტეტში სწავლის უფლებას. როგორც ჩანს, ძალზე მონღო-მებული ვიყავი, რადგანაც 1948 წელს, უცხო ენათა ინსტიტუტი რომ გაიხსნა, შემოთავაზება მივიღე და 25 წელი ვიმუშავე ინსტიტუტში.

### **რა ბედი ეწათ თქვენს შრომებს ომის დაწყების შემდგომ?**

ისინი 1941 წელს გადაასახლეს. თბილისში ვიყავი, მათ რომ დამირიკეს და მკითხეს: ჩვენთან ერთად ხომ არ წამოხვალო. ნაცნობებმა ქმართან დარჩენა მირჩიეს: იქიდან ევლარ დაბრუნდები, აქედან წასვლას კი მოგივანებთაც შეძლებო.

ოქტომბერი იდგა. სხვენი ზილით იყო საესე, სარდაფი კი – ღვინით. ზამთრის სამზადისი დამთავრებული იყო, ეს ადამიანები კი ერთი ჩემოდნის ამარა ტოვებდნენ სახლს და არც იცოდნენ, რა ელოდათ. ასეთ შემთხვევებში ქართველებს დიდი ხმაურის ატეხა სწყევით, მაგრამ კატარინენოვლში სრული სიწყინარე სუფევდა. გულწასულ ქალის ვალერიანის წვეთებით ასულიერებდნენ. მათ, როგორც ცხოველებს, ისე ისროდნენ სატვირთო მანქანაზე. დღვას ახალი გაკეთებული ქონდა გინეკოლოგიური ოპერაცია. მხოლოდ ერთი თვე გასულიყო მისი სახლში დაბრუნებიდან და საბარგულზე ვერ აღიოდა. მამაც არ იყო იმდენად ძლიერი, რომ ასეულაში დახმარებოდა. ატირებულმა ვთხოვე მძღოლს: იქნებ, თქვენს გვერდით დასეათ-მეთქი. ის კარგი აღამიანი აღმოჩნდა – გვერდით მსხლომ ჯარისკაცებს უთხრა, რომ ძარანაზე ასულიყვნენ და ადგილი დღვარჩემისთვის დაეთმოთ. ყველანი რომ ჩასხდნენ, სამი ოჯახი, მანქანაე დაიდრა. 100 მეტრის მანძილზე მიეღვედი მათ. სამი ძალი მომყვებოდა – არ უნდოდათ თავიანთ პატრონებთან დამორება. მერე აზრზე მოვედი და ჩემს თავს კვითხე: სად მირბიხარ-მეთქი? სანამ დაებრუნდებოდი, სახლის კარები დაეკეტათ და დაეულქათ – შიგ ალარ შემიშვეს. მართალია, მშობლებისგან ცალკე მქონდა ერთი ოთახი, მაგრამ თბილისში გამგზავრების წინ, მათთან შევიინახე ჩემი საოჯახო ნივთები და ტანსაცმელი. კომისარიატი მოეძებნე, რომ ნივთები დამებრუნებინა. იქ მისულს მკითხეს: სად დაბოდიხავები, შენი ნივთები მანამდე უნდა

წავალო. ვუპასუხე: – ვინ იფიქრებდა ტანსაცმელზე იმ დროს, როდესაც, დღერთმა უწყის, სად გაუშვებს მოზუცები-მეთქი. რასაკვირველია, ნივთები არ დაუბრუნებიათ.

მერე ქმარს დაუვრეკე. მან მითხრა, რომ ჩვენი შემოსასვლელის კარები დამეკეტა და თბილისში დაებრუნებულყავი. ასეთი იყო ჩვენი ცხოვრება – სულ მუდამ უდანაშაულოდ ვის-ჯებოდი.

### ***თქვენს ნათესაებს რა შეეშთხათ?***

1932 წელს გერმანიის იმპერიის მოქალაქეებს ქვეყნის დატოვება უბრძანეს. ბიძაჩემი აქ დარჩა, რადგანაც მისი ვაჟი საკონსულოში მუშაობდა. კიდევ ერთი ბიძაშვილი ცხოვრობდა აქ. ის ოპერის მომღერალი იყო. კომპოზიტორ ფალიაშვილის ძმას, ოპერის რეჟისორს, სურდა მისი ცოლად შერთო. ისინი ყველგან ერთად დადიოდნენ. მათ შორის, საკონსულოში გამართულ წვეულებებზეც. ერთ დღესაც ფალიაშვილი გააფრთხილეს: გილბერტისა და საკონსულოსგან შორს დაიჭირე თავი, თორემ შენს თავს და ძმასაც ავნებო. ეს რომ გილბერტმა გაიყო, მაშინვე ლენინგრადში გადაბარგდა და იქაურ ოპერაში დაიწყო სიმღერა. მას ოლგა გილბერტი ერქვა. იმის დაწყებისთანავე, ისიც ყაზახეთში გაგზავნეს; 1956 წელს ვადასხლებიდან დაბრუნდა და ისევ ოპერაში განაგრძო მუშაობა. შემდეგ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამგზავრების უფლება მიიღო, სადაც ორი წელი იცხოვრა.

ყაზახეთში მყოფ მშობლებს მუდამ ეუბნავიდი ფულს და წერილებს. ისინი პავლოდარში ჩავიდნენ, სადაც ქალები და კაცები ერთმანეთს დაამორეს. შვიდი კაცი გაგზავნეს ჩრდილოეთში, ნაკაინის ოქროს მალაროებში. მათგან მხოლოდ ერთი – მამაჩემი გადარჩა. მამას თან ქონია ბუღალტრობის დამადასტურებელი საბუთები. ამდენად, ის მალაროებში აღარ გაუშვეს და იქვე მიიღეს ბუღალტრად. მამამ დედაც თან წაიყვანა. დღემი 250 გრამ პურს აძლევდნენ და ამით გადაურჩნენ დაღუპვას. 1956 წელს მოეინდოე, რომ დაბრუნებულიყვნენ. ვიღაცამ წამოიყვანა ბაქომდე, იქ კი ჩემი ქმარი დახვდა. ჩემთან დაბრუნებულებმა ერთი-ორი წელი იცოცხლეს; ჯერ მამა გარდაიცვალა, შემდეგ კი დედა.

### ***შვილები თუ გყავდათ?***

შვილები არ გვყოლია, მაგრამ იმდენად ძლიერი დედობრივი ინსტინქტი მქონდა, რომ ხშირად მივდიოდი ობოლთა თავშესაფარში. იქ უამრავი ბავშვი შიმშილიდა და სამსახურში მიმაჯალი მათ შეეუვლიდი-ხოლმე – ყოველ მერე დღეს საკეები მიმქონდა. ერთხელ იქ ერთი პატარა არსება დაეინახე, ძალზე აეად იყო, სისხლდენა აქონდა და თვალდახუჭული იწვა. თავიდან ჩემს ქმარს ბავშვის სსენებაც არ უნდოდა. ორი თვის განმავლობაში ვაკითხავდი და ხელით ვაჭმედი პატარას, ზოგჯერ შემომხვდავდა და გამიღიმებდა. მისი მომჯობინების შემდეგ ქმარს ვთხოვე: ვინმე ექიმს პკითხე, რა მდიკამენტები სჭირდება-მეთქი. ამის მერე რომ მიეკითხე, თავის პაწია ხელები გამომიწოდა. კიდევ ერთი თვე ვიცადე, ვიდრე თითქმის ერთი წლის არ გახსდა. ძალზე დასუსტებული იყო და ჯერ კიდევ არ შეეძლო ფეხზე გაეკლა. ქმარს ეუთხარი: შენ თუ არ გინდა, ხელფასი მაქვს და ამ ბავშვს თავადაც გავზრდი-მეთქი. ბოლოს და ბოლოს, დამთანხდა.

ყველა საბუთი მივიტანეთ და ბავშვი წამოვიყვანეთ. თავიდან თითქმის არ ლაპარაკობდა და, საერთოდ, ვერ დადიოდა. როდესაც ინსტიტუტიდან შეებულემაში გაველი, მთებში გავემზავრეთ. ჩემი ქმარი მთელი თვე იქ მუშაობდა ექიმად. ერთ თვეში პატარა ისე მომგოზინდა, რომ სიარული დაიწყო. სულ უფრო საყვარელი ხდებოდა. პრობლემა ის იყო, რომ სამსახურში უნდა გაესულიყავი. ერთი გერმანელი ქალი, თავის 5 წლის ბიჭთან ერთად, მოდიოდა და გოგონას აქცედა ყურადღებას. ქალბატონს ქართულად ველაპარაკებოდი. იმხანად, როგორც გერმანული ენა, ისე გერმანელობა საშინელებად ითვლებოდა – გერმანელები ფაშისტები იყვნენ. ამის გამო, ჩემი ქალიშვილი მანანა ერთი ორჯერ აცრემლებულიც მოსულა სკოლიდან; მასწავლებელს უოქტამს – სანამ ყველა გერმანელი არ გაწყდება, მთელ ქვეყანაზე მშვილობა არ იქნებაო. ომი ხუთი წლის დამთავრებული იყო.

### *როგორი სოციალური გარემო გქონდათ?*

რუსებსა და სომხებთან არ მქონია მჭიდრო ურთიერთობა. განათლებული ქართველები, ვინც თავიანთ ცხოვრზე შორს იხდებოდნენ, მეგობრულად მექცეოდნენ. ვფიქრობ, თანამშრომლებსაც ძალიან ვუყვარდი. ქართველები მუსიკასა და მეცნიერებაში არიან კარგები. აი, ოფლის ღერას კი არ არიან მიჩვეულები. შავი, სამეურნეო სამუშაო მათთვის არ არის შექმნილი.

### *როგორ ცხოვრობდით?*

მე და ჩემს ქმარს ერთი ოთახი გვქონდა. ამის გამო ჩემს მშობლებს ცალკე უქუქირავე ოთახი. ბინა რომ მიგვეყო, კოოპერატივში გავერთიანდით, მაგრამ რეა წელს მოგვიწია ლოდინი; პირველი მუშაობის ვიღაცამ ჩაიღო ჯიბეში და ყველაფრის გარკვევას, საჭირო თანხის შეგროვებას კიდევ რეა წელი დასჭირდა. ახლა იმ ლამაზ ბინაში ჩემი მანანა ცხოვრობს.

### *რა მიგანათ გერმანელისთვის ნიშანდობლივად?*

პუნქტუალურობა. ყველაფერი მოწესრიგებული აქვთ და დიდი შრომისუნარიანობა ახასიათებთ; გულდასურული, მაგრამ პატიოსანი ხალხია. კატარინენფელდში ყოველთვის წინასწარ გვეგადგინდნენ, რა, როდის და როგორ უნდა გაეკეთებინათ; ზამთრისთვის საფუძვლიანად ემზადებოდნენ, შიმშილს არ უნდა შეეწუხებინა. ზაფხულს შრომაში ატარებდნენ. რომ მოიდრულებოდა, მთაზე აღიდგინდნენ და ღრუბლებს რაკეტებს ესროდნენ, სანამ არ გაითიანტებოდა. იქაურ გერმანელებს საწინამდებარე მოვლელი ბალები ჰქონდათ, სიტყვა თუ გაანადგურებდა იშვიათად.

### *გერმანიაში გამგზავრება თუ გსურთ?*

თავს გერმანულად ვგრძობ, ვერ შევიცვლები. გერმანიაში წასვლას ვერ შევიძლებ, რადგან თავიდან ვეღარ დავიწყებ ცხოვრებას. წესიერად სიარულიც კი აღარ შემიძლია. თავი ჯერ კიდევ მიმუშავებს. ლექსებს ვთარგმნი ქართულიდან გერმანულად. მოწყენილობას არ ვგრძნობ. მიყვარს თარგმნა და კითხვა, ექსპოზიციები ვკითხულობ გოეთეს, შილერს და ჰაინეს. ახლანაირად გერმანიის ისტორია წაიკითხე. სწორედ რომ გერმანულ წესებზე ვარ აღზრდილი.

როგორც იქნა, შემიძლია, რაც მინდა, ის ვაკეთო და არა ის, რაც სავალდებულოა.

ბატონი ჰუმელის მაღლობელი ვარ, რომ მოხუცთა თავშესაფარში ცხოვრების შესაძლებლობა მომცა. მანამდე ყოველთვის იმ ოთახში ვცხოვრობდი და, მიუხედავად ჩემი ავადმყოფი გული-სა, იძულებული ვიყავი, კერძო გაკვეთილები ჩამეტარებინა. ბატონი ჰუმელი რომ მოვიდა, ჩემი თავშესაფარში მიღება ვთხოვე და აქ გადმომიყვანა. საბედნიეროდ, აქ უფასოდ გვაქვს საბედნიერო მომსახურება, წამლები და საკვები. თავის სარჩენად მუშაობა აღარ მიწევს. ვთარგმნი, როცა ამის ხალისი მაქვს.

***ქმრის ოჯახთან თუ ავრძელებთ ურთიერთობას?***

მეუღლე 1984 წელს გარდამეცვალა. მას შემდეგ გაეწყვიტე მის ოჯახთან კავშირი. ისინი ყოველთვის უხეშად მეპყრობოდნენ. რა უნდა მინდოდეს მათგან, როდესაც ქალიშვილი მყავს?!



## ვოლდეპარ გუტბროდტი

გუტბროდტიების ოჯახი იმ პირველ კოლონისტთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც 1817 წელს ჩამოვიდნენ საქართველოში და მარიენფელდში დასახლდნენ. ვოლდეპარ გუტბროდტის ბაბუა, ელუარდ ემანუელ გუტბროდტი, გერმანიაში გაემგზავრა და იქ ლუდის წარმოების საქმე შეისწავლა; საბოლოოდ, თბილისში დაბრუნდა და ლუდის საწარმო გახსნა. გუტბროდტის სახლში, რომელიც დინამოს სტაციონის მახლობლად მდებარეობდა, მოვეციანებით მისი სამი შვილი ცხოვრობდა ოჯახებთან ერთად. ვოლდეპარის მამა, ელუარდ გუსტავ პერმან გუტბროდტი

(1898-1942) ხარატიდ მუშაობდა რკინიგზის დეპოში. მან კატარინენდორფელ ანა ფიხტნერზე (1897-1978) იქორწინა. ვოლდეპარი 1928 წელს დაიბადა, მისი და არლუტა - 1933 წელს. 1941 წელს ოჯახი ყაზახეთში გადაასახლეს. იქ ვოლდეპარმა ელექტრიკოსის სპეციალობა შეისწავლა და ბოლოს, ჰიდროინჟინერად მუშაობდა კარატაუში. მისი პირველი მეუღლე, მარგარიტა ლეპი 1989 წელს გარდაიცვალა. 1992 წელს, ვოლდეპარ გუტბროდტი გერმანიაში გადასახლდა და ხელმოკრულ იქორწინა.

## რა შეგიძლიათ, თქვენი წინაპრების შესახებ მოგვითხროთ?

დედა იმანუელ ვოლკერის მოსწავლე იყო. ვოლკერის ბებია და ბაბუა, ემიგრანტთა მორე ტალღასთან ერთად, 1818 წელს ჩამოსულან თბილისში. დედა ბევრს მიაპობდა ამ თემზე და ამდენად მუც შემიძლია, რაღაც მოგიყვებო: საქართველოში მომავალი კოლონისტები, კარანტინის გამო, იძულებულნი გახლდნენ, იზმაილში შეჩერებულიყვნენ. მდინარე დუნაის სულ ქვემო წელში მდებარე ციხე-სიმაგრე იზმაილი რუსებმა წაართვეს თურქებს. იქ ქოლერიის ეპიდემიამ იფეთქა და მრავალი გერმანელის სიცოცხლე შეიწირა. ამის გამო, ბევრმა გადაიფიქრა გზის გაგრძელება და ოდესაში, ყირიმში ან როსტოვის მახლობელ ტერიტორიებზე დასახლდნენ. კავკასიაში მომავლებმა ოდესაში ითხოვეს, რომ მეფეს მათთვის კაზაკთა დაცვა ყასლუ ბინა მგზავრობისას. მათ ეს თხოვნა შეუსრულეს.

საქართველოს მთავრობამ 500 ოჯახს ჩამოსვლისთანავე გადასცა მიწა, რომელიც საკმაოდ ელეური და ხელუხლებელი იყო. სხვათაშორის, კატარინენფელდი ორჯერ დაარსდა. პირველ კატარინენფელდში ძალიან ბევრი ადამიანი დაიღუპა - ეჭვი მალარიაზე ჰქონდათ. ამის გამო,

მდინარე მაშავერას მახლობლად, მეორე სოფელი დააარსეს. როგორც მოვეიანებით გაირკვა, სიკვდილიანობის მიზეზი მაღარია კი არა, დაბინძურებული წყალი იყო. სასმელი წყალი სპლენძის მაღაროების გავლით მოედინებოდა და ნელ-ნელა წამლავდა ზღვს. ახალ სოფელში მდინარე დააგუბეს, კალაპოტში მოაქციეს და სოფელში გადმოუშვეს. ისინი, ვისაც მიწა წყლის ნაპირთან ერგოთ, რა თქმა უნდა, ძალზე გახარებულები იყვნენ.

### **თბილისში როგორ ცხოვრობდით?**

დიღუბეში ეცხოვრობდი. უკანა ეზოს ეწერა – N39. ეს იყო ერთსართულიანი, ცინკით გადახურული სახლი. ის ჩემმა ბაბუამ შეიძინა სამხედრო სასაღილოს მეპატრონისგან. იქ მამა, ერთადერთი ვაჟი, რვა გოგონასთან – დებთან და ბიძაშვილებთან ერთად იზრდებოდა.

ამბობენ: ვისაც ერთხელ შეუსვამს მტკერის წყალი, მას კვლავ დაუბრუნდებაო. ჩვენც ეს წყალი დავლიეთ, მართალია, გაყვანილობის, მეგრამ მაინც, ახლა აღარ შეგვიძლია უკან წასვლა. სახლი სამად იყო გაყოფილი. თითოეულ ნაწილში გუტბრლოვლების ოჯახის ერთი განაყოფი ცხოვრობდა. ჩვენ გექონდა საცხოვრებელი, სასაღილო, საძინებელი ოთახები და კარადით გადატვირთული პატარა საძინებელი ბავშვებისთვის. სამზარეულო შემოსასვლელში იყო. ბაბუს დედის საწარმოს ფილიალი ქონდა ბათუმში. იქ, სარდაფში, მას საზამთროს ქერქზე ფეხი დაუტურდა, იატაკზე კეფა დაატრია და მაშინვე გარდაიცვალა. ბაბუს სამი შვილი ღარნა, მათ გაიყვეს ეს სახლი. წინ ბაღი გექონდა, რომელშიც დიდი თუთის ხეები იდგა. წყალი ეზოში იყო გამოყვანილი.

### **შეეძლოათ, 30-იანი წლების თბილისი გაიხსნოთ?**

მამა 1938 წელს დააპატიმრეს. ეს საშინელი დრო იყო. უკვე საბჭოთა მთავრობა იდგა. მათ ბრძოლა გამოუცხადეს კონტრრევოლუციურ ძალებს. პერმანი, მამჩენის ძმა, ომ დროს მოპირდაპირე ქუჩაზე ცხოვრობდა. უკვე ასაკოვანი კაცი იყო და ბოსტნითა და ხილის ბაღით ირჩენდა თავს. ის 1938 წლის ივლისის ერთ დღეს წაიყვანეს, იმავე დამეს მამასაც მოაიბოხეს. ღამის 2 საათი იყო, უკვე გვეძინა. მე, დასთან ერთად, ჩვენს საერთო საწოლში ვიწექი. ბინა განხრიკეს და მამისთვის ნაჩუქარი სანადირო იარაღი იპოვეს. მამა მონადირე იყო, ამიტომ ქონდა ეს იარაღი, მონადირე ძაღლიც ჰყავდა და საფანტესაც თავად ასხამდა. საფანტეც წაიღეს. მამა კიდევ ერთხელ მოვიდა ჩემს საწოლთან, მაშინ გამოძვლიდა. უკვე მესძლია ხმაური. ბავშვებს შედარებით ამაღლებული საწოლი გექონდა, რომ არ გადმოვკარდნილიყავით. მამა მოვეიანხოვდა და უკანასკნელად გვაკოცა. მას შემდეგ აღარც გვინახავს (...). დედა ყოველ პარასკევს მიდიოდა გოგირდის აბანოების მახლობლად მდებარე ციხეში და რაღაც მძაქონდა მამისთვის. წინასწარ არასდროს იცოდა, ჩაიბარებდნენ თუ არა მიტანდეს. 7 თვე გაივლიდა, სანამ მამასა და ბიძას გაასამართლებდნენ. ისინი ხალხის მტრობაში, პაექტების შენახვასა და შპიონაჟში დაადანაშაულეს. ღამით აწამებდნენ, ძილის საშუალება მანამ არ მისცეს, სანამ ხელი არ მოაწერიანეს პროტოკოლზე, რომელიც მათ ხალხის მტრობას ამტკიცებდა. ამის შემდეგ კი 10 წლით პატიმრობა მიუსაჯეს და ურალის ერთ-ერთ რეგიონში, სვერდლოვსკში

გადასახლეს. იმ პერიოდში ადამიანებს ერთმანეთთან შეხვედრის ეშინოდათ. ისინი ძალზე ხმადაბლა საუბრობდნენ, გერმანულად ლაპარაკი რომ არაეის გაეყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, მამნივე ხელს სტაკებდნენ: „აჰ, შენ მთავრობის მოწინააღმდეგე ხარ? ვინმეს საწინააღმდეგოდ თქვი რამე? “

### **როგორ ცხოვრობდით მამის გასამართლების შემდეგ?**

მომდევნო სამი წლის განმავლობაში არავითარი შემოსავალი არ გვექონდა. დედა სოფლიდან იყო ჩამოსული. მანამდე ხელ ბაღში მუშაობდა და პროფესია არ ქონდა. ის შედარებით გვიან გათხოვდა – 28 წლის. მუშაობისგან ფეხები დაუსივდა, ფეხზე ძარღვი გაუწყვდა და ტროპიკულ წყულად გადაიქცა, რომელიც აღარ ურჩებოდა. ჩემი და ჩემზე ორი წლით უმცროსი იყო. ზოგჯერ ბიძას და დედებს მოსაკითხი ჩამოქონდათ სოფლიდან. თბილისში მამას ორი დეიდა ცხოვრობდა, რომლებიც მუდამ რაღაცით გვეხმარებოდნენ. ხშირად მამიდა ქელის თაყისთან მივყავდი და, როგორც შეუძლო, ისე მივლიდა. მამიდა ოპერის გუნდის მომღერალი იყო. მისი შესაძვე ქმარი ლალო აბაშიძე გახლდათ.

1941 წლამდე ისე გვიჭირდა, რომ დეიდა და დედა ბიძია პერმანის ბაღში ჭინჭარს აგროვებდნენ და ყიდდნენ.

### **სკოლაში სად დადიოდით?**

გერმანულ საბავშვო ბაღში დადიოდი, გერმანული სკოლის მახლობლად. ორი წლის მანძილზე იმ სკოლაში ვსწავლობდი. 1938 წელს კი ბრძანება გამოვიდა – ყველა გერმანული სკოლა დახურეს და რუსულად გადააკეთეს. მეც იძულებული გაეხდი, რუსულ სკოლაში მეყო. დასაწყისში, ვინის არცოდნის გამო, ძალიან მიჭირდა. მე-3 კლასი საშუალო ნიშნებით დავამთავრე, მაგრამ ყოველ მომდევნო წელს უკეთესად ვსწავლობდი. მე-9 კლასში რომ ვიყავი, ყაზახეთში გადაგვასახლეს. მახსოვს ჩემი სკოლელი ჰარალდ ციმერი, რომელიც ძალიან კარგად ხატავდა. ყაზახეთში უნახე სურათები „ციმერის“ ხელმოწერით და გაიფიქრა, რომ დედამისც ხატავდა – ამით ირჩენდა თავს. ძალიან ლამაზი სურათები იყო.

### **იმ პერიოდში ვისთან გქონდათ ურთიერთობა?**

სადაც, 10-13 წლის ვიყავი. მამაჩემის ნათესაებთან და მათ მეგობრებთან გვექონდა ურთიერთობა. მახსოვს, ერთ შობას რუსებმა დაგეპატიქეს – გვარად შტუპიტციტი იყვნენ. ოჯახის მამა აფთიაქში მუშაობდა. იმ საღამოს ყველა ბავშვს რაიმე უნდა მოეყოლა და ვცეკვა. გაუჯიუტდი და არაფრით არ ვიცეკვე – არც ვიცოდი, რა უნდა გამეკეთებინა. ხშირად მივდიოდი მამიდა ქელისთანაც, რომელიც აბაშიძის ცოლი იყო. მამიდა ელზასაც ქართველი ქმარი ჰყავდა, ისინი ელზაქიძის ქუჩაზე ცხოვრობდნენ. ჩვენს მახლობლად ცხოვრობდა დეიდა ემაც. ამ დრომდე მხოლოდ ბიძია პერმანთან და მის ნათესაებებთან გვექონდა კონტაქტი. ჩვენი ოჯახის ქართველ წევრებს რუსულად ვესაუბრებოდით. დეიდა ლილი რუსზე იყო გათხოვილი. ის 10-15 ბავშვისგან შემდგარ ჯგუფს ამეცადინებდა გერმანულში. დეიდა ლილი ძალიან ლამაზი,

სუფთა ლიტერატურული გერმანული საუბრობდა. მოგვიანებით, საბჭოთა მთავრობამ აკრძალა გერმანულის სწავლება. მიუხედავად ამისა, დედა ფარულად ატარებდა გაკეთილებს – ცნობილ პიროვნებებს სურდათ, რომ მათ შვილებს ესწავლათ. ქართველებს არასდროს არაფერი ჰქონიათ გერმანელების საწინააღმდეგო, არასდროს მოქცევიან სასტიკად; ზოგიერთი კი გამოირეოდა ხოლმე, მაგრამ, ალბათ, მათაც აიძულებდნენ. დედა ლილი მწ წლის გახდა. მისი ქალიშვილი ნინა მისმა ერთ-ერთმა მოსწავლემ, გვარად სანიკიტემ, შეირთო. მოგვიანებით, სანიკიტე დაასტიმირეს. მათი საერთო ქალიშვილი, ლანდა ცოლად წაჰყვა დიდებულებს. მათ ეაქს, კონსტანტინესაც სამი შვილი ჰყავდა: ალექსანდრე, ელისო და ირაკლი. ირაკლი ფიზიკოსია, დღეს გერმანიის საელჩოში მუშაობს. 1962 წელს, ჯერ კიდევ, მის ბინაში ვცხოვრობდი ჩემს ორ შვილთან ერთად. ისინი დღესაც გერმანულად ლაპარაკობენ!

### *შევიძლიათ, ყაზახეთში დეპორტაციის შესახებ გვიამბოთ?*

მოვიდნენ და გვითხრეს: 72 საათი გაქეთ იმისთვის, რომ ყველანი შევიკრიბოთ და მოემზადოთ. მხოლოდ აუცილებელი ნივთები იქონიეთ თან, უნდა გადაგასახლონო. სად – არ უთქვამთ. შეიარაღებული კაცები იყვნენ. მათ დაავალეს ბრძანების შესრულება. ჩვენი, როგორც მტრების, დეპორტაცია უნდა მოეხდინათ. რა უნდა გვექნა? მაშინ 13 წლის ვიყავი, ჩემ და კი 11-ის. დედას ფეხი სტკიოდა. იმხანად, ჩვენთან დედას ძმისშვილი ცხოვრობდა, იგი და მოვეცხმარა ჩალაგებაში. დედას თავისი საათის გაყიდვაც უნდოდა, მაგრამ მეზობლებს ფული არ ჰქონდათ, ბოლოს, სასაცილო ფასში მისცა, გზაში უფულოდ რომ არ ვყოფილიყავით.

სამეზაო მატარებელთან მივიყვანეს. ვაგონები უკვე ხალხით იყო სავსე. ბაქომდე, კასპიის ზღვამდე მივედით. სოფლებიდან ჩამოსულ სხვა გერმანელებთან ერთად, ნაპირზე გვალლოდინეს, იქ, სადაც დღემდე აშწეები ტვირთავენ გემებს. პირველ გემზე, „თურქმენისტანზე“, არც აესულვართ, სატვირთო გემ „სპარტაკზე“ აკვიყვანეს. ხეუდელი, როგორც ცვიოდა ნივთები გადატვირთული ამწვენან. ოქტომბერი იდგა. დრო, როდესაც კასპიის ზღვაზე უმეტესად მტორშია. მართლაც, დღევანდელი დღეა. ზოგს ნერვებმა უმტყუნა – ტირიოდნენ, ჩხუბობდნენ, ლოცულობდნენ, ზოგიერთები კი მღეროდნენ. სამნი ვისხედით გემბანზე. წვიმდა. თან მაშის ნაქონი ცხვრის ტყაპუჭი გვექონდა და ის დავიფარეთ. კრასნოვოდსკში ჩავედით, სადაც სატვირთო მატარებლებში გადაგვსხეს. თითქმის ერთი თვის შემდეგ, ციმბირის საზღვრის მახლობლად, სემიპალატინსკში ჩავედით. მატარებელში არც ტუალეტი იყო და არც წყალი. ერთ-ერთ სადგურში აღუდებული წყალი მოგვეცეს. ასე რომ, წყურვილის მოკვლის საშუალებაც მოგვეცა და ჩაის დაყენებისაც. ჩვეულებრივი წყალი ბაქტერიებით იყო სავსე.

ორსართულიან, შუაში გაყოფილ საწოლებზე გვეძინა. თითოეულ მათგანზე, მარცხნივ და მარჯვნივ, ათ-ათი კაცი იწვა. ვაგონში ღუმელიც იდგა და მასში გამუდმებით ტყინდენ ყველაფერს, რაც კი შეეძლოთ. ვაგონები გადატვირთული იყო. გზაში სულ უფრო და უფრო ციოდა. თურქმენეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი და ყაზახეთი გავიარეთ. მდინარე ირტიშთან გადამოგვსვენს და ისევ გემზე აკვიყვანეს. გემი მდინარეს ჩაუყვია, ყოველ სადგურში ხალხს ტოვებდნენ. ჩვენ სემიპალატინსკში უნდა ჩავსულიყავით. იქ ორი დღე ვიცადეთ, რის შემდეგაც, ორი



დღე-ღამის მანძილზე. საქონლის ვაგონებით გაეიარეთ 60 კილომეტრი, ვიდრე ერთ რუსულ სოფელს არ მივაღწიეთ. უკვე ნოვებერი იყო. სად უნდა წაესულიყავით? სოფლის მამასახლისმა მარტივად გადაწყვიტა, თუ სად უნდა განეთავსებულყავით. იქაური კაცები გერმანელებთან საბრძოლველად გაიწვიეს, ახლა კი გერმანელები უნდა მიეღოთ – თავიანთი მტრები. ჩვენ ერთ ოთხშვილიან ქალთან შეგვასახლეს. ეს ოჯახი სამზარეულოსა და ერთ ოთახში ცხოვრობდა. დედა ყველაფერს, რაც თან გვქონდა, საჭმელში ცვლიდა: მატრასებს, შალის საბინებს და მამაჩემის ჯერანებს. ზამთარიც დაიწყო, 30-40 გრადუსი ყინვა იდგა. ემშობილობდით. არც ტანსაცმელი გვქონდა. ყველა დეპორტირებული გერმანელი ჩვენს მდგომარეობაში იყო.

მასხვო ჯერმანების ოჯახი. გერმანელი კაცი იყო, რუსი ცოლი ჰყავდა. ის მამასთან ერთად მუშაობდა მშენებლობაზე. მისი ქალიშვილი ანა 1937 წელს გაეიცანა, როდესაც შავ ზღვაზე, რკინიგზის მუშაკთა ბაჟმთა დასასვენებელ სანატორიუმში, ქობულეთში გაბავზავნეს. ანას კიდევ ოთხი და-ძმა ჰყავდა. ოჯახის მამა მამინეუ შრომით არმიამი გაამწესეს. ცილი მარტო დარჩა, ხუთ შვილთან ერთად. თბილისიდან დედამისი ჩამოვიდა დასახმარებლად. ყველაფერი, რაც მან ჩამოიტანა, ბავშვებმა შეგპამეს და მაინც შიმშილით დაიხოცნენ. შეიძლება, ანა გადარჩა. ანა მომწონდა, მეც ხომ მქონდა ჩემი გრძნობები?! გერმანელი ქალებიც შრომით არმიამი გაგზავნეს, მათი შვილები კი ბედის ანაბარა დარჩნენ. საბუნდოვროდ, დედაჩემი არ გაუგზავნიან, თორემ დაეილეუტებოდა. დედა მატრასებიდან მატყლს იღებდა, ჩვენ ვართავდით, ის კი ქსოვდა და სოფელში ყიდა. სხვა გერმანელებიც ცდილობდნენ ამ გზით ფულის შოვნას და, ამიტომაც, დედას უძნელდებოდა გაჭრობა – ერთ ჯამ კარტოფილს, ერთ-ორ ხელ ტანსაცმელს ან გაყინულ რძეს თუ მისცემდნენ.

ოთხი წლის განმავლობაში ასე გავგვქონდა ზამთარი. ზაფხულობით ველზე გავდიოდით და თავთავებს ვაგროვებდით. კომბანებიც ცუდად თიბავდნენ ყანას და ხორბალი რჩებოდა. ჩვენ სამში, მთელი ღლის განმავლობაში, დავიდიოდით მინდვრებში და თავთავებს ვაგროვებდით, ვახშობდით, ვუჭკავდით და ფქვილსა და ბურღულს ვამზადებდით. მერე გერმანელებმა გავკურდეს. ასეთი საშინელი რამ იყო შიმშილი.

### **კიდევ რას მოგვითხრობდით ყაზახეთში ცხოვრების პირველ პერიოდზე?**

აშლაკ თვალწინ მდგას ის სურათი. ერთი თბილისელი ქალი იყო, ექვსი წლის ვაჟი ჰყავდა. ბზორტი აღმიახი იყო. ვოლგისა და საქართველოში ჩასულიყო, რადგანაც 30-იან წლებში ვოლგისპირეთში დიდი შიმშილობა მძინეარებდა. ბავშვი გამუდმებით ტიროდა, სულ შიოდა. იმ ოჯახში, რომელშიც ვინმე გარდაიცვალბოდა, ჭირისუფლებს ვერმიშელის რძიან წებინანს ურიგებდნენ. ეს იყო ერთადერთი საყვები, რომელსაც ის ქალი იღებდა, არც არაფერი გააჩნდა, რომ გაეყიდა ან გაეცვალა. ბავშვი ტირითად ჭკუოდა. „სული რატომ არ გაგაძვრებაო“ – უუხებოდა. ბავშვი მოუყვდა, მაგრამ არც მარტოხელა გრძნობდა თავს უკეთესად. გაზაფხული იდგა, თვითონაც მკედარი რომ იპოვეს. ერთი დაკემსილი კიტელი ეცკა, რომელიც ტილებსგან ირხებოდა. ასეთი იყო ამ საყოფადი ქალის სურათი. ასე დაემუა ზოგიერთი ოჯახი.

### **მამასთან ურთიერთობას თუ აგრძელებდით?**

მისი მისამართი ვიცოდით და ყაზახეთში ჩასვლისთანავე წერილი გაუგზავნეთ. პასუხიც მივიღეთ, გვეკითხებოდა: როგორ მოხვდით ყაზახეთში? მან რა დაგრჩენიათ? ის აზრზეც არ იყო, რა მოხდა, ისიც არ იცოდა, რა დღეში ჩაეცვივდით. ვუთხრობდა: ცოტაოდენი საცქერები და მოსაწვევი გამომიგზავნეთო. შემდეგ კიდევ ერთი წერილი მივწერეთ, მაგრამ აღარ მიხვლია. 1942 წლის იანვრიდან მარტამდე პერიოდში გარდაცვლილიყო. მისი სიკვდილის მიზეზი მოკვანებით გავიგეთ – საჭმელში ციანიდი ჩაუყარეს. გერმანიასთან ომი უკვე დაწყებული იყო და გერმანელების თავიდან მოშორება სურდათ. მტერს რომ არ ჩაუარდნოდნენ ხელში, აქურთ გერმანელებს ციხეებსა და ასეთ შორეულ ადგილებში ავზავინდნენ. მთელი ეოლვის რესპუბლიკა ყაზახეთში გადაასახლეს. ბევრი შიმშილისგან დაიღუპა.

### **სკოლაში სიარული თუ შეგებდით?**

სასწავლო წელი დაწყებული დაგეხვდა. ამდენად, მხოლოდ მთელი წელიწადი მერ კლასში. კარგი მესიერება მქონდა და ბევრს ესწავლობდი. იქ დაემათარე სკოლა. ზამთრობით ვმეცადინებოდი. 1943 წლის ზაფხულიდან კი კოლმეურნეობაში ვმუშაობდი. სარვევლას ვთხროდი. პირველ რიგში, აბზინდას ვეძებდით. 1944-ში, მკისას, ერთ გერმანულ ბიტონა ერთად, მინდორში ხარკებზე მუშაობდა ურეულ მიუძღვებოდი. ფეხშიშველები ვიყავით. ვადაჭირილი ღვრები ისეთი ბასრი იყო, რომ ქუსლებს გვისიარავდა. სისხლდენა რომ შეგეჭვრებინა, ჭრილობებს მიწით ვიფარავდით და გზას ისე ვაგრძელებდით. აცრები არ გვიკეთდებოდა. მთელი ზაფხულის განმავლობაში ვიმუშავებთ, მაგრამ არ აუნაზღაურებიათ. მეც ავღვქი და ამბის საკითხავად მივედი. ფულს ისეც არ მომეცდნენ. ნამუშევარი დღეები აღნიშნეს და დაიანგარიშეს. ერთი სამუშაო დღე ნამუშევრის მიხედვით აღირიცხებოდა. მთელი დღის განმავლობაში ხარების მწყემსვა დღენახევრის სამუშაოდ გეთვლებოდა. ნამუშევარი დღეების რაოდენობა ჩაიწერეს და მეც კოლმეურნეობის თავმჯდომარისგან ანაზღაურებას ვითხოვედი. რადგან კოლმეურნეობის წევრები არ ვიყავით, არაფერი მოგვეცეს. ვაზაფხულზე ისევე თავთავები შევაგროვეთ და ჩვენთვის გამოყიფილ მიწის ნაკვეთზე დაეთესეთ. გერმანელი კაცი ხომ ტირიფის ნერვიითაა – ყველა-ნაირ გარემოს ეჩვევა. შემდეგ ომიც დაშთაერდა. ტანსაცმელი საერთოდ არ გვექონდა. დეიდა ჰქონდა ამანათი გამოკვივზავნა. მასში ჯარისკაცის ჩექმები ეწყო ჩემთვის, მაგრამ ძალიან დიდი მქონდა.

სკოლის შემდეგ, ერთ გერმანულ მეგობართან ერთად, შეშას ვაგროვებდი ზამთრისთვის. იმ ბიჭის მამა ინჟინერი იყო, კუზი მქონდა და შრომით ბანაკში არ გაუგზავნიათ. დედა რუსი მყავდა, გერმანულის მასწავლებელი იყო. ურემი მოგვეცეს, ტყეში შეშას ვაგროვებდით და ვხუნზავდით, ზამთარში რომ გვექონოდა. ერთმა ქალმა პატარა რუსული ამანო დავეთმობი, რომელშიც სამინი ვეხვრობოდით. საცხოვრებელს დუმელი მივაძენეთ, ეზოში კი ბალი მოვაწყვეთ.

### **სკოლის დამთავრების შემდეგ რა გეგმები გქონდათ?**

1945 წელს გადაწყვიტე, რაიმე სპეციალობა შემესწავლა – ხარების მწყემსვა ხომ პროფესია არ არის. ბერის ვეიქრობდი, თუ რა გზას დადგომოდი. ასე აღვიღად ვერსად წახვიდოდი. მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ არ იყო კომუნისტურები და, თუ ამონაწერს მოვცემდნენ, იქაურობის დატოვებაც შეგეძლო. დედა თაეჯდომარის მდივანთან მივიდა და სუნამო და პუდრი მიართვა. დედა თაეად არ ხმარობდა კოსმეტიკას, მაგრამ ეს ნივთები მაინც წაძოდიო თბილისიდან და ინახავდა. სამაგიეროდ, იმ გოგონამ ამონაწერი მომცა. სულ მალე კომუნისტურაიც გახსენეს; გერმანელები აღრიცხვაზე აყავდათ, რის შემდეგაც მათ იქაურობის დატოვება ეკრძალებოდათ. ჩვენი რიგი ჯერ კიდევ არ მოხულიყო, ამონაწერიც ხელთ მქონდა. ოქტომბრის დასაწყისი იყო. მე და დედა ფეხნი გავიარეთ 120 კილომეტრი. მზის ამოსვლამდე ყანაც გადავიარეთ და მიწდორიც. სამი დღე მივდიოდით, ღამეებს სოფლებში გერმანელებთან ვათევდით. ისინი ყოველთვის გვეხმარებოდნენ. ჩემი და იქ დავტოვეთ. პრივადირს რომ არ დაეხვდი, უკითხავს: სად არისო? საშინლად გაბრაზებულია – მასთან უნდა მეშუშავა. მეორე დღესაც რომ არ მივედი, ჩემი ღისთვის ჩვენ მიერ ზამთრისთვის შეგროვებული შემის მთელი მარაგი წაურთმევია.

### **რომელ ქალაქში გსურდათ განათლების მიღება?**

სემიპალატინსკში. იქ ჩასვლა ცოტა დაევივიანდა. რადგან მე-7 კლასი დამთავრებული მქონდა, სარკინიგზო ტექნიკეში მიმიღეს. მიწოდდა მემანქანის ასისტენტი გაემხლარიყავი. ამხელ-დამხელეს – სუსტი აღნაგობის, გამხლარი ბიჭი ვიყავი და მითხრეს: ეს საშენო პროფესია არ არის, მაგ საქმისთვის უფრო ძლიერი ბიჭები გვჭირდებათ. ელექტრიკოსის პროფესია შემა-სწავლეს. იქ ყოფნისას აღჭურვილობა და სამჯერადი კვება უფასოდ გვქონდა. დღემდე ჩასაცემელი აღარ ჰქონდა, მხოლოდ ერთი გამჭვირვალე, ნაქსოვი ქვედაბოლოდა შემორჩა. ასე ჩაცმულს რომ ეხედავდი, სირცხვილით ვკედებოდი. გერმანულად საუბარი გვეკრძალებოდა, მაშინვე ფამისტებს გვეძახდნენ. ომის გამო იყვნენ ასე გაღიზიანებული.

### **განათლების მიღების შემდეგ რას აკეთებდით?**

კარგად ვსწავლობდი და კარგი დიპლომიც მომიცეს. სწავლის დამთავრების შემდეგ, ყველა ბიჭი ურალში, რკინიგზის მშენებლობაზე გაგზავნეს. არც მე დაუვტოვებიათ, ხორციის კომბინატში გამიშვეს. იმ დროს, როგორც წესი, სწავლების ორწლიანი კურსის გაკლის შემდეგ, ოთხი წელი სადმე უნდა გეშუშავა. სწავლის გაგრძელება მიწოდდა და სადამოს სკოლაში მივედი. ეს სკოლა, პირველ რიგში, მათთვის დააარსეს, ვინც ომის გამო ვერ შეძლო სწავლა.

სამი წლის მანძილზე, შვილის ნახვერიდან თერთმეტის ნახვერამდე, სკოლაში ვსწავლობდი, დღისით კი ეშუშობიდი. ასე დავამთავრე მე-10 კლასი. ელექტრიკოსად ვმუშაობდი და მიწოდდა, ელექტროინჟინერი გამხლარიყავი. ამისთვის ტაშკენტში უნდა წახსულიყავი – ორი დღე უნდა მეშუშავრა, მაგრამ არ გამიშვეს. კომუნისტურაში ვიყავი აღრიცხული. იქ „თვალბში ნაცარი შემაყარეს“: თქვენი საბუთები მოსკოვში გაგვზავნეთო. შინსახკომის უფროსთან მიწოდდა შესვლა, მაგრამ მცველმა არ შემიშვა. მასთან შესაგზავნად დიდი პეტიცია დავწერე.

ბოლოს, შესაძლებელია შემიშვეს. იქ შესულს ერთი ებრაელი ქალი დამხვდა, სივარტეს ეწეოდა. მან მკითხა – რა გნებათო? სწავლის გაგრძელება მინდა-მეთქი, უკასსუხე. თქვენი საუბრები მოსკოვში გავგზავნეთო. ეს მიზეზი იყო, თორემ სინამდვილეში გერმანულ ახალგაზრდებს არ უნდა ესწავლათ, მათ მხოლოდ ძროხები უნდა ეწვევებოდნენ და ყანა ეთიხნათ. ამიტომაც გადაეწყვიტა ტექნიკუმში შესვლა, სადაც, ორი წლის შემდეგ, ინჟინრის დიპლომზე ერთი საფეხურიით დაბალ კვალიფიკაციას მივიღებდი. საბუთები აღმა-ატამი გავგზავნე. დიდი დრო გავიდა, სანამ მათ უკან მივიღებდი, მაგრამ ჩამრიცხეს. ამ ქალაქში დაგვიყოფიერი ინსტიტუტიც იყო. გერმანულ გოგონებს არ ჰქონდათ იქ სწავლის უფლება და, ამდენად, ყველა ამ ტექნიკუმში სწავლობდა. შემდეგ კი სამუშაოდ ჩომბუში გამგზავნეს. მომეწონა იქაური სამსახური, მაგრამ ამ პროფესიაში წინსვლის შესაძლებლობა არ მქონდა.

### **ყაზახეთში დაქორწინდით?**

გერმანელი ქალი შევირთე, ყირგიზეთიდან იყო, ფრუნზედან (დღეს ბიშკეკია). იქ შესაძლებლობა ჰქონდა, ქიმა და ბიოლოგია შეესწავლა. მამამისი არ გავგზავნეს შრომით არბაში – სკოლის ხელმძღვანელობას არ უნდოდა მისი გაშვება, რადგანაც ფიზიკისა და ქიმიის ერთადერთი მასწავლებელი იყო იმ ოლქში. პროფესიით ინჟინერ-მშენებელი, თეთრი ზღვის არხის მშენებლობაში მონაწილეობდა. მოგვიანებით, თავის პროფესიაზე უარი თქვა და მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. ომის შემდეგ, იმ სკოლაში უშიშროების ბევრი წარმომადგენელი სწავლობდა (რობლებსაც სკოლა არ დაემთავრებინათ). მათ ჩემი მომავალი სიმამრიც ასწავლიდა. ერთი მოსწავლე განსაკუთრებული სიმპათიით განეწყობოდა მისადმი და კითხა: ხომ არ შემიძლია, რაიმეთი დაგვებმართო? მანაც უთხრა, რომ ბინა და ხუთივე ქალიშვილისთვის კარგი განათლების მიღების უფლება სჭირდებოდა. ორივე თხოვნა შეუსრულეს. უფროსი ქალიშვილი ქირურგი იყო, მეორე – აგრონომი, მესამე – ინგლისურის მასწავლებელი, მეოთხე – ლაბორანტი, ჩემი მუუღლე კი – ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებელი.

### **სად ასწავლიდა თქვენი მუუღლე?**

ჩემი ცოლი, მოგვიანებით, ყარათაუს ქიმიის ინსტიტუტში მუშაობდა. მას არასდროს აუღია ქრთამი. მორწმუნე ადამიანი ხომ ფულს არ აიღებდა?! ამის გამო, მიძღვე კომისიაშიც კი შეიყვანეს. ყაზახი დირექტორი ჰყავდა, რომელიც ენდობოდა.

ჩემს ცოლს ყველასთან შეეძლო საერთო ენის გამოხატვა. მისაღებ გამოცდებზე ყოველთვის აგზავნიდნენ უშიშროების წარმომადგენელს იმის შესამოწმებლად, დაუშვასურებლად ხომ არ იღებდნენ ვინმეს. ჩვენებისა და გერმანელების მისაღებ ადგილებს ამცირებდნენ ან, უკეთეს შემთხვევაში, საერთოდ არ იღებდნენ. ამის გამო, ჩემი მუუღლე ძალიან იტანჯებოდა.

### **შეგიძლიათ, ყარათაუ აღგვიწეროთ?**

ეს პატარა ქალაქი გერმანელებით იყო სავსე – თავს უფრო თავისუფლად გრძობდნენ და არც გერმანულად საუბრის ეძინოდნენ. იქ ყაზახები და გადმოსახლებული ჩინელებიც ხვდებოდნენ.

ეს ქალაქი ყაზახეთის ჩრდილოეთით, ციმბირის მახლობლად მდებარეობდა. იქ მცე მომეცა მოსავლის მოყვანის შესაძლებლობა. თუმცა, იმ ანაზღაურებით ცხოვრება არ შეიძლებოდა. მადნის მალარობის პროექტებისას ჰიდროტექნიკას ცდიდნენ და იქ ხელმძღვანელ თანამდებობაზე დაშინდნენ. ჩვენს ჯგუფში ათი კაცი იყო: ინჟინერ-მშენებელი, ინჟინერ-ტექნოლოგი, ელექტროინჟინერი და სხვ. მე ჰიდროინჟინრად ვმუშაობდი. სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი მოსკოვში იყო და ერთ-ერთი იქაური პარტიული მუშაკი გეხელმძღვანელობდა. მშენებლობა ნულიდან დაიწყო. პროექტზე 1000 კაცი ვმუშაობდით. ბრინჯაოსგან ფოსფორი უნდა მიგვეღო, სასუქისა და ელემენტარული ფოსფორისთვის. ასე შევეროვდით ყველა სფეროს წარმომადგენლები, რომლებიც, პროექტის დოკუმენტაციით დაწყებული და მიღებული პროდუქტებით დამთავრებული, ყველაფერს ზუსტად ვამოწმებდით. ძალზე საინტერესო სამუშაო იყო.

### **მას შემდეგ თუ შეიცვალეთ სამსახური?**

1987 წელს, ჩემი შუფი დაითხოვეს და ჯგუფის ხელმძღვანელად ჩემი გადაყვანა უნდოდათ, მაგრამ უარი ვთქვი. პარტიის წევრი არ ვარ და მოლოდინს ვერ გაგიმართლებთ-მეთქი. მაინც დაიჟინეს, უნდა დაგნიშნოთო. კარგად მიცნობდნენ და ამიტომაც შეაჩერეს არჩევანი ჩემზე, მანქანაც კი შემოთავაზეს. ცოლთან მოთათბირების შემდეგ დაეთანხმდი, მაგრამ ძალიან გამიზნულა ამდენი უსამართლობის ყურება და ატანა. ვერც წარმოიდეგნით, იქ რა ხდებოდა. ამიტომაც, ძალიან გამიზარდა, როდესაც 1992 წელს გამგზავრების შესაძლებლობა მომეცა. მით უმეტეს, რომ მეუღლე კიბოთი დაბეღუა 1989 წელს.



## ირმა კვანთრა

1860 წელს, ფირმა „სიმენსმა“, სატელეგრაფო ხაზის მშენებლობასთან დაკავშირებით, საქართველოში თავის წარმომადგენლად, ფერდინანდ ვაისი გამოგზავნა. მოგვიანებით, იგი ობსერვატორიაში მექანიკოსად მუშაობდა. მისი ვაჟი, ფლორენტინი (1861-1913), ობსერვატორიის თანამშრომელი იყო. ფლორენტინმა ცოლად შეირთო ოლეგა მერვენტალური, რომლის მამა დიდუბეში მდებარე სასტუმროს მფლობელი იყო. მათი ვაჟი გერმანიაში სწავლობდა; როგორც მექანიკოსმა, ბერლინში, ფირმა „სიმენსი და ჯალსკე“-ში დაასრულა განათლება (1906-1909).

საქართველოში დაბრუნების შემდეგ, იგი თბილისის გეოფიზიკის ინსტიტუტში მუშაობდა. მისი მეორე მეუღლე, ნინო ქართველი იყო (1903-1971). მათი ქალიშვილები: ირმა (1933) და ლია (1939) თბილისში დაიბადნენ. 1942 წელს ოჯახი ყაზახეთში გადასახლეს, საიდანაც ორი წლის შემდეგ დაბრუნდნენ. ირმა ვაისი თბილისსა და ლენინგრადში დაეუფლა ფიზიკის სპეციალობას; 35 წლის განმავლობაში ასწავლიდა, იკვლევდა და აქვეყნებდა ნაშრომებს მავნიტოსფეროს საკითხების შესახებ. 10 წელია, რაც ირმა ვაისი ქმარს დაშორდა. იგი თბილისში ცხოვრობს.

## შევიძლიათ, რაიმე გვიამბოთ ობსერვატორიის ისტორიის შესახებ?

1860 წელს, არნოლდ მორიტცმა, რუსი მეფეების დაეალებით, გეოფიზიკის ობსერვატორია დაარსა მტკერის მარცხენა სანაპიროზე. იგი ხანგრძლივი დროის მანძილზე, მთელს რეგიონში, ერთადერთი იყო და ევროპული ობსერვატორიის სანიმუშო მაგალითს წარმოადგენდა. მორიტცი ასტრონომიის საკითხებზე გამოქვეყნებულ თავის ერთ-ერთ პუბლიკაციაშიც აღნიშნავდა, რომ ობსერვატორია მსოფლიოს საუკეთესო დანადგარებით იყო აღჭურვილი. ჩემი ბაბუა, ფლორენტი ვაისი, იქ ერთი გერმანელი – მილბერგის ხელმძღვანელობით მუშაობდა. ბაბუას კარგად ცნობდნენ, ვინაიდან იგი აბასთუმნის ობსერვატორიის ერთ-ერთი დამაარსებელი იყო. თბილისის ობსერვატორიის მომდევნო ხელმძღვანელი დიდუბელიძე გახლდათ. სხვათა შორის, ქართველ სპეციალისტებს განათლების მისაღებად გერმანიაში აგზავნიდნენ; სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ისინი ობსერვატორიაში იწყებდნენ მუშაობას.

### **რა ბედი ეწია ოჯახს რევოლუციის შემდეგ?**

რევოლუციის შემდეგ, ბებიანების, ოღვას, სახლი ჩამოგვართვეს, მაგრამ, ვაისების დიდი ოჯახი ჯერ კიდევ ობსერვატორიაში ცხოვრობდა. ოღვა მერვეტალერმა სახლის გვერდით, ობსერვატორიის ეზოში, ვაზის ტალავერით გარშემორტყმული ფანჯარა გამოართა. იქ, გაწყობილ მაგიდაზე, მუდამ იდგა სამოვარი; თანამშრომლებს ნებისმიერ დროს შეებოლოთ მისლა და ჩაის დალევა. ბებია-ბაბუამ, გარდა საკუთარი შვილებისა, სხვა ბავშვებიც აყვანეს. მაშინდელი გერმანული ოჯახებისთვის ეს. ჩვეული რამ იყო. აყვანილთა შორის უმცროსი გახლდათ ქართველი ნაღველა მეხრიშვილი.

### **რას ფიქრობდნენ თქვენი ოჯახის წევრები რევოლუციაზე?**

მამა არ იყო პოლიტიკოსი. ის და სხვა ვაისებიც მხოლოდ თავიანთი სამუშაოთი იყვნენ დაკავებული. მათ არ აინტერესებდათ პოლიტიკა.

### **როდის გაიცნეს თქვენმა მშობლებმა ერთმანეთი?**

მამას პირველი მეუღლე, მარია, ბალტიისპირელი გერმანელი, უღამაზეხი ქალი იყო. ისინი ბუნდინერად ცხოვრობდნენ, მაგრამ ის ქალი გარდაიცვალა. დედამ სამხატვრო აკადემია დაამთავრა და მხატვრად მუშაობდა იმ პერიოდში. მას, როგორც დიზაინერს, ობსერვატორიის გაფორმება შესთავაზეს. მაშინ მამა იქ ცხოვრობდა. ის მიმზიდველი კაცი იყო. მისი შვილები – მარგარიტა და კანის – უღედოდ იზრდებოდნენ. არ ვიცი, რატომ, მაგრამ დედამ მასზე იქორწინა. დედა ძალზე ცნობილი ოჯახიშვილი იყო. მამამისი, ერთ-ერთი გიმნაზიის დირექტორი, სამოქალაქო ომის დროს დაიღუპა. ბაბუას სწამდა, რომ ოდესღაც მისი საქართველო თავისუფალი და დამოუკიდებელი იქნებოდა. 1918-1921 წლებში, მან 11 ქართულენოვანი სახელმძღვანელო წარმოაადგინა. როგორც რუსული გიმნაზიის დირექტორი, დღედაღამ მუშაობდა, რომ მშობლოურ ენაზეც შეექმნა სახელმძღვანელოები. ეს წიგნები შემდგომში გამოსცეს. მათ დღესაც ვინახავ.

ბებიამ, მისმა მეუღლემ, ბესტუშევსკის კურსები გაიარა და პედაგოგიური განათლება მიიღო; შემდეგ კი პეტერბურგის სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა. ამდენად, ის ძალიან განათლებული ქალი იყო. ბებიამ და ბაბუამ ერთმანეთი სანკტ-პეტერბურგში გაიცნეს და იქვე იქორწინეს. იქ დაიბადა დედაც, 1903 წელს. შემდეგ ბებია გორის გიმნაზიის დირექტორად და ექიმად დანიშნეს. დედაც ძალიან განათლებული პიროვნება იყო, ფლობდა გერმანულ და ფრანგულ ენებს. მას, 17 წლის ასაკამდე, გუვერნანტი ჰყავდა.

### **შეგიძლიათ, ობსერვატორიის გარეშე გაიხსენოთ?**

ობსერვატორია იდგა დიდ, ძალიან ლამაზ, მწვეანე პარკში, რომელიც პლენხანოვის პროსპექტიდან (დღეს ალმაშენებლის პროსპექტი) სანაპიროს ქუჩამდე, მტკვრამდე იყო გადაჭიმული. სანაპიროს ქუჩა მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა. იქ მაწანწალები ცხოვრობდნენ. ერთ-ერთი მათგანი იყო შალიაპინი, იქ დაიწყო სიმღერა.

### **ოჯახში რა ენაზე საუბრობდით?**

სანამ 9 წლის გავხდებოდი, გერმანულად ესაუბრობდით. შემდეგ, მეორე მსოფლიო ომი დაიწყო, რომელმაც სრულიად შეცვალა ჩვენი და არა მხოლოდ ჩვენი ცხოვრება. ბევრი აღმზიანი გაიტანა, მაგრამ ჩვენს ოჯახში არაფერი ჩიოდა ამის გამო – ფიქრობდნენ, რომ ასეც უნდა ყოფილიყო. 24 საათში გამოგვეყარეს ქუჩაში. სხვა ნათესავებიც ვეყავა და ზოგიერთი ნივთი მათთან გადავინახეთ. რადგანაც „ხალხის მტრები“ არ ვიყავით, უფლება მოგვეცეს, ზოგი რამ თან წაგვეღო. ალბათ, კარგიც იყო, რომ გადაგვასახლეს.

### **კარგი რატომ იყო?**

მათა ყოველთვის ამბობდა: „ორი სამშობლო მაქვს – საქართველო და გერმანია. საქართველოდან შორს ყოფნა ყველაფერს სჯობს; გერმანელი რომ მოსულიყო, ხომ არ გავცემდი? არა. ამდენად, უკეთესიც კია, ყაზახეთში რომ ვარ.“ ორი სამშობლო – საქართველო და გერმანია – დილემა. ამიტომ მიდიოდნენ გერმანელები ყაზახეთში სიტყვის უთქმელად; არაფერი დაუწილია, თავდახრილები მიდიოდნენ. ყაზახეთისკენ მიმავალთ გასბახოდნენ: „ფაშისტები! ფაშისტები!“ შეჩვეული ვარ, რომ ფაშისტს, პიტლერიის მომხრეს მიწოდებენ. ყოველთვის სუსტი ნერვული სისტემა მქონდა. ყაზახეთი კი... ყველამ იცის, რომ ყაზახეთი გერმანული ხალხის ვენოციდი იყო. ჩვენ მხოლოდ ბებიისა და მამის თანამშრომლების ზრუნვამ გვიხსნა. შევინიერებთა აკადემიის მამონდელი პრეზიდენტი, ნიკო მუსხელიშვილი, მამაჩემის კარგი ნაცნობი იყო. მან მამა დაიცვა და თავებდა დაუდგა, ამიტომაც შეეძლოთ საქართველოში დაბრუნება. ერთიც მინდა აღვნიშნო: იმის პერიოდში გერმანელისთვის დახმარების გაწევა გაბეული ნაბიჯი გახლდათ და დიდ სიძამაცეს მოითხოვდა. ჩვენი ოჯახი ერთადერთი იყო, რომელიც ომამდე დაბრუნდა გადასახლებიდან.

### **როდის წახვედით ყაზახეთში?**

1942 წელს. 1941 წელს მამა სამსახურიდან დაითხოვეს; შემდეგ კი დააბრუნეს, მაგრამ ისევ გაათავისუფლეს; ბოლოს, ისევ მიიღეს. რამდენიმე ხანში სტალინის ბრძანება გამოვიდა: ყველა გერმანელი – ყაზახეთში! ამის გამო, 1941 წლის ნაცევალად, 1942-ში გავებუზაერეთ ბოლო მატარებლით. დედას, როგორც ქართველს, შეეძლო დარჩენა. მაგრამ, იგი იმდენად მიჯაჭვული იყო თავის ოჯახს, ვერ წარმოედგინა ქმრისა და შვილების გარეშე ყოფნა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ იგი ასიმილირებული იყო თავის გერმანულ ოჯახთან.

### **როგორ ჩაიარა დეპორტაციამ?**

ვინც ჩვენთან ერთად გაემგზავრა, ყველა დაიღუპა. ისინი შიმშილმა და სიცხემ იმსხვერპლა. საოცრებაა, რომ ყაზახეთში ცოცხლები დაერჩით. სამ წლამდე ასაკის ბავშვებს, ჩვეულებრივ, ბავშუთა სახლში აგზავნიდნენ; მათ შობილებს კი, ვინც ჩემს შობილებზე უმცროსი იყო, შრომით არმიამი. მამაჩემმა, კარგი და იშვიათი პროფესიის წყალობით, სახელოსნოში დაიწყო მუშაობა. იქ ტრაქტორებს არემონტებდნენ და საეველ სამუშაოებისთვის აწყობდნენ. ერთ ოთახში ეცხოვრობდით, ხუთ ოჯახთან ერთად. უადგილობის გამო, უმეტესობა იატაკზე, კუთხეში, ერთმანეთს გვერდი იწვა.



### **რა შევთხვა იქ დღათქვენს?**

დღეას პრობლემები არც კომუნისტურის თანამშრომლებთან და არც ყაზახებთან ჰქონია. ყაზახებთან კარგი ურთიერთობაც კი გვქონდა – კარგი ხალხია. მას იქ მაცხოვრებელი კულაკები ეზხუებოდნენ. ისინი 1917 წლის რევოლუციის შემდეგ გადაასახლეს, ძალზე უხეშები იყვნენ და დღეას სციმდნენ. მათ არ უყვარდათ ებრაელები. ქართველი ერის შესახებ არაფერი იცოდნენ. ისინი გერმანელებს ელოდნენ – საბჭოთა კავშირის დამარცხებას ნატრობდნენ. სძულდათ ეს მთავრობა, ეზიზღებოდათ სტალინი, საერთოდ, ყველა, ვინც მათ სახლი და მამულები ჩამოართვა და გადაასახლა. მე და დედას მუქი თმა გვქონდა და ებრაელები ვეკონეთ... ისინი გამუდმებით გვესროდნენ ქვებს. სჯობს, არც გაეიხსენო! ერთხელ, ქვა თვალში მომხვდა. იმ დროსთან ძალიან უსიამოვნო მოგონებები გვაკავშირებს. ეს არ ეხება იმდროინდელი მთავრობის პოლიტიკას. ეს პოლიტიკა მკაცრი იყო და ჩვენც ვიცოდით, რომ კომუნისტურა გეტელმძღვანელობდა. აგვიხსნეს: გერმანულად არ ილაპარაკოთო. ეს კანონი იყო. ბევრი, ვინც, გაფრთხილების მიუხედავად, გერმანულად ლაპარაკობდა, დახერიტეს.

### **დღემ თუ შეძლო თავდასხმის შემდეგ გამოგზობინება?**

მას შემდეგ დედა ხშირად ავადმყოფობდა. როდესაც დაებრუნდით, რამდენიმე ოპერაცია დასჭირდა. ასე იცხორება 20 წელი და ბოლოს, იმავე მიზეზით გარდაიცვალა. დედა ისეთი ბუნების იყო, სულ იცინოდა.



### **თქვენი ნახევარძმა რით გარდაიცვალა?**

იქ აღამიანები გამოფიტვისგან იღუპებოდნენ. პანხი 21 წლის იყო. ის, მამასთან ერთად, დილიდან დაღამებამდე მუშაობდა ცენტრალურ სარემონტო სახელოსნოში. მოვინანებთ, ისინი ბამბას კრეფდნენ. სახლში დაბრუნების შემდეგ, ორივე ყველაფერს იხდიდა და ბანაობდა. დედა რწყვილებსგან ასუფთავებდა ტანსაცმელს. წყალი ბაქტერიებით სავსე არხში მოედინებოდა და მისი გადადუღება აუცილებელი იყო. დედა კი ადუღებდა წყალს ჩვენთვის, მაგრამ მანსი არხიდანაც სვამდა-ხოლმე. იგი მუცლის ტიფით და ტუბერკულოზით დაავადდა; ტანსაცმლის სანატორიუმში გაგზავნეს და მას შემდეგ მამას არც უნახავს. ამის გამო მამა ისე იყო, როგორც „ნაკეი“, მისთვის მხოლოდ სამუშაო არსებობდა.

### **როგორი იყო საქართველოში დაბრუნება?**

ჩემს მშობლებს არასდროს დაუწივლიათ, მიუხედავად იმისა, რომ ყაზახეთში ავადმყოფები და უბედურები იყვნენ. ბავშვებთან არაფერს იმჩნევდნენ; არ უნდოდათ, არასრულფასოვნების კომპლექსით გაეზრდილიყავით. გადასახლებაში გაზრდილი ბავშვების უმეტესობას ჰქონდა მსგავსი კომპლექსები. ბავშვობაში ნანახი სამინელებების გამო, მთელი ცხოვრების მანძილზე, შიში ეღვათ თვალებში.

ყაზახეთიდან დაბრუნებულებს არც ბინა გვქონდა, არც – არაფერი. დედა ვცადა ბინის მიღებას, მაგრამ ობსერვატორიის ბინაში დირექტორის მოადგილე, ლეჟავა, ცხოვრობდა.



გვითხრეს, რომ იმ ტერიტორიაზე ცხოვრების არაეითარი უფლება არ გვექონდა. მამაჩემის თანამშრომლები ბევრს ეკადნენ და მამა სამსახურში აღადგინეს, მხოლოდ ლაბორანტის თანამდებობაზე. ლაბორანტებს კი თითქმის არ ჰქონდათ ანაზღაურება, რაღაც კაიკებს იღებდნენ. 1950 წლამდე, უბნაობის გამო, მამა ბებიასთან ცხოვრობდა. მას მუდამ დასდევდნენ ბავშვები; ბებიის სახლში ბევრი ოჯახი ცხოვრობდა და, ეზოდან გამოსვლისას, მამას მაძახებდნენ: „პიტლერ კაპუტ! პიტლერ კაპუტ!“ ბავშვები იყვნენ და რა უნდა ექნა?! დედა დასთან იყო. მე და ჩემი და ხან ბებიასთან ვცხოვრობდით, ხან ნათესაებთან. შემდეგ, მამას ობსერვატორიის სრულიად მოუწყობელი, ზკვ.მ. ოთახი მისცეს. იმ ხანებში ჩემი და გათხოვდა, ბინა მიიღო და მამაც თავისთან გადაიყვანა. მათ ყოველთვის ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდათ.

ასე დაიწყო ჩემი ცხოვრების მძიმე პერიოდი. ძალიან ცუდად ვცხოვრობდით, მაგრამ დედა მაინც მხიარულ განწყობას ინარჩუნებდა. იმის გამო, რომ არაფერი გაგვანჩნდა, ბებიამ მიშველა, ქმრის გვარზე ვალაჟიდა და თავისი პატარა ბინა დამიტოვა.

ზაალიშვილი ცნობილი გვარია და, ამიტომაც ჩემთვის ყველა კარი ღია იყო. მაშინ არ შემხიდა ამ ყველაფრის მნიშვნელობა. არ ვიცოდი, თუ როგორ გვარს ვატარებდი... ძალიან ახალგაზრდა ვიყავი.

### *რომელ სკოლაში დადიოდით?*

რუსულ სკოლაში. იქ მედალი მივიღე, რომლითაც ფიზიკის ფაკულტეტზე ჩაბარება შეუძლებო. თუმცა, მხოლოდ იმიტომ მიმიღეს, რომ ბებიის გვარი მქონდა. ვაისის გვარით არც მომცემდნენ ამის უფლებას. გერმანელები ზეწოლას არ განიცდიდნენ, მაგრამ უნივერსიტეტში სწავლის უფლება არ ჰქონდათ. მათ პუშკინის ინსტიტუტში უშუებდნენ, რომელიც იმდენად ელიტარულად არ ითვლებოდა.

მანკლამაინც ფიზიკის სწავლა მინდოდა. ამ პოპულარულ ფაკულტეტზე იშვიათად იღებდნენ ჯალებს. ოქროს მედალი მქონდა და, ერთი ზეპირი გამოცდის შემდეგ, მიმიღეს. ასე დაიწყო ჩემი სამეცნიერო კარიერა.

### *ბებია თქვენც გვივიდათ?*

ბებია ბავშვთა ექიმი იყო და, ყაზახეთიდან დაბრუნების შემდეგ, ის გვივიდა. ცოტახლებში აღარ ექწერეთ, თითქმის მკედრები ვიყავით. ჩემი და ვერ ლაპარაკობდა. ამდენი სტრესის გამო, ოთხი-ხუთი წლის ბავშვი სიტყვასაც ვერ ამბობდა. ძნელია ამის გახსენება. განვიციდი, რომ ჩვენ დაებრუნდით და ყველა სხვა გერმანელი იქ დარჩა. ბევრი მათგანი პირველსავე წლებში დაიღუპა. მოგვიანებით, საქართველოში გერმანელი ტყვეები ჩამოიყვანეს. მაშინ ჯერ კიდევ პატარა გოგონა ვიყავი. ყაზახეთში ისინი ჩემს თვალწინ იზოცებოდნენ; ვეღარ დადიოდნენ, ძალიან ნელა მიძახებდნენ და ძირს ეცემოდნენ. თითქოს, დღესაც კი ვხედავ მათ: მაღალი, ლამაზი, გამხდარი კაცები. რატომ? შიშშილობდნენ და იმიტომ. შიშშილობდნენ დეპორტირებულებიც და ევაკუირებულებიც – მიწაზე ეცემოდნენ და იზოცებოდნენ. გარდაცვლილებს

ხადაც მითრევდნენ. ომი ყველასათვის ტრაგედია იყო. საქართველოში პურის ნატეხი არ იშოვებოდა, მაგრამ ქართველებს ყოველთვის მიჰქონდათ საკვები ტყვეებთან. აი, ეს სახლიც გერმანელი ტყვეების ასწებულა.

### *თქვენ როგორ გექცოდნენ ქართველები?*

საქართველოში არავის შეეხედრივარ, გერმანელებს რომ თავხედურად მოქცეოდა. თუმცა, ყოველთვის გვეკრძა ის შეგრძნება, რომ სტუმრები ვიყავით. ჩვენ ვერ შევიძლით საქართველოში ასიმბლირება. რატომ? თუ იმას არ მივაქცევთ ყურადღებას, რომ ქართული გუარი მქონდა, შინაგანად, ყოველთვის გერმანულად ვგრძნობდი თავს. ომის შემდეგ, გერმანელები ძალზე მორიდებულად იქცეოდნენ; ყველა თავს სრიდა და ამბობდა: „გმადლობ, საქართველო, გმადლობ იმისთვის, რომ გადაგვარჩინე, გმადლობ.“ მათ იცოდნენ თავიანთი ადგილი. ჩემი ბედი ცოტა სხვაგვარად წარიმართა, რადგანაც ასეთი გაბუღული ბებია მყავდა და სხვა გუარი მოცა. გავემგზავრე მოსკოვში, ლვინგრადში. იქ დაეწერე დისერტაცია. იმხანად, დედამწიფის პირველი რუსული თანამგზავრები შეიქმნა. ამ პროცესში, გარკვეულწილად, მეც ვიღებდი მონაწილობას. ბევრს ვიკვლევდი და ვაქვეყნებდი მაგნიტოსფეროების შესახებ. ძალიან კარგად ვიცოდი რუსული და ყველა დისერტაცია ჩემს ხელში გადიოდა.

ყოველთვის ვცდილობდი, რაც შეიძლება, უკეთესი ყოფილიყავი. მიუხედავად ამისა, ყველაფერი ამაო იყო. აქ მუდამ სტუმრად ვგრძნობდი თავს.

### *სად გაიცანით თქვენი მეუღლე?*

ერთად ვსწავლობდით უნივერსიტეტში.

### *ის ქართველია?*

ქართველი ებრაელია, ნათან ბაზოვი. მამამისი მწერალი იყო და 1937 წელს დაიჭირეს. დედა ექიმი ჰყავდა, პროფესორი. მან გაზარდა. ჩემს ქმარს „ხალხის მტრის“ კომპლექსი ჰქონდა, მეც იგივე მჭირდა და საერთო ენაც ვიპოვეთ. მაგრამ, ის მდიდარი ებრაელი იყო, მე კი – ღარიბი გერმანელი. ამიტომაც არ მინდოდა მასზე დაქორწინება. პირველად სხვა შეირთო და მასთან ერთი ქალიშვილი შეეძინა. მასთან განქორწინების შემდეგ, შემთხვევით, ისევ შევხვდით ერთმანეთს.

იმ დროისთვის უკვე მყარად ვიდექი საკუთარ ფეხზე – დისერტაცია დაიცავი და სიღარიბის კომპლექსი აღარ მაწუხებდა. ჩვენ, თითქმის, 25 წელი ვიცხოვრეთ ერთად – 1968 წლიდან 1990 წლამდე... 1991 წელს განქორწინდით და უკვე 10 წელია, აქ ვცხოვრობ. ეს არ არის ჩემი ბიზნისი. მისი ოჯახის საკუთრება იყო და მის სახელზეა პრივატიზებული. მარტოხელა ვარ. რა უნდა ექნა? ის პერიოდი, როცა გათხოვილი ვიყავი და ქმართან ერთად ვცხოვრობდი, ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები იყო, ის ძალიან კარგ ქმრობას მიწევდა. შემდეგ, უკვე ასაკში მყოფმა, ჩვენი მეზობელი შეირთო; ძნელი იყო ჩემთვის, მაგრამ თავად მივეცი თავისუფლება. არასოდეს გვიჩხუბია. მას ახლა ძალიან კარგი, ახალგაზრდა მეუღლე ჰყავს, რაც ძალიან მაზა-

რებს. რატომ? კარგად მოუვლის და იმიტომ. მე უკვე ავადმყოფი ვარ. ბოლო წლებში ხშირად მუუბნებოდა: შენზე არ უნდა მექორწინა, გერმანელი ხარო. კომპლექსი – ებრაელის კომპლექსი. ბავშვები არ მყოლია, მისსშეილი მყავს. მას ერთი ქალიშვილი ჰყავს პირველი ქორწინებიდან. ის ახლა ამერიკაშია, მალთან ყუყუარვარ. ასეთია ჩემი ცხოვრება. ერთადერთი, ისლა მინდა, რომ ეს ბინა ჩემს ქმარს დაეუთმო. ეს მისი ბინაა. არ მინდა აქ დარჩენა, მაგრამ არც მას აქვს ერთოთახიანი ბინის მოცემის საშუალება. ის მეცნიერია. ყველანი გაკოტრდნენ. მან იცადა, იცადა, იმედი ჰქონდა, რომ, როგორც ყაზახეთში ნატანჯეს, გერმანია მიმიღებდა. რა უნდა ქნას? იცდის და იმედი აქვს, რომ გაეუმგზავრები. მე კი არ მივდივარ.

### **გერმანიაში ვამე ზავრება ვსურთ?**

მალთან. მინდა, ჩემი ცხოვრების მანძილზე, ერთხელ მაინც ვიყო გერმანიაში ნამყოფი. იქ არასოდეს ყყოფილვარ, ვერ მოვახერხე.

### **რატომ არ მიემე ზავრებით გერმანიაში? რა გიშლით ხელს?**

ენა, მხოლოდ ენა. ადაპტაცია გაშიუქმეს და ჩემი გვარი დამიბრუნეს. ახლა ისევე ვაისი ვარ, მაგრამ მშობლიური ენა არ ვიცი. და სად არის ჩემი მშობლიური ენა? მას ჩემში, ჩემს გულში დავატარებ. რატომ? იმიტომ, რომ გერმანული გენები მაქვს. არსებითად, ნახევრად გერმანელი, მეოთხედით რუსი და მეოთხედით ქართველი ვარ. როგორც ყაზახეთში ნამყოფი, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად მცენეს. ამისთვის მამლევენ 45 ლარიან პენსიასაც. გერმანიაში კი ისინი წაივინენ, ვისაც გაჭირვება არ უნახავს.

უკვე 10 წელი გაიდა. 10 წელი ველოდეთ პასუხს. ახლა კი მე და ჩემმა დამ უარი მივიღეთ. რატომ? იმიტომ, რომ ყაზახეთში გერმანულად არ ვსაუბრობდით; იმიტომ, რომ არც მოგვიანებით ვსაუბრობდით გერმანულად. და ვისი ბრალია ეს? ჩვენ ხომ არა ვართ დამნაშავე? ოჯახიც არ გექონდა, ეცხოვრობდით ასე – გაბნეულები, ერთმანეთისგან მოწყვეტილები. რა გაეწყობა, როცა თავს ზევით ძალა არაა?!



## ილა შალი

ბაბუა, იოჰანეს შალი, 1913 წელს ჩავიდა ბაქოში, სადაც მჭედლად მუშაობდა; იქვე იჭირწინა ებილია ბუმბარტნერზე. მოვიანებით, ოჯახთან ერთად, საქართველოში გადმოვიდა და ტრაუბენბერგში დასახლდა. მისი ქალიშვილი, ემმა, ცოლად გაჰყვა მუსიკოსს, ეროვნებით ნახევრად ქართველ, ნახევრად გერმანულ ლეო ვაშოკინს (მამობილის გვარი). ცოლ-ქმარი ტრაუბენბერგიდან თბილისში გადმოსახლდა, ლეო ვაშოკინი ერთ-ერთ ორკესტრში უკრავდა. მათმა ქალიშვილმა, ილამ (დაბ. 1930 წელს), თბილისში დაამთავრა სკოლა, მედიის პროფესიას დაეუფლა და ექთნად

მუშაობდა. 1969 წელს იგი ცოლად გაჰყვა რუს გენადი შრუკინს, რომელსაც ბოლნისში საკუთარი ფოტოსტუდია ჰქონდა. ილა შალს ორი ვაჟი ჰყავს. დღეს ის თბილისის ერთ-ერთ უბანში, აელაბარში, მშობლებისეულ სახლში ცხოვრობს.

**შევიძლიათ, გაიხსენოთ, რატომ ჩამოვიდნენ თქვენი მშობლები საქართველოში?**  
ჩემი წინაპრები 1913 წელს გაემგზავრნენ სარატოვში. თბილი შეახიდან წასულებს იქ ძალიან შესცივდათ. ბაბუა იოჰანესს 12 მძა ჰყავდა. ყველანი სხვადასხვა ადგილებში გაიფანტნენ თავთავიანთი ოჯახებით. ბაბუა, ოჯახთან ერთად, ვოლგის მიმართულებით გამოემგზავრა და ბაქოში დასახლდა. მას იქ სამჭედლო ჰქონდა. აზერბაიჯანსა და სომხეთის შორის ომი რომ დაიწყო, ოჯახი ბაქოდან გამოდევნეს – ყველანი ძალიან შუგვერდმანები იყვნენ და სომხებს ჰგავდნენ. ისინიც კატარინენფელდში ჩამოვიდნენ, მაგრამ სოფელი ხალხით სავსე დახვდათ და, ბოლოს, ტრაუბენბერგში დასახლდნენ. ბებიასა და ბაბუას სამი შვილი ჰყავდათ: ადოლფი, ემმა და რობერტი. ემმა, დედანები, ბაქოში დაიბადა. დედა ტრაუბენბერგში სწავლობდა, ეიდრე რუსებმა არ დახურეს იქაური სკოლა. ამ სოფლებში, ძირითადად, მხოლოდ გერმანელები, ქართველები და გერმანელებზე დაქორწინებული რუსები ცხოვრობდნენ.

**რა იცით მამათქვენის ოჯახის შესახებ?**

მამჩემის დედა ქართველი იყო. მას გერმანელი მეუღლე გარდაეცვალა და მეორედ გათხოვდა რუსზე. მამა მამინაცვალმა გაზარდა და ამიტომაც გადავიდა მის გვარზე. ყაზახეთში არ გაუგზავნიათ, რადგანაც რუსად ითვლებოდა. მამა კოლექტივის – „წინ!“ – კაპელმანისტერი იყო.

მეორე მსოფლიო ომის დროს ხალხი შიმშილობდა, საყვები ტალღონებზე იყო. ჩვენ სოფელში ეცხოვრობდით და, ამდენად, უკეთესი მდგომარეობა გვექონდა. ყოველ გერმანულ

სოფელს საკუთარი ორკესტრი და გუნდი ჰყავდა. შაბათობით, დღის 12 საათამდე, ყველანი მუშაობდნენ, შემდეგ სახლებს ალაგებდნენ და საღამოობით გასართობ პარკში მიდიოდნენ მუხის მისასმენად; კვირაობით, წირვის შემდეგაც, ბაღში იყრიდნენ თავს.

### **სკოლაში სად დადიოდით?**

რვა წელი დადიოდი თბილისის ერთ-ერთ რუსულ სკოლაში. მამამ ააშენა ეს სახლი, რომელშიც ახლა ვცხოვრობ. მას თბილისში უნდოდა ცხოვრება. მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე მამა კორნეტზე უკრავდა ქართულ თეატრში. დედა ტრაუბენბერგში მუშაობდა გერმანული ენის მასწავლებლად. მხოლოდ ომის პერიოდში აღმოჩნდით, შედარებით, უსიამოვნო სიტუაციაში, ჩვენ ხომ გერმანელები ვიყავით. ყველანი რუსულ სკოლაში ვსწავლობდით. ვისაც სწავლის გაგრძელება სურდა, სხვაგან უნდა წასულიყო, მაგალითად, როსტოვში. სკოლის დათავრების შემდეგ, სამი წელი სამედიცინო ტექნიკუმში ვისწავლე, მერე კი კატარინენფელდში გამგზავნეს. იქ გერმანული წესისამებრ ევალობდით და ელოცულობდით, მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიები აღარ იყო. იქაური ეკლესია სპორტულ დარბაზად გადააკეთეს. კატარინენფელდში გაიციანი ჩემი მომავალი მეუღლე, გენალი შჩუკინი.

### **როგორ მოხდა, რომ ყაზახეთში არ გაგზავნენ?**

მამა რუსი იყო და ამიტომაც არ გადაგვასახლეს. მაგრამ ჩემს პასპორტში ჩაეაწერინე, რომ გერმანელი ვიყავი – როგორც დედა. როდესაც მეზობლები მეკითხებოდნენ: ამდენი რამ საიდან იცი? უპასუხობდი: გერმანელი ვარ და ამიტომაც ვიცი: ქარგვაც, ქსოვაც, ცხობაც და სიმღერაც-მთუქი.

### **როგორ გაიცანით თქვენი მეუღლე?**

კატარინენფელდში, ქუჩაში გაიციანი. რუსი იყო. დედაჩემის წინააღმდეგობის მიუხედავად, სამ თვეში დაეკორწინდით. ორი ვაჟი შეგვიძინა. უფროსს ვალენტინი ჰქვია, უმცროსი სულთ ავადმყოფია; ბავშვობაში, შეიდი თვის რომ იყო, ჭამა შეწყვეტა. სამი თვე ავადმყოფა, ექიმებმა ვერაფერი გაუკეს. შემდეგ ისევე დაიწყო ჭამა. რა დაემართა, არავინ იცის. ის ცოტა ბავშვურია, ზრდილობიანი და ძალიან რამყოლი; დაოჯახებულა და მოვლად მუშაობს სამხატვრო აკადემიაში. მას სომეხი ცოლი ჰყავს. ერთმანეთს კარგად უგებენ, მაგრამ ძალიან მიმძიმს, ასეთს რომ ვუყურობ; უჭვის ოპერაცია აქვს გადატანილი და მაინც ეწევა. რამე რომ უჭირს, მაშინვე ვატყობ, მისი ცოლი კი ვერ ხვდება. უკვე ხანდაზმული ვარ და ეს მადარდებს. რა უნდა ქნას უჩემოდ?

### **რა ბედი ეწია დედათქვენის ოჯახს?**

დედას ოჯახი ყაზახეთში გაგზავნეს. ერთ სულს მხოლოდ 20 კილოგრამის წაღების ნება დართეს. ზაფხულობით ყოველთვის ტრაუბენბერგში ვრჩებოდით, მერე კი ჩვენი ნივთებიც წამოვიღეთ. სიამოვნებით ვიყიდილი იმ სახლს და იქ დავსახლდებოდი. ყაზახეთში მყოფ ოჯახის წევრებთან მუდამ მქონდა კონტაქტი. ისინი მთელი დღის განმავლობაში ხვებს ჭრიდნენ. ბავშვებსაც ამუშავებდნენ. ბაჟაუ დამ-ღამობით გარეთ გადიოდა და ერთხელაც, სახლის უკან,

გაიყინა. იქ მყოფებს მეზობელ სოფელშიც კი არ ჰქონდათ გადასვლის უფლება. ისინი 1991 წელს გაემგზავრნენ გერმანიაში; ახლა ჰაიდელბერგში ცხოვრობენ და იქიდან მენეჯერებიან. აბა, 7 დოლარით როგორ უნდა ვიცხოვრო?

### **ბოლნისში ქმართან ერთად ცხოვრობდით?**

ის ფოტოგრაფი იყო და ბოლნისში საკუთარი სტუდია ჰქონდა. სულ სვამდა, მეც ბავშვებს ხელი მოეკიდე და თბილისში, მშობლებთან წავედი. იქ ექთნად ვმუშაობდი. ჩემი ქმარი ყოველ შაბათ-კვირას გვაკითხავდა. დედაჩემს არ უყვარდა და მეუბნებოდა: საშენო არ არისო. შემდეგ სმას შეეშა და, ჩემთან ერთად, ახლიდან მონღოლმა ცხოვრების დაწყება. ერთ ხანს ავეწყვეთ კიდევ. თუმცა, ის ბოლნისში დარჩა და ბოლოს მაინც სმამ დალუპა. 25 წელი გავატარეთ ერთად. ბავშვების გამო არ განექორწინდით. ასე რომ, ეს გამოსავალია ვიპოვეთ.

### **როგორი იყო თქვენთვის დამოუკიდებლობის პირველი წლები?**

რა თქმა უნდა, ცვლილებები საგრძობი იყო. მართალია, ქართული ვიცი, მაგრამ ქუჩაში გასვლის შემთხვევაში. ყველა ეროვნების მეგობრები მყავს. გერმანულიც ვიცი, ქართულიც, რუსულიც, სომხურიც და აზერბაიჯანულიც. ჩვენს უბანში თათრები ცხოვრობენ, მათ შეილებთან ერთად გაიზარდე. ჩვენ დღესაც ვმეგობრობთ. ვიციან მათ წეს-ჩვეულებებს. ამას წინათ ერთი ჩემი მეგობარი მოხუცი ქალი გარდაიცვალა და მის დარჩალებს დავესწარი:

სახლში, თავახდელ კუბოსთან, წინასწარ დასტირიან მიცვალებულს. შემდეგ მას ბანენ და სულის ტილოებში ახევენ. მას შემდეგ, რაც მიცვალებულს ისე კუბოში ჩაასვენებენ, ტირილი აღარ შეიძლება. მიცვალებულს კუბოთი კი არა, ტილოებით ასვენებენ საფლავში. ტილოებს ინახავენ. საფლავში მარჯვნიდან და მარცხნიდან ფიცრებს აწყობენ და მიწას აყრიან.

### **აქ, ავლაბარში, როგორ ცხოვრობთ?**

ჩემთვის სულაც არაა ძნელი ამდენი ეროვნების ხალხის გარემოცვაში ცხოვრება, მხოლოდ, პატივი უნდა სცე მათ წეს-ჩვეულებებს. მაგალითად, თათრებთან დაკრძალვის რიტუალი რამდენიმე დღეს გრძელდება. როდესაც მიცვალებული საფლავზე მიჰყავთ, ორი ქალი ყოველთვის რჩება სახლში. მესამე დღეს, მიცვალებულის სული სახლში რომ არ დარჩეს, მთელ სახლს გვიან და ყველაფერს სველი ჩერებით წმენდენ. ამ დღეს ჭამაც არ შეიძლება. ეს მართებულიც იყო – მუდამ არსებობდა გადაძვლები სნეულებები.

### **რა აზრის ხართ საქართველოს პოლიტიკური განვითარების შესახებ?**

ვეფირობ, ეს დამოუკიდებლობა არაა კარგი, როდესაც ერთი ნაწილი იპარაკებს და ჭამს, მეორე თავის გადარჩენისთვის გამოსავალს ეძებს. ადამიანები ერთმანეთს აღარ ეხმარებიან და არც მოძღვერო 3-4 წლის მანძილზე უნდა ევლოდოთ უკეთესობას. ახლა შევარდნაზე სათავეში და ამერიკელები და გერმანელები გვეხმარებიან. უცებ, ქართველებისთვის ყველა გერმანული კარგი გახდა. რა, გამოდის, ჰიტლერი ყველაფერს კარგად აკეთებდა?



### **გერმანიაში ვაშე ზაერება თუ გინდათ?**

არ მინდა გერმანიაში დაბრუნება. როდესაც პატარა ვიყავი და ტრაუზენბერგში ვცხოვრობდი, სულ მეძახდნენ: „ღღარო, იკმარე რაც გაქვს!“ ახლა უკვე მოხუცი ვარ. აქ ვეშაობდი, გერმანიისთვის არაფერი გამიკეთებია, რისთვის უნდა მიმიღოს?! აქ ვსწავლობდი, ვეშაობდი და ამიტომაც აქ უნდა მოვეკდე. მეგობრებიც აქ მყავს, მათ გარემოცვაში ვარ.

### **როგორ დაახასიათებდით განსხვავებული ეროვნებების წარმომადგენლებს, რომლებთან ერთადაც აქ ცხოვრობთ?**

ქართველები ძალზე სტუმართმოყვარეები არიან. ჩვენ ყოველთვის კარგი მეზობლობა გვაქვს. თუ ვინმეს რამე უბედურება შეეშთხვევა, ყველანი მიდიან და ეხმარებიან. ისე გამზარდეს, რომ რაც მაქვს, ის უნდა ვიკმარო. შშობლები სულ იმას მეუბნებოდნენ: დახმარების თხოვნა სირცხვილიაო. ქართველებში ეს სხვაგვარადაა. არც მე ვუყურებ ამას ისე, როგორც ჩემი შშობლები.

რუსებიც ძალიან გულისხმიერები არიან ერთმანეთის მიმართ. შეშას რომ ვყიდულობ, მეზობლის შვილები მოდიან და შეხმარებიან. სადმე რომ მივიღივარ, ყოველთვის ვაფრთხილებ მეზობლებს. ცუდებიც გამორევიან. ერთმა მეზობელმა მთხოვა: ღროებით შენთან მაცხოვრეო. ახალი ბინის ყიდვას აპირებდა, რადგანაც მისი ბიჭი ჩამოვიდა მოსკოვიდან და მისთვის უნდა დაეტოვებინა. სანამ ახალი ბინისთვის ფულს შეაგროვებდა, ჩემთან უნდოდა ცხოვრება. იმ ხანებში გერმანელები საქართველოდან მიემგზავრებოდნენ და თავიანთ ბინებს იაფად ჰყიდდნენ. ჩემმა მეზობელმა ვერა და ვერ მოუყარა თავი საქმარის თანხას. ბოლოს, ისევე აქვე იყიდა ბინა, მაგრამ, მიუხედავად ჩემი თხოვნისა, სამზარეულო აღარ დამიბრუნა. საბუთიც არ მოუცია, ჭირის გარეშე დაუთმოე ოთახი. ახლა ვედარც ვუჩივლებ, ამის საშუალებაც არ მაქვს. ასე რომ, მოტყუებაც უხერხებათ.



## იულიანა ფასანი

ბაბუა და ბებია, დედის მხრიდან, პოლონელი არისტოკრატები იყვნენ. ისინი სამარაში ცხოვრობდნენ, სადაც ბაბუა საკუთარ სამკურნალო დაწესებულებას ხელმძღვანელობდა. ბაბუა და ბებია, მამის მხრიდან, ეკატერინე II-ის მეფობისას, ეკატერინბურგში დასახლდნენ და იქ პურის საცხობი ქონდათ. იულიანას დედამ, მარია ფონ ცვირვისტემ (1893-1990), სამედიცინო განათლება მიიღო და 1920 წელს, ცოლად გაჰყვა ჯეინრიხ ფახტს (1893-1941). 1920 წელს დაიბადა მათი პირველი ქალიშვილი ელენა; 1925 წელს კი, პენზაში, მეორე ქალიშვილი,

იულიანა, მოველინა ქეყყანას. მამა 1933 წელს დააპატიმრეს და ეოლეა-ზოსკოვის არხის მშენებლობაზე მიუსაჯეს მუშაობა. იმისთვის, რომ ქმრის სახსლოებს ყოფილიყო, დედამ ამავე მშენებლობაზე ექიმად დაიწყო მუშაობა და თან ქალიშვილებიც წაიყვანა. ის-ის იყო, თვრამეტი წლის უნდა გამხდარიყო, როცა იულიანა ცოლად გაჰყვა ქართულ პაეულ კვაჭანტირაძეს, რომელსაც მისი დეპორტაციისგან დაცვა სურდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მან ცოლ-შვილი თბილისში ჩამოიყვანა. დღეს, იულიანა ფახტი თბილისში, ვაკეში, ცხოვრობს.

## რას გაიხსენებთ თქვენი წინაპრების შესახებ?

ბაბუა, დედის მხრიდან, პოლონელი იყო. იგი კუმისით მკურნალობის ფუძემდებელი გახლდათ, ამ მეთოდით კურნავდა ტუბერკულოზით დაავადებულებს. სამარაში საკუთარი, დიდი სამკურნალო დაწესებულება ჰქონდა. ხშირად მიდიოდა საზღვარგარეთ. ერთხელ იგი ცნობილმა ინგლისელმა პროფესორმა მიიწვია დედოფალ ვიქტორიას სასახლეში. დედოფლის საყვარელი ფრეილინა ჭლეკით იყო ავად. ბაბუმ იგი განკურნა და, შემდეგ, ცოლად შეირთო. დედამ სამარაში დაამთავრა გიმნაზია და სამედიცინო განათლება მიიღო. იგი ექიმად მუშაობდა მთელი ცხოვრების მანძილზე.

## რა მოხდა რევოლუციის შემდეგ?

1924-25 წლებში ბევრი ადამიანი გადაასახლეს, განსაკუთრებით მსხვილი მეწარმეები. ბაბუა და ბებია ძალზე მდიდრები იყვნენ, მათ ჰქონდათ იახტები, დიდი მამული საჯინბოებით.

ბაბუა, ბებია და მათი უმცროსი ქალიშვილი ციმბირის მიმართულებით გაეზარნეს. გზაში ბაბუა ტიფით დაავადდა, როდესაც საეადმყოფოში გადაჰყავდათ, ბებია და მისი ქალიშვილიც

ჩამოვიდნენ მატარებლიდან. მათ ერთმანეთი სადღაც იქვე დაკარგეს, ციბირამდე ვერც მიაღწიეს. ბაბუა საკავადმოფოში გარდაიცვალა. დედანები, უფროსი ქალიშვილი, როგორც ჩანს, უფრო მოხერხებული იყო. იგი მამას გააკუთა ცოლად. ვფიქრობ, თავიდან, იგი ამ ქორწინებაში ხსნას უფრო ხელავდა. დღ-მამა ძალზე განსხვავებული სოციალური ფენებიდან იყვნენ.

### **როგორ ცხოვრობდით ბაბუსა და ბებუის დებორტაციის შემდეგ?**

მძიმე დრო იდგა. უმძიმესი და უსამინელესი იყო 1932, 1933, 1934, 1935 და 1937 წლები. ძალზე კარგად მახსოვს 1932 და 1933 წლები. მაშინ, სამარაში, ბევრი შიმშილისგან დაიღუპა. შებნარავი იყო მათი სიკვდილი. ზამთარი იდგა, სიცივე. ისინი მუღმივად იტანჯებოდნენ შიმშილისგან. მუცელზე აგურებს იღებდნენ და მჭიდროდ მიიკრავდნენ. არ ვიცი, ეს რამდენად შევლოდათ. შემდეგ საზიადარი მოდიოდა და მასზე ამ აღმინებს შემასავით, შტაბულელებით აწყობდნენ. მე და ჩემმა დამ ეს ყველაფერი საკუთარი თვალთ ვნახეთ. რაც გექონდა, „ტორჯსინში“ ეხარებოდა. რომ აღართყერი გავკანდა, კარადას ვალებდით და, თუ ორ-სამ ფეტვის მარცვალს ვიპოვიდით, ბედნიერები ვიყავით, ვთვლიდით, რომ საკვები გექონდა. ეს ყველაზე მძიმე წელი იყო. ვფიქრობ, იმ დროის გერმანიაში არ ყოფილა ასეთი ცუდი ვითარება. იქნებ, იყო კიდევ? თუ ეს ასეა, სამინელი სიტუაცია ჩემი თაობის იქაური გერმანელებისთვისაცაა ნაცნობი.

### **მამას როგორ გაახსენებდით?**

ის ეკატერინბურგში გაიზარდა, ორი და ჰყავდა. ეკატერინბურგში ბევრი გერმანელი ცხოვრობდა. მას მამისგან შემკვიდრებით ერგო პურის საცხობი. ჩვენ ორსართულიან სახლში ვცხოვრობდით, ლამაზი, მოოქროვილი ფარდები გექონდა, ოთახებში ქანდაკებები იდგა. სახლში გერმანულ ნამცხვრებს აცობდნენ, ბატს წყაენდნენ, ნაძვის ხესაც გერმანულ ყაიდაზე რთავდნენ და ახალ წელსაც გერმანული წეს-ჩვეულებებისამებრ აღნიშნავდნენ. ვფიქრობ, რომ გერმანულადაც ესაუბრობდით – ზოგი ლექსი ახლაც მახსოვს. მაგრამ, ვინაიდან დედა რუსულენოვანი იყო, სახლში, ძირითადად, რუსულად ვლაპარაკობდით.

ცუდად არ ვცხოვრობდით. შემდეგ მამა დაიჭირეს და დედას ზშირად იძახებდნენ დასაკითხად. ერთხელ დედა მოვიდა და თქვა: „ეფიქრობ, მეც დამიჭიერენ, უნდა გავიქცეთ.“ ყველაფერი ხელუხლებლად დატვირთეთ და გავიქცით. დედამ ხელი ჩაგვიკიდა და ნაემისსადგომთან მიგვიყვანა. გეპზე ავედით და ტრიუში ჩავედით, ტომრების უკან დავიმალეთ. ასე ჩავედით მოსკოვში. იქ დედაც ცხოვრობდა, კომუნისტის ცოლი იყო. მისმა ქმარმა, როგორც კი გაავი, რა შეგვეთხვა, ძალიან ვეთხოვა, რაც შეიძლება, სწრაფად გავმქარაიყავით იქიდან.

### **მამა როდის დაიჭირეს?**

1933 წელს. მაშინ ყველაფრის შესახებ ვერ ესაუბრობდით, პოლიტიკაზე ხომ სიტყვასაც ვერ ეძრავდით. კედლებსაც კი ყურები ჰქონდათ. ინტერნაციონალურ სიტყვასაც ვერ წარმოვთქვამდით, მაშინვე „ხალხის მტრად“ ჩავთვლიდნენ. რუსეთი ხელახლა უნდა ამწებულყოფიდატაკი რუსეთი ძლევამოსილ სახელმწიფოდ უნდა ქცეულიყო, მთავრობას კი ამისთვის ფული

არ ქონდა. საჭირო გახდა უფასო მუშახელის მოძიება. ამიტომაც დაიჭირეს ყველა უსინდისოდ, არაფრის გულისთვის. მნიშვნელობა არ ქონდა, რით გამოკვებავდნენ, თუ იცოცხლებდნენ... მამაც მათ შორის იყო. იგი დააპატიმრეს და დახერხეტა მიუსაჯეს; შემდეგ სასჯელი ბანაკში ათწლიანი პატიმრობით შეუცვალეს, მერე – ზუთწლიანით, ბოლოს ვადაზე ადრე გაათავისუფლეს. იმ დროს ვოლგა-მოსკოვის არხს აშენებდნენ, მას ვოლგა მდინარე მოსკოვთან უნდა დაეკავშირებინა, რაც სატრანსპორტო გზას შეამოკლებდა. იქ მრავალი პატიმარი გაგზავნიეს. როგორც ისინი ამბობდნენ, მას პატიმართა „ჩონჩხებზე“ აშენებდნენ; ადამიანები ნესტიისგან ავაღებოდნენ და შიმშილისგან იხოცებოდნენ. იქ სიკვდილიმოციულებს ან მათ აგზავნიდნენ, ვისი განადგურებაც სურდათ. იცოდნენ, რომ მშენებლობაზე მაინც დაიღუპებოდნენ. მამაც ტუბერკულოზით დაავადდა, სისხლს ახველებდა. ამიტომაც გაათავისუფლეს, მგონი, ვადაზე ერთი წლით ადრე. შემდეგ ისევ ერთად ეცხოვრობდით.

### *შევიძლიათ, მამის დაპატიმრების დღე გაიხსენოთ?*

კარზე საშინლად დააბრაზუნეს. ჩექმებსაც ურტყამდნენ. სახლში ძალით შემოიჭრნენ. არც არაფერი აგვიხსნეს. მამინ ოჯახს ვერ ნახავდით, მისი ერთი წყერი მაინც რომ არ დაეპატიმრებინათ. იყო შემთხვევები, როცა მთელ ოჯახებს იჭერდნენ. ჩვენი ქონების კონფისკაციაც მოახდინეს.

### *სად წახვედით მას შემდეგ, როცა მოსკოველმა დედამ არ მივიღოთ?*

ძალზე ხშირად ვიცეკლიდით საცხოვრებელ ადგილს. დედამ მუშაობა დაიწყო სავილოვსკის გზაზე მშენებარე არხის მახლობლად. ყოველთვის, როდესაც მამა სადმე გადასვლიდა, ჩვენც თან მიყვებოდით. იახრომა, დიდენოვო, კიშრი... თაყიდან, დედა ქალაქში მუშაობდა, მოგვიანებით კი, შინსახკომის რკინიგზის სახელმწიფო სამმართველოში იშოვნა სამსახური.

### *მამის მონახულების საშუალება თუ გქონდათ?*

დაიხ. როცა გაათავისუფლეს, სახლი ვიჭირავდით და, ერთი წლის განმავლობაში, მასშიც ეცხოვრობდით. ეს დიდენოვოში იყო, იმავე სავილოვსკის გზაზე. მამასავე თუ ტუბერკულოზით დაეავადდი. ეს ხომ სრულიად გარდაუვალი იყო. ჩემი და უკვე გათხოვილი იყო და შორეულ ადმოსავლეთში ეცხოვრობდა. მან დედას მოსწერა, რომ მშრალი კლიმატის გამო, იქ ტუბერკულოზიანები იკურნებოდნენ. უკვე ცხადი იყო, რომ მამა ეუღარ მორჩებოდა, ამიტომაც დედამ იგი თავის მოსკოველ დას ჩააბარა და, ჩემთან ერთად, შორეულ ადმოსავლეთში გაემგზავრა. ჩვენი სიძე კარგი ინჟინერი იყო და დედამ მის ორგანიზაციაში დაიწყო მუშაობა. ეს ქალაქი სპაბოდნი იყო. დედა იქ დიდხანს არ დარჩენილა, მხოლოდ წელიწად-ნახევარი დაყო. იგი მამასთან დაბრუნდა, რადგანაც დეიდამ მოიწერა, რომ ის სულ უფრო ცუდად ხდებოდა და უკვე ხაავადყოფოვში გადაეყვანათ. მან ხელმძღვანელობას ძველ სამსახურში დაბრუნების თხოვნით მიმართა. ეს, ომის დაწყებამდე, 6-7 თვით ადრე იყო, თანხმობა კი მხოლოდ ომის დაწყების შემდეგ მოვიდა. ასე მოუხვდი სარატოვში. 45 დღის განმავლობაში ვეგზავრობდით. ჩვენს

მატარებელს, ბოლო წუთებში, ლენინგრადიდან ევაკუირებულთა შემადგენლობა მოამაგრეს. მათი უმეტესობა ინტელიგენციის წარმომადგენლები იყვნენ, მათ შორის – ალექსეი ტოლსტოის მუდლვე. როგორც მეღაერისონალი, დედაც მათ ვაგონში მგზავრობდა. ეს დამშეული ადამიანები იყვნენ. ლენინგრადში ზომბლოკადა მძვინვარებდა. საშინელი, საშინელი სურათია! ამ ვაგონში მხოლოდ საწოლი ადგილები იყო. ჩვენ შუაში, იატაკზე დავსხედით, რადგანაც დასაჯდომი ადგილი ვერ ვიპოვეთ. ცოტა ხანში, მთელი კანი ამეწვა. გამოირკვა, რომ ტილეზი დამესია. იმდენი ტილი მყავდა, ვეღარც კიშორებდი. რა თქმა უნდა, ტუალეტები არ იყო. შუაში რომ არ დავემსხდარიყავით, მაგრად მოვეჭიდეთ კარის სახელურს. ევაკუირებულები ხარბად ჭამდნენ ყველაფერს, რაც ხელში მოხვდებოდათ. ერთ ჯამ რძეზე ან ერთ თაე პურზე ცვლიდნენ ერთმანეთს. შეჭხარავი იყო, როდესაც შეილები მშობლებს, მშობლები კი შეილებს გლეჯდნენ პურს ხელიდან. შემდეგ დიზენტერიამაც იფეთქა. დედა მუღარებოდა: ამდენს ერთად ნუ ჭამთო! მაგრამ ისინი ველურებივით უყურებდნენ საჭმელს. შედეგად, ყოველ საღვურში მკვდრები გადაქონდათ. როდესაც სტალინგრადამდე მივედით, ლენინგრადიდან ევაკუირებულთა ნახევარი ცოცხალი აღარ იყო. გადარჩენილები უკარინაში უნდა გაეზაზნათ, მაგრამ უკარინაც გერმანელებმა დაიპყრეს. სტალინგრადში დავარჩით და ჩვენი ნივთები შემზავულ საკანში ჩავაბარეთ. იმ დამით ქალაქი დაიბომბა, მათ შორის შემზავული საკანაც და საღვურიც. ყველაფერი დაეკარგეთ, ცარიელ-ტარიელი დავარჩით. ისიც გასაკვირია, რომ ამდენი ხალხი გადარჩა.

### **რამდენ ხანს დავყავით სტალინგრადში?**

სტალინგრადში დიდხანს არ ვყოფილვართ. დედამ ძალევე იძოვა სამსახური. ფრონტი სტალინგრადისკენ ინაცვლებდა. საჭირო გახდა ყველას ევაკუირება და, ამასთანავე, რკინიგზის გაყვანა; რა თქმა უნდა, პატარების ძალებით აშენებდნენ და, იმავდროულად, ევაკუირებას ახდებდნენ. ძირითადად, ხორბალი და სოფლის მეურნეობისთვის საჭირო მანქანები გადააქონდათ. პასუხისმგებელმა ორგანიზაციამ დედა იქ გაგზავნა. ფრონტის ხაზი ახლომდე ბოდა და მშენებლობაც აღმოსავლეთისკენ მიიწვედა. შვიროვკა, ბოგანოვკა... სანამ ადგილებს ვიცვლიდით, 17 წლისაც გავხდი. დედა მუღმივად ახალ სამუშაოზე გადადიოდა, ფრონტის ხაზის გასწვრივ. სოფელ-სოფელ დაედოვით და თავშესაფარს ვითხოვდით.

### **მეუღლე როგორ გაიცანით?**

მარტი იღვა. საზიდარს ფეხით მიყვებოდით, ნაბღის ჩექმებით (ისინი ჯერ კიდევ შორეული აღმოსავლეთიდან მოგვყვებოდა), რომლებიც წყლით გვექონდა სასე, გამოსაცვლილც არაფერი გაგვარჩნდა. ქანცაწვეტილები ვიყავით. სოფლების მაცხოვრებლები ძალზე გულისხმირად ვეკყარობოდნენ. ყოველთვის, როდესაც რომელიმე ქოხში ვასათობადა შევედი, ჩაი მოქონდათ, სტაფილოთი ან სხვა რამით გემასპინძლებოდნენ. თუ შებინდებოდა, ღამის გათეეაც შეგვეძლო. ძველ, თბილ ბუშლატს გეაბლევდნენ და მასზე ვევიძინა. ერთხელაც ერთ სახლში შევედით. მერე ოთახში ხევსურული წინდებს მოეკარი თვალი. მაშინ არც მსმენდა

მათ შესახებ. ხევესურული წინდებში გამოწყობილი კაცი კი მორეო ოთახში იწეა და ჩვენს მონათხრობს ისმენდა. შემდეგ ადგა და თქვა: „ახლავე მოგაწყობთ“. იქ უკვე ყველგან, საბჭოთა ჯარი იდგა. მართლაც, სწრაფად დაბრუნდა, თავშესაფარი მოუპოვებინა. მალე ავად გახდა და დღედასთან მოვიდა. დედა ჩემს შესახებ უყვებოდა. ცოტა ხანში 18 წელი მისრულდებოდა და შუა აზიაში ჩემი გადასახლებისთვის დროსიე მზადდებოდა. – როგორ მოვიქცე? – შევეითხა დედა. მანაც უნბრალოდ უპასუხა: – ცოლად შევირთავ. ის არაფერს კარგავდა, მაინც ფრონტზე უნდა წასულიყო.

ომიდან დაბრუნდა და 41 წელი სიყვარულსა და ურთიერთმატივისცემაში გავატარეთ.

როდესაც ჩემი და დედაჩემის თანხმობა მიიღო (ის ჩემზე 18 წლით უფროსი, გამოცდილი ადამიანი იყო; როდესაც ჩემკენ მოდიოდა, როგორც ღმერთს, ისე ეუყურებდი), ხელის მოსაწერად სოფელ ვოსკრესენსკოეში გავემგზავრეთ. რეგისტრაციაზე უარი გვითხრეს – ჯერ 18 წლის არ ვიყავი. კიდევ ორ-ნახევარი თვე უნდა მოგვეცადა. ჩემი მომავალი ქმარი არ დაბნეულა. მაშინდელ ფრონტის ხელმძღვანელს, ჟუკოვს, სულექტოვრამა გაუგზავნა (მაშინ ტელეფონი არ გვექონდა). მეორე დღეს, გამონაკლისის სახით, თანხმობა მიიღო. ეს გასაოცარი იყო. ჟუკოვი ყოველთვის ძალიან მკაცრ პიროვნებად ითვლებოდა და უცებ ასეთი ადამიანურობა გამოიჩინა.

სასწრაფოდ გავკატარავს რეგისტრაციაში. ჩემი ქმარი ძალიან მალე წავიდა გამანაწილებელ პუნქტში. ფრონტის ხაზი ძალიან მოახლოვდა. მას შემდეგ არც მინახავს, რადგანაც მისი ჯგუფი ერთი კვირის განმავლობაში ჩამოყალიბდა და ფრონტზე გაგზავნეს.

მთელი ცხოვრება ჟუკოვის მადლიერი დაერჩები ასეთ მძიმე დროს გამოჩენილი ყურადღებისთვის. მოსკოეში ყოფნისას ყოველთვის ვყიდულობ მისაკებს და მისი ძეგლის წინ, წითელი მოედნის შესასვლელთან, ვაწყობ.

ჩემს ქმართან ერთად ბედნიერად ვიცხოვრე 41 წელი!

### **თბილისში როგორ გეპყრობოდნენ?**

დიდი სიბუღულით. რატომ? თბილისში, დღეამთილთან რომ მივედი, არ უნდოდა ჩემი მიღება, მიუხედავად იმისა, რომ ჩემს ქმარს ნათქვამი ჰქონდა, მიყვარსო. არ უნდა მეთქვა, რომ გვრმანელი ვიყავი, თორემ „ფაშისტს“ მიწოდებდნენ. ისე საშინლად ვგრძნობდი თავს, თითქოს, მართლაც დანაშაუე ვიყავი. მართალია, მას შემდეგ წლები გავიდა... მაგრამ, სამწუხაროდ, დიდი ფსიქოლოგიური ტრავმა მაინც დამრჩა...

### **სად ცხოვრობდით, როცა თქვენს ქმარი ომში იყო?**

სოფელში ცხოვრება უკვე შეუძლებელი გახდა. ფეხმძიმედ დაერჩი და ქალიშვილი შემეძინა. შიმშილით ეკვდებოდით, სოკოებს ვაგროვებდით, თუ სადმე ვიპოვიდით, ჭინჭარს ვკრედიდით, მუხას ქერქს ვაკლიდით (სხვა ხეებთან შედარებით, უფრო რბილი ქერქი აქვს) და მისკან ბლანებს ვაცხობდით. ეს იყო ჩვენს ყოველდღიური საკვები. ძალიან, ძალიან გვიჭირდა. 1943 წელს, დედამ თხოვნით მიმართა თავის ორგანიზაციას, სამხრეთით, კიროვანდაში გადავეყვანათ, რომ

ჩემი ქმრის ოჯახთან უფრო ახლოს ვყოფილიყავი. ბაქოს გავლით ვიმე ზავრეთ. მე ზავრობა დამქანცველი იყო; ვასასვლელში ვიხსნდით და ბავშვი სულ ხელში მეჭირა. ერთმა ჯარისკაცმა, მესამე თაროზე რომ იწეა, დამინახა და დამიძახა: „მოდი, ორი საათით დაისვენე“. კიროვაბადისკენ რომ მივემეზავრებოდით, რაღაც წითელსა და თეთრს ყიდდნენ. წითელი პამიდორი იყო, თეთრი კი – მჭადი. კიროვაბადში დედა რევისტრაციისთვის წავიდა. მე იქვე დავერჩი და ვუცდილი. იქვე, ყველგან, არხები იყო. ვიფიქრე, გამდინარე წყალია-მეთქი, დაელიე და დიზენტერია შემიყვარა. ძლივს გამოვჯანმრთელდი. 1946 წელს ჩემი ქმარი მოიძინა დაბრუნდა და, ქალიშვილთან ერთად, ბრესტ-ლიტოვსკში, შემდეგ კი საქართველოში ჩამომიყვანა.

### **როგორი იყო თქვენი პირველი შთაბეჭდილება საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ?**

გადასარევი, უბრალოდ, ენით გამოუთქმელი. გულწრფელად რომ ვითხრათ, ქართველები სულ სხვაანირები არიან, სრულიად სხვა. პირველ რიგში, ყველანი ლამაზები, მაღლები და ტანალები. მეორეც – მომდერალი ხალხია. ქუჩაში მომაეალი ორი-სამი ახალგაზრდა რომელიმე კუთხეში ჩერდებოდა და ძალიან ლამაზად მღეროდა. ეს მრავალსმინაობა... შთაბეჭდილება ჩერებოდა, რომ ისინი სულ მუდამ მღეროდნენ. ჩემთვის ცხადი გახდა, რომ ქართველი ხალხი ძალზე სტუმართმოყვარეა. რომელ სახლშიც უნდა შესულიყავი, ყველგან შეგობრულად გიღებდნენ. ამ სტუმართმოყვარეობამ გამაოგნა, მით უმეტეს, ასეთი მძიმე წლების შემდეგ. უკვე გამოციდილება და შედარების საშუალება მქონდა. კაცები თეთრ კიტლებსა და ისე კარგად გაუთოვებულ შარვლებში იყვნენ გამოწყობილი, ერთი ნაკეციც რომ არ ჰქონდათ. წესრიგი და სისუფთავე! ქალაქი წკრიალებდა, ყველგან ქურთები გვიდნენ. თბილისი არაჩვეულებრივი ქალაქი იყო. ყოველთვის, როდესაც მოსკოვიდან ებრუნდებოდი (იქ დეიდა ცხოვრობს, ჩემი და ლენინგრადშია), ვამბობდი: „ღმერთო, რა სამოთხიდან ვიყავი წასული!“ აქ მუდამ დიდი სიამოვნებით ებრუნდებოდი. დღეს კი რა ხდება? მაპატიეთ და ტირილი მინდებ. ლანდმაუტიც გასაოცარია: ეს თბები, ჩანჩქერები, ზღვა... იმ მხარეს ვგულისხმობ, რომელიც დაუკარგეთ. ელემენტობა აქ ქვეყანას. გული მიკვდება, ასეთ მძიმე მდგომარეობაში რომ ეხება.

### **სწავლა თუ განაგრებთ საქართველოში?**

საქართველოში რომ ჩამოვედი, არც ისე კარგად მიმიღეს და ლამის შინამოსამსახურედ ვიქეცი. სულ სარეცხის რეცხვასა და მის გარეთ გაუფანაში ვიყავი. ერთხელ ჩვენს ზემოთ მცხოვრებმა მასწავლებელმა დამიძახა: „ილიუშა, მაღლა ამოდი!“ (მაშინ „ილიუშას“ მეძახდნენ). „ჩააბარე იურიდიულის დაუსწრებელზე, დაგეგმარები“ – მითხრა მან. გამოცდები ჩაუბარე და სამი წლის მანძილზე ვისწავლე, მაგრამ არ დამიმთავრებია; მაინც მომიცა რაღაც, რაც ცხოვრებაში გამოვიყენე. ქართველ კაცებს არ უყვართ, როცა მათი მეუღლეები მუშაობენ. მაშინ ჩემმა ქმრამ, უბრალოდ, არჩევანი არ დამიტოვა. მიუხედავად ამისა, მოვიგანიებთ, მცირე ხნით – 12 წლის განმავლობაში – ემუშაობდი.

### **რატომ მივიღოთ დედამთილმა ასე ცუდად?**

გერმანელი ვიყავი, ღარიბი და უმზითეო. ასე მხოლოდ ჩემი ქმრის ოჯახში დამხუნენ, სხვებთან არ მიგრძენია; მეგრელების ოჯახში მოეხედი, დედა მეგრული აყავდა. მოკვიანებით კი შემოიყარეს, მაგრამ მათთვის მაინც ისეთივე ღარიბი, უმზითეო დავრჩი. შემდეგ ცალკე ვცხოვრობდით. ჩემი ქმარი ვაჭრობის სამინისტროში მუშაობდა და ეს ბინა უფასოდ მოგვცა მისმა სამსახურმა.

### **ქართველები როგორ ექცეოდნენ გერმანელებს?**

აღმაინებმა გაიგეს, რომ ფაშიზმი და გერმანელი ხალხი სხვადასხვა რამაა. ვარდა ამისა, საქართველოში საკმაო რაოდენობით გერმანელი ცხოვრობდა. მათ ბევრი კარგი რამ გააკეთეს ამ ქვეყნისთვის. კონსერვატორიაც გერმანელებმა ააშენეს, პლენხანოვზეც მრავალი სახლი მათ მიერაა აგებული. ბევრი გერმანელი დასახლება იყო. ამიტომაც ვუფიქრობ, რომ საქართველო მათი მაღალი უნდა იყოს, დღესაც კი. უნდა აღვნიშნო, რომ, დღეს მეც ძალიან მაღალი ვარ გერმანიის მთავრობის. გულით ავადმყოფი ვარ. აუცილებლად მჭირდებოდა კარდისტომულატორი, რომელიც კამბუჯის „წითელი ჯვრის“ დახმარებით მივიღე. ახლა თქვენი კარდისტომულატორი მაქვს. ასე რომ, შეიძლება ითქვას, თქვენი გულით ვცხოვრობ.

### **რომელ გვარზე გადახვედით?**

ქმრის გვარზე, კვაჭანტირაძეზე. ცხადია, იმ დროს მისი გვარი მჭირდებოდა. იმიტომაც შემირთო, რომ გადავეჩინე. მიუხედავად იმისა, რომ მისმა ოჯახმა ცუდად მიმიღო, ჩემი ეროვნება არასდროს დამიმაღავს. რუსს არ ვგაეარ, არც ქართველს. ამდენად, ქმრის გარდაცვალების შემდეგ, გვარის დაბრუნება მოვიხლოე. უკვე 12 წელია, ჩემს საუთარ გვარს ვატრებ.

### **რა შეიცვალა თქვენთვის საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ?**

მე და ჩემი მეუღლე მხოლოდ რუსულად ვსაუბრობდით – მაშინდელ საქართველოში ყველგან რუსულად ვსაუბრობდნენ, ყველა ორგანიზაციაში მუშაობა რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. გაზეთებიც რუსულენოვანი იყო. თვით ჩემი დედამთილიც კი, ისეთი ნაციონალისტი, მხოლოდ „იზვესტიასა“ და „პრავდას“ კითხულობდა. საუბრისას ხან ქართულად, ხან კი რუსულად ლაპარაკობდნენ. ქართველები რუსულ-ქართულ სიტყვებს ურევდნენ, ეს ლამაზადაც კი ვღერდა. ყველას ყველაფერი ესმოდა. და ახლა, უცებ, ინგლისური... რუსული დაივიწყეს. უცხო ენას არასდროს დამოძობია ასეთი დიდი ყურადღება. ყოველთვის მიძინებდა სადმე წასვლა, რადგან კარგად არც ქართულს ვფლობ და არც ინგლისურს; შეიძლება ითქვას, ინგლისური უფრო მეტადაც კი ვიცი. დაბნეული ვდგავარ აფიშებთან... რა თქმა უნდა, საქართველოში სახელმწიფო ენა ქართული უნდა იყოს, მაგრამ რუსულ ენას ასე ერთბაშად რატომ უნდა გადავუყუხო ხაზი?! ეს, უბრალოდ, არასწორია. ამერიკა ჩვენგან ძალიან შორსაა. ჩემი აზრით, გერმანული ენა რომ შემოეტანათ, უფრო ლოგიკური იქნებოდა – გერმანია უფრო ახლოსაა და არა ოკეანის გადაღმა. მაგრამ, ინგლისური საერთაშორისო ენაა, ვერაფერს გააწყობ.



## **რა აზრის ხართ საქართველოს დამოუკიდებლობაზე?**

რუსეთის ყველა დამსახურება არ უნდა დავივიწყოთ. მისი დახმარებით აქ მეტროები ააშენეს, ახალი თეატრები ააგეს და კიდევ მრავალი რამ გააკეთეს. ჩვენი საკუთარი ძალებით რისი გაკეთება შეგვიძლია, თავადაც ხედავთ; მხოლოდ დიდი ვილები შენდება, სხვა ყველაფერი კი ინგრევა. სულაც არ მრცხენია, ამას რომ ვამბობ, ამ სიტუაციაში მთავრობის მიმართ ძალზე კრიტიკულად ვარ განწყობილი. ჩემსავით ასაკოვანი ხალხის 14 ლარზე ანუ 7 დოლარზე დატოვება ხომ სასაცილოა? ყოველ წუთას კარზე გიკაკუნებენ: გაზისთვის გადაიხადეთ, შექის ფულს უნდა გადაიხადოთ. ეს აღარ მთავრდება და, უბრალოდ, დამამცირებელია! როგორ უნდა გადავიხადოთ ყველაფერი, როდესაც ასეთი დაბალი პენსია გვაქვს?! მაღლობა ღმერთს, ჩემი ქალიშვილი დიდი მეცნიერია (სოფლის მეურნეობის დარგში), მოსკოვში მუშაობს. მან დანერგა ისეთი სამეურნეო კულტურები, რომლებიც მაღალმთიან რეგიონებში იზრდება და დიდი მოსავალი მოაქვს. ის მეცნიერებათა კანდიდატია და მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასწავლის. აქ მხოლოდ 26 ლარს იღებდა. ასეთი აღამიანები ტოვებენ საქართველოს. საშინელებაა. მთელი „ნაღები საზოგადოება“ გაედინება; მიდიან მათემატიკოსები, ფიზიკოსები. აქ მხოლოდ ის რჩება, ვისაც განძრევა არ შეუძლია, მატერიალური ან ფიზიკური საშუალება არ აქვს. უბრალოდ, ვარსებობთ და ეს არის.

## **თავს გერმანულად ვერძნობთ?**

დას, რადგანაც თუ ვიტყვი, რომ ოთხშაბათს მოვალ, ესე იგი მოვალ; თუ ვიტყვი, რომ ვალს ზეგ დაგიბრუნებ, მაშასადამე, დაგიბრუნებ; ხოლო თუ შესაძლებლობა არ მაქვს, დაგიბრუნებ და ბოდიშს მოვიხდი. არეულობა მაწუხებს, მაშინვე უნდა მოვიყვანო ყველაფერი წესრიგში. მოწესრიგებულობითა და პუნქტუალურობით არც რუსი ვარ და არც ქართველი.

## **გსურთ გერმანიაში გამგზავრება?**

ახლა უკვე დავებრდი. ძალიან მინდოდა, წასვლას ვცდილობდი და ამის გამო ძალიანაც გავწყალდნი. სულ მუუხნებორენ: გამოგვიგზავნეთ ეს დოკუმენტები, ის დოკუმენტები... ჩემთვის ეს ძალზე ძნელი იყო, მე ხომ აქ დაბადებული არ ვარ?! ყველა დოკუმენტი მოსკოვიდან ან სამარიდან უნდა გამომეთხოვა, რაც წარმოუდგენლად რთული იყო. თავიდან უარი არ უთქვამთ. მინდოდა, ჩემი შვილიშვილიც თან წამყვანა, ერთად გამგზავრებულყავით. შემდეგ კი, ჩვენს გერმანულ ერთობაში, ფრანკ გულრუნთან დაკავშირებული უსიამოვნო ისტორია დაიწყო; მისი სახელის ხსენებაც არ მინდა. ის დახმარებას შემპირდა. ეს მისია საკუთარ თავზე აიღო. როგორღაც კიოლში დაუკავშირდა ვილაცს. იქიდან პირადი მოწვევა მომივიდა. ყველაფერი მზად მქონდა. შემძლია, ჩემი პასპორტიც გაჩვენოთ. და უცებ გერმანიიდან გულრუნი მირჩევს: - არავითარ შემთხვევაში არ ჩამოხვიდეთ, თორემ ყველაფერი გააფუჭებთ. ძალზე შეურაცხყოფილი დაერჩი, არ მესმოდა, როგორ შეძებლო ყველაფრის გაფუჭება?! იმის გამო, რომ არ წავედი, სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო, განმიცხადეს: რადგან გამგზავრებაზე უარი თქვით, ესე იგი, აღარც გსურდათო. წარმოგიდგენიათ? ამის შემდეგ ველარაფერს გავხედი.

## ოთარ ჯანაშია



დიდი ბაბუა, პაულ ფრანკენი (1822-1887),  
მეუღლესთან, ელენესთან ერთად, 1842 წელს  
ჩამოვიდა თბილისში. პაულ ფრანკენი ბევრს  
მოგ ზაურობდა კავკასიაში და ამ პერიოდში  
შესრულებული საკუთარი ნამუშევრები პარიზში  
გამართულ გამოფენებზე წარადგინა. 1884 წელს,  
პაულ ფრანკენი მეუღლეს გაშორდა. გერმანიაში  
მიმავალი ვაში დააყადა და, ცოტა ხნის შემდეგ,  
დრეზდენში გარდაიცვალა. ელენე ფრანკენი და  
მისი ქალიშვილი, ელენე (1854?-1917)  
თბილისში დარჩნენ. გოგონა ცოლად წაყვია გიმ-  
ნაზის მასწავლებელს, კარლ ჯანს (1844-1925).

ცოლ-ქმარს ექვსი შვილი – ოთხი ქალიშვილი და ორი ვაჟი ეყოლათ. 1918 წელს,  
ქალიშვილი აღელაიდა (1898-1965) სამედიცინო ფაკულტეტის  
სტუდენტმა, თავადმა ალექსანდრე ჯანაძემ (1897-1973) შეირთო. 1921 წელს,  
გასაბჭოების შემდეგ, ალექსანდრე ჯანაძე აიძულეს, სწავლა მიეტოვებინა.  
საბჭოთა მმართველობამ თავადთა ოჯახები დაასატიმრა, ზოგი გადაასახლეს,  
ზოგიც დახვრიტეს. ალექსანდრე, მისი მეუღლე და ვაჟიშვილი ოთარი შეიწყალებს.  
სკოლის დამთავრების შემდეგ, ოთარმა სოხუმის სამხედრო აკადემიაში განაგრძო  
სწავლა. იგი, ომის დროს, 1942 წელს, მძიმედ დაჭრილი გერმანელებმა დაატყვე-  
ვეს. იგი ტყვეობიდან გაიქცა და იძალებოდა უკრაინის სოფელ ქრისტინოვკაში,  
სადაც თავისი მომავალი მეუღლე ნადეჟდა კოზარი გაიცნო. რამდენიმე ხანში  
ოთარი არმიაში დაბრუნდა. ომის დამთავრების შემდეგ, 1948 წლამდე, გერმანიის  
დემოკრატიულ რესპუბლიკაში დარჩა. შემდეგ თბილისში დაბრუნდა, სადაც  
მეუღლესა და ორ ქალიშვილთან ერთად ცხოვრობს.

### რა იცით თქვენი წინაპრების შესახებ?

დიდი ბაბუა, დრეზდენის სამხატვრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ხატვის მასწავ-  
ლებლად მუშაობდა. ელენე კობერი, ბებიანეში, მისი ერთ-ერთი მოსწავლე იყო. ახალდაქორ-  
წინებული წყვილი თბილისში ჩამოვიდა. პაულ ფრანკენი ბევრს მოგ ზაურობდა, მთელი კავ-  
კასია მოიარა: აზერბაიჯანი, სომხეთი და სხვ. ამ მოგზაურობისას შესრულებულმა ნახატებ-  
მა პარიზში, გამოფენაზე, ჯილდოც მიიღო. ბაბუანი, კარლ ჯანი, 1874 თუ 1875 წელს



ელენე და კარლ პანები შვილებთან ერთად

ჩამოვიდა. მეფისნაცვალს ვორონცოვ-დაშკოვი თავისი ორი მცირეწლოვანი ვაჟისთვის მასწავლებელს ეძებდა და სწორედ ის მოიწვია საქართველოში. ბაბუა რუსულ გიმნაზიაშიც ასწავლიდა, მოგვიანებით კი უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს. იგი კარგად ფლობდა ბერძნულ და რუსულ ენებს. კარლ ჰანმა პაულ და ელენე ფრანკენის ქალიშვილი, ელენე შვირთო. მათ ექვსი შვილი ჰყავდათ: ორი ვაჟი და ოთხი ქალიშვილი. უფროს და უმცროს ქალიშვილებს – ანასტასიასა და დედაჩემს შორის – სხვათა 20 წელი იყო. დედაჩემის სამი და რუსეთში ცხოვრობდა. მხოლოდ ანას ბედია უცნობი – ის რევოლუციონერი იყო, დააატმირეს და ამის შემდეგ არაფერი გვსმენია მასზე. ბიძაჩემს, ფრიცს, ერთი გოგონა შეუყვარდა, რომელმაც ცოლობაზე უარი უთხრა. ამის გამო ფრიცმა თავი მოიკლა. კარლმა ნახევრად სომეხი, ნახევრად რუსი ქალი შვირთო. დედა თავად ვაჩნაძეს გაჰყვა ცოლად.

### *თქვენმა მშობლებმა როგორ გაიცნეს ერთმანეთი?*

მამამ გიმნაზია დაამთავრა და უნივერსიტეტში, სამედიცინო ფაკულტეტებზე სწავლობდა. იქ დავით შიქელაძეს (შემდგომში ცნობილ რენტგენოლოგს) დაუმეგობრდა. დავითს მამაჩემის ბიძაშვილი, მართა ფორაქიშვილი, შეჰყვარებია. მართა და დედაჩემი ერთად სწავლობდნენ გიმნაზიაში. ასე გაიცნეს ჩემმა მშობლებმა ერთმანეთი. მათ დიდებული ქორწილი გადაიხადეს, 106 ფაეტონით. ცოტა ხნის შემდეგ, 1922 წელს, თავალობა გაუღლიტეს.

### *როგორ შეიცვალა თქვენი მშობლების ცხოვრება გასაბჭოების შემდეგ?*

მამა ძალიან ნიჭიერი იყო, ბრწყინვალე ქართულითა და რუსულით საუბრობდა, ცოტა გერმანულიც იცოდა. ის ძალზე დისციპლინირებული ადამიანი იყო. 1920 წელს მთავრობის წარმომადგენლებმა განუცხადეს, რომ, თუ კუთვნილი სახლისა და 780 კექტარი მიწის დაკარგვა არ უნდოდა, სწავლა უნდა შეეწყვიტა და კახეთში, სოფელში დაბრუნებულიყო. რამდენიმე ხანში, მასთან უცნობი მივიდა და სოფლის დატოვება ურჩია – მომდევნო ღამეს ყველა თავადი დააატმირეს და გადაასახლეს. ჩემმა მშობლებმა სასწრაფოდ შეკრიბა პარტი და თბილისში დაბრუნდნენ. იქ დედაჩემის მშობლებთან ცხოვრობდნენ. მათ თორმეტოთახიანი სახლი ჰქონდათ, დიდი ბაღით, ჰყავდათ ოთხი მოსამსახურე. ოთხი ისეთი გასაცარი ცხენი ჰყავდათ, რომ, როდესაც ეტლით გოლოვინის პროსპექტზე ჩაივლიდნენ, ყველა მათ შესტკეროდა. სახლს ოთხი კაკასიური ნაგაზი იცავდა. სახლში ვერმანულად ვსაუბრობდით, მოსამსახურეებთან – რუსულად, რადგან მათ არ იცოდნენ გერმანული ენა.

### *სად დადიოდით სკოლაში?*

პირველ ხანებში, მე და ჩემი ძმა გერმანულ საბავშვო ბაღში დადიოდით. მომდევნო ექვსი წელი კი რუსულ სკოლაში ვსწავლობდით. სამხედრო აკადემიაში ვაპირებდი შესვლას და ამიტომაც განავარძე სწავლა რუსულ სკოლაში. შემდეგ სოხუმში, არაჩვეულებრივ სამხედრო აკადემიაში შევედი. 1941 წელს ორწლიანი განათლება დავასრულე და ლიტენანტის წოდება მივიღე. იფინსში ომიც დაიწყო. ჩემი ძმა სამედიცინოზე სწავლობდა და ამან იხსნა არმიაში გაწვევისგან.

1942 წლის დასაწყისში, როსტოვში ვიბრძოდი. ეს ქალაქი ორჯერ დაეკარგეთ და ორჯერვე დაიბრუნეთ. მერე სტალინგრადისკენ წავედი. იქ მძიმედ დაიჭერი და ბრძოლის ველზე დავრჩი. იფიქრეს, დაიღუპაო და ჩემს შობილებს ცნობა გაუგზავნეს. გერმანელებმა ველზე მიპოვეს და მომიარეს, რის შემდეგაც, სხვა ტყვეებთან ერთად, სატვირთო მატარებლით გამგზავნეს ზემლანსკის ბანაკში. მატარებელი გადავიხედიე იყო და მეც კარებთან დავწექი. მე ზაერობა საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. ზოგი გზაში დაიღუპა. მეორე დღეს, გამთენიისას, მატარებელში შავებში გამოწყობილი, შეიარაღებული ჯარისკაცები ამოვიდნენ. სიარული არ შემეძლო და ჩასვლაში ტყვეები დამეხმარნენ – გაიქეცი, არ გინდა გადარჩეო? მატარებლის ქვეშ გავიცოდი, იქვე მიტოვებული ტანკსაწინააღმდეგო სანგარი დაეინახე და შიგ ჩავეწიქი, ტყვეებით დატვირთული მატარებლის წასვლამდე. მერე წინ, ვიწრო ქუჩაზე გაეზოხდი, მარჯვნივ შეეუხეიე და ვხედავ, ვიღაც მოდის. რომ მომიახლოვდა, გაეფიქრე: „ქართული!“ გავასხე – ქართველი ხარ-მეთქი? – კი, დმერთო ჩემო! რომელი ხარო? – მიასუსხა, გადაამეხეა და სახლში წამიყვანა. მან და მისმა ცოლმა მომიარეს, დამბანეს, ტანსაცმელი გამიბრუნეს, დამპარეს და ჩამაცვეს. ეს იყო შალიკო კიკნაძე. ომის შემდეგ ისევ ვიპოვე. რესტორან „არაგვის“ პირველი დირექტორი იყო. 1941 წელს, კიევში, ტყვედ ჩავარდა და იქიდან ქრისტინოვკაში გამოიქცა. მის მეზობლად ცხოვრობდნენ ასევე ტყვეობიდან გამოქცეულები: ქართველი შალიკო ამბუკელი და სომეხი ლოვა გეგორქიანი. მათ გადაწყვიტეს, რომ ოთხი კილომეტრის მოშორებით, სოფელ „ეერხნბანკაში“ გაევეგზავნენ, შალიკო კიკნაძის სიდვრთან. იქ გაიცინა ჩემი მომავალი მეუღლე.

### **იქ უსაფრთხოდ გრძნობდით თავს?**

არა. ისე მოხდა, რომ მალე გერმანელებმა ქუჩაში დაგვიჭირეს მე და ლოვა. ვიღაცას მატარებელი აფეთქებინა. ცალ-ცალკე საცნებში მოგვათავსეს. ყოველ დღით, თითო პატარა გაყვავილი დასახურებდა. ჩემი ცოლი, ცხრა თვის ორსული, ყოველდღე მდიდოდა და საჭმელი მოიქონდა. ერთ დღესაც გაგვათავისუფლეს, ჩემს ცოლს დედისეული ოქროს მონეტები მიეტანა ჟანდარმურიაში, საიდანაც დარეკეს.

### **არმიაში დაბრუნდით?**

რა თქმა უნდა, თერთმეტი თვის შემდეგ. ყოფილი ტყვეები შეგკრიბეს და შერბინკაში, 174-ე ბანაკში გაგვგზავნეს. დღეში რამდენჯერმე გაეყავილი დაკითხვაზე, საბედნიეროდ, ერთსა და იმავე პიროვნებასთან. ჩემი დოკუმენტები გადაამოწმეს; სად ესწავლობდი, სად ვცხოვრობდი – ყოველი წერილობანი. ყველაფერი ჩემს მონათხრობს დაემთხვა. დამავარაუდებდა არ მცნეს. სამხედრო ფიცის მიხედვით, ტყვედჩავარდნილს თავი უნდა მოეკლა. მთავარ გამოძიებულს ეუთხარი: ყველა ტყვეს რომ თავი მოეკლა, არცერთი ჩვენგანი არ იქნებოდა აქ, არც თქვენ იქნებოდით, ფრანტის ხაზზე გაგავზავნიდნენ-მეთქი.“ გაიცინა: „შენ, ქართველო! რამდენიმე წლის განმავლობაში ემუშაობდი თბილისში. ვხედავ, კარგი კაცი ხარ, მაგრამ ფიცი ფიციაო.“ 22-ე მოიერიშე ბატალიონში გამგზავნეს. ეს სადამსჯელო ბატალიონი იყო, რომელშიც

წოდება ჩამორთმეული სამხედროები მსახურობდნენ. ლატვიაში, ლიბალას ასაღებად გაგვეზავნეს: საზღვაო ჯარს ზღვიდან უნდა შეეტია, ჩვენ – ხმელეთიდან. მიზანს მხოლოდ 500 მეტრი რომ გვაშორებდა, მეზღვაურები დანებდნენ, მაგრამ ჩვენმა ბატალიონმა მაინც აიღო ლიბალა. 919 ჯარისკაციდან მხოლოდ 101 გადარჩა, ყველა დაიჭრა, მათ შორის მეც. ჯერ კიდევ პოსიტალში ვიწვექი, სამხედრო წოდება რომ დამიბრუნეს. ეს 1943 წელს მოხდა. ამის შემდეგ 61-ე არმიამი წავედი, რომელსაც გენერალი ბელოვი მეთაურობდა. იქაც დაიჭვრი.

### **ომის დამთავრებისას სად იმყოფებოდით?**

კარლპორსტში. რომ გამოემჯობინდი, 23-ე მოიერიშე ბატალიონში ჩავეწერე.

### **რატომ?**

ეს საბჭოთა არმია იყო და იმიტომ. ჩვენი დივიზია კარმაის მახლობლად გადასვეს. ეს ქალაქი პოლონელებთან ერთად ავიღეთ. სასტიკი ბრძოლა გაიმართა: ზამთარი იდგა, ბევრი დაიღუპა. ბერლინის მიმართულებით სანაპიროს გაუყვევით. რვა მაისს კარლპორსტში ვიყავით, ცხრაში ომიც დამთავრდა.

გამარჯვების 30 წლისთავის აღსანიშნავად რომ მიგვიწვიეს ბერლინში, ყოფილ თანამებრძოლთან ერთად წავედი კარლპორსტში, იმ ადგილას მივედი, სადაც ომის დამთავრება შეეიტყვე და მაგრად ვიტირე.

### **თქვენთვის არავის უსაყვედურია იმის გამო, რომ ნახევრად გერმანელი, გერმანელების წინააღმდეგ იბრძოდით?**

### **მე ხომ არცერთი მათგანი არ მომიკლავს! პირიქით, უფროსი ლეიტენანტი შმერლინგი და ლეიტენანტი ვორტმანი სიკვდილისგანაც კი ეიხსენი. ისინი ჩვენმა ჯარისკაცებმა დაატყვევეს და დახვერტას უპირებდნენ. მათ გადაუღდექი და უთხარი: თუ მათი მოკლა გინდათ, ჯერ მე უნდა მესროლოთ-მეთქი. მაღალი წოდება მქონდა და დამემორჩილნენ.**

### **რას აკეთებდით 1945 წლის შემდეგ?**

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაქრჩი. შემოწმების გავლის შემდეგ, მთავარ კომენდატურაში, ობერკაუზენში გამაგზავნეს. იქ მხოლოდ მე ვიკოდი გერმანული და ამიტომაც, მეთაურის მოადგილედ დამნიშნეს.

ჩემი ცოლი ჩამოგაყვანინე. ფრონტზე რომ ვბრუნდებოდი, ფეხბმძიმე დავტოვე და არ ვიყო-დი, გოგო შემიძინა თუ მიჭი. გოგონას ლიუბა დაეარქე. 1948 წელს, სტალინის ბრძანებით, ყველა ოფიცერი პარტიამი უნდა შესულიყო. საბუთები წარაუდგინე, მაგრამ უარით გამოიხსტუმრეს: მამა ხომ თავადი მყავდა, დედა კი – გერმანელი. ჩვენი ოჯახიდან არავინ ყოფილა პარტიის წევრი. არმიიდან დამითხოვეს და მეც საქართველოში დაებრუნდი.

**საქართველოში რას საქმიანობდით?**

პირველად უნივერსიტეტის სამხედრო კათედრაზე ვმუშაობდი. მაგრამ, როდესაც მეორე შვილი შეგვეძინა, ზელფასი აღარ გვეყოფნიდა. იძულებული გაკვხდი, უნივერსიტეტი დამეტოვებინა. ერთ დღესაც ჩემმა მეგობარმა, გენერალმა მიქელაძემ, მითხრა: „რატომ ხარ ასე უიმედოდ? შევიძლია, ტაქსის მძღოლად იმუშაო!“ ასეც მოვიქეცი. თვეში 300 მანეთს ვიღებდი, რაც ოჯახს ყოფნიდა. სწავლის გაგრძელების თავი აღარ მქონდა. მაღლობა ღმერთს, რომ ჩემმა შვილებმა მიიღეს უმაღლესი განათლება.



## ლიანა კისნერი

ლიანა კისნერის ბაბუამ, ფრანც კისნერმა (1851-1930), ბერლინის უმაღლესი მუსიკალური სასწავლებელი დაამთავრა. იგი საგასტროლოდ ეწეოდა საქართველოს, 1881 წელს კი უკრაინელი ქალი შეირთო, აქ გადმოსახლდა და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი გახდა (ფორტეპიანოს განხრით). მისმა ვაჟმა, იურიმ, უკრაინელი ქალი შეირთო. 1941 წელს, იგი ოჯახით ყაზახეთში გადასახლეს; 60-იან წლებში ოჯახი თბილისში დაბრუნდა. ლიანა კისნერი, თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მსახიობი გახდა, მაგრამ, პირველი

ქმრის სურვილისამებრ, პროფესია შეიცვალა. იგი მოსკოვში გამოცემული ჟურნალის – „Новые Фильмы“ – კორესპონდენტად მუშაობდა. 80-იან წლებში, მისი ინიციატივით, დაარსდა ქართული ფილმის მუზეუმი. ლიანა კისნერის ავტობიოგრაფია გამოქვეყნდა ჟურნალში – „Kaukasische Post“. დღეს იგი, გეორგ ქმართან ერთად, თბილისში, ისინის რაიონში ცხოვრობს.

### რატომ ჩამოვიდა თქვენი ბაბუა საქართველოში?

იგი საგასტროლოდ იმყოფებოდა რუსეთში. მოგვიანებით კი, ერთმა ქართველმა მეცენატმა საქართველოში მოიწვია. აქ მას ბებიანები შეუყვარდა. კიდევ ორივე ჩამოვიდა სტუმრად, შემდეგ ბებია ცოლად შეირთო და საქართველოში დარჩა – ასეთი იყო მათი ქორწინების პირობა.

### სად ცხოვრობდნენ ისინი?

ისინი ბებიანების, ნატალიას, სახლში ცხოვრობდნენ 50 წლის განმავლობაში. ბებიანების უკრაინელი მამა, გვარად შევჩენკო, კავკასიის არმიის გენერალ-ინსპექტორი გახლდათ. მისი მეუღლე, ბებიანების დედა, ქართველი იყო – სიღონია გაბრიელის ასული ქართველიშვილი. ბაბუამ, საქართველოს კონსერვატორიის პროფესორმა, ჩამოსვლისთანავე დააარსა გერმანული კვარტეტი. დროთა განმავლობაში, ეს კვარტეტი სულ უფრო პროფესიონალური ხდებოდა. ბაბუას ირველივე ქართული მუსიკალური საზოგადოების ისეთი ცნობილი წარმომადგენლები შეიკრიბნენ, როგორებიც იყვნენ: ხარლამაშ სავანელი, ალიოზ შინანდარი, დიმიტრი არაყიშვილი, ზაქარია ფალიაშვილი და სხვანი. გარდა ამისა, ძალზე ხშირად იყვნენ სტუმრად რუსი კომპოზიტორები და პიანისტები. კონცერტების შემდეგ, ჩემი მშობლები მიღებებს



მართავენ სახლში. ბებიამ სიმღერის შესწავლა დაიწყო, შალიაინიც იმ დროს ეუფლებოდა კოკალურ ხელოვნებას. ისინი ერთ პედაგოგთან მეცადინეობდნენ და მათი ხმები იმდენად კარგად ერწყმოდა ერთმანეთს, რომ დუეტშიც მღეროდნენ.

### **რა ენაზე საუბრობდით ოჯახში?**

სახლში ბაბუა ყოველთვის გერმანულად ესაუბრებოდა ბავშვებს. იგი მათგან კატეხიზისის ზუსტ და საფუძვლიან ცოდნას მოითხოვდა. ახლაც მახსოვს, როგორ მიყვებოდა მამა: თუკი ბავშვებს კატეხიზისის რომელიმე პუნქტი არ ეცოდინებოდათ, კვირის ბოლოს, ღენშიკს ბაღში გაჰყავდა, შარვალს ხდიდა და როზგავდა. ოჯახში გერმანულ ტრადიციებსა და წესჩვეულებებს ვიცავდით. დღესაც მახსოვს მამის ნათქვამი, რომ გერმანული პასკა მსუბუქი კი არა, მძიმე უნდა ყოფილიყო; გერმანული გუფუები – მაგარი! შობაზე გერმანულ სიმღერებს ემღეროდით. მამა ძალიან კარგად ფლობდა გერმანულ ენას. დედის მონათხრობიდან ვიცი, რომ ბებიამ თავიდან არ იცოდა ენა, მაგრამ, მოგვიანებით, ის და ბაბუა გერმანულად საუბრობდნენ. კვირაობით მთელი ოჯახი ეკლესიაში მიდიოდა. ბაბუა ორლანს მიუჯდებოდა და უკრავდა, ის არავის უთმობდა ამ საქმეს. ძველი ეკლესია „კიროჩნზე“ მდებარეობდა. ჩვენები მის მახლოვდა, მომდევნო კვარტალში, ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიის პირდაპირ ცხოვრობდნენ. ყოველი მესის მსვლელობისას, ბაბუა ორლანს უკრავდა.

### **რატომ შეიცვალეთ კონფესია?**

ბებიის მშობლებმა მოითხოვეს. ბებია ორთოდოქსი იყო, ბაბუა – ლუთერანი. ეკლესია მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუშვებდა მათ ქორწინებას, თუკი ბავშვები ორთოდოქსულად მიიხატებოდნენ, როგორც მათი დედა.

### **რეგულუციამ თუ შეცვალა მათი ცხოვრება?**

დაიხ, ძალიან. შრომის ანაზღაურება შეპყროდა. ახლახან, კონსერვატორიის მუზეუმის დირექტორმა ბაბუას მიერ მთავარობისადმი მიწერილი წერილი იპოვა; იგი წერდა, რომ არ შეეძლო ასეთი სასაცილო ხელფასით ოჯახის შენახვა და საჭიროდ მიიჩნეოდა პროფესორებისთვის ანაზღაურების მომატებას.

ბაბუას გარდაცვალების შემდეგ, უფრო მძიმე ვითარება შეიქმნა. ჯერ ერთი როიალი გაყიდეთ, მერე – მეორე, ბოლოს კი – სახლიც. სამივე ეაეიშვილს თითო-თითო ოთახი უყიდეს.

### **რეგულაციის შემდეგ თუ გვავლათ შინამოსამსახურეები, რომლებიც საოჯახო საქმეებში ეხმარებოდნენ?**

გვყავდა მზარეული, მრეცხავი, ღენშიკი და აღმზრდელები ყველა ბავშვისთვის. აღმზრდელები ფრანგულად საუბრობდნენ... ფრანგული ყველამ იცოდა. იმ დროს, ინგლისური ენა არ იყო ასე ეულტივირებული.

### **რა ეროვნებისანი იყვნენ?**

დენშიკი რუსი თუ უკრაინელი იყო, ზუსტად აღარ მახსოვს. ყველაფერს გენერალივით ზედამხედველობდა. მზარეული ყოველთვის გერმანელი გვყავდა, იგი ჩვენი ეკონომიკს განხლდათ. დილაობით ის და ბაბუა კაბინეტში იკეტებოდნენ და მთვით ადგებდნენ. მას წიგნაკების მთელი დასტა ჰქონდა, რომლებშიც ყოველდღე იწერდა, თუ რა ღირდა საყვები, რა გვქონდა სადილად და ა.შ. მრეცხავი მაშინაც გვაკითხავდა, როდესაც უკვე ერთოთახიანებში ეცხოვრობდით და ბებია ძალზე ხანდაზმული იყო; თავადაც ასაკოვანი, ბებიას ეუბნებოდა: „ქალბატონო, მომეცით თქვენი სარეცხი, გავრეცხავ.“ იგი რუსი იყო, დუნია ერქვა. ბებია მას არ ეყვრობოდა როგორც შინამოსამსახურეს და პასუხობდა: „დუნიაშა, შენც ხომ ჩემი ხნის ხარ.“ „მაგრამ, ჩემო ქალბატონო, რეცხვა მაინც შემიძლია!“ მას სარეცხის ფუთა მიჰქონდა და ყველაფერს გარეცხილ-გაუთოებულს აბრუნებდა. ბებია 30 კაკიკს უხდიდა.

### **გერმანელი ძიძები გვყავდათ?**

თავიდან, ენას რომ ვიღვამდით, ერთი გერმანელი ძიძა გვყავდა. ლაპარაკი რომ ვისწავლეთ, სახლში სულ გერმანულად ვსაუბრობდით. შემდეგ, ფრანგი მოვიდა, დიდხანს დარჩა ჩვენთან. სხვათა შორის, ბაბუა ყოველთვის ბრანდებოდა, როდესაც რუსულად ან ქართულად ვსაუბრობდით. მან რუსული კარგად იცოდა, მაგრამ ამ ენაზე მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში საუბრობდა, როცა სხვა გამოსავალი არ ჰქონდა.

### **ქართულად თუ საუბრობდა?**

ბაბუა? არ ვიცი. ბებიანების დედა, რა თქმა უნდა, ბრწყინვალე ქართულით საუბრობდა – ის ხომ ქართველი იყო. მაგრამ ბაბუა – ვერ გეტყვით. ეს პირველმა თქვენ მკითხეთ. სალბათ, იცოდა ქართული. როგორ არ ეცოდინებოდა, ის ხომ ქართულ საზოგადოებაში ტრიალებდა?!

### **ბაბუა დადიოდა თეატრში?**

სახელმწიფო თეატრში ოპერები და ქართული სპექტაკლები იდგებოდა. ჩვენები ყოველთვის დადიოდნენ თეატრში, შნიშვნელობა არ ჰქონდა, რომელი პიესა ან ვისი დადგმა იყო, პრემიერას არ აცდენდნენ. ეს იყო მათი ცხოვრება.

### **ქართული მუსიკითაც იყო დაინტერესებული?**

მოსწავლეებისთვის მის მიერ შედგენილ პროგრამებში (რა თქმა უნდა, ძირითადად, გერმანულ-განათლებლისთვის) ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებებსაც ეხებოდა. მაგრამ, განათლებისწინებელია, რომ იმ დროის, ანუ მე-19 საუკუნის 80-იან წლების საქართველოში, ჯერ კიდევ არ არსებობდა ქართული პროფესიული მუსიკა, მხოლოდ ფეხს იდგამდა. არაყმეილის გუნდები უფრო გვიან ჩამოყალიბდა. მაშინ უკრავდნენ ჩონგურზე, ფანდურზე... პირველი კლასიკოსი კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი იყო.

### **რამდენი შეილი ჰყავდა ბაბუას?**

ხუთი: დედა ჟენია, ბიძია ვალია, ბიძია ვადიმი, მამა და საშა. ყველა მათგანმა ჯერ კონსერვატორია დაამთავრა და შემდეგ განაგრძო სხვა სპეციალობის შესწავლა. მამა იურისტი იყო, ერთი ბიძა – კაუმირგაბშვილის ინჟინერი, მეორე კი ფილოლოგი. დედა ჟენია, ბოლო ორი წლის განმავლობაში (4-5 კურსი), ლენინგრადის კონსერვატორიაში სწავლობდა, ჰიანისტი გახდა. ბიძა საშა სამხედრო იყო. მიუხედავად მათი პროფესიებისა, ყველანი უკრავდნენ სხვადასხვა ინსტრუმენტებზე: ძია ვადიმი ჩელოზე, მამა და დედა ფორტეპიანოზე, ძია საშა კი – ვიოლინოზე.

### **რომელ სკოლაში დადიოდნენ?**

ვიცი, რომ მამა გერმანულ სკოლაში დადიოდა, მაგრამ ვერ გეტყვით, იყო თუ არა გერმანული სკოლა უფროსების დროს. მამა ნაბოლარა იყო. როდესაც ის სასკოლო ასაკის გახდა, უკვე არსებობდა გერმანული სკოლა.

### **თქვენ რომელ სკოლაში დადიოდით?**

46-ე სკოლაში, ნინოშვილის ქუჩაზე. ეს რუსული სკოლა იყო. ჩვენს ეზოში მაცხოვრებელი ყველა ჩემი მეგობარი იქ სწავლობდა. მეზობლები სიეიწროვეში, მაგრამ მეგობრულად ვცხოვრობდით. ჩვენ თანატოლები ვიყავით და ერთნაირი ინტერესები გვქონდა.

### **სად გაიზარდეთ?**

დუზერტირების ბაზრის მახლობლად, ორჯონიკიძის N78-ში (ყოფილი ანდრეევსკაიას ქუჩა). მას შემდეგ, რაც სახლი გავყიდეთ და ამ ეზოში ყველასთვის თითო ოთახი ვიყიდეთ, ჩვენი მეზობლები გახდნენ: ქართველები, სომხები, რუსები, ბელორუსები, ებრაელები, იუზიდები, ქურთები, კიდევ ერთი გერმანელი და ერთი ესტონელი.

### **როგორი ურთიერთობა იყო სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს შორის?**

ეროვნებას არასოდეს ექცეოდა ყურადღება. ეზოში ერთი ონკანი გვქონდა ოთხივე სართულისთვის; იქ რეცხავდნენ მატყლს, ხილ-ბოსტნეულს, ბავშვებიც იქვე წუწავობდნენ. ბუნებრივია, ბევრ რამეზე კამათობდნენ, ჩხუბობდნენ კიდევ, მაგრამ ეროვნებას არასოდეს ეზებოდნენ. ეს, უბრალოდ, ტაბუ იყო, არაეთიკურად ითვლებოდა. და კიდევ: მეზობლების ჩხუბი მათი ბავშვების ურთიერთობაზე არ აისახებოდა. ჩვენ ერთად ვთამაშობდით, ერთმანეთთან დავედიოდით, ერთმანეთს არ ვამციკრებდით. ამ მხრივ, ძალზე კარგად ვცხოვრობდით.

### **თქვენმა მშობლებმა სად გაიცნეს ერთმანეთი?**

აქ, თბილისში გაიცნეს ერთმანეთი. მაშინ უკრაინაში შიმშილობა იყო. ბაბუა, დედის მხრიდან, რკინიგზაში მუშაობდა. ერთხელაც, ბებია და დედა თბილისში ჩამოვიდნენ. ისინი სახლში სარეცხის სარკეებს ამზადებდნენ და ბითუმად გასაყიდად აქ ჩამოიტანეს. დედა მიყვებოდა: „სადგურზე ვიდექი (ახლანდელი ჩელუსკინელების ქუჩა), მაისის დღესასწაული იყო,



ლიანა კვინური ერთ-ერთი როლში

მშენიერი ამინდი, უამრავი მსუბუქად ჩაცმული ადამიანი სეირნობდა. გაიფიქრე: „ღმერთო ჩემო, აი, სამოთხე! აქ ცხოვრება რომ შემძლებოდა!“ შემდეგ ისევ სადღურში შევედით და ბილეთების რიგში დადგით. ერთი ახალგაზრდა ჯარისკაცი მოვიდა. ბილეთების ურიგოდ აღება უნდოდა. ეს მამა იყო; მიუხედავად პროფესორის შვილობისა, ჯარში უნდა წასულიყო. მისი და-ძმა ლენინგრადში ცხოვრობდა და მოახერხეს, რომ თავადაც იქ გაეგზავნათ. იმ დღეს მიემგზავნებოდა. ის და დედა წაიხუნებნენ. დედა ისეთი იყო! მხოლოდ თექვსმეტი წლის გახლდათ, მაგრამ წინ არაფრით გაუმეა და პირველმა აიღო ბილეთი. სამივენი ერთ კუპეში მოხვდნენ. სამი დღე ერთად იმეგზავნენ ხარკოვამდე, სადაც მამა სხვა მატარებელზე უნდა გადაემგზავრა. მას დედა ამ სამ დღეში შეუყვარდა! დედა უბრალო ოჯახიშვილი, მაგრამ ძალზე ჭკვიანი, განათლებული და ინტელიგენტი იყო. ერთი წლის შემდეგ, მამა ლენინგრადიდან უკრაინაში გაემგზავრა (მათ მიმოწერა ჰქონდათ), დედა შერთო და საქართველოში ჩამოიყვანა.

### **როგორ იზრდებოდით?**

მე 1928 წელს დავიბადე. ბაბუა 1930 წელს გარდაიცვალა. მხოლოდ ორი წელი ვცხოვრობდი იმ დიდებულ, ზღაპრულ სახლში, რომელშიც ესთეტიკა და სილამაზე მეფობდა. მასხენდებდა, როგორი ნივთები გეჭონდა. ნელ-ნელა ყველაფერი გაეყიდეთ: დიდი სარკეები, მეორე რიადი და მდიდრული ავეჯი ჩემს დროს გაიტანეს.

ბაბუს გარდაცვალების შემდგომ, მისი ორი ძმა ჩამოვიდა გერმანიიდან. ერთ-ერთმა ავეჯის სახელოსნო გახსნა. დახლოებით იმ ადგილზე, სადაც დღეს, ვერაზე, აბრეშუმის ფაბრიკაა. იქ ჯერაც შემორჩენილია მაშინდელი, ძალიან გაცრეცილი წარწერა: „კესნერი.“ შეკვეთით ამზადებდნენ კაკლის ზის, ზაფრადით გაწყობილ, საოცარ ავეჯს. ამ მძას ფილიპ კესნერი ერეკვა. მისი უზარმაზარი პორტრეტი სახლში გვეკვია. მეორე ძმა, იოჰანი, ლუდის მრეწველი იყო. იგი თემირ-ხან-შურაში დასახლდა. მაშინ ეს ტერიტორია საქართველოსი იყო, დღეს კი აზერბაიჯანს თუ თურქეთს ეკუთვნის, ზუსტად არ მახსოვს. ჩვენები ხშირად ყვებოდნენ ერთ ამბავს: თითქოს, ბიძამ, თავისი პატარა ფაბრიკის მშენებლობისას, ფუნდამენტში კარდალით ოქრო დაატანა. ყოველთვის, როცა ცუდი ხანა გვედგა, მესმოდა, როგორ ამბობდნენ მამა და ბიძამისი: „იქნებ, ჩვენი დამარხული განძი მოგვეპებნა?“

ბაბუს დაც კავდა. იგი მოძღვრალი იყო, იტალიელის ცოლი, გვარად არნოლი – ლიდა კარლოვან არნოლი. იგი ვეროანასა და ამერიკაში მართავდა კონცერტებს. უკვე აქ ცხოვრობდა, როდესაც კონსერვატორიაში მიიწვიეს და იტალიური მუსიკის სწავლება შესთავაზეს.

### **როგორ ცხოვრობდით სხვა ბინაში გადასვლის შემდეგ?**

ორი წლის ვიყავი, როდესაც იმ არაჩვეულებრივი, ყოველმხრივ კეთილმოწყობილი სახლიდან ამ პატარა, მოუხერხებელ ოთახში – „კომუნალკაში“ – აღმოვჩნდი. შეიცვალა ჩვენი გარემო, ყოფა; ბაბუს წრესთანაც სულ უფრო იშვიათად გეჭონდა ურთიერთობა. ახლა ჩვენი მეზობლები იყვნენ: მეეზოვე, მეწაღე და ა.შ. ინტელიგენტური ოჯახებიც ცხოვრობდნენ. ერთმანეთისგან არავის ვინსხეავებდით, ყველასთან ეშვებოდით. აღრინდელი ცხოვერებისგან ნანგრევებიღა

დარჩა. სხვათაშორის, მანამდეც ბევრი რამ შეიცვალა; როდესაც მენშევიკები მოვიდნენ, მამს სხეცალობით მუშაობის უფლება ჩამოერთვა. რუსულად საუბარი აიკრძალა, მხოლოდ ქართული! სამსახურის შოვნა შეუძლებელი გახდა. ამიტომაც, მამამ მულატრად დაიწყო მუშაობა. უკვე ვეღარც გერმანულ ტრადიციებს ვიცავდით, გრომებს ვითვლიდით. შიმშილობა მძინეარებდა. ოჯახს ჩემთვის აღმზრდელის დაქირავების საშუალებაც აღარ ჰქონდა. ბიულღლებს ეზოში ვატარებდით. დედა სულ მუდამ წასული იყო; ხან რას ყიდულობდა და ხან რას ყიდდა, როგორმე თავი რომ გაგვეტანა.

### **დედა რა პროფესიის იყო?**

დედამ გვიან დაიწყო მუშაობა. მან პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა. ის ძალიან განათლებული იყო. „ზარია ვოსტოკაში“ მუშაობდა უძეროს რედაქტორად. მოგვიანებით კი, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ერთ-ერთი რუბრიკა მიჰყავდა. უკრანიაში რომ დიდი შიმშილობა იყო (ხალხი ისე შიმშილობდა, ჩარლი ჩაპლინის გმირის მსგავსად, თამბაქოს, თოკებს ხარშავდა და ჭამდა)<sup>100</sup>, დედამ სამივე და ჩამოიყვანა და ყველანი აქ დაათხოვა, რათა ერთად ყოფილიყვნენ.

### **1941 წლამდე თუ გრძნობდით მოსალოდნელ საფრთხეს?**

არა, ვერაინ ვერაფერს ხვდებოდა. ერთი პატარა ნიუანსი კი იყო: სკოლაში არასოდეს გვეკითხებოდნენ, რა ეროვნების ვიყავით, შეიძლება, მხოლოდ მამის, როცა ბავშვის მისაღებად საბუთებს ითხოვდნენ. ერთხელ, სასწავლო წლის დასაწყისში, სკოლაში ორი კაცი მოვიდა. ყველა კლასში შედიოდნენ და ბავშვებს ეროვნებას ეკითხებოდნენ. როდესაც ჩემი ჯერი დადგა, გავიფიქრე: რა ვუთხრა? რომ გერმანელი ვარ? კლასში ერთადერთი გერმანელი ვიყავი და ამით ძალზე ვამაყობდი. ასე რომ, ავდექი და განვაცხადე: „მე გერმანელი ვარ!“.

ეს ჩვენს დებორტაციამდე ზუსტად ორი კვირით ადრე მოხდა. 22 ივნისიდან სექტემბრამდე მიდიოდა ამ აქციისთვის მზადება. სექტემბერში გადაგვასახლეს. გამოკითხვას სკოლებში აწარმოებდნენ – ხომ შეიძლება, მშობლებს დაეშალათ თავიანთი ეროვნება?! ბავშვი კი ყოველთვის სიმართლეს ამბობს. მათ მახეში მეც გაეყები.

### **შეიძლიათ, დებორტაციის დღე გაიხსენოთ?**

სკოლიდან სახლში ვერბრუნდებოდი. არც ვიცოდი, რა მოხდა. ეზოში შემოვდიდი და ვხედავ, ჩვენი ლოჯიის ფანჯრები და კარი ღიაა. ხალხი შეეგუფებულა... მეზობლები ასე მამის იკრიბებოდნენ, როცა ვინმე გარდაიცვლებოდა. გულმა ბაგა-ბუგი დამიწყო. ერთი თნაკლასელი ბიჭი ბლიან მომწონდა, მაგრამ სულ ვზნუბობდით. როგორც წესი, ჭვით ხელში მძმსდევდა და მჭეჭეჭებოდა, გესკრიო. ისიც შემომყვა. მიუბრუნდი და ვეკითხები:

100 1932-1933 წლებში უკრანიაში ხტალინის მიერ პროციირებულ შიმშილობას, სერიოზული გამოკვლევების თანახმად, სულ ცოტა 5 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეწერა. სხვაობა უთავ იხილეთ: Anna Reid, Boderland, A Journey through the History of Ukraine, London 1997.

- „სლავა, რა ხდება?“

- „არ ვიცი“ - ამოილულულა მან.

დაეინახე, როგორ გამოვიდა ოთახიდან აცრემლებული დეიდაჩემი.

- „ოხ, ღმერთო, ღმერთო, გადასახლებაში გაგზავნიან.“ - მომამაძა ტირილით. ვეკითხები:

- „ბატონო? ვის ასახლებენ?“ - არაფერი მესმოდა, ბავშვი ვიყავი. რა უნდა გამეგო მეხუთეკლასელს?!

- „თქვენ გასახლებენ, - მეუბნება, - ციმბირში. თქვენ ხომ გერმანელები ხართ. ახლა ომი დაიწყო გერმანელებთან.“ გავშეშდი, ვერაფერი ვაევიგე. ოთახს მივუახლოვდი, ღია კარებში შევიხედე. ყველაფერი თავდაყირა იყო. ოთახში ფანერის ოთხკუთხა ყუთები იდგა. მაღაზიაში, ასეთ ყუთებში ასანთებს აწყობდნენ. დედას მოაფიქრდა მათი ამოტანა და შიგ თბილ ტანსაცმელს, საქმელს აღაკებდა. მეზობლები მოდიოდნენ, რაღაცეებს ახვეედნენ და ყუთებში აწყობდნენ: „ეს წაიღე, ღიღა, ესეც წაიღე...“ ბევრს მოჰქონდა ჩაი, მწვანე ჩაის ფილები. არასოდეს მენახა ასეთი ფილები. „ციმბირში, უპირველეს ყოვლისა, ჩაი დაგჭირდებათ.“

მართლაც, სიცოცხლე შევიწინარჩუნა ამ ჩაიმ. დედა ფილებს 16 ნაწილად ყოფდა. ერთ ნაჭერში ნახევარ ლიტრ ერბოს ვეიცვლიდნენ. ამან გვიხსნა შიმშილით სიკვდილისგან. იქ ოქროს არახაირი ფასი არ ჰქონდა, ოქროს ბეჭედს ზედაც არავინ უყურებდა. ვის რა ოხრად უნდოდა?! ჩაი ნარკოტიკივით იყო მათთვის. „ნარკომანი ყაზახები“ - თუ ჩაი არ დალივს, აუად გახდებიან.

### **თქვენი უკრიანელი ბებიაც გადასახლეს?**

დედა ეხვეწებოდა, თბილისში დარჩიო, მაგრამ არ ისურვა. მას თავის შეილებთან უნდოდა ყოფნა. იმ დღეს ისე გამოიყვით, თითქოს ოპერაში უნდა წაესულიყავით - შავი, მდიდრული, ფრანგული მაქმანებით გაწყობილი კოსტიუმი ჩაიცვა, თმა დაივარცხნა და აივანზე დაჯდა ბაბუას ნაჭირ საუარებელში. დიდხანს იჯდა ასე, ეიღრე არ წაევიყვანეს. ეს სცენა ახლაც თვალწინ მიდგას და როდესაც ჩემს დასთან რაიმე ცუდი ხდება, ვამბობ: „ბუბიასავით უნდა ვიყო, თვით ყველაზე მძიმე წუთებშიც კი ისეთივე გაწონასწორებული.“ მას თავისი ინტელიგენტურიობა, სიმაღლე არ დაუკარგავს. მაშინ 87 წლის იყო.

### **საით გაგამგზავრეს?**

სადგურზე, რომელიმე ბაქანზე გავეგზავნეს. ყველგან უბრალო სატვირთო ვაგონები იდგა, რომლითაც ცხენები გადაჰყავდათ. ნაკელიც არ გაუტანიათ. ერთ ვაგონში შეგვეყარეს, მასში ორ-სამ საერთოლიანი ხის საწოლები იყო. მომდევნო დღეამდე მატარებელი აღვლიდნენ არ დამრულა, შემდეგ დაცვა მოვიდა და გადასვლა აღარ შეგეძლო. საით მივემგზავრებოდი, არავინ იცოდა. შუადღისას სადღაც გავეჩრდი. სათლით ბორში ამოიტანეს. გემრიელი, ხორციანიც კი იყო - ციხის სალაფავს არ ჰგავდა. ფაფაც მოვიტანეს. მგზავრობისას გვაჭმევდნენ. ბაჭომდე მივდიო. უკვე საღამო იყო, ზღვაზე შემზარავი შტორმი ბობოქრობდა. იქ პატარა კატერი იდგა, თუმცა, კატერს ვერ დაუარქმევ, გემი უფრო იყო. მასზე ავიყვანეს და, მიუხე-

დავად ასეთი შტორმისა, კასპიის ზღვის მეორე მხარეს – კრანსოვოდსკისკენ გავეზგზავრეთ. ბევრი ბორტიდან გადავარდა, მათთვის არც მიუტყვევიათ ყურადღება. ხალხი ყვიროდა, ყველა ტრიუმში ჩასვლას ცდილობდა, ხსნას ეძებდა. ზემოთ დარჩენილებიდან ბევრი ჩაცვივდა წყალში. მათ არავინ ეძებდა. ან როგორ უნდა ეპოვათ?! ტრიუმში წყალი იდგა, ვეებერთელა ვირთხები პირდაპირ ადამიანებს შორის დარბობდნენ. საკვების სუნი იფრთხეს... ხალხი ღრიალებდა და ვირთხებს იშორებდა. მახსოვს, ბიძაჩემმა ფეხსაცმელი გაიხადა და ვირთხებს ურტყამდა, ბებიას რომ არ მიკარებოდნენ.

### **კრანსოვოდსკში რა მოხდა?**

კრანსოვოდსკში ერთი დღით გაეჩერდით. თავისუფლად გავეიშვეს, არავინ გეღარაჯობდა. ეს იყო პატარა, საშინელი, ბინძური ქალაქი, სადაც მხოლოდ ფინიკსა და რაღაც ბლინებს ყიდდნენ. წყალც არ იყო, საიდანღაც ეზიდებოდნენ; ბუზები და აუტანელი სიციხე. ერთ მხარეს ქვეშით სასეც უდაბნო იყო, მეორე მხარეს – ზღვა. საღამოს საღვურზე უნდა შეეკრებოდაყვით. ღიღსანს ვიძგზავრეთ, ვიდრე ყაზახეთს მივალწვედით. აცივდა, 15 დღე ეყავით გზაში. ღამღამობით ყინვები დაიჭირა. სემიპალატინსკში ჩავედით. მატარებელი პირდაპირ ნავსადგომთან მივიდა, საიდანაც გემები იმ მხარის უდიდეს მდინარეში, ირტიში გადაიღდნენ. მდინარე უკვე გაყინული იყო. მეორე დღეს ნაპირს პატარა გემი, „რვა თებერვალი“, მოადგა. ის იმდენად ძველი იყო, ნირბიანი, რომ ტომ სოიერისა და ჰეკლბერი ფინის გემს მოგავრნებდათ. ვერც წარმომედგინა, მასზე როგორ უნდა გვემზავრა. ბორტზე ავეიყვანეს და, იმ საშინელ სიციხეში, გავეურეთ. კაიუტებში არ გვიშეებდნენ. ზოგი ქვევით, სამანქანო განყოფილებაში ჩვიდა გასათბობად. იქ გაჭვარტლული ძილები იყო. ცოტა ხანში, ყველანი გაჭვჭყიანდნენ, ტანსაცმელი შემოფელითათ, საშინელი შესახედავები იყვნენ. კაცებს წვერი გაეზარდათ. საჭმელი შემოგვევლია, მხოლოდ ანადღურარი წყალი გვექონდა – სამანქანო განყოფილებაში აღუღებდნენ და, რომ არ დაღეროდათ, ფრთხილად აჭინდათ ზეთი.

რომელღაც უკაცირელ ნაპირთან გაეჩერდით. ვადმოგვესვენს. ვარშემო მხოლოდ გამომზრალი მიწა იყო, ერთი ზეც არ ჩანდა. დღამ დასაძინებელი მოგვიწყო. დღით რომ გავიღვიბეთ, ჩვენს საბანზე პირველი თოვლი იდო. თოვლში ვიწვეით! კოცონი დაანთეს გასათბობად, რისი დაწვაც შეიძლებოდა, ყველაფერს ცეცხლში ყრიდნენ, ძველ ტანსაცმელსაც კი.

ორი თუ სამი კილომეტრის მოშორებით, ძალიან პატარა დასახლება, სემიარსკი იყო. ნავსადგომიდან არც ჩანდა. ისე, რომელ ნავსადგომზეა საუბარი, როცა ერთი პატარა სადარჯო ქოხიც არ იდგა. მდინარის ორივე მხარეს დასახლებები იყო: მაისკი, რამადანი და ა.შ. ყაზახებს მდიდრულად ეცევათ: ტყეყვის პალტოები, დათბილული ნახდის ჩექმები, ბეწვის ქულები. უნდა ითქვას, რომ ყაზახები ძალიან კარგად ცხოვრობდნენ მთელი ომის განმავლობაში – ჰყავდათ ცხვრის ფარა, ძროხები, პური არ გამოლევიათ. იმ დროს ყაზახეთში ზობილის კარგი წარმოება ჰქონდათ. ამ ჯანმრთელ, კარგად ნაკვებ ხალხს კარგადაც ეცევა. სემიარსკში ერთი დიდი კოოპერატივი (არტელი) იყო, სხედასხევა განყოფილებითა და სასადილოთი. ყაზახები, ჩასულეს შორის, ტყეყვის დამუშავების სპეციალისტებს არჩევდნენ, მათაც. ვინც ქოცა ან კრევა



იცოდა. კოოპერატივში ამზადებდნენ: ნაბღის ჩექმებს, დალიანდაგებულ ქურთუკებსა და შარვლებს ჯარისკაცებისთვის და სხვ. თითქმის, ყველა მამაკაცი აიყენებს. ქალებისთვის ნაკლებად იყო საშუაო. მამას გაუმართლა და ბულალტრად მოეწყო. ბიძამ, როგორც ინჟინრმა, ფიზიკა-მათემატიკა იცოდა და იქაურ სკოლაში მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. კოოპერატივმა პატარა სახლი მოგვცა (თუკი შეიძლება ამ ცხენის ნაკელით შელეხილ, პატარა ბოძებს სახლი ეწოდოს). იმხანად, ასეთივე საქონელს ინახავდნენ. ისეთი დაბალი იყო, რომ მამაჩემი, იმ მამადლე კაცი, მუდამ ძიზნილი დადიოდა. ეს მხოლოდ შემოღობილი ადგილი იყო, სადაც ქარი არ უბერავდა, არ გვათოვდა და ღუმელი გეკონდა. მაღლობა ღმერთს, ეს მაინც იყო.

### **დაკვტილი ზონა იყო თუ თავისუფლად შეგებლათ გადაადგილება?**

იქაურობას უკვე საბჭოთა ხელისუფლება განაგებდა მთელი თავისი იერარქიებით: მილიცია, შინსახოში, საბრძოლო კომისარიატი, სოფლის საბჭოს თავმჯდომარე – ყველაფერი იყო, რაც სამხედრო ხელისუფლებას უნდა წარმოადგენდეს. შინსახომმა მაშინვე ავიყვანა არტიცხვაზე. იმის აღსანიშნავად, რომ ტერიტორიის დატოვება გვეკრძალებოდა, პასპორტებში ბეჭდები ჩაკვირტყეს. ვარდა ამისა, ყველამ ხელწერილი დავდეთ, რომ არ გავიქეყოდით. ვინც გაქცევის ეკლებოდა, ოცწლიანი კატორღა ელოდა. ასე დაგვამწყვდიეს ერთ ადგილას. იქ, გერმანელების გარდა, პოლიტიკური მოტივით გადმოსახლებულები ან ის სასჯელმთხილები ცხოვრობდნენ, ვისაც სამშობლოში დაბრუნება ეკრძალებოდა და „თავისუფალ დასახლებაში“ გაგზავნეს. იქ ერთი ქართველიც ცხოვრობდა – ალექსანდრე სუმბათაშვილი. ამ ძალზე სასიამოვნო ინტელიგენტმა იქაური ცხოვრება გაგვილამაზა. პოლონელი მაგნატებიც ჩვენთან ერთად იყვნენ დეპორტირებულები. ასე რომ, ძალზე ჭრული საზოგადოება იყო თავმოყრილი. ერთმანეთთან ურთიერთობას არ გვიკრძალავდნენ. სოფელში თავისუფლად დადიოდით, ესაუბრობდით... ყველაფრის უფლება გვექონდა, მხოლოდ, გაქცევა არ უნდა გვეცადა. ახ სად გაიქცევი?! ერთი მხრიდან მდინარე, მეორედან კი – არაფერი, მხოლოდ ასეთივე პატარა დასახლებები შინსახომის მახლობლად. მოკლედ რომ ვთქვათ, ეერსადაც ვერ წახვიდოდი.

### **გერმანულად დაპარაკის უფლება თუ გქონდა?**

მხოლოდ სახლში და ისიც ძალიან ჩუმად, რადგანაც საშიში იყო. სკოლა სრულიად პოლიტიზირებული იყო. პირველი ორი გაკვეთილი ყოველთვის ფრონტისა და ომის ამბებს ეძღვნებოდა. ყოველ კლასში რუკა ეკიდა. სკოლის დირექტორი ფანატიკოსი რუსი იყო, კლასებს ჩამოედიდა და ყვებოდა: „ახლა ასეთი და ასეთი ვითარება გვაქვს, ესა და ეს დაგვარგეთ. ახ, ეს დაწვევლილი გერმანელები!“ საშინლად წყველიდა გერმანელებს. ჩვენ მისთვის, თითქოს, არც ეარსებოდნენ. ის რუსულს გვასწავლიდა, არასოდეს გვეკითხებოდა გაკვეთის და მუდამ ცუდ ნიშნებს გვიწერდა. რატომ, არ ვიცი. ლიტერატურა ყველაზე უკეთ ვიცოდი კლასში, მაგრამ სრულ იგნორირებას მიკეთებდა. ბიძაჩემიც მხოლოდ იმიტომ მიიღო, რომ სხვა გამოსავალი არ ქონდა – ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი არ ჰყავდათ.

### **ვინმე თუ გაგზავნეს თქვენი ოჯახიდან მშრომელთა ბანაკში?**

მამას და ბიძას ჯერ კიდევ ომამდე მისცეს სამედიცინო ცნობები. მამას გულის ანვინა ჰქონდა, სიმსუქნე აწუხებდა, სუნთქვა უჭირდა. ბიძიას კი 30 წლის ასაკში შეეყვრა ქუთრუმა. ავადმყოფობამ ფსიქიკური დარღვევები დაუტოვა, ძალზე გაუწონასწორებელი იყო. ისინი ამ დეგონარეობამ იხსნა შრომითი ბანაკისგან. მესამე ძმა, ბიძია ეალია, ლენინგრადში ცხოვრობდა. იგი სწორედ დეპორტაციების დაწყებისას გვესტუმრა თბილისში, ამიტომ ჩვენთან ერთად გადაასახლეს და შრომით ბანაკში გაგზავნეს. 45 გრადუს ყინვაში ფეხით სიარული შეუძლებელი იყო და მათაც ცხენებშემული ციკლები მისცეს. ამდენი მთავრობასაც ესმოდა. ბიძია ეალიამ ციკაზე საყვარელი წიგნებითა და ლამაზი სკულპტურებით (ადრინდელი ცხოვრების ნაშთებით) სავსე ყუთი მოათავსა და თავად ფეხით გააყვია. ბათინებზე ჩერები შეგობიხვია, მაგრამ ამან ვერ უშველა, გზაში გაიყინა და გარდაიცვალა.

### **მთელი იმ დროის განმავლობაში სემიარსკში იყავით?**

არა, იქიდან გაიქექით. დედა ბრძენი ქალი იყო, წინასწარ მოელაპარაკა „რვა თებერლის“ კაპიტანს. ერთ ღამეს ნაესადგომთან შეეგროვდით და განთიადამდე ვიცადეთ. მამნაც შეუბღვამა იდგა, ძალიან ციოდა. პელოდარიდან მომავალი გემი ნაპირთან გაჩერდა და აეღლით. კაპიტანმა სემიპალატინსკამდე წაგვიყვანა.

### **გაქცევა რატომ გადაწყვიტეთ?**

ეს ცხოვრება კი არა, სრული არარაობა იყო. ამის წარმოდგენაც კი შეუძლებელია. რაც დრო გადიოდა, მით უფრო უარესდებოდა სიტუაცია. ძალიან გვენატრებოდა თბილისი და საქართველი. ჩვენ, ბავშვებს, სხვა სამშობლო არ გვქონდა. გერმანიაში რომ გვეცხოვრა, გერმანია მოვენატრებოდა. მაგრამ ჩვენ საქართველოში გავიზარდეთ და ის მიგეჩანდა სამშობლოდ. ნოსტალგია გეტანჯავდა. ჯერ დედა გაემგზავრა სემიპალატინსკში ეთარების დასახეურად. იქ განცხადებას წააწყდა: სკოლას ღამის დარაჯი ესაჭიროებოდა, რომელსაც დამქირავებელი ჩაქერის უფლებასა და სპორტებელ ფართს პირდებოდა. ეს სამუშაო ერთადერთი კატეგორია იყო, რომელიც ხელშეუხებელი დარჩა 1917 წლის რევოლუციიდან მთელი საბჭოთა პერიოდის განმავლობაში. დედა სკოლის დირექტორთან წავიდა (ეს იყო უზარმაზარი სკოლა-ინტერნატი ყაზახი ბავშვებისთვის) და ყველაფერი გულანდილად უამბო მას. როდესაც გულწრფელი ხარ და არ ეშმაკობ, ფსიქოლოგიურად კარგად მოქმედებ მსმენელზე. დირექტორიც დათანხმდა ჩვენს მიღებაზე.

ამ ადამიანის სახით ვიპოვეთ მეგობარი, რომელმაც იქაური ყოფა გაგვილამაზა, ნორმალური, ადამიანური ცხოვრება დაგვიბრუნა. დედამ ღამის დარაჯად დაიწყო მუშაობა, მამამ – ბუღალტრად, ბიძამ კი ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლად. მხოლოდ მუ და ჩემს დას არ შეგვეძლო იმ სკოლაში სწავლა, რადგანაც გაკვეთილები ყაზახურ ენაზე მიმდინარეობდა. ჩვენ რუსულ სკოლაში დაედიოდით.

### **როგორ მიახერხებ გადასვლა? თქვენ ზომ ზელწერილი დადეთ, რომ საცხოვრებელ ადგილს არ დატოვებდით?**

დიას, მაგრამ რომ დავესაჯეთ, ჯერ უნდა ვეპოვნეთ. სად გვიპოვინდნენ? არავინ იცოდა, საით გავიქეციო – იჩნებ, ჯერ მაისკოეში, იქიდან კი, რამადანის გავლით, პავლოდარში გადავედიო?! აზრად არავის მოსვლია, რომ გემით გავემგზავრებოდით სემიპალატინსკში. არც ახალი ღოკუმენტების აღება წარმოადგენდა სირთულეს. ომის დროს ზომ ზმირია ქურდობის შემთხვევები, ლეგალური ღოკუმენტების მისაღებად საქმარისი იყო მილიციისთვის განცხადებით მიგემართა, რომ, მაგალითად, მოგპარეს საფულე ფულითა და ღოკუმენტებით. ამ ზერხს ბევრი მიმართავდა. სკოლის დირექტორი დაგვეხმარა. ის თათარი იყო, ავდილობრივი მცხოვრები და თავად წავიდა მილიციის უფროსთან. ყოველგვარი ბეჭდის გარეშე, დროებითი პირადობის მოწმობა მოგვეცეს ჩვენს ნამდვილ გვარზე.

### **სემიპალატინსკში რამდენ ხანს დარჩით?**

წელიწადი, შეიძლება, ოდნავ მეტიც. მამა, 30 წლის განმავლობაში, ბულალტრად მუშაობდა საკართელოს რკინიგზის სამმართველოში. მას ყოველთვის რკინიგზისკენ მიუწვევდა გული. გარდა სკოლისა, სემიპალატინსკის საგზაო სამმართველოშიც მოეწყო. რადგანაც იქ ყველაზე მცოდნე ბულალტერი მამა აღმოჩნდა, წლიური ანგარიშის ჩასაბარებლად ის გაგზავნეს ალმა-ატაში. მამა სიმპათიური, წარმოსადეგი კაცი იყო, კარგი ორატორი, როგორც უნდა იყოს ადუოკატი. მაშინვე ხელი სტაცეს: რას აკეთებთ იმ სემიპალატინსკში, ჩვენთან გადმოდით, შეგიძლიათ ალმა-ატაში, რკინიგზის სამმართველოში იმუშაოთო. ასე მოვხვედით ალმა-ატაში. მამას ნებართვა მისცეს და იქ სრულიად ლეგალურად გადავედიო.

### **ალმა-ატაში განაგრძებ სწავლა?**

არა. სემიპალატინსკში მე-10 კლასში დავდიოდი და სკოლაც დავამთავრე. სწავლა გავაგრძელე ალმა-ატის პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელიც გამოჩინილი ყაზახი პოეტის, აბაის სახელს ატარებდა. მხოლოდ თავისუფალ მსმენელად მიმიღეს, რადგანაც საკუთარ გვარს თუ ეროვნებას ვერსად გაექცევი. ეს ცნობა დღემდე მაქვს შენახული. 1945 წელს ომი დამთავრდა და ბრძანება გამოვიდა: სპეციალისტებს თავიანთ ძველ სამსახურში დაბრუნების უფლება მიეცათ (თუ ამას ადრინდელი დამჭირაებლები მოისურვებდნენ). შესაბამისი პასუხისმგებლობა ორგანიზაციების ზღობლებანელ პირებს ეკისრებოდათ. ვერავინ ბედავდა, რომ მათთვის დაბრუნების მოთხოვნით მიემართა – ცენზურა გაურჩერებლად მუშაობდა. ამიტომაც, დედა თავად წავიდა თბილისში, იგი მთელ რკინიგზის სამმართველოს იცნობდა. მადლობა ღმერთს, ზღობლებანელი არ შეცვლილიყო. დედამ მას ყველაფერი გულახდილად უამბო. „ახლავე მოვაშაბდებ ყველა საბუთს“ – უპასუხა მან და მამაჩემის, როგორც საუკეთესო თანამშრომლის სახელზე, ოფიციალური მიწვევა გააფორმა. შემდეგ დედა იმ სკოლაში მივიდა, სადაც ძიძა მუშაობდა. იქაც მშვენიერად შეხვდნენ და ბიძაჩემის პრობლემაც გადაწყვეტა. ალმა-

ატაში უკრაინიდან ევაკუირებულად ეასაღებდით თავს. ვაშობდით, რომ დოკუმენტები დაკარგეთ. ჩვენ ერთი პატარა, უკრაინულ ყაიდაზე შეთთორებული, საკუთარი სახლი გეჭონდა. დედა რომ დაბრუნდა, წინ კარში ეისხედით. გახარებული ჩანდა, მაგრამ არაფერი უთქამს. იატაკიდან ფიცარი აიღო და დააწერა: „სახლი იყიდება“. მაშინვე მიეხედით, რომ ყველა საკითხი მოგვარდა. საქართველოში 1946 წელს დაებრუნდით. დოკუმენტებში ეროვნებად „უკრაინელი“ გვეწერა.

### *როგორ გაიხსენებდით საქართველოში დაბრუნებას?*

ჩვენი ჩამოსვლა სწრაფად გახმაურდა, თანაც, პირველები დაებრუნდით. შინსაკომბა ყველაფერი იცოდა, მაგრამ არაფერს იმჩნევდა. თეატრალურ ინსტიტუტში ჩავაბარე, იქაც თვალები დახუჭეს ყველაფერზე. ხალხმა მიგვიღო და დახმარების ხელიც გამოგვიწოდა. თუმცა, ომის შედეგე, იქიდან ასეულობით ადამიანი გამოიქცა. შინსაკომს აღარ უნდოდა მათი მიღება და ყველას დაპატიმრების ბრძანება გამოსცეს. მილიციაში დაგვიბარეს. შშობლები არ წავიდნენ, მხოლოდ მე და ჩემი და გამოვცხადდით. გვკითხეს: „გერმანიაში ეინ გყავთ?“ ეუპასუხე: „არ ვიცო, მგონი, არაეინ-მეთქი“. „ოპ, როგორ არა, მიუნხენში გყავთ ნათესაი – კესნერი. მილიონერი იყო და ანდერძით ქონება დაეიტოვათ. გამოეხმაურეთ და გამიდრდებით.“ არ ეიცოდით, რა გვექნა. პროეოკიცია რომ ყოფილიყო? უარი განეაცხადეთ. ეთქვით, რომ გერმანიაში არაეინ გეყავდა და ეს ფულიც არ გეეკუთვნოდა. ჩვენიც რომ ყოფილიყო, მაინც წაგვარათმევენენ, ჩვენ კი გაგვანადგურებდნენ.

### *თქვენი ოჯახის ყველა წევრი აღადგინეს ბევლ სამსახურებში?*

დიახ, მაგრამ ისეე დაგვაპატიმრეს. 1950 წელი იყო. მე და ჩემი და, ლაკითხის შეხდეგ, გავკათიხსუფლეს. სახლში რომ დაებრუნდით, დედამ მითხრა: „სასწრაფოდ ქართველზე უნდა გათხოვდე ფიქტიურად და მის გვარზე გადახვიდე. შენ და შენს დას (ხეტლანა უცრონი იყო, 13-14 წლის) ეს თუ გიშველით.“

მესამე კურსზე ვეყავი. ლექტორებსა და ამხანაგებს ყველაფერი მოეუფევი. ბიჭებმა მაშინვე გამოთქვეს ჩემზე დაქორწინების სურვილი. იმ პერიოდში მისაღები გამოცდები მიმდინარეობდა და, ამიტომაც, ინსტიტუტის დირექტორმა, ალექსიმემ, გადაწყვიტა: რომელი აბიტურიენტიც შეგირთავს, გამოცდების გარეშე ჩაირიცხებაო. ის ახალგაზრდა, მე რომ „შემიბრთო“, ვაეა ფანულაი იყო. მოგვიანებით, ცნობილი რეჟისორი გახდა, ტელევიზიაში მუშაობს. სულ მთხოვდა, მისი ნამღვილი ცოლი გავმხდარიყავი, მაგრამ არ მიხდოდა, არ მიყვარდა.

### *ეინ იყო თქვენი ნამღვილი მეუღლე?*

პირველი ქმარი ქართველი მყავდა. ვერ ავაწყვით ერთად ცხოვრება, მასთან მხოლოდ ორწელიწადნახევარი დავეყვი. მისგან ქალიშვილი მყავს, ის ახლა 46 წლისაა. ჩემი ქმარი ომაგ-მოელილი იყო და ძალზე გუწუნანსწორებელი ფსიქიკა ჰქონდა. ძალიან ლამაზი კაცი იყო, მაგრამ უჭკუო და ნერვიული. მასთან ცხოვრება ძალიან გამიჭირდა. ამის გახსენებაც არ მინდა,

არც არასდროს დაეწერ მის შესახებ. მინდა, უბრალოდ, თავიდან ამოვივლო. ერთი წლის შემდეგ, ჩემს ამჟამინდელ ქმარს შევხვდი. ის ლატვიელია, ქალაქ ლუძადან; საკაერო ძალებში მსახურობდა, ავიაინჟინერი იყო. ერთმანეთს ოფიცერთა სახლში შევხვდით. მაშინ იქ მშვენიერი საღამოები იმართებოდა. იმ დღეს რუსული ოპერეტა გადიოდა. ამ წარმოდგენაზე გავიცანით ერთმანეთი და, მას შემდეგ, გვერდიდან არ მომცილებია. 47 წელია, ერთად ვართ. 41 წლის ვაჟიშვილი გვეყავს, რომელიც ოჯახთან ერთად, კანადაში, ვანკუვერში ცხოვრობს. ქალიშვილი აქ არის. ოთხი შვილიშვილი და ორი შვილთაშვილი მყავს.

### **ომის შემდგომ თუ გქონდათ კონტაქტი გერმანულ ტყვეებთან?**

მათ მხოლოდ ხვებდები, მეტი არაფერი. პირველ კურსზე ვსწავლობდი, როდესაც გერმანული ტყვეები კიონსტულის აზენბდენენ. შესვენებისას, წასახუმესებლად, მორბეზე ხსდებოდნენ. ჩვენი გოგონები, რომლებმაც გერმანული კარგად იცოდნენ, მათ ესაუბრებოდნენ. როცა საშუალება გექონდა, ჩვენც რაღაცით ეუმასპინძლებოდით.

### **თბილისში დაბრუნებულებს ისევ ისეთი ქალაქი დაეხვდათ?**

ჩამოსვლისთანავე მოვიარე ჩემი საყვარელი ადგილები: ძველი ქალაქი, ბოტანიკური ბაღი, გოგირდის აბანოები, მუზეუმები, თეატრები, კინოები, სადაც ბავშვობაში ხშირად დავდიოდი. დავდიოდი და მიხაროდა, რომ ყველაფერს ვცნობდი, ყველაფერი ისევ ისეთი იყო. ჩემზე ძალიან იმოქმედებდა, რამე რომ შეცვლილიყო, ქალაქთან შეხვედრას ხომ ასე დიდხანს ველოდი.

სხვათა შორის, წარმოუდგენლად შეცვლილიყვნენ ჩემი თანატოლები, ვისთანაც ბავშვობაში მქონდა ურთიერთობა. ზოგიერთმა ძალზე გამიცრუა იმედი. შეცვლილიყო მათი ხასიათი, გარეგნობაც. ურთიერთობები აღარ იყო ძველებურად თბილი, ნდობით სავსე და მეგობრული. ადრე რომელიმე ქართულ ოჯახს, შეილებთან ერთად, სოფელში მივყავდი. მე მათგან ქართულს ვსწავლობდი, ისინი კი – რუსულს.

ქალაქი უცვლელი დამხვდა. მხოლოდ ბრუშოვის პერიოდში დაიწყო მასიური მშენებლობები, მოძრავლად ახალი სახლები. მანამდე ხალხი ერთოთახიან ბინებში ცხოვრობდა, რკინის საწოლები, კარადები, მრგვალი მაგიდები, ონკანები – ყველაფერი ამ ერთ ოთახში იდგა.

### **სად მუშაობდით სწავლის დამთავრების შემდეგ?**

მუსკომბლის თეატრში გამანაწილეს. იქ 5 წელი ვიმუშავე. მაშინ იშვიათად დგამდნენ ევროპულ კლასიკას. მიღიოდა სპექტაკლები: „როზმარი“ და „სილვა“; რუსული ოპერეტები, მაგალითად – „ტრიმბიტა“; აზერბაიჯანული „არშინ მალ აღან“. რეპერტუარში უმთავრესი ადგილი ქართულ ოპერეტებს ვთმობოდა. ქართველმა კომპოზიტორებმა მრავალი ოპერეტა შექმნეს: „თბილისის ცის ქვეშ“, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, „ჩვენი ნაცნობები“ და სხვ. ყოველ ორ თვეში ერთხელ ახალი ქართული ოპერეტა იდგმებოდა.

### **როგორ მოხდა, რომ მეორე პროფესიაც გაქვთ?**

ჟურნალისტობა არასოდეს მინდოდა, თუმცა ხშირად ვწერიდი პრობლემების შესახებ გაზეთებსა და ჟურნალებში. პირველად რომ გაეთხოვედი, ჩემმა ქართველმა ქმარმა ამიკრძალა თვატრში მუშაობა. ეს დამახასიათებელია აზიური მენტალიტეტისთვის. მან მითხრა, რომ საუკეთესო შემთხვევაში, პედაგოგად მუშაობის უფლებას მომცემდა. არ მინდოდა, საზოგადოებრივ ცხოვრებას მოეწვეტოდი და პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩაეპარე. საგნების უმეტესობა თვატრალურ ინსტიტუტში მქონდა გაეული. იმ დროს ისეთ „მაენე“ საგნებს ასწავლიდნენ, როგორც იყო „მარქსიზმ-ლენინიზმი“ ან „პოლიტიკონომია“. კაცმა არ იყოლა, მსახიობებს რაში სჭირდებოდათ ეს საგნები. პედაგოგიურ ინსტიტუტში ძალიან საინტერესო ფაკულტეტი იყო – ისტორიულ-ფილოლოგიური – ჟურნალისტიკის განხრით. ეს ფაკულტეტი 1961 წელს დავამთავრე და, იმავე პერიოდში, ვაფიშვილიც შემიძინა მეორე ქორწინებიდან. ცოლად გავყვი ლატეიელს, არტურ ადამოვიჩ გრიშანსს. რამდენიმე წლის განმავლობაში, ჟურნალ „ახალ ფილმებში“ ვმუშაობდი და კინოს სიახლეებს ვაშუქებდი. მაშინ მოღაბი იყო მოსკოვის კინო-ფესტივალები, რომლებზეც ცნობილი მსახიობები ჩამოდიოდნენ: ჯინა ლოლობრიჯია, სოფი ლორენი, მარჩელო მასტრონიანი, რობერტ ლე ნირო; გერმანიიდან – ჟენე გემონიკი და ლინ რიდი; ინდოელი რაჯუ კაპური, რომელიც აქ ძალიან უყვარდათ და ძალიან აფასებდნენ. ყველა მათგანს შევხვედრიყარ.

### **მეორე ქორწინების შემდეგ თუ დაბრუნდით თვატრში?**

არა, თვატრში აღარ დაბრუნდი. იმ დროს უკვე ორი სამსახური მქონდა. ჩემი ქმარი ავიაციამში მუშაობდა. ყველა ქმარს უნდა, რომ ცოლი ახლოს ჰყავდეს და, მეც აეროპორტის კულტურის ხანლის დირექტორობა შემომთავაზეს. ჩემი თერთმეტწლიანი დირექტორობისას კულტურის სახლი ნაძვლედ სასახლედ იქცა. ბევრ საინტერესო ფილმს ვაჩვენებდით. ისეთ მშვენიერ ხაღმაღებს ვაწვებდით, რომ ხალხი აეროპორტიდან ქალაქში კი არა, ქალაქიდან ჩვენთან მოდიოდა. საბჭოთა კავშირის საუკეთესო მსახიობების მოწვევის საშუალებაც მქონდა (აერო-პორტი კარგად გვაფინანსებდა). იყო შემთხვევები, როცა პრემიერა ჯერ ჩვენთან, შემდეგ კი ქალაქში იმართებოდა. მოგვიანებით ჩემი ქმარი საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოში მთავარ ინჟინრად გადაიყვანეს და მეც „ახალ ფილმებში“ დავბრუნდი. მას შემდეგ, არა მხოლოდ ამ ჟურნალში, არამედ უკვე საქართველოს ტელევიზიაშიც ვაშუქებდი მოსკოვის კინოფესტივალებს. მოსკოვში ყოველთვის მახლდა კინოოპერატორი და რეჟისორი.

### **როგორ განხდა კოსტიუმების მუშაობის შექმნის იდეა?**

„ახალი ფილმების“ რედაქცია პლენანოეზე, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მახლობლად იყო, სადაც დღეს გერმანიის საულზოა. იქ სხვადასხვა საამქრო მუშაობდა, მათ შორის, მსახიობთა კოსტიუმებისაც. ერთხელ, მასკარადისთვის, კოსტიუმი დამჭირდა და, იქ ნანახმა შეძრა. ცნობილი მსახიობების – აკაკი ზორაგას, ვერიკო ანჯაფარიძის, მედეა ჯაფარიძის, „ქეთო და კოტეხ“ – კოსტიუმები ფორმალაკარგული, თითქმის, განადგურებული იყო. არადა, ეს ხომ

კინოს ისტორიაა, როგორ შეიძლება ასე მოპყრობოდნენ?! მაშინ გაეფიქრე, რომ კარგი იქნებოდა მუზეუმის დაარსება და ყველა მთავარი გმირის კოსტუმის შეგროვება. კოსტუმების განყოფილების ყველაზე ასაკოვან თანამშრომლებთან მივედი. მათ ჯერ კიდევ ასსოვლათ, რომელ მსახიობს რომელი როლის შესრულებისას რა კოსტიუმი ეცვა. 1927 წლიდან შექმნილი მთელი ვარდერობი ვადმოვიღეთ. კოსტიუმები სათითაოდ დაეთავლიერე და აღმოვაჩინე, რომ ყველას რაღაც აკლდა. ჩემი იდეის შესახებ წერილობით მივმართე კინოსტუდიის დირექტორს, რეზო ჩხეიძეს. მიუხედავად იმისა, რომ „ახალი ფილმებიდან“ წამოსვლა არ მინდოდა, მან მაშინვე მუზეუმის დირექტორად დამნიშნა, აღაფრთოვანა ამ იდეამ და სასწრაფოდ გადაწყვიტა მისი რეალიზება. ძველი ფოტოებისა და ფილმების მეშვეობით, კოსტიუმები აღვაღინეთ. თუ ფოტო არ მქონდა, მკერაეთან, მეწაღესა და რეკვიზიტორთან ერთად, ფილმს ვუყურებდი. ასე აღვაღინეთ 140 კოსტიუმი. როდესაც მუშაობა დავასრულეთ, დირექტორი მოვიდა, ყველაფერი დაათვალიერა და გვითხრა: „კარგია, მაგრამ ეს მხოლოდ კოსტიუმებია. ახლა ქართული კინოს ისტორია დაიწყეთ“. კოსტიუმებს ფოტოები, მსახიობთა პირადი ნივთები, პრიზები და დიპლომები დაეურთეთ. ამისთვის კიდევ ორი წელი დაგვიჭირდა. ყველაფერი მოვაშაღეთ და ზურა წერეთელი მოვიწვიეთ, რომელმაც შესანიშნავი დიზაინი შექმნა მუზეუმისთვის. ეს მუზეუმი დიღომში, კინოსტუდიაშია განთავსებული.

### **როგორი იყო თქვენთვის გარდაქმნის პერიოდი და საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი წლები?**

ამ ყველაფრისადმი ძალიან ცუდად ვიყავი განწყობილი. მიმანდა, რომ ეტაპობრივად მუშაობა იყო საჭირო. ყველა კანონი ერთხმად შეცვალეს და ამით ყველაფერი გააფუჭეს. ნებისმიერი სიახლე თანდათანობით უნდა შემოიტანო, რათა ადამიანები შეეგუონ. ნაჩქარევი ცვლილებებია ამ ყველაფრის განადგურების მიზეზი. მე არა გარდაქმნის, არამედ არსებული მეთოდების წინააღმდეგი ვიყავი.

### **რამდენად შეიცვალა თქვენი ცხოვრება საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ?**

ბერი რამ შეიცვალა. პირველ რიგში, გაქრა მუდმივი, ღრმად ჩამალული შიში იმისა, რომ ყველაფერი, რაც გამოიარე, კიდევ მოხდება. საქართველოს დამოუკიდებლობაზე ის ფაქტი მტყვევლებს, რომ ჩემი ბიოგრაფია დავწერე. დღეს, ამ წიგნის გამოქვეყნებისთვის, მოსკოვიდან ხელს არავენ ჩამავლებს უფრო. საბჭოთა პერიოდში, მისი ერთი გვერდიც საკმარისი იქნებოდა, რომ ციხეში ამოველა. მთელი წიგნი არც იყო საჭირო. ეს მართლაც დადებითი ცვლილებაა, რომელმაც ფსიქოლოგიური მარწუხებიდან გაგვათავისუფლა. აი, მატერიალური მხრით კი გაუარესდა მდგომარეობა. დღეს სრულიად დაუცველები ვართ. გარდაქმნის პერიოდამდე, ჩემი ხელფასი 170 მანეთს შეადგენდა, ჩემი ქმრის – 270 ან 360 მანეთს. სიბერის არ

გვემინდა. დღეს – გვემინია. როგორც რეპრესირებულს, ყველაზე დიდი პენსია მაქვს, 45 ლარი. 14 ლართან შედარებით ეს მართლაც ბევრია, მაგრამ მას მხოლოდ იმიტომ მაძლევენ, რომ გერმანელი ვარ. არცერთი ქართველი არ იღებს ამხელა პენსიას. თუმცა, ჩემი ქმარი რომ ავად გახდეს ან პენსიაზე გავიდეს, ამ თანხით ვერ ვიარსებებთ.

### **გერმანულად გრძნობთ თავს?**

იცი, რაც გერმანული ერთობის წევრი გაეხდი, მას შემდეგ ვგრძნობ. ბავშუობაში ამაყად ეცხადებდი სკოლაში: მე გერმანელი ვარ! ბებიაც, მიუხედავად იმისა, რომ გერმანელი არ იყო, თავს გერმანულად მიიჩნევდა. ეს გრძნობა განსაკუთრებით გაძლიერდა გადასახლების პერიოდში. მოგვიანებით, როდესაც ხელოვნების სფეროში დავიწვეე მუშაობა და ნორმალური ცხოვრება შეჩნდა, ჩემი გერმანელობა სულ მიმავეიწყდა, არც არაფერს ახსოვდა და გახსენების მიზეზიც არ არსებობდა. რაც ამ ერთობის წევრი გაეხდი, ჩემში ხელახლა გაიღვიძა გერმანელობა. ეს იმანვე გამოიწვია, რომ გერმანიაში საცხოვრებლად გადასვლის შესახებ თხოვნით მიმართე საელჩოს. ყველა დოკუმენტი შეეგაროვე და კონსულთან გასაუბრება გაეთარე. რა თქმა უნდა, ცუდი გერმანულით ვსაუბრობდი, ისე, როგორც შემეძლო, ვცდილობდი, დასაცინი არ გამეზღა-რიყავი. მან თავი გააქნია... მოკლედ, უარი მივიღე იმ მიზეზით, რომ სუფთა გერმანელი არ ვიყავი და, გათხოვების შემდეგ, ლატვიელი ქმრის გეარზე გადავიქედი. საცხებით ბუნებრივად მიმანია, რომ ცოლი ქმრის გეარზე გადადის. დოკუმენტების ჩაბარებისას, აზრადაც არ მომხვლია, რომ გერმანიაში არ გამიშვებდნენ – ჩემი წარმომავლობა, წინაპრები ხომ გერმანელები მყავდნენ.

### **საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებით თუ ინტერესდებით?**

იმდენად, რამდენადაც ტელევიზორს ვუყურებ. მე და ჩემი ქმარი ყოველთვის ეუსმენთ ასლ ამბებს, თვალყურს ვადევნებთ მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს. მაგრამ, პოლიტიკაში არა-სოდეს ვერვითი. ეს ძალიან ჭრელი და მრავალმრიანი სფეროა. ანდა, რატომ უნდა ჩავერიოთ? ამის გამო ისეც ბევრი ვიტანჯეთ. არა, პოლიტიკაში არ ვერვით.

### **რა გზიბლავთ ქართველებში?**

რასაც ახლა ვიტყვი, დღევანდელ, სულიერად დაცემულ ქართველობას კი არა, მათ ეხება, ვინც ისტორიულად, საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობდა აქ. ძალიან 'კარგად ვიცი საქართველოს ისტორია. არაჩვეულებრივი რუსულენოვანი ბიბლიოთეკა მაქვს, საქართველოს ისტორიის შესახებ... მომწონს ქართველი კაცის კეთილშობილება, მისი მრავალმხრივი ნიჭიერება, მისი ვითკა, უბრალო გლეხს რომ დაბადებიდან თან დაჰყავდა და არაფისგან უსწავ-ლია. ქართულ სოფელში სრულიად უცნობ ადამიანსაც კი მეგობრულად ესაუბებიან. რასაკ-ვირველია, ამას ქალაქში ეერ ნახავთ. „როგორ ბრძანდებით?“ – გკითხავენ, წყალს მოგიტა-ნენ, სუფრაზე მიგიპატივებენ: „დაბრძანდით, მიირთვიეთ.“ ეს ერი სითბოთი და სიყვარულით იღებს ყველა მშვიდობით მოსულს. გარდა ამისა, ქართველები ნიჭიერი ხალხია და თუ მათ



კარგი განათლების მიღების საშუალება აქეთ, ძალიან მაღალ დონეს აღწევენ. ბევრმა ნიჭიერმა ქართველმა დატოვა ქვეყანა. ყველა მათგანს რომ აქ დარჩენისა და საკუთარი ნიჭის, მონაცემების რეალიზების საშუალება კქონოდა, დღეს საქართველო აყვავებული იქნებოდა.

მაგრამ, მთავრობის ხშირი ცვლა, დემოკრატიის ნიღბით თამაში... ეს ყველაფერი ერის დევრადაციას იწვევს. კაცმა აღარ იცის, რა გზას დაადგეს, როგორ მოიქცეს: იქით წაივდეს თუ აქეთ? როდის გახდება ქართველი ხალხი ადრინდელივით ძლიერი და პატიოსანი? ეს ჯერ კიდევ საკითხავია.



## ელზა ჩინაბა ვიულაშვილი

ბაბუა, აღფონს მიულემანი 1890 წელს ჩამოვიდა საქართველოში და აქ, როგორც ოპტიკოსმა და მექანიკოსმა, მალაზია გახსნა. იგი პოლიტელ მიხალინა რაკოვსკაიაზე დაქორწინდა. მათმა ვაჟმა, რუდოლფმა (1891-1937), ცოლად შეირთო რუსი ოლგა გოლუბოვა (1901-1994). რუდოლფი 1937 წელს დახვრიტეს. მისი ქალიშვილი, ელზა, ლენინგრადში დაეუფლა ქიმიკოსის პროფესიას, რის შემდეგაც საქართველოში, ერთ-ერთ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მუშაობდა. მას სომეხი მეუღლე ჰყავდა. დღეს იგი თბილისში, მშასთან ერთად ცხოვრობს.

### როგორ მოხვდნენ თქვენი წინაპრები საქართველოში?

გერმანიაში ასეთი ჩვეულება ქონდათ: მშობლები შვილებს კი არ მიუთითებდნენ, რომელი პროფესია აერჩიათ, არამედ თავად აძლევდნენ საკუთარი მონაცემების გამოვლენის საშუალებას – მცირედელი ჯიბის ფულს, საკვებს მისცემდნენ და სახლიდან უშვებდნენ. ასე გაეზავნეს ბაბუაც. მან გერმანია მოიარა, ნათესავები მოინახულა და, იმავდროულად, ოპტიკა და მექანიკა შეისწავლა. ბაბუამ მუსიკალური ინსტრუმენტების აწყობაც იცოდა, ბევრი რამ ეხერხებოდა, მაგრამ ოპტიკისა და მექანიკის სფეროში მეტ წარმატებას მიაღწია. ეს ის დრო იყო, როდესაც რუსეთმა მეზობელი ქვეყნების ანექსირება მოახდინა და ხელს უწყობდა მათში კულტურისა და ეკონომიკის დარღვევის განვითარებას. უცხოეთიდან მოწვეულ საქცილისტებს ყოველგვარ პირობებს უქმნიდნენ, რათა ამ ქვეყნებში თავიდან დაეწყათ საქმიანობა და თავიანთი ცოდნა გადაეცათ ადგილობრივი კადრებისათვის.

ასე მოხვდა ბაბუა საქართველოში, სადაც სათვალეების, ბინოკლისა და გეოდეზიური ხელსაწყოების საკუთარი წარმოება შექმნა. მანამდე აქ არც არაფერი სქმნოდათ გეოდეზიური ხელსაწყოების არსებობის შესახებ. ბაბუა იყო ამ დარგის ფუძემდებელი საქართველოში. ის პერიოდი ტექნიკური პროგრესის ხანა იყო – უკვე ტელეგრაფიც გააყვავდათ.

### როდის ჩამოვიდა ბაბუა საქართველოში?

XIX საუკუნის 90-იან წლებში. მან „გოლოვინსკის“ პროსპექტზე გახსნა გეოფიზიკური, გეოდეზიური და სხვა ხელსაწყოების სახელოსნო, იქვე ქონდა მალაზიაც. „გოლოვინსკის“ პროსპექტს დღეს რუსთაველის გამზირი ეწოდება. ბაბუა ამიერკავკასიაში პირველი სატელეგრაფო ხაზის გაყვანაშიც მონაწილეობდა.



ალფონს მიულემანი ოჯახთან ერთად

### **სად გაიცნო მომავალი მეუღლე?**

საქართველოში გაიცნო თავისი პოლონელი მეუღლე. აქ როგორ მოხდნენ იმ ქალის ნათესავები? ბებიას ძმა, დედის მზრიდან, პოლონეთის აჯანყებაში მონაწილეობისთვის დააპატიმრეს და ციხეში ტუბერკულოზით დაავადდა; ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად კარგი პაუა ესაჭიროებოდა; რუსეთი სძულდა, რის გამოც იქ წასვლა არ ისურვა და ბებიას სთხოვა, საქართველოში გამიშვიო. საქართველოში ჯერ თავად ჩამოვიდა, შემდეგ – მისი და. სწორედ ის შეირთო ჩემმა ბაბუამ.

### **მამათქვენიც ოპტიკოსი იყო?**

მამაჩემმა, რუდოლფ ალფონსის ძე მიულემანმა, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა. ის ოჯახის ერთადერთი წევრი იყო, რომელმაც უმაღლესი განათლება მიიღო. ბაბუას არ სურდა, რომ მამას ესწავლა. მას მიაჩნდა, რომ წიგნების კითხვა არაფრის მოძეკში,

ზედაპირული რამ იყო. მისი აზრით, ადამიანს ხელობა უნდა ჰქონოდა. ოჯახში ყველანი გამოძგონებლები, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულები იყვნენ – სულ ახალ ხელსაწყოებს ქმნიდნენ.

### **მამა თუ ვიამბობდათ რაიმეს რევოლუციის შესახებ?**

მამინ ჯერ მხოლოდ მე-2 კლასის მოსწავლე ვიყავი. იმ წლებში, არაფერი გამოგებოდა რევოლუციის და არც ვუქრობდი ამაზე. მამაც არაფერს მიყვებოდა. ის რადიოქარხნის მთავარი ინჟინერი იყო, თავად შეიძინა პირველი დანადგარები. ეს ქარხანა, რომელიც შემდგომში სატელევიზიო სადგურად და დიდ გაერთიანებულ იქცა, რუსთაველზე, მეცნიერებათა აკადემიის გვერდით, ზემელის აფთიაქის მახლობლად მდებარეობდა.

### **მამათქვენის მეუღლე ვინ იყო?**

დედა რუსი იყო. ისინი ელადიკაეკაზში, გროზნოში, ცხოვობდნენ. უფრო ზუსტად, რევოლუციის დროს გააკულაკეს. ბებია თეთრი ზღვისპირეთში – სოლოვეციზე<sup>101</sup> გადასახლეს. დედა იძულებული გახდა, თბილისში, ნაცნობებთან ჩამოსულიყო. ძალიან ახალგაზრდა იყო, როდესაც აქ ჩამოვიდა; გაზაფხული იდგა და ქალაქმა მოაჯადოვა. ქუჩაში ირი-სამი კაცი რომ შეგროვდებოდა, მაშინვე სიმღერას იწყებდა. მთელი ქალაქი ყუიცილებით იყო სავსე. დედას რუსეთში სამედიცინო კურსები ჰქონდა გავლილი და მედდად დაიწყო მუშაობა რადიოქარხანაში, იმ შემთხვევისთვის, ვინმეს რომ ხელი გაეჭრა, ან რამე დაზიანება მიეღო. პოდა, მამარემიც ყოველდღე თითს იჭრიდა... მანამდე იარა მასთან, სანამ ცოლად არ შეირთო.

### **რამდენად შეიცვალა ბაბუას ცხოვრება რევოლუციის შემდეგ?**

რევოლუციის დროს ბაბუას საკუთრების კონფისკაცია და ნაციონალიზაცია მოახდინეს. თუმცა, მას ეს ამბავი დიდად არ განუცდია, ადგა და სახლში მოაწყო სახელოსნო. მთელი ეზოს ბაეშეები მასთან მოდიოდნენ და მუშაობდნენ. სათვალეებს და სხვადასხვა ხელსაწყოებს ამზადებდა კერძო შეკვეთებით, მოვჯიანებით კი პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და უნივერსიტეტისთვისაც მუშაობდა. მამამ ცოლი შეირთო, ბინა იყიდა და მუშაობა დაიწყო. ბაბუას უთქვამს მისთვის: მე არ დაგეხმარები, საღამოობით ჩემთან იმუშავე, გადაგიხდი და ოჯახის რჩენის საშუალებაც გექნებაო.

### **როგორ გზრდიდნენ? გერმანელი ძიძა გყავდათ?**

სახლში არ გყვოლია გერმანელი ძიძა, მაგრამ გერმანულ საბავშვო ბაღში დადიოდი; მერე რუსულ სკოლაში შევედი. გერმანულად თაქისუფლად ვლაპარაკობდი, სიზმარშიც კი ვერ წარმოვიდგენდი, რომ ასე დამაუწყებობდა.

<sup>101</sup> სოლოვეციის კუნძულებზე არსებული სამონასტრო კომპლექსი, 1923 წელს, საბჭოთა სისტემის ბანაკად იქცა. იქ გადასახლებულებს, არა მარტო იზოლაციაში უნდა მოეხდათ სასჯელი, არამედ „ახალ აღმზანებლ უნდა გარდაქმნილიყვნენ“.

### **შევიძლიათ მაშინდელი თბილისის გახსენება?**

თბილისი სულ სხვაგვარი იყო: ჯერ ერთი, ვერსად ნახავდით მაღალსართულიან შენობას, ყველგან ორი ან, სულ ღიდი, სამსართულიანი სახლები იდგა; მეორეც, უღამაზესი, ძალიან ჭრელი ბაზარი გვეჩინდა. რას არ იყიდდით იქ. მაშინდელ პროდუქტებს როგორ შევადარებ დღევანდელს? ყველაფერი ახალი, ძალიან გემრიელი იყო. ჯერ მარტო კარაქი რად ღირდა?! მისი გემო დღესაც მახსოვს – დიდ ფოთლებზე აწყობდნენ, უგემრიელესი იყო. ასეთ კარაქს თვალითაც კვლარ ნახავთ. ქოთნებით მაწონი მოქონდათ... ეს ჯერ კიდევ ომამდე იყო. ქუჩაში ცხენებზემზული ფაეტონებით დაქროდნენ. მახსოვს, პირველად რომ გამოჩნდა ტროლეიბუსი, ბიძაჩემმა წამიყვანა და ამიხსნა, თუ როგორ მოძრაობდა დენის საშუალებით. ტროლეიბუსის გარდა, ხანდახან, ტრამვაიც ჩამოივლიდა ხოლმე. თუმცა, თუ სადმე მიემგზავებოდნენ, უმეტეს შემთხვევაში, ფაეტონს ქირაობდნენ. სულ სხვა ქალაქი იყო. ქუჩებში მთებიდან სახეღრებით ჩამოსული გლეხები დადიოდნენ. სახეღრებს სხედასხვა პროდუქტით სავსე, დიდი ზურჯინები ეკიდათ: დენიო, ყველი, მაწონი... – ყველაფერი, რისი გაყიდვაც უნდოდათ. ასე დადიოდნენ ქალაქში და გაიმახლოდნენ: „მაწონი! რბე!“ ხალხი აივნებზე გამოდიოდა და თოკით კალათებს უშვებდა, რომლებშიც გლეხი კლიენტისთვის სასურველ პროდუქტს აწყობდა. კალათს ისევ მაღლა სწევდნენ და ფულს კი აივნიდან უყრიდნენ. ასეთი მშვიდი ცხოვრება გვექონდა!

ღვდას, ყველაზე მეტად, ბაზარი უყვარდა: „ეს ყვავილების ზღვაა, – ამბობდა, – ქალაქი ყვავილებშია ჩამდიროლი.“ გაზაფხულზე მთელი ქალაქი ივსებოდა ყვავილებით მოვაჭრეებით. ქუჩებში ხალხი მღეროდა. ამდენი მანქანაც არ იყო. საღამოობით ხალხი ბაღში ან სადმე სხვაგან კი არა, ქუჩაში სეირნობდა; მზის ჩასვლისთანავე, აგრილებოდა თუ არა, გარეთ გამოდიოდნენ. ახალგაზრდები გზის ნაპირას იდგნენ და გოგონებს ათვალიერებდნენ. ღამაზად ჩაემული გოგონები აქეთ-იქით დასეირნობდნენ...

### **თქვენც სეირნობდით?**

მე ჯერ კიდევ პატარა ვიყავი, მხოლოდ ვაკეირდებოდი მათ. თორმეტი წლის ვიყავი, ომი რომ დაიწყო. სეირნობისთვის აღარავის ეცალა, მძიმე დრო დადგა. გერმანელები ქალაქგარეთ, კომპაქტურ დასახლებებში ცხოვრობდნენ – ანენფელდში, კატარინენფელდში... ჩემი მშობლები, უმეტესწილად, რუსეთთან შეგობობდნენ, რადგანაც დედამ ქართული არ იცოდა. მან ჩამოსვლისთანავე დაიწყო მუშაობა. აქ გაატარა მთელი თავისი ცხოვრება, მაგრამ ვერ მოახერხა ქართულის სწავლა. მამაც რუსულად საუბრობდა. თუმცა, ელზა მიუღებანი მისი დაფინანსებული თხოვნით დამარქვეს – როდესმე გერმანიაში თუ წახვალ, არ უნდა მიხედნენ, რომ რუსული სისხლიც გარეყვითა. მისი ოცნება იყო, რომ გერმანიაში მეცხოვრა; ძალიან აფასებდა თავის ერს. უნდოდა, რომ, თუ თავად ვერ მოახერხებდა, შეილები მაინც წასულიყვნენ იქ. გერმანულ საბაკშო ბაღშიც იმიტომ მიმიყვანა, რომ სრულყოფილად მცოდნოდა ენა. ძალიან უხაროდა, როცა სიზმარში გერმანულად ვლაპარაკობდი. რა იცოდა, როგორი შიშის ქვეშ ვიცი ხოვრებდი იმის გამო, რომ გერმანელი ვიყავი და, შეიძლებოდა, ყაზახეთში გადაეყვასლებინე.

### **რა მიზეზით დააპატიმრეს მამათქვენი?**

მამა, დაპატიმრებამდე, სახალხო კომისარიატში გამოიძახეს და ჰკითხეს, თუ რატომ იყო საქართველოში და რატომ იღებდა სამსახურში ამდენ გერმანელს, სულ გერმანელები რატომ აგავათო? მან უპასუხა: იმიტომ, რომ გერმანელები საუკეთესო თანამშრომლები არიან.

მამა 1937 წელს დააპატიმრეს და დახვრიტეს. იმ წლებში ყველას დევნიდნენ, ვისაც კი მნიშვნელოვანი თანამდებობა ჰქონდა. გეგმა ჰქონდათ, თუ რამდენი ადამიანი უნდა დაეპატიმრებინათ. თუ ვინმე გაიგებდა, რომ დაჭერას უპირებდნენ, ბინას ტოვებდა ან სულაც, ქალაქიდან მიდიოდა. დრო გაივლიდა და, გარკვეული პერიოდის შემდეგ, მათ აღარაქონ ეჭვბედა. მათთვის მნიშვნელობაც არ ჰქონდა, ვის წაიყვანდნენ. მთავარი იყო, რომ თანამდებობის პირებისთვის, მნიშვნელოვანი პიროვნებებისთვის მოელოთ შარი. ამას თუ ვერ ახერხებდნენ, უძიებოდ აპატიმრებდნენ. ხალხს შიშის საშუალებით იმორჩილებდნენ.

### **როგორ ცხოვრობდით მამის დაპატიმრების შემდეგ?**

ყველანი თანაგვიგრობოდნენ და თანაც გვირიდებოდნენ. მოპირდაპირე ქუჩაზე ყოველთვის იდგა ახალგაზრდა კაცი – შპიონი. მთელი დღე იქ იყო დარჭობილი, შემდეგ მთელი ბოდილია და მის ადგილს იკავებდა. გამუდმებით რაღაცას იწერდნენ. ჩვენ ფარდის უკან ვიდგებთ და თვალყურს ვადევნებდით მათ. ამის გამო ხალხს ჩვენთან შეხუდრის ეშინოდა. დასაპატიმრებლად ზომი მიზეზიც არ იყო საჭირო. დაინახავდნენ, რომ ორი ადამიანი იდგა, საუბრობდა და საბაბიც ჰქონდათ. სამხედრო კომისარიატის თანამშრომლებისთვის მხოლოდ ის იყო მთავარი, რომ გეგმა შეესრულებინათ. ეს მხოლოდ მოგვიანებით გახდა ცნობილი. ასე რომ, სრულ იზოლაციაში ვცხოვრობდით. ყველა მეზობელი გაგვიბოძა, გარდა მამა თუმანიშვილის ოჯახისა. ისინი ჩვენს ქუევით ცხოვრობდნენ და, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც გვსტუმრობდნენ ხოლმე. დედას ძალიან უჭირდა, როგორც ხალხის შტრის ცოლს, არაფერ იღებდა სამსახურში. ბოლოს, როგორც იქნა, ჩვენმა ერთმა ნაცნობმა მიიღო საპასუხისმგებლო სამსახურში. მას შემდეგ აღარ გასჭირვებია სამუშაოს პოვნა. დედა სტენოგრაფისტი იყო, დღე და ღამეს ბეჭდვაში ატარებდა, რომ ოჯახი ერჩინა.

### **როგორ პირობებში ცხოვრობდით?**

წინასწარვე ვიცოდით, რომ მამის დაპატიმრებასთან ერთად, ყველაფერს წაგვართმევდნენ. იმავე ღამეს, ნიუტების ნაწილი ნაცნობებთან გადავიტანეთ. მაინც ბევრი რამ წაიღეს, სამეღვცე კი. სხვათა შორის, მოგვიანებით, ნიუტები დაგიბრუნეს. მიუხედავად ამისა, მამის დაპატიმრების შემდეგ, ძალიან გვიჭირდა.

20 წლის შემდეგ, სოლოვეციკად დედარჩემის დედა ჩამოვიდა. მე ცხრა წლის ვიყავი, ჩემი მამა სულ პატარა იყო, იატაკზე დაცოცავდა. ბებია გვივილიდა. დედას თვალთოყ ვერ ვხედავდით, დილას მიდიოდა და შუაღამით ბრუნდებოდა დასაძინებლად. დილით ისევ მიდიოდა და სულ ბეჭდავდა, ბეჭდავდა და ბეჭდავდა.

### **ბებია თუ ვიყვებოდათ გადასახლების შესახებ?**

იცით, მართლაც გასაკვირია: ადრე მეგონა, რომ აღამიანები, რომლებმაც ბევრი განსაცდელი გამოიარეს, ბევრს ილაპარაკებდნენ ამის შესახებ, მაგრამ ეს ასე არ ყოფილა. აღამიანი ცუდის დაიწვევას ცდილობს. ბებია არაფერს ვეიამბობდა, მხოლოდ ცალკეულ მომენტებს თუ გაიხსენებდა. მერე ისიც დავასკენი, რომ ომგამოვლილ ჯარისკაცებსაც არ უნდოდათ ამ თემაზე საუბარი. ბებია არასდროს ვიყვებოდა, თუ რა ცხოვრება გაიარა იქ. მხოლოდ, როცა ძალიან ცუდად იგრძნობდა თავს, კარს მიხურავდა, დაწვეებოდა და – აააა, ააა! – ასე ყვიროდა.

### **თქვენი ოჯახი ვაზხეთში გადასახლეს?**

ბიძაჩემი, საშა, დააპატიმრეს და გადაასახლეს. მამაჩემის შერეუ ქმა მანამდე გარდაიცვალა. ორივე მამიდა ქართულზე იყო გათხოვილი. ერთი მათგანი ცნობილი მოქანდაკის, იაკობ ნიკოლაძის მეუღლე გახლდათ. ისინი არ გადაუსახლებიათ, რადგანაც ქართველი ქმრები ჰყავდათ.

### **თქვენ რატომ არ გადაასახლეს?**

1941 წელს ძალიან ახალგაზრდა ვიყავი და იმიტომ. 44-ში კი, 16 წელი რომ შემისრულდა და პასპორტი უნდა ამეღო, ეროვნებად „რუსი“ ჩავწერე. წინააღმდეგ შემთხვევაში, 24 საათში გამასახლებდნენ.

ანკეტა რომ შევაკეთე, მასზე დიასახლისის ხელმოწერა მჭირდებოდა. სახელი – ელზა რულოლფის ასული მიუღებინა – გერმანული იყო, ვერაფერს გააწყობდი. ანკეტაში ეროვნება არ ჩამიწერია, ისე დავუდე დიასახლისს. ჩვენ ცუდი ურთიერთობა გექონდა და ვშიშობდი, რომ ხელს არ მომიწერდა. მას ჩვენი ბინის ხელში ჩაგდება უნდოდა, თუცა, ჩემი დეპორტაცია ვერ დაემარებოდა, რადგანაც დედა მაინც აქ უნდა დარჩენილიყო. ასე რომ, ანკეტა ჩაუტანე და ხელი მომიწერა. ეროვნების გრაფაში შემდეგ ჩავეწერე: „რუსი“. ჩავებარე და გამიმართლა. როგორც ჩანს, ღმერთმა გადმომხელა ან ვიღაცას შეეცოდა.

### **და სად სწავლობდით?**

ვიცოდი, რომ უმაღლესში არ მიმიღებდნენ. გერმანელებს არ იღებდნენ, ასეთი იყო ბრძანება. უბრალოდ, მისაღებ გამოცდებში ჩამჭრიდნენ. ერთადერთი, რაც სწავლის გაგრძელების საშუალებას მომცემდა, სკოლის ოქროს მედალზე დამთავრება იყო. მაშინ ვეღარაეინ შემიშლიდა ხელს. სკოლის საუკეთესო მოსწავლე გავხდი და მიზანსაც მივაღწიე – ოქროს მედალი ავიღე; უკვე ზეზისბიერ ადგილას უგამოცოდო შემეძლო ჩავრიცხულიყავი. გადაეწყვიტე, ლენინგრადში წავსულიყავი. იქიდან ჩამოსულებისგან გამეგო, რომ უმშვენიერესი ქალაქი იყო. დედამ თაიდან არაფერი იცოდა ჩემი გეგმების შესახებ; ჯერ საბუთები გაეაგზავნე და მერე ეუთხარი: ლენინგრადში მივიღივარ-მეთქი. ვიცოდი, იქ წასვლას გადამაფიქრებინებდა, მოსკოვში წასვლას მირჩევდა. იმაზე აღარ მფიქრია, ლენინგრადი რომ ომის დროს დაინგრა.

### **როგორ ცხოვრობდით ლენინგრადში?**

18 წლის ვიყავი, თანაც მარტო. მეგონა, საერთო საცხოვრებელში ვიცხოვრებდი, მაგრამ, მის ნაცვლად, ყველანი ნახევრად დანგრეული შენობის ერთ ოთახში შევეკასაღეს. საწოლები ერთმანეთზე იყო მიდგმული. ომი სულ ახალი დამთავრებული იყო. 1947 წელი იდგა. ვითვები დარბოინენ, ბიჭებიც და გოგონებიც ერთ ონკანთან ვიბანდი. არც ბანაობა შეგეებო, არც საჭმლის დამზადება; საკვები მხოლოდ ტალონებზე იშოვებოდა. მსუბუქი, შეუფერებელი ტანსაცმლით წავიდი. ზამთრის პირი იყო, მოქუფრული ცის მეტი არაფერი ჩანდა. სწავლა რომ დაიწყო, ფაქულტეტი საერთოდ არ მომეწონა. სიამოვნებით გადავიდი სხვა ფაქულტეტზე, მაგრამ წელიწადს ვერ დავეკარგავდი. ასე რომ, დაერჩი და ინსტიტუტზე დაეამთავრე. სამაგიეროდ, ზღაპრულ ქალაქში ვიყავი: ასეთი თეატრები, მუზეუმები, ექსკურსიები, აძენი სიღამაზე, უამრავი სასიამოვნო მოგონება დამჩნა. ტანვარჯიშზე და ნიჩბოსნობაზე დავდიოდი. ქალაქკარეთ ვავლიოდი, თეთრი დამების დროს ქუჩებში ესერიობდით და ეზღერდით. სტუდენტურ მეჯლისებს ვაწყობდით. „ქსეშისნკაიას“ სასახლეში ღამაზე ჭალეით მორთულ, უზარმაზარ დარბაზს ექირაობდით და, თეატრალური წარმოდგენის შემდეგ, ღმერთმა იცის, რაში გამოწყობილხები, დილაზე ვცეკვავდით. დილას კმაყოფილები ვბრუნდებოდი სახლში. მოვიანებით, გასართობი ოთახი მოვიწყვეს, სადაც ყოველ საღამოს ვცეკვავდით. ვისაც განსაკუთრებით უყვარდა ცეკვა, იქ ატარებდა მთელ შაბათ-კვირას. მიუხედავად იმისა, რომ ფინანსურად ძალიან მიჭირდა, ძალზე მრავალფეროვანი ცხოვრება მქონდა – ახალგაზრდობა... უღამაზესი ქალაქი... უამრავი ნაცნობ-მეგობარი მყავდა.

სწავლის დამთავრების შემდეგ, 1952 წელს, თბილისში დაებრუნდი. დღას წაყვამდე შევიპირდი: მიეგზავრები, მაგრამ დაებრუნდები და ჩემი იმელი გქონდეს-მეთქი. აქ სამშენებლო მასალების სამეცნიერო-კვლევით ცენტრში ვუშაობდი უფროს მეცნიერთანამშრომლად.

### **ვინმე თუ შეგიყვარდათ ლენინგრადში ყოფნისას?**

არაინი შემიყვარებია, მაგრამ მე კი ვუყვარდი. იქაურებს ქართველებისგან განსხვავებული წარმოდგენა მქონდათ სიღამაზეზე. ძალზე უფერულები იყვნენ, გარშემო სულ ფერმკრთალ, უღამაზო სახეებს ვხედავდი, თმებიც რაღაც მოთეთრო... არ მომეწონებ. მე, უფრო აღმოსავლური გარეგნობის ვიყავი, განსაკუთრებული სიღამაზით არ გამოვიჩრდი, მაგრამ ნორმალური, სწორი ნაკეთები, შავი თმა და შევეკრეშანი, გარუჯული კანი მქონდა. იქაურებს ძალიან ღამაზად მივანჩლი.

### **როგორ გააცანით თქვენი მეუღლე?**

დღემისი ჩვენთან მუშაობდა სტენოგრაფისტად. დაბრუნების შემდეგ, ინსტიტუტში რომ მივედი და დამინახა, მაშინვე მითხრა: რა კარგი იქნებოდა, ჩემს ვაჟი რომ შენაირ რძალს მომიყვანდესო! მის შვილს არც კი ვიცნობდი. რამდენიმე ხნის შემდეგ, მისი ქმარი მძიმედ დაავადდა და მისთვის წაშლის ჩამოტანა მთხოვა მიელინგბაში მიმავალს. რომ დაებრუნდი,



ის ქალი სამსახურში აღარ დამხვდა, ქმარი ძალზე ცუდად აყვავდა და თავზე ადგა. ვიცოდი, რომ მათი ვაჟი თბილისის სარკინიგზო სატრანსპორტო ინსტიტუტში მუშაობდა. მეც მას დავუერეკე და უთხარი, რომ დღეამისი თხოვნით წამალი ჩამოვიტანე. მოვიდა და წაიღო. ასე გავიცანით ერთმანეთი. სიმეხი იყო – იურა სარქისოვი. საკმაოდ გვიან, 30 წლის გავთხოვიდი, 1958 წელს. ქმარი ხუთი წლის წინ გარდაემკვალა.

### **როგორ აღიქვამთ საქართველოს დამოუკიდებლობას?**

სამწუხაროა, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა გაფუჭდა. მესმის, რომ ქართველებს თავისუფალ, დამოუკიდებელ ქვეყანაში ცხოვრება სურთ. ეს სრულიად ბუნებრივია. შეიძლება, ჩვენთვის, რუსულენოვანი მოსახლეობისთვის, ძნელია ამის აღიარება, მაგრამ ყოველთვის გვესმოდა, რომ ქართველებს მშობლიურ ენაზე ლაპარაკი სურდათ. ისე რომ ვთქვათ, რატომ უნდა ლაპარაკობდნენ ქართველები დაწესებულებებში რუსულად? სამსახურში მიღებისას ყოველთვის ეკითხებოდნენ: „რუსული იცით?“ რა თქმა უნდა, ეს არ იყო ნორმალური. ადენად, ერთი მხრივ, კარგად გვესმის მათი, მეორე მხრივ კი უზნერულად ეგრძობოთ თავს იმის გამო, რომ ენა არ ვიცით; სადმე რომ მივიღივართ, წინასწარ ვეშხადებით: ეს როგორ ვთქვათ, ის როგორ ვთქვათ... ცდილობთ, ვინმე ქართულის მეტონე გვახლდეს, რომ ჩვენი უცოდინრობა დაემალეთ. ქართველების წინაშე დამნაშავედ ეგრძობოთ თავს. ჩვენს ქართველ მეგობრებთან ყოველთვის რუსულად ვსაუბრობდით.

### **თქვენი აზრით, რას ნიშნავს იყო გერმანელი?**

ეს ნიშნავს: იყო პირდაპირი, მუშაობდე კეთილსინდისიერად, იყო პუნქტუალური და ფლობდე საკუთარ თავს. მართალია, უფრო რუსი მეტქმის, მაგრამ გერმანელისთვის დამახასიათებელი თვისებებიც მაქვს, მაგალითად, თავდაჯერებულობა. მიზანი თუ დავისახე, აუცილებლად მივალწვე. სენტიმენტალური ვარ. ესეც გერმანულია.

### **გერმანიაში გამგზავრება თუ გსურთ?**

იყო დრო, როდესაც ბევრმა შეიტანა განაცხადი გამგზავრების თაობაზე. მე და ჩემმა ძმამაც შეიტანეთ, რადგან ძმა სულ ამაზე მოცინებოდა. უარით გამოგვისტუმრეს. იმხანად უკვე ბევრი იყო წასული და გერმანიაში აღარ სურდათ აბდენი ხალხის მიღება. როგორც ჩანს, იქ ჩასულები გაიცნეს და მიხვდნენ, რომ ეს ის გერმანელები არ იყვნენ, ვისაც ელოდნენ. ეს სულ სხვა ხალხია: სხვაგვარი აღზრდა და ცხოვრების წესი აქვთ, სხვა ენაზე ლაპარაკობენ, ფაქტობრივად, სულ სხვა ერია. ყაზახეთში მაცხოვრებლებს ხომ ეკრძალებოდათ გერმანულად ლაპარაკი?! რა უნდა აქონდეთ მათ გერმანელის?! შეიძლება, რაიმე თვისება... ბუნებრივია, რომ ისინი არც გერმანიაში იქცევიან ისე, როგორც გერმანელს შეუფერება. ყოველ შემთხვევაში, იქ ნამყოფები ასე აყვებიან. ამიტომაც შეზღუდეს გერმანელებმა მიღება.

**უარი რატომ ვითხრეს?**

ღელა რუსი იყო, მამა კი ნახევრად პოლონელი და ნახევრად გერმანელი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ მეოთხედით უარ გერმანელი. უარის სათქმელად ესეც საკმარისი იყო. გარდა ამისა, გერმანული... გამოცდაზე რომ გვეუდი, ნახეს, როგორც ვლადიმერ კობ გერმანულად...



## მარგარიტა კენინგი

მარგარიტა კენინგის წინაპრები ეკატერინე შვორის მიწვევით გადასახლდნენ რუსეთში, მარგარიტას ბებია და ბაბუა კი რუსეთიდან საქართველოში გადმოვიდნენ. მამამ, იულიუსმა (1883-1942), კიონის ხელოვნების აკადემია დაამთავრა. 1905 წელს თბილისში დაბრუნდა, სადაც ბაბუის დანატოვარი შემკვიდრებით შეიძინა სახლი, პიანინო და საკერავე მანქანა მუდღისთვის, ნადევდა კოზლოვასთვის (1894-1975). მარგარიტა 1928 წელს დაიბადა. ჰყავდა ორი უფროსი ძმა: ვლადიმერი (1924-196?) და ევგენი (1927-2002). ოჯახი გადასახლეს

ყაზახეთში, სადაც მამა გარდაიცვალა. მარგარიტამ იქვე იჭორწინა იური ბრაუნსბერგელთან (1924-2001). 1956 წელს ცოლ-ქმარი საქართველოში დაბრუნდა, მათ მხოლოდ 1966 წელს შეძლეს საცხოვრებლად თბილისში გადმოხვლა. მარგარიტა კენინგი, წლების განმავლობაში, მუსიკის მასწავლებლად მუშაობდა. თბილისში იგი ცნობილია თავისი კატეუსების დიდი კოლექციით, რომელსაც, ათეული წლების განმავლობაში, ზამთრის ორანჟერეაში უვლიდა. დღეს იგი თბილისის ერთ-ერთ უბანში, მთაწმინდაზე, მშობლებისეულ სახლში ცხოვრობს.

### რა შევძლიათ გაიხსენოთ თქვენი წინაპრების შესახებ?

არაფერი. როცა ბავშვები ვიყავით, გერმანულად საუბარი აკრძალული იყო. სკოლები და საბავშვო ბაღები დახურეს. პასტორი დააპატიმრეს, მასწავლებლებიც კი დაიჭირეს. 10 წლის ვიყავი. მშობლებმა არაფერი აგვიხსნეს, რადგან ამ თემაზე საუბარი საშინო იყო. ასეთი დრო იდგა. ჩვენ არ უნდა გვცოდნოდა, საიდან ვიყავით და რატომ ჩამოვედით. ამ პოლიტიკამ დოლაბივით დაგვექა და ნურები დაგვაწვიტა.

### კიდევ რა იცით მამათქვენის შესახებ?

ის ომში თურქების წინააღმდეგ იბრძოდა. მამას, განათლებულ ადამიანს, გერმანიის ხელოვნების აკადემიის კურსდამთავრებულს, ჯერ ოფიცრის, შემდეგ კი პოლკოვნიკის ჩინი ჰქონდა. ამის გამო, მოკვიანებით, ემინოდა კიდევ. თბილისში დაბრუნების შემდეგ, 1905 წლიდან

ჩვენს დეპორტაციამდე, 1941 წლამდე მოქანდაკედ მუშაობდა. 1924 წელს, მან შემკვიდრობა მიიღო, მაგრამ, ინფლაციის გამო, თვალსა და ხელს შუა გაუქრა. ტომარა ფულით საყიდლებზე წასულს, ეს თანხა მხოლოდ ამ პატარა სახლის, პანინოსა და ცოლისთვის საკრავი მანქანის შესაძენად ვყო.

მამა მუდამ ბევრს მუშაობდა. ფოთში თეატრის ფასადი გააფორმა, თბილისში კი – საბავარო. მას ეკუთვნის არაერთი საზოგადოებრივი და საკურორტო ნაგებობის ფასადის გაფორმება. მათ შორის უმეტესობა მოზაიკითაა შესრულებული. დილით სახლიდან გასული, მხოლოდ შებინდებისას ბრუნდებოდა. ქალაქში სეირნობისას ხშირად მხვდება მისი ნამუშევრები.

### ***მშობლების სახლზე რას გვიამბობდით?***

დღეა არ მუშაობდა. ის სახლში იყო, ბავშვებთან. მე რუსულ სკოლაში ესწავლობდი სომხებთან, ქართველებთან და გერმანელებთან ერთად. ნაციონალიზმის მნიშვნელობა არც კი ვიცოდით. რამდენიმე გერმანულ ოჯახთან ემგობრობდით, მათ შორის, პასტორ მაიერისა და საღამოს სკოლის დირექტორის – ჯეფერის ოჯახებთან.

### ***თქვენი დეპორტაციის შესახებ რას მოგვითხრობთ?***

ღამით კარზე დააკაკუნეს. მამა გავიდა და უთხრეს, რომ ომის დამთავრებამდე გადასახლებაში უნდა ვყოფილიყავით, სად – არ უთქვამთ. ორი-სამი დღე მოგვეცეს ბარგის მოსამზადებლად და ნივთების მეზობლებთან გადასატანად. შეძლებისდაგვარად, ბევრი საკვები წვივილეთ.

დეპორტაციამ და გადასახლებამ წარმოუდგენელი ტანჯვა მოგვაყენა როგორც ფინანსურად, ასევე მორალურად. სასმელი, საკვები, ჩასაცმელი არ გვექონდა და ყველა ამრეზით გვიძვრდა. ფეხებზე ჩერებს ვინევილი და თოვლში ისე დავდიოდით. ყველა, ვინც იქ ცხოვრობდა, ხალხის მტრად ითვლებოდა.

### ***რა ერქვა იმ ტერიტორიას, სადაც გადავასახლეს?***

„მშვიდი სტეპი“. იქ ყაზახები და ყირგიზები გააძევეს. აღარ უნდოდათ ამ მოძობარე ხალხთან ურთიერთობა. იურტებითა და საქონლითურთ გადასახლეს და თავიანთთვის მიწურების აშენება უბრძანეს. ერთ იურტაში ადამიანები იყვნენ, მეორეში კი – ძროხები და ვირები. ადამიანებისთვის განკუთვნილი იურტა ოდნავ უფრო მაღალი იყო, ვიდრე პირუტყვის. მათ ამზადებდნენ ქენისა და ლელქაშის ერთმანეთზე გადაბმული გრძელი ბლუჯებისგან. შიგნით ზანდუკებს დგამდნენ, რომლებზეც მოხერხებულად ეძინათ. ამასთანავე, მათში ძვირფას ნივთებსაც ინახავდნენ, რომ არ დასველებულიყო. როდესაც იქ ჩაველით, უკვე დავწყობითიხის მოვროება და ფორმებში გამოშრობა. სახლის მშენებლობისთვის საჭირო აკურებს წყავდნენ. იქ დიდხანს არ გვიცხოვრია. დედამ, საიდუმლოდ, თავშესაფარი გვიმოვა სოფელ სლავიანკაში, სადაც სახლებს ზეებისგან აგებდნენ – იქ ნესტიანი კლიმატი იყო. საჯინიბოში მოვეწყვეთ. იქიდან გაქცევა არ შეგვეძლო, გარშემო მხოლოდ სტეპები გვერტყა.

### **თქვენს ძმებს რა ბედი ეწიათ?**

ორივე ვაგზავნეს მშრომელთა არმიაში. უფროსი სპილენძის მალაროებში წავიდა. ეს იყო ნამდვილი საკონცენტრაციო ბანაკი. მათ ძველი ტანსაცმელი ჰქონდათ, ცოტა საკვებს აძლევდნენ. ორსართულიან ტახტებზე ეძინათ, ერთსა და იმავე ტანსაცმელში.

მეველები მუდამ გარს ერტყვნენ. უმცროსი მძა, რომელიც 14 წლის იყო, ჯერ კიდევ თვზაურობისას გახდა ავად და სახლში დაბრუნდა, წელიწადნახევრის შემდეგ კი გაიქცა. თავისი დოკუმენტები გადაყარა და თავი რუსად გაასაღა; ომში რომ არ გაეგზავნათ, ყარაგანდამი წავიდა და იქ მალაროში მუშაობდა. როდესაც ისევ ავად გახდა, ურალსკში გადაინაცვლა, სადაც სტომატოლოგიური ტექნიკუმი დაამთავრა.

### **იქ სკოლაში დადიოდით?**

დიახ. დღლაობით სკოლაში მივიდიოდით, შუადღის შემდეგ კი შეშას ერქვლით ან ბაბბას ვკრეფდით. წლების განმავლობაში, ადგილობრივ მცხოვრებლებს (სამუშაო ერთეულების მიხედვით) ხორბალს აძლევდნენ, ჩვენ – ცოტაოდენ პურსა და ერთ ჯამ წვინანს, მეტს არაფერს. სასტიკად ემიშვილობდით, მაგრამ მოგვიანებით დავაგინეთ, რომ საკმარისი რაოდენობის პურს გვინაწილებდნენ. ჩვენი სკოლის დირექტორის ვაჟი, რომელსაც პურის განაწილება ევალებოდა, ჩვენთან ერთად დადიოდა მინდორში. ერთხელაც მოვახზურხეთ თვალ-ყურის მიღვენება – გზიდან გადაუხვია და პური სახლში დატოვა. ის კორეელი იყო, ასევე დემორტირებული. მაშინ სკოლის გაზეთის რედაქტორი ვიყავი, სიამოვნებით ვწერდი და პატარა ლექსებსაც ვაქვეყნებდი. ასე რომ, სკოლის დირექტორის შესახებ ლექსი გამოვაქვეყნე, რომელშიც ეწერა: „მისი ვაჟი ჩვენს პურს რატომ იპარავს?“ სკოლის გაზეთი გამოაკრეს. დირექტორმა ჩამისისინა: საღამოს დედა მოვიდესო. მე-ნ კლასში სკოლიდან გამორტყეს. მოგვიანებით მაინც დავაბთავრე პიდროტქენიკური სასწავლებელი.

### **მამა რით გარდაიცვალა?**

გადასახლებიდან ერთი თვის შემდეგ მალარიამ იმხვეურპლა. გარშემო ხომ სულ მალარიის კოლოები ფუთფუთებდნენ. ძალიან ცუდი წყალი იყო. იქ, სადაც დაგვასახლეს – „მშვირი სტეპის“ შუაში – სულ ახლად გათხრილი წყლის არხი მოედინებოდა. იქ ყველა ეროვნების ადამიანს შევადებოდით: კაზაკებს, უკრაინელებს, ბელორუსებს, კორეელებს, გერმანელებს... ისინი უბრალოდ შეკრიბეს და გამოდევნეს. იქ არც ფაბრიკები და არც ქარხნები იყო, მხოლოდ – ველები. ყველა საკუთარ მუერნეობას უბღეებოდა. ზოგი ქათმებს ამრავლებდა, ზოგსაც ბოსტანი ჰქონდა. ეს სოფელი სწორედ მაშინ აშენდა; ყველა ქუჩა ერთმანეთის პარალელურად მიემართებოდა. ადამიანები ყოველდღე ილუბებოდნენ მალარიით, ფაღარათითა ან რომელიღაც ინფექციური დაავადებით. მდიკაძენტები არ გვქონდა, ექიმი თვალითაც არ მინახავს.

### **თქვენი მუდღე როლის გაიყანით?**

1947 წელს. ჩემი ქმარი, იური ბრანსბერგელი, პოტსდამიდან იყო. იქ საარტილერიო სკოლაში სწავლობდა და ძალზე ახალგაზრდა წაყვია მოხალისედ. გადასახლებაძღე არმიაში მსახურობდა. სულიერად იყო დაცემული, დაკარგულ დედას ეძებდა. ბაზარში ამღვევდა და ძალიან გაებრაზდი. მოგვიანებით, ერთმანეთი გაეიცანით. პიდროტქეიკოსი იყო, არხებზე მუშაობდა. მეც, პიდროტქეიკოსი, სულ იმის გამოთვლაში ვიყავი, კოლმეურნობა რამდენ წყაღს მოიხმარდა და რა თანხა უნდა გადაეხადა. შეიღები არ გყოლია, რადგანაც მაშინვე აუად გაეხდი, თირკმეღები მაწუსებდა. მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინ განვიკურნე, როღესაც გერმანიიდან სპეციალური აპარატურა ჩამოიტანეს საქართველოში.

### **როგორ დაბრუნდით საქართველოში?**

თბიღისში დაბრუნების უფლება არც მოგვეცეს. მიუხეღაუად ამისა, მაინც ჩამოვეღით. ისეე ჩეენს სახღში გეინღოდა ცხოვრება. ჩეენი გადასახღების შემღვე, სამ ოთახში რ დღიღ, ბავშვებიანი ოჯახი შეესახღებიანათ – ბერძნების, ქურთებისა და სომხების. ისინი მაშინვე მოგვეცივეღნენ და გეიყვიროღნენ: „აჰ, თქვე წვეულო ფამისტეგო! არ გვეოთ?“ ქეებს გვე-სროღნენ...

მეზობღებთან ვცხოვრობღით. მთღიანობაში, ადამიანებმა ნორმალურად, მეგობრულად მიგეიღეს. მხოლოდ ისინი იყენენ მტრულად განწყობიღნი, ვისაც პირადი ინტერესები ამოძრავებდათ. მათ პოღიღია გამოიღახეს, 24 საათში ქღღაქის დატოვება გეიმძრძანეს. მეორე დღეს ისეე მოეიღნენ: თქვენ კიღვე აქ ხართო?

იღუღებულნი გაეხდიღთ, ქღღაქი დაგვეტოვებინა. გავრაში გაეეგზავურეთ და ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში ემუშაობღით. იქ ძღღიან თბიღად შეგვეხღნენ. როღესაც თბიღისში დაებრუნღით, ჩემი ქმარი თბღლწყაღკანღლში, საბურთაღოს რაიონში, მუშაობდა. მხოლოდ 10 წღღის შემღვე მოვახერხეთ ჩეენს სახღში დაბრუნება.

### **სწავღის გავრმეღება თუ შეეღით?**

პიანინო ვეიყიდღ და საათობით ვმეცადინეობღი. ძღღიან მინღოდა, კონსერვატორიაში ჩამებარებინა გამოცღდა და მუსიკის მასწავღებელი გაემხღარეიყავი. უკვე 30 წღღის ვეიყავი და, გამოწაკღისის სახით, გამოცღდის ექსტერნად ჩამარების უფღება მომეცეს. ასე მიეიღე დღღღობი, რომღღის საშუაღებითაც მასწავღებღად და კონცერტმაისტერად მუშაობა შემეღღო. მოგვიანებით აკორღონის გაკვეთიღებსაც ვატარებღი – ბავშვები უფრო აღვიღად და სწრაფად სწავღობღნენ.

### **დღეს რას ფიქრობთ მეორე მსოფღიო ომის შესახებ?**

მე ქღღი ვარ და, კაცმა რომ თქვას, მსგავსი თემები არ უნდა მაინტერესებღეს. მიუხეღაუად ამისა, მაინც ბეერი მთეფირია ამაზე, ბეერი წიგნი და სტატია წამეკითხავს. რა თქმა უნდა, პიტღერი კვეწარმავღი იყო. მას მსოფღიოს დაჰყრობა, შეეკვღა სურდა. ემბკმა დაღახეროს,

რა უნდოდათ! ჩვენ აქ ეცხოვრობდით და შეგვეძლო, ასევე გაგვეგრძელებინა ცხოვრება. „აჰა, შენ სტალინზე ანგელოტი მოყვები?“, „აჰ, ლენინის ნიშანი არასწორად ან უკუღმა დაიმაგრე?“ და ეს უკვე კარგი მიზეზი იყო ვიღაცის გასანადგურებლად.

### **საქართველოს დამოუკიდებლობამ როგორი გავლენა იქონია თქვენს ცხოვრებაზე?**

გამსახურდა ისთან ერთად, საქართველოში ცუდი დრო დადგა. მან ყველაფერი გააფუჭა, ადამიანებიც. იმ პერიოდში, მალაზიაში რომ შევიდოდი, მასს უხობდნენ: „ქართულად ილაპარაკეთ, არ გვესმის“. სულ ამას ვამბობ: „არ შემიძლია, რადგანაც არასდროს მქონდა სწავლის საშუალება. სტალინმა ცხოვრების 13 წელი წამართვა.“ ახლა უკეთესი სიტუაციაა. მაშინ მე და ჩემს ქმარს ჯერ კიდევ არ შეგვეძლო გამეზაერება, ვერ მიეხედით, როგორ წარმართებოდა ყველაფერი, დოკუმენტებიც აღარ გვექონდა.

### **დღეს როგორ ცხოვრობთ?**

ახლაც არ არის უკეთესობა: გაზი არ არის, ზამთარში შუქი, თითქმის, არ გვაქვს; ზოგჯერ, წყალიც არ არის. სახლი ინგრევა, მიწისძვრის გამო კი არა, წყალი ჩაძოღის. მთელი ზამთარი სიცივისგან მაკანკალებს, ვეწები, მატყლის ორ საბანს ვიფარებ და მეშინია. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ჩემი ცხოვრება იმაზე უარესი გახდა, ვიდრე ყაზახეთში იყო. მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვიყავი და იოლად წამოვიწყე რაღაც ახალი. ახლა არ ვიცი, რა გააკეთო. მხოლოდ ეს კატქუსების კოლექცია მშველის – ხალხი მოღის და აფერთოვანებული რჩება – ეს მახარებს. გარდა ამისა, ხატყაც დაეიწყე. აი, ამ ყველის დახატვა მინდოდა, მაგრამ სტუმრები მოვიდნენ და სურათი ვერ დავასრულე. ასეთი ყვაილი ხომ მხოლოდ ერთ დღეს ხარობს. ახლა ისეუ თავიდან უნდა დაეიწყოს.

### **კვლეულზე რატომ გიკვირათ ამდენი მედალი?**

ერთი პატარა ებრაელი გოგონას სახსოვრად ვაგროვებდი. ის ყაზახეთში, ჩემთან ერთად დადიოდა სკოლაში. სულ ჩუმად იყო. გვერდით მიეუჯები და ვითხებ, რატომ არ გველაპარაკებოდა. „ჩემი მშობლები ხალხის მტრები არიან, ამიტომ მეც ხალხის მტერი ვარ“. სიცილი დაეიწყე. მეც ხომ ამისთვის გადამასახლეს, მაგრამ კარგად ვიცოდი, რომ არც მამაჩემი და არც დედაჩემი არ იყვნენ ხალხის მტრები. „ეს ხომ აბსურდია“, – ვუთხარი, – „შეხედე, ჩვენ ევროპულად აღზრდილი ხალხის მტრები ვართ, მაგრამ არავინ უწყის – რატომ“.

ერთხელ, სკოლაში, ზუსტად გაკვეთილის დაწყებისას მივიდა. სიჩქარეში ნიშანი არასწორად დაემაგრებინა. მასწავლებელი სასწრაფოდ გავიდა კლასიდან და დირექტორს უამბო. ღამით „KFB“ მივიდა და ბავშვის დედ-მამა დააატომრა. მათ განაჩენი „სამეულმა“ (სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარიატის სამი წარმომადგენლისაგან შემდგარი სასამართლო) გამოუტანა. შემდეგ ბები და შვილიშვილიც წაიყვანეს. გოგონას რაღას ერჩოდნენ? ეს არ მესმის. მას ხომ არავის მიმართ ეწებოდა ანტიპათია?! მოზრდილი – გასაკვებია, მაგრამ ბავშვი? ჩემი თავი მას შევადარე. ამან შეშპრა. ამის შემდეგ დაეიწყე მედლებისა და გულსაბნეუების

**შეგროვება.** ერთხელ ლენინის ნიშანი მომიტანეს და უკულმა დაეკიდე. ღმერთმა დაწყველოს, ნიშნის გულისთვის რატომ უნდა დაიხვრიტოს ვინმე?

### **თქვები აზრით, გერმანელი ხართ?**

არა. მე აქ დავიბადე, ეს არის ჩემი ქვეყანა. აქ დაიბადა მამაჩემი. სხვას არაფერს აქვს ჩემთვის მნიშვნელობა. არც საქართველოს მოქალაქედ ვერძნობ თავს. რატომ უნდა ვერძნობდე თავს სადმე სახლში? გერმანიაში წასვლა გამოსასურდიას – ამ შემთხვევაში გამო მინდოდა. განცხადებაზე უარით მიპასუხეს. ვფიქრობდი, რომ ვინც ცოდნას არ მოითხოვდნენ რეპრესიებით გაწამებული გერმანელებისგან. ისეთ პირობებში ხომ წარმოუდგენელი იყო ვინც სწავლა. მიუხედავად ამისა, ტესტირება უნდა გამეცლო. უარი მითხრეს, რადგან ვერც იმის დამტკიცება შეეძლო, რომ მამაჩემი გერმანელი იყო.

### **კაქტუსების შეგროვება როგორ დაიწყეთ?**

1974 წელს გამომიგზავნა ღმერთმა. იმ პერიოდში ჩემს მოსწავლეებს ვუთხარი: „ვიცი, რომ თქვენთვის თითო კაპიკსაც მნიშვნელობა აქვს. არც სუნამო, არც წინდები, არც არაფერი მჭირდება. არაფერს მოველი, გარდა იმისა, რომ თავის დროზე მოხვიდეთ და ისწავლოთ.“ ამის გამო, კლასში ფული შეაგროვეს და მიყიდეს წიგნი კაქტუსების შესახებ. რა სილამაზე იყო! მაგრამ ეს ყველაფერი საქართველოში არ მოიპოვებოდა. შემდეგ გაეარაკეთე, რომ კაქტუსების თესლი იაფი ღირდა. იმ დროს მე და ჩემი მეუღლე ვმუშაობდით და თითოეულის ანაზღაურება 120 მანეთზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. თუ უფრო მეტი გვექვებოდა, ესე იგი უპატიოსნო გზით იყო ნაშრონი. სასჯელი! მაშინ რკინიგზის მუშაკთა სახლში ვმუშაობდი. როცა გავიგე, რომ კაქტუსის თესლი ძვირი არ ღირდა, შევეუკეთე. იზრდებოდნენ და იზრდებოდნენ...

კაქტუსებს ვცვლიდი კიდევ და მალე თვალსაჩინო კოლექცია შევაგროვე, რომლისთვისაც ეს ორანჟერეა ავაშენე. ახლა ორი დამლული პობი მაქვს: ხატვა და კაქტუსები. ორივეს მთელი დღე მიაქვს. ხატვაში მთელი დღე უნდა ივარჯიშო, კაქტუსები კი რწყა, რწყა და რწყა...





## ალა შვირლიანი

დიდი ბაბუა, თეოდორ ზალცმანი, 1818 წელს ჩამოვიდა თბილისში, სადაც ლუდის წარმოება წამოიწყო. მისი ვაჟი, ალბერტ ზალცმანი (1833-1897), პეტერბურგის ხელოვნების აკადემიაში სწავლობდა. თბილისში, 70-80-იან წლებში, მისი პროექტით აშენდა ქალთა გიმნაზია, ეროვნული (ციხეური) გალერეა, სასტუმრო „ორიენტი“ და მრავალი სავაჭრო და საზოგადოებრივი შენობა. ალბერტის ვაჟმა, ალექსანდრე ზალცმანმა, პეტერბურგსა და მიუნხენში, ფრანც შტუკთან მიიღო სამხატვრო განათლება და თეატრის მხატვარ-დეკორატორი გახდა. ალბერტ ზალცმანის

ერთ-ერთი ქალიშვილი შვირლიანის მეუღლე იყო. მისი ვაჟი, ოსკარ შვირლიანი (1863-1938), ასევე პეტერბურგში სწავლობდა და, როგორც კარიკატურისტი, მთელ ამიერკავკასიაში მოიპოვა აღიარება. მან ცოლად შეირთო ანუელიკა ვინზენბერგი. მათ ორი შვილი ჰყავდათ – რენე (1901-1967) და ელგარი (1906-1943). რენემ თბილისში შეისწავლა მხატვრობა და ხელოვნებათმცოდნე გახდა, ელგარმა კი ჟურნალისტის პროფესია აირჩია და რუს კლავია სტიოპაროვასთან იქორწინა. იგი 1937 წელს დააპატიმრეს და გადაასახლეს. მისმა ქალიშვილმა, ალმა, არქიტექტურის ფაკულტეტი დაამთავრა და თბილისში დააარსა მუშაობდა. იგი დღეს თბილისში ცხოვრობს.

## რას მოგვითხრობდით თქვენა წინაპრების შესახებ?

დიდი ბაბუა მშობლებთან ჩხუბის შემდეგ წამოვიდა საქართველოში. თავდაპირველად იგი ასურეთში ცხოვრობდა. მას შემდეგ, რაც გამდიდრდა, თბილისში გადავიდა და ლუდის მწარმოებელი გახდა. მას შეეძლო, შვილებისთვის კარგი განათლება მიეცა და ვაჟიშვილი, ალბერტი, პეტერბურგში გაეზავნა, ხელოვნების აკადემიაში სწავლის გასაგრძელებლად. ალბერტის მასწავლებლები იყვნენ ცნობილი მხატვრები და პედაგოგები: შტაკენშნაიდერი და ვილევალდ-ამის შემდეგ, განათლების სრულყოფისათვის, ალბერტმა გერმანიაში, ინგლისში, საფრანგეთსა და ბელგიაში იმოგზაურა, მოგვიანებით კი თბილისში დასახლდა. მასაც ბევრი შვილი ჰყავდა. იგი არქიტექტორი იყო. მისი პროექტით აშენებული მრავალი შენობა დღეს უკვე აღარ არსებობს. მან ლამაზი სახლები ააგო – ამოსაკლერ სტილში. ალბერტის ვაჟმაც, ალექსანდრემაც, სამხატვრო განათლება მიიღო პეტერბურგსა და მიუნხენში. დაბრუნების შემდეგ ოპერაში



ოსკარ შერლინგი ქალიშვილ რენესთან და შვილიშვილ ალასთან ერთად

მუშაობდა სცენოგრაფად. მან გააფორმა „აბესალომ და ეთერის“ პირველი დადგმა. რეჟო-  
ლუციის დროს ალექსანდრემ საქართველო დატოვა. იგი ფრანგ მუღლესთან ერთად ჯერ  
საფრანგეთში, შემდეგ კი შვეიცარიაში გაემგზავრა, სადაც თავისი სპეციალობით განაგრძო  
მუშაობა. ხელოვნების მუზეუმის თანამშრომელმა, ნონა ელიზბარაშვილმა, ალექსანდრეს  
შესახებ დიდი მონოგრაფია დაწერა.

### **რა ბედი ეწიათ ოჯახის სხვა წევრებს?**

ალექსანდრეს ერთ-ერთი ძმა, ბორის ზალცმანი, პროფესიით ინჟინერ-გემომშენებელი იყო,  
რეჟოლუციამდე – ბრწყინვალე საზღვაო-სამხედრო ოფიცერი. მან ვერ მოასწრო ქვეყნის  
დატოვება და ციმბირში გადასახლეს, სადაც 80 წლის ასაკამდე ცხოვრობდა. პირველად მას  
უკვე 8 წლისას შეეხვდი, მანამდე საქართველოში დაბრუნების ნებას არ აძლევდნენ. ყველას,  
ვინც დააპატიმრეს და იმ ჯურღმულებში გაგზავნეს, განთავისუფლების შემდეგ, აუკრძალეს  
უკან დაბრუნება. სამუდამოდ იქ დატოვეს. მოგვიანებით, ბორისი ნეეინოვისკში, ჩრდილო  
კავკასიაში დასახლდა. იქიდან იყო მისი მუღლე, რომელიც გადასახლებაში გაიცნო.  
საქართველოში მშისშვილის დაკრძალვაზე ჩამოვიდა.

### **როგორ გაიხსენებდით მასთან შეხვედრას?**

საშინელება იყო. ეს შესანიშნავი ადამიანი ერთ პრიმიტიულ გლეხად იქცა. ორმეტრიანი, მწ წლის კაცი – უბრალო გლეხი, რომელსაც გარდა რუსულისა, არც ერთი ენა აღარ ესმოდა. იგი ციმიძისა და, მოგვიანებით, ნევიზომისკმიც, სიღუბნურებში ცხოვრობდა. მისი მძისშვილიც ღარიბი და გაჭირვებული იყო; ახალგაზრდულ თეატრში მსახიობად მუშაობდა, მაგრამ ამ თეატრში ასაკოვანი მსახიობები ნაკლებად სჭირდებოდათ. ასე რომ, შედგომში მხოლოდ მერიუზარისისოვან როლზე თუ აძლევდნენ. მამასთან ერთად სილატაკეში ცხოვრობდა. სიკვდილამდე, ცოტა ხნით ადრე, ჩემთან მოვიდა (მამინ ბებიასთან ვცხოვრობდი), შესანახად სამეზაურო საკეოიაფი მომიტანა და მითხრა: „თუ რამე შემეშინებ, გთხოვ, თუ შეძლებ, ეს ჩანთა ბიძაჩემს გადასცე.“ როდესაც ბიძა დასაფლავებაზე ჩამოვიდა, საკეოიაფი მივეცი. გახსნა და მასში რაღაც ნივთები აღმოჩნდა, ძვირფასეულობას ეერც ვუწოდებ... ჩვენ არასდროს გეჭონია ძვირფასი ნივთები. მან მხოლოდ ის აიღო, რისი გაყიდვაც შეიძლებოდა. მასსოვს, ბევრი რამ დამიტოვა: ოქროს ძეწევი, ოქროს საათი და სამაჯურები. ეს ძალზე დასაფასებელი და სასიამოვნო იყო. ეს საათიც ზალცმანებისეულია. მინოდა, წაელო, მაგრამ არაფრით ქნა. ხელაყ? ასეთი გაჭირვებული იყო და მაინც არ გამომართვა. ბიძა ნევიზომისკმე დაბრუნდა, იქ, მასაგით გადასახლებიდან დაბრუნებული, ერთი გერმანული ოჯახი გაიცნო. სიკვდილამდე ისინი უკვლიდნენ, ეზმარებოდნენ. იქ გარდაღაცადა. ეს, მოგვიანებით, იმ ოჯახის ქალიშვილმა შემატყობინა, ისიც გერმანელი იყო.

### **ალფონს ზალცმანის ქალიშვილებიდან რომელი შეირთო შმერლინგმა?**

მატილა – ალბერტის და. ეს შმერლინგი ბალტიისპირეთიდან ჩამოვიდა. როგორც ჩანს, იქ გერმანიიდან მოხვდა, შემდეგ კი...

მას მაღალი სამხედრო წოდება ჰქონდა და მთელ კავკასიაში სამხედრო საქმეებს კურირებდა. ყუღანი ერთად, ალბერტ ზალცმანის მიერ აშენებულ სახლში (პლენანოვის N15) ცხოვრობდნენ. ბაბუა ოსკარმატ იქ დაიწყო ხატვა. ხელოვნებით დაინტერესებული, შემოქმედი ადამიანები იყვნენ: ქარავანდენ, ქსოვლენ, ხეზე კვეთავენ, თოჯინებს აკეთებდნენ. ამ ოჯახში გაიზარდა ბაბუკ.

### **რომელ სკოლაში სწავლობდა?**

რუსულ სასწავლებელში შეიყვანეს. მაგრამ მათემატიკა, ისევე როგორც სხვა საგნები, საერთოდ არ აინტერესებდა. მეექვსე კლასამდე მივიდა, შემდეგ ხატვა დაიწყო. გახეთებისა და ჟურნალისტებისთვის ხატავდა; იყო ჟურნალ „კოლოსის“ რედაქტორი და გამომცემელიც. თუმცა, ამ ჟურნალს დიდხანს არ უარსებია. ამის შემდეგ, ჟურნალ „ფალანგისთვის“ ხატავდა კარიკატურებს. მშობლების ხელშეწყობით, ბეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში განაგრძო სწავლა, იქაც სხვადასხვა იუმორისტულ ჟურნალებთან თანამშრომლობდა; აკადემიის ვერცხლის მედალზე დამთავრების შემდეგ, სწავლა მიუნხენში განაგრძო, იუმორისტულ ჟურნალებში მუშაობდა და ჟურნალ „რადფარაუბერის“ მუდმივი თანამშრომელი გახდა. იმ პერიოდში,

მიუნხენში, ბევრი მხატვარი ცხოვრობდა. მოგვიანებით, ოსკარი თბილისში დაბრუნდა; როგორც ფერმწერმა, გრაფიკოსმა და, რა თქმა უნდა, კარიკატურისტმა, განაგრძო მოღვაწეობა; მრავალ ჟურნალში მიჰყავდა იუმორისტული განყოფილება და „ეშპაის მათრახის“ მუდმივი თანამშრომელი გახდა. იგი ბევრს მოგზაურობდა ამერიკაეკსისაში. რამდენიმე ხანს აზერბაიჯანში ცხოვრობდა და ჟურნალ „მოლა ნასრედინისთვის“ მუშაობდა. ცოტა ხნის წინ, ოსკარის იუბილეისთან დაკავშირებით, ამ ჟურნალის სპეციალური ნომერიც გამოცემეს – მას აზერბაიჯანული კარიკატურის ფუძემდებლად იხსენიებენ.

### **რამდენად შეიცვალა მისი ცხოვრება რევოლუციის შემდეგ?**

ბაბუა მთავრობის სახლის უკან მდებარე შენობაში, ნორმალურ ბინაში ცხოვრობდა. მაგრამ რევოლუცია მოხდა და ბინა ჩამოართვეს. მხოლოდ ორი პატარა ოთახი დაუტოვეს კომუნალურ ბინაში. შეიძიო თუ რვა ადამიანი ვცხოვრობდით იქ. ძალზე განიცდიდა. აზერბაიჯანელი კოლეგისთვის გაგზავნილ წერილში, რომელიც „მოლა ნასრედინში“ დაიბეჭდა, წერს, თუ როგორი შეუძლებელია ასეთ სიციფროვეში მუშაობა. რამდენიმე ხნით აზერბაიჯანში გადასვლასაც გეგმავდა, რათა ნორმალურად ემუშავა. შეილები – რენე და ელგარი – უკვე ღიღები იყვნენ. მისი გერმანელი მეუღლე, ბებიჩემი, სულ ავადმყოფობდა. მოგვიანებით, ათორიტიც დაეწყო.

გადმოცემით ვიცი, რომ ბებიას ძალზე უნდოდა ოსკარის ცოლობა, თუმცა კი ხასიათით ძალზე განსხვავდებოდნენ: ბებია ჩაკეტილი ადამიანი იყო, ბაბუა, პირიქით, ძალიან მზიარული და სიცოცხლის მოყვარული. ამდენად, ოჯახური ცხოვრება მისი სურვილისამებრ ვერ აეწყო.

რევოლუციის შემდეგ, როგორც მხატვარი, მინც დააფასეს. იგი თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი გახლდათ, კავკასიის კანზულ ხელოვნთა საზოგადოების საფუძემდებე; ამასთანავე, არაერთ სასწავლო დაწესებულებასა თუ წრეებში ასწავლიდა და დელაქალაქის შემოქმედებით ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობდა. ერთგან წერს: „დაე, ქართველები ყოველთვის მზიარულები, ბედნიერები იყვნენ და ყველამ იცინოს იმაზე, რაც სასაცილოა. დაე, ვიცინოთ და ვიმზიარულოთ!“ როცა ის გარდაიცვალა, მე რვა თუ ცხრა წლის ვიყავი. თუ არ ვცდები, 1938 წელი იყო. ერთხელ სახლში მოვიდა, უბრალოდ, დასასვენებლად წამოწვა და აღარც ამდგარა.

### **ოჯახში გერმანული ცხოვრების წესის მისდევლით? რამდენად იცავდით ტრადიციებს?**

მახსენდება, როგორ აღვნიშნავდით აღდგომას. ოლია დეიდა ყოველთვის აცხობდა პასკას ხაჭოთი, როგორც გერმანიაში იციან. ბუშეებისთვის ბაჭიას მოჰქონდა საჩუქრები. თუ დარი იდგა, დეიდა რენეს ქალაქგარეთ გავეყავით. იქ, ბალახებში ვეძებდით საჩუქრებს. ვპოულობდით არა მხოლოდ შედებილ, არამედ დეიდა რენეს მიერ ულამაზესად მოხატულ კვერცხებსაც – ხელოვნების პატარა ნიმუშებს. ბალახებში ჩვენ-ჩვენი საჩუქრებიც ვეძებდით.

### **სახლში რა ენაზე საუბრობდით?**

ქალკეში, უმეტესად, რუსულ ენაზე საუბრობდნენ. თბილისი ამიერკავკასიის ცენტრი იყო. მაშინ აქ ცოტა ქართველი ცხოვრობდა. ქართველები უფრო რაიონებში სახლობდნენ, გამო-ნაკლის რამდენიმე თავადის ოჯახი თუ წარმოადგენდა. თბილისში ბევრი იყო: სომეხი, აზერ-ბაიჯანელი, პოლონელი, რუსი, გერმანელი...

დიდა რენე მშენიერად ფლობდა გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებს. რადგან დედა რუსი იყო, სახლში რუსულ ენაზე ვლადიმერაკობდით. ჩემი შეყვანა უნდოდით გერმანულ საბავშვო ბაღში, მაგრამ ვთქვი, რომ გარშემომყოფთა საუბრიდან ერთი სიტყვაც არ მესმოდა, სკანდალი მოვაწყვე და, საბოლოოდ, რუსულ ბაღში გადამიყვანეს.

### **მათაქენმა სად განაგრძო სწავლა სკოლის დამთავრების შემდეგ?**

სამხატვროზე აპირებდა. ისიც ძალიან ნიჭიერი იყო, მაგრამ 22 წლისამ ცოლის შერთვა გადაწყვიტა და, აბდენად, ოჯახის რჩენაზე უნდა ეფიქრა. ეურნალისტად დაიწყო მუშაობა, ამ სფეროში დიდ წარმატებას მიაღწია. მოგვიანებით, მოსკოვშიც იქ მიიწვიეს.

### **დიდა რენე სამხატვრო აკადემიაში ჩააბარა?**

დაახ, სამხატვროში. მან ორი ფაკულტეტი დაამთავრა: გრაფიკული და, მგონი, არქიტექტურული... კი, ასე იყო. როგორც მასსოვს, მას აკადემიაში პროფესორი ჩუბინაშვილი ასწავლიდა. მან საქართველოს ხელოვნების ისტორიით ძალზე დაინტერესა რენე და ისიც ამ დარგს გააყვია. მთელი ცხოვრება ჩუბინაშვილიან, ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში, მუშაობდა. დიდა დიდი პატრიოტი იყო, საქართველოში ბევრს მოგზაურობდა, იკვლევდა. მას ლამაზი, წვრილი კალიგრაფია ჰქონდა, ყოველი ძეგლის, მისი დეტალების შესახებ ჩანაწერებს აკეთებდა და ჩანახატებს ურთავდა; უამრავი ლამაზად დასურათებული, სამეგზურო წიგნაკი ჰქონდა. როდესაც თავისი პირველი დისერტაცია წარადგინა, მთავრობის წევრებმა განუცხადეს, რომ ნაშრომი ცვლილებებს მოითხოვდა – შესავალ სიტყვაში ქება-დიდებათ არ იყო მოხსენიებული საბჭოთა ხელისუფლება, მთავრობა და სტალინი. დიდამ უარი თქვა დისერტაციაში ცვლილებების შეტანაზე და, როგორც სამეცნიერო ნაშრომი, ისე გამოსცა. დისერტაცია მეორედ დაწერა და ბრწყინვალედ დაიცვა, სიკვილიამდე ცოტა ხნით ადრე.

### **როგორ გაიცნეს თქვენმა მშობლებმა ერთმანეთი?**

არ ვიცი. ძალზე ახალგაზრდებსა იქორწინეს. დედას სწავლის გაგრძელება უნდოდა, მაგრამ ნება არ მისცეს. ძალე მეც გაეჩნდი. შემდეგ დედას ტიფი შეეყარა. ავადმყოფობამ გული დაუ-აუადა. მიუხედავად ამისა, ძალიან უნდოდა მუშაობა. საბიბლიოთეკარო კურსები დაამთავრა, მაგრამ, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ვერ შეძლო მუშაობა. მაშინ პლენანოვზე (დღევანდელი აღმაშენებლის პროსპექტი) ეცხოვრობდით... იქ ზალცმანის სახლი იდგა. ერთ დროს დედაჩემის მამა მისი კომუნდანტიც იყო. ადრე, ამ სახლში, მეფის ოფიცერთა ოჯახები

ცხოვრობდნენ. მასში მუხის დიდფანჯრებიანი, მდიდრული ბინები იყო. ბებია და ბაბუა, არც ისე სახარბიელო პირობებში, მანსარაში ცხოვრობდნენ. იქ გაეატარე მთელი ბავშვობა.

### **ომის დაწყების შემდეგ რა მოხდა?**

1941 წლის 5 აგვისტოს, ომის დაწყებიდან ორ-სამ კვირაში, მამა, როგორც „ხალხის მტერი“, დააპატიმრეს. მაშინ ოთხი წლის ვიყავი. რა გამეგებოდა? დაპატიმრებები ჯერ კიდევ ომამდე დაიწყო. მამა სამსახურიდან ხშირად მოდიოდა ფერდაკარგული და ამბობდა, რომ მისი ესა თუ ის მეგობარი აიყვანეს... მამის დაპატიმრების შემდეგ, ჩვენს ეროვნებას ემალავდით. იძულებული გაეხადი, რუსულ სკოლაში შეესულიყავი, რომელშიც ინგლისურს გვასწავლიდნენ. პასპორტის აღებისას არ ვთქვი, რომ გერმანელი ვიყავი – ვახსებთში გამგზავნიდნენ... პასპორტში დედის ეროვნება – რუსი – ჩაეწერე.

### **არავინ იცოდა, რა ეროვნების იყავით?**

მანამდე არც არავის უკითხავს. ადამიანები ყოველთვის კეთილგანწყობილი იყვნენ. მამის დაპატიმრების შემდეგ, სკოლაში ისე კარგად ვეღარ ვსწავლობდი. ერთხელ „ორიანი“ თუ „სამიანი“ მივიღე, რის შესახებაც დღემდე მამას მისწერა. ეს ზომ განერეიულა?! ამ შემთხვევის შემდეგ, ჩემს თავს პირობა მიეუცი, რომ, ცუდი ნიშნების გამო, არავინ აღარასდროს მისაყვედურებდა. იმ პერიოდში, ომის დროს, როდესაც იციდნენ, რომ გერმანელი ვიყავი, სკოლა ოქროს მედალზე დავაბთავრე. ოქროს მედალს ჩემი სკოლის დირექტორს უნდა ეუბანოდა – ამ ყველაფრის მიუხედავად, მაინც მომცა. ამასთანავე, კომკავიშირის წევრად არ ვიყავი. არც მინდოდა. ადრევე მივხვდი, თუ რა ხდებოდა ამქვეყნად, როგორი იყო რეალობა.

### **რას მიხვდით?**

ყველაფერი. შიმის ზარი მეცმდა, როდესაც მამა სამსახურიდან მოვიღოდა და კარზე ზარს რეკავდნენ... დღემდე მეშინია, როდესაც ზარის ხმა მესმის; ერთხელ მივლის, უნებლიეთ შეეხებები-ხოლმე – ასე მეონია, ვილაციის წასაყვანად მოვიდნენ. სამიწელი დრო იყო. ადრეულ ასაკშივე მივხვდი, თუ რატომ დაიჭირეს მამა. ჩემთვის კარგად იყო ნაცნობი მისი მსოფლმხედველობა. ჩვენ მხოლოდ კარგს გვასწავლიდნენ. რატომღაც ყველაფერში დამნაშავე მხოლოდ პიტლერი და არა სტალინიც? ეს ყველაფერი ადრევე გაეაცნობიერე. არასოდეს წარმომიტეხვამს სტალინის საქებარი სიტყვა, არასოდეს...

მამას ერთი კარგი ებრაელი მეგობარი ჰყავდა. მამის დაპატიმრების შემდეგ, მასთან მეგობრობას ვაგრძელებდი. ერთხელ მან მითხრა: „ყველაფერში სტალინია დამნაშავე. მამაშენი შესანიშნავი ადამიანი იყო, არაეისთვის არაფერი დაუშავებია. ეს ყოველთვის გახსოვდეს.“

დღი ხანია, ეს ვიცოდი. ყველაფრისადმი, რაც ამ ქვეყანაში ხდებოდა, ბავშვობიდანვე პროტესტის გრძნობა მქონდა. ამ ასაკში ცოტა ბავშვი თუ ხვდება... ზოგიერთმა შემდეგ გაიყო ყველაფერი, არც მიჯერებდნენ. როდესაც სუფრაზე სტალინის სადღვერძელოს წარმოიტყამდნენ, მე არც ვამბობდი და არც ვესაუბდი...

### **იყო, მამა რატომ დააპატიმრეს?**

მამა არ დაუხერხებიათ. მას რუა თუ ათი წელი მიუსაჯეს, მიმოწერის უფლებითა და ქონების კონფისკაციის გარეშე. ბანაკისკენ მიმავალ გზაზე, მატარებლიდან, სამკუთხედად დაკეცილ ბარათებს ისროდა. მათ კეთილი აღამიანები პოულობდნენ და ჩვენ გვიგზავნიდნენ. მამა, ტამკენტთან ახლოს მდებარე, გადასახლების პუნქტიდანაც გვიგზავნიდა წერილებს. საშინელი შინაარსის იყო. ოცნებობდა, სადმე სახეის თავი ეშოვნა. სურავანდი დაემართა, კუჭი დაუჯავდა. მხოლოდ ჯამაის წვინანზე ვერ გააძლო, კუჭი შეეკუმშა და, ბოლოს, 30 კილოგრამამდე იწონიდა. ამბობდნენ, რომ მამამ ვერ გამოინახა საერთო ენა მეთუალყურე ჯარისკაცებთან... ის ერთ თავ ხახზე ოცნებობდა, გესმით? შეიძლებოდა, ვინმე გამგზავრებულიყო და რაიმე ჩატანა, მაგრამ, რომელ ჩვენგანს შეეძლო ეს? მამა 1943 წელს, იქვე, საავადმყოფოში გარდაიცვალა, ფაქტობრივად – შიმშილისგან.

### **თქვენი ოჯახი 1941 წელს გადასახლეს?**

არა. მამა აგვისტოში დაიჭირეს, გერმანელების გადასახლება კი სექტემბერში დაიწყო. დედა რუსი იყო, მე – არასრულწლოვანი და ამიტომაც აგვეცდა. დედა რჩენს, მძიმედ ავადმყოფ ღელასთან ერთად, უჩირებდნენ გადასახლებას. მას ცნობილი ისტორიკოსი, სიმონ ჯანაშია დაეხმარა, მთავრობის წარმომადგენლებთან კეთილი სიტყვა შეაწია, თქვა, რომ დედა შეუცვლელი სპეციალისტი იყო. მას დარჩენის უფლება მისცეს. მასთან ერთად, ირინა შტერნბერგი და კიდევ ოთხი თუ ხუთი გერმანელი დატოვეს. ერთ-ერთი მათგანი, გრიბოლევის თეატრის მსახიობი, ლენინის როლის შემსრულებელი იყო.

### **თქვენ ვინ გზრდილათ?**

დედა მამის დაპატიმრებიდან ექვსი თვის შემდეგ გარდაიცვალა. ბებია და ბაბუა მზრდიდნენ, დედის მზრდიან. ბაბუას კუჭის კიბო ქქონდა და ოპერაცია გაუკეთეს. დიეტა სჭირდებოდა, მაგრამ რომელ დიეტაზე იყო ლაპარაკი! დღე-ღამეს ასწორებდა, მე რომ გამოვეცკებე. ბებიამ ცოტა კერვა იცოდა, ისიც ბევრს შრომობდა. ჩემს სიცოცხლეში არასოდეს დამაწიფებდა, როგორ ვუსხედით ნავთის ლამპას. ერთადერთი, რისი საშუალებაც ქქონდათ, ზოგჯერ შაქრის ნატეხს თუ მომცემდნენ. ხულ შიმშილობდნენ.

### **ომის დროს როგორ გაგქონდათ თავი?**

ბალიან ბნელად. პირველი რიგში, ბალიან გვეცოდა. თუმცა, ახლაც მცოცა, გაზი არ მაქვს. ასე რომ... ბაბუა რალაც პატარა, დოკუმენტების შესანახ საქალაქეებს ამზადებდა. ჩემი საწყალი, კიბოთი დაავადებული ბაბუა კვირაობით საბურთალოს ბაზარზე ვადიდოდა და ამ საქალაქეებში ვატრობდა. ერთხელაც წიწისფრეს და კინაღამ სცემეს. ეს ყველაფერი იმისთვის, რომ ცოტადინი პურის ფული ეშოვნა. მძიმე დრო იდგა. 400 გრამ პურს ვვაძლევდნენ, ეს იყო და ეს. როდესაც პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, არქიტექტურულზე დაიწიყე სწავლა, ბაბუა უკვე გარდაცვლილი იყო. ბებია კერვაში ღამეებს ათენებდა, მე რომ დამხმარებოდა.

### **დედასთან აგრძელებდით ურთიერთობას?**

რა თქმა უნდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში, ღვდამისი ძალიან მძიმე, მწოლიარე ავადმყოფი იყო. 1962 წელს გარდაიცვალა. დედა ხშირად მოგზაურობდა და აპიტომაც, მომვლელ ქალს ქირაობდა, რომელიც მისი არყოფნისას ზრუნავდა მოხუცებულზე. დედასაც მცირე შემოსავალი ჰქონდა. ლისერტაციის დაცვის შემდეგ, შედარებით გაუზარდა ხელფასი. ორ წელიწადში გარდაიცვალა. როგორც მხატვარს, თითქმის, აღარც უშეშავია. ხანდახან წიგნებისთვის ილუსტრაციებს და სხედასხეა მინიატურებს ხატავდა. საოცრად ფაქიზი ხელი ჰქონდა. ინსტიტუტში, სადაც მუშაობდა, ძველი ხელნაწერების პირებს ამზადებდა.

### **სად მუშაობდით არქიტექტურული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ?**

ჩემი სახლის პირდაპირ ტიპობრივი პროექტირების ინსტიტუტია, იქ ვმუშაობდი. თავიდან ქალაქის ცენტრში მდებარეობდა, ახლა ჩემს პირდაპირაა. ეს სახლიც ამ ინსტიტუტმა ააშენა. ამიტომაც მომცეს ეს ბინა, 1989 წელს. საპროექტო განყოფილებაში ვმუშაობდი.

### **არქიტექტორად?**

არა. ბოლო პერიოდში – თბოტექნიკოსად. როდესაც არქიტექტორად მუშაობა ახალი დაწყებული მქონდა, ბევრი იყო არქიტექტურის ფაკულტეტის კურსდამთავრებული. დამწყებ სპეციალისტებს სამსახურში მყარი ადგილი არ გვქონდა. პირველი სამსახურიდან მეც შემცირებამი მოუყვი. გადავწყვიტე, მომავალში ისეთ სფეროში მემუშავა, შემცირება რომ არასდროს შეეხებოდა. ამის შემდეგ, თბოტექნიკაში ვმუშაობდი. ეს დარგი არქიტექტურასთან მჭიდრო კავშირშია, როგორ უნდა დაპროექტდეს სახლი, რათა ყველაფერი კარგად იყოს განლაგებული. მაგალითად, ჩემი სახლი ძალიან ცუდადაა ამუშავებული. აქ ყოველთვის ცივა, რადგან ძლიერი ქარი იცის. სამშარეულოშიც ისეთი სიციცვა, თავი ქუჩაში გვეგონებათ. გაზიც არაა. ელექტროქურა მაქვს და ვედილობ, დენი დაეზოგო. მიუხედავად ამისა, მხოლოდ ერთ თვეში, ელექტროინჟინერისთვის 24 ლარი გადავიხადე. პენსია 14 ლარი მაქვს. რა უნდა ვქა? უზიჯარ და ეფიქრობ, ვიდევ რა გაყვილო. კედლიდან სურათებს ვხსნი და ვყიდი. ბოლო ათი წლის განმავლობაში რამდენიმე კარგი ხალიჩა გაყვიდე. თავი ზომ უნდა მერჩინა? მართალია, ახლა, გერმანული საზოგადოების დახმარებით, სასაიდლოში შემძილა ვიარო, მაგრამ სამგზავრო ფულიც არ მაქვს. აპიტომაც, ნება დამბრთეს, მშრალი საკვები წამოვიდო. დიდ ნაწილს ნათესავს ვაძლევ. იგი ჩემი ბიძა-შვილის ქალიშვილია და პატარა ბავშვი ჰყავს. მასაც უჭირს. ვედილობ, ჩემი ფულით მასაც დაეცხმარო. ყველა მეკითხება: „ის თუ გეხმარება?“ მეც ვასუსზობ: „როგორ დამეხმარება. ოჯახში ექვსნი არიან და მხოლოდ ერთი მუშაობს.“ ასე რომ, ყველანი ცუდ დღეში ვართ.

### **თუ გჭონდათ იმედი რომ, „გლასნოსტის“ შედეგად, რაიმე გამოსწორდებოდა?**

იმედი მომეცა, როდესაც ზრუშჩოვმა ბევრი ადამიანი გაათავისუფლა, პასტრენასკა და სხვებს უდიერად აღარ ეპყრობოდნენ. მაშინ დედა წინააღმდეგი იყო, რეაბილიტაცია მეთხოვა. ამბობდა, რომ ამ მთავრობისა და ხელისუფლებისგან არაფერი უნდოდა. ამდენად, მხოლოდ 90-იან



წლებში ვითხოვე რეაბილიტაცია. უშიშროების წარმომადგენელმა ჩემთან საუბარი მოისურვა. მან მკითხა: „იცით, რატომ დაიჭირეს მამათქვენი?“ „არა, არ ვიცი, – ვუპასუხე, – მე ის ვიცი, რომ მას არაფერი დაუშავებია. ისიც ვიცი, რომ ბევრი კარგი ადამიანი დაიღუპა.“ „იცით, – მეუბნება, – სპორტულ შეჯიბრებაზე ფოტოებს იღებდა და კადრში სამხედრო თუ საიდუმლო დაწესებულების შენობა მოხვდა“. ვილაცას ფოტოზე ეს შენობა უნახავს და ამიტომაც დააპატიმრეს მამა. ესეც – მისი დანაშაული.

### **საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, თქვენთვის რაიმე შეიცვალა?**

ჩემზე უარეს მდგომარეობაში ცოტა ვინმე თუ იქნება. თაიდან შიმშილისგან გული მიბღოდა, მხოლოდ პურითა და ვერმიშელით ვიკვებებოდი. სახლიდან რალაცების გაყიდვა დავიწყე. რამდენიმე ლამაზი ნივთი კიდევ შემომრჩა, ისიც იმიტომ, რომ ბზარები აქვს. ნივთები „მშრალ ხიდზე“, ვორონცოვზე მიქონდა.

იქ ინტელიგენციიდან ბევრ ნაცნობს შეეხვდი, მათ გვერდით მომისვენეს. ვიჯექი და ვეაჭრობდი ლარნაკებით, ვერცხლის კოვზებით... უამრავი რამ გაყვიდი. თუ რამდენიმე მანეთს ვიმოვიდი, ბაზარში მივიდიოდი პროდუქტების საყიდლად. თუ არა და ემიმშობოდი.

### **გათხოვილი თუ იყავით?**

არა. ჯერ ერთი, ავადმყოფობის გამო, ფიბრომა მქონდა, ყოველთვის სუსტი და ღონემიზღილი ვიყავი, რთული ოპერაცია გამიკეთეს. მართალია, ყოველთვის ბევრი მეგობარი მყავდა, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, ოჯახისთვის საჭირო ენერჯია არ მქონდა.

### **თავს გერმანულად ვერბობთ?**

ზოგჯერ. რაც ეს გერმანულთა საზოგადოება შეიქმნა და გერმანულეთთან ურთიერთობა დაიწყო, უფრო მეტად, ძველი ურთიერთობებიც აღუადგინე. ზშირად ვხვდები ივეტა რეიდლისს, ერთმანეთს ვეხმარებით, რჩევებს ვაძლევთ, მაშინვე გამოვხატავთ საერთო ენა. იგი ჩემი მშობლების მეგობრების ქალიშვილია.

### **რას ნიშნავს თქვენთვის, იყო გერმანელი?**

ეროვნების მიხედვით, ვერ ვანსაზღვრავ, ადამიანი წესრიგინაია თუ არა. წესიერება და სხვა დიდებით თვისებები ყველას უნდა ჰქონდეს. შინაგანი მორალური ნორმები და პრინციპები ეროვნებაზე არ არის დამოკიდებული. ნებისმიერი ადამიანი კარგად აღზრდილი უნდა იყოს.

სკოლაში ექვსი მეგობარი მყავდა. როდესაც ეროვნულობის პრობლემამ იჩინა თავი, დიდხანს ვარკვევდით, ვინ სალაური იყო. ერთ-ერთ მათგანს, მთელი ცხოვრების განმავლობაში, ჩემი გვარიდან გამოდინარე, ებრაელი ვეგონე; მეორე ფიქრობდა, რომ ნახევრად ქართველი ვიყავი. ასეთი მეგობარი ბევრი მყავდა. ერთი მეგობრის მამა აზერბაიჯანელია, დედა – სომეხი. ზოგჯერ ეროვნებას გვარის მიხედვითაც მიხვდები, სხვა მხრივ კი ეს არავითარ როლს არ თამაშობს. მოკვიანებით ვავიგეთ, რომ ჩემი მეგობარი, იანკო, მამით ჩემი, დედით პოლონელია.

ამ მხრივ, ისეთი არეულობა გეკონდა, რომ ჩემთვის ეროვნულობის პრობლემა არასოდეს აღმდგარა.

**როგორ ფიქრობთ, დღეს უფრო დიდი მნიშვნელობა ხომ არ ენიჭება ეროვნულობის საკითხს საქართველოში?**

გულწრფელად რომ გითხრათ, დღეს დედაქალაქში ბევრი ცხოვრობს ისეთი, ვინც ეროვნებას უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე თვითონ თბილისელები. ადრე ეროვნება დიდ როლს არ თამაშობდა. თუ თბილისელი იყავი, ეს ყველაფერს განსაზღვრავდა. შეიძლება, ვინმეს სურდა, ქალიშვილი თავისივე ეროვნების ადამიანზე გაეთხოვებინა – საერთო ტრადიციები, წეს-ჩვეულებები და ა.შ.

ცოტა ხნის წინ, სამარშრუტო ტაქსით ვმგზავრობდი და მძღოლს რუსულად მიემართე. ვილაკამ, ლაკის ფუნსაკმელებში გამოწყობილმა „ახალმა ქართველმა“ საყველური გამოთქვა: რუსულად რატომ ლაპარაკობო. კეკუა ვასწავლე. ეუთხარი: „აბაბო, თქვენ თბილისში ახალი ჩამოსული ბრძანდებით და ამ ქალაქის ტრადიციებს კარგად არ იცნობთ. დრო გჭირდებათ, რომ ისწავლოთ. და საიდან მოიტანეთ, რომ მე ქართული არ ვიცი? თუ გაინტერესებთ, ქართულენოვანი ფაკულტეტი დაემათავერე. საყველურის უფლება რომ გქონდეთ, აქ ერთხანს უნდა იცხოვროთ – თბილისში განსაკუთრებული მენტალიტეტი სუფევს.“

**გერმანიაში თუ წახვიდოდით საცხოვრებლად?**

არა, ახლა არავითარ შემთხვევაში. არც ენა ვიცი და არც ნაცნობები მყავს იქ. რა უნდა ვაეკეთო ენის გარეშე? გასაგებია, რომ ცხოვრების უკეთესი პირობები შექნება, არც ვიშიშვლილებ, ყოფითი პრობლემები არ შემაწუხებს, მაგრამ, არ შემიძლია მათი დაკარგვა, ვინც აქ მყავს. ისინი რომ გერმანიაში გადავიდოდნენ, მაშინ სხვა საქმეა... იქ არავის იცნობ; შეიძლება, კიდევ ცხოვრობდნენ ჩემი ნათესაუბი. ისე გამიხარდა, როდესაც ნატაშა თბილისში ჩამოვიდა, 1998 თუ 1999 წელს. მირეკავს ჩემი ერთი ნაცნობი, რომელიც კერძო სასტუმროში მუშაობს და მეკითხება: „ზალცმანის გვარი რაშეს თუ გუგუბნებო?“ „რა თქმა უნდა, ჩემი დიდი ბებია ხომ ზალცმანი იყო!“ – უუპასუხე. გამოირკვა, რომ ალექსანდრე ზალცმანის ქალიშვილი, ნატაშა ჩამოსულიყო ვენესუელადან საქართველოში. „ჩემი ახლო ნათესავი ისეც ვიპოვე!“ – გავიფიქრე მაშინვე. ერთმანეთის მიმართ დიდი სიძაბითი განეწყვეთ. ხანდაზმულობისა და ავადმყოფობის მიუხედავად, ის ძალზე ბედნიერი ჩანდა. აქ დიდი გამოფენის მოწყობასა და მუზეუმისთვის ალექსანდრეს სურათების გადაცემას აპირებდა, მაგრამ ვერ მოასწრო, მალევე გარდაიცვალა. ის ზალცმანებიდან უკანასკნელი იყო. ბევრ რამეს დამპირდა, რომ ისეც ჩამოვიდოდა, დამეზმარებოდა, მაგრამ ყველაფერი ქარმა წაიღო... როგორც ყოველთვის, არ მიმართლებს. ხდება ხოლმე, ყველაფერი ისე არ გამოდის, როგორც გინდა.



## ემილია გაბრიელი

ემილია გაბრიელის წინაპრები, ეკატერინე II-ის მოწვევით, უკრაინაში ჩამოვიდნენ და ოდესის მახლობლად, სოფელ სულცში დასახლდნენ. იქ დაიბადა ემილია, 1912 წელს. მამის დაპატიმრების შემდეგ, ემილიას დედა, 7 შვილთან ერთად, ოდესში გადავიდა. იქიდან, დამპირავეების რჩევით, ჩაის პლანტაციებში სამუშაოდ, საქართველოში წამოვიდნენ. 1941 წელს, ემილია ბათუმიდან ჯერ ყაზახეთში, შემდეგ კი ციმბირში, მალაროებში სამუშაოდ გაგზავნეს. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, 1956 წლამდე, ემილია ომსკსა და უგლურალსკში ცხოვრობდა. 1956 წელს იგი რუსთაეში, დასთან ჩავიდა; აქნსიაზე გასულამდე, ბულალტრად მუშაობდა ფეროშენანობ ქარხანაში. ემილია გაბრიელი დქორწინებული იყო. დღეს იგი რუსთაეში ცხოვრობს.

### რატომ ჩამოვიდა თქვენი ოჯახი საქართველოში?

მამა დაპატიმრეს და, სადაც, არხანგელსკის ტერიტორიაზე გადაასახლეს, იქ რკინიგზას აგებდნენ. ის იქვე გარდაიცვალა. კოლმეურნეობაში მუშაობის უფლება აღარ გვქონდა და დედა, შეიღ შვილთან ერთად, ოდესში გადავიდა. ყველაფერი წაგვართვეს, ეშიშვილობდით და ამიტომაც წავეით ოდესში. 1936 წელს კი ოდესიდანაც გადაასახლეს გერმანელები. სწორედ ამ დროს ჩვენთან ვიდაც მოვიდა და საქართველოში წამოსვლა შემოგვთავაზა; შეგვიპირდა, რომ აქედან აღარ გადაგვასახლებდნენ. ასე მოეხდით, ბევრ სხვა გერმანელთან ერთად, საქართველოში, მახარამის რაიონში. კოლმეურნეობაში, ჩაის პლანტაციაში ვმუშაობდით. გეინდოდა თუ არა, იქ უნდა გვემუშაუა. სხვა გზა არც იყო – პროფესია არ გვექონდა და რაღაცით ხომ უნდა გვეჩინა თავი?!

### საქართველოში ვინ მუშაობდა ჩაის პლანტაციებში? მხოლოდ გერმანელები?

იქ ბევრი ქართველი ქალი მუშაობდა. ყველა ჩაის ფოთლებს კრეფდა. ჩაის რიგებად ზრდიან; დილიდან საღამომდე მათ შორის უნდა იარო და ხელებით კრიფო, ვიდრე ყველა ახალ ფოთოლს არ მოკრეფ. ჩაი ყოველდღე იზრდება, მეორე დღეს ისევ სამუშაოდ გავდიოდით: ერთ რიგს რომ გაკვივლიდით, მეორეს ვიწყებდით. ზევიდან ორ-სამ ან ხუთ ფოთოლს ეტოვებდით. ჩაის ტომრებში ეაგროვებდით, ვაბარებდით და თვის ბოლოს ზელუფას ვიღებდით. მასსოვს, როგორ

ვერფლით სამ პატარა ფოთოლს, მათგან საგანგებოდ ამზადებდნენ ჩაის ნოზენკლატურისთვის. რა თქმა უნდა, ჩაის ფაბრიკებიც გექონდა. ძნელი იყო ზაფხულში, მთელი დღის განმავლობაში, მზის ქვეშ პლანტაციებში მუშაობა. მეც სხვა სამსახური ვიძოვე, მოლარედ მოვეწყვე.

### **როგორ ცხოვრობდით იქ?**

იმ დროს მალარიის ეპიდემია დაიწყო. ღამით, კოლოების გამო, ძილი შეუძლებელი იყო. მარლის გადასაფარებლებს ვეირივებდნენ, რომ როგორმე დაგვეძინა. ჩემს ძმებს ვერც ამან უშველა, მათ მუშაობა არ შეეძლოთ – ლოვინად ჩაცვივდნენ მაღალი ტემპერატურით. ამიტომაც დედა, ორი ძმა და უმცროსი და ყირიმს გაემგზავრნენ, ჯანკოში ცხოვრობდნენ. როდესაც გერმანელები მოახლოვდნენ, იქ დარჩენის უფლება აღარ მისცეს. ასე მოხდნენ ომსკში. ჩვენ, დები – მე, ლუღმილა, ლიზა და როზა (უფროსი ძმა ცოცხალი აღარ იყო) – საქართველოში დავრჩით.

### **რამდენ ზანს ცხოვრობდით საქართველოში?**

მანარაძის რაიონში, ლაითურის საბჭოთა მურწნობაში ცხოვრობდით. 1941 წელს გაგვასახლეს. ბათუმში მოლარედ ვმუშაობდი. ომი რომ დაიწყო, მახსოვს, თაღაპირველად, აეროდრომის მშენებლობაზე გავვიშვეს; ქვების შეგროვებასა და გადატანაში ეხმარებოდით. 1941 წლის 18 აგვისტოს კი გერმანელების გადასახლების შესახებ ბრძანება გამოვიდა. ჩემს დებს – ლიზას და ლუღმილას – ქართველი ქმრები ჰყავდათ და დატოვეს. მეც მინდოდა დარჩენა, მაგრამ ვერაყინ დამეხმარა.

### **ახლა თქვენს ბავშვობას დაეუბრუნდით. გაიხსენეთ, როგორ ცხოვრობდით, სახლში რა ენაზე საუბრობდით?**

გერმანულად. ჩვენ გერმანულ დასახლებაში დავიბადეთ. კვირაობით გერმანულ ეკლესიაში დავდიოდით და ვლოცულობდით. იქ ძალიან ღამაზი კათოლიკური ეკლესია იყო. მაშინ რუსული საერთოდ არ ვიცოდით, მხოლოდ გერმანულად ვლაპარაკობდით, გერმანულ ტრადიციებს ვიცავდით, სკოლაც გერმანული გვექონდა. იქ დავდიოდი, სანამ იქაურობის დატოვება მოგვიწევდა.

არ ვიცი რატომ, მაგრამ პირველი მე გამომიშვეს და ნიკოლაევიში, უცხო ოჯახს ჩამბარეს. მათთან წელიწადი ვიცხოვრე. ჩვენების ოდესაში გადასვლის შემდეგ, მეც დედასთან წვედი. იძულებულები გავხდით, ყველას სხვადასხვა ადგილას გვეცხოვრა, სამუშაო ადგილის მიხედვით; ვიღაცებს სახლის დალაგებაში ვეხმარებოდით, ბავშვებს უუვლიდით. მძიმე დრო იყო. რუსული ნიკოლაევიში ვისწავლე და, ოდესაში რომ ჩავედი, უკვე ვიცოდი.

### **განათლება თუ მდიდრე?**

იმ პერიოდში არ გვექონდა სწავლის საშუალება. ბათუმში პატარა ბუფეტი მქონდა, მისი გამგე ვიყავი. იქიდანაც გადაგვასახლეს.

### **როგორ გადავასახლეს?**

ბათუმში მატარებელში ჩავჯექი. ლაითურთან გაუჩერდით, გადმოვიხუდე და... ჩემი და! ერთ ვაგონში ჩავსხდით. გზაში ბევრი გერმანელი ამოიყვანეს. ბაქომდე მთელი ეშვოლი შეგროვდა. ბაქოში გადმოვკვსხეს და გემზე ავიყვანეს; კასპიის ზღვა გადავცურეთ და კრასნოვოდსკში ჩავვლით. იქ იბდენი სატვირთო მატარებელი დაგვხვდა, შემზარავი სანახაი იყო. რუსეთიდან და სხვა ქვეყნებიდან უამრავი ადამიანი იყო ევაკუირებული, მათ შორის – ბევრი ებრაელიც. ისინი ვაგონებში იდგნენ, ყვიროდნენ და ჩამოსვლის ეშინოდნენ. რომ ჩამოვდილი, დანახეს და თავიდან გაბედეს. მე და ჩემი და ერთად დავერჩით. ვილაყამ თქვა: აქ სადღაც პურს ყიდინაო. ცოტა ფული გექონდა და პურის საყიდლად ხან მე, ხან ჩემი და მივიდიოდი (ჩემოდნები რომ არ მიგვეტოვებინა). ძლიერი ქარი უბერავდა და ისე გვაყრიდა სილას თვალგზი, რომ ვეღარ ვახვლით. რაიმეს დანახვა რომ შეგვეძლებოდა, იძულებულები გავხდით, ნაჭერ შემოხვეული სათვალეები გვეყიდა.

უფანჯრო სატვირთო ვაგონებში ჩავგსხეს. მათ „ხბოს ვაგონებს“ ეძახდნენ. მატარებელი დიდხანს არ დაძრულა ადგილიდან. არავინ იცოდა, სად მივყავით. მოგვიანებით გაივიგე, რომ „ველიკაია ალექსეევკაში“ გავემგზავრეთ. იქ, ღამით, მატარებელს ყარაულობდნენ. ცხენებ-შებმული საზიდრები იდგნენ.

ჩემოდნები და საბნები ავიღეთ (თან გექონდა) და ფურგონზე ავიდით. მეორე ფურგონით ბათუმელები გამოგვეყენენ. რომელიღაც კოლმეურნობაში მიგვიყვანეს და გვიბრძანეს, ჩამოესულიყავით. ღამე იყო, ბნელოდა, კაციშვილი არ ჭაჭანებდა. მხოლოდ უკარფანჯრო კედლები დაგვხვდა. შევედი და – ჭერიც კი არ იყო. ბათუმელების ოჯახთან ერთად ჩავკეცეთ. ქმარი, ცოლი და სამი ვაჟიშვილი იყვნენ. რაღას ვიზამდით? ისინი წაივინდნენ, ჩალა მოიტანეს და მიწის იატაკზე დაყარეს. ჩვენც საწოლები მოვამზადეთ, საბნები მიწაზე დავაფინეთ და დილაზე გვიძინა. დილით თავმჯდომარე მოვიდა. ავივქით და ვუთხარით: აქ ვერ კარგობრებთო. მან ერთ პატარა მიწურზე მივიტოთა. არც მას ჰქონდა ფანჯრები, თუმცა, კაცი კი იყო; მიწის იატაკი ჰქონდა, ჭერის მაგივრობას სახურავი გვიწევდა. ყველაფერი შავი იყო: მიწაზე ღრმულებს თხრიდნენ და შიგ ცეცხლს ანთებდნენ. ამ კოლმეურნობაში ბამბა უნდა გვეკრიფა. ვცხოვრობდით ერთ პატარა, ალბათ, ჩემი სამზარეულოსხელა ოთახში (შეიძლება, უფრო პატარაშიც კი).

მიწაზე ძილი შეუძლებელი იყო. ჩემი და წაივინდა და, ბევრი ძებნის შემდეგ, საწოლის „ჩინჩი“ იპოვა; სადღაც მათულისავე მივაგენით და ნაწილები ისე გადავადებით, რომ მასზე მუყაოს დავუნა შევკვდივოდა; ზემოდან მატრასები დავაწყვეთ და ვიწრო საწოლიც მზად იყო. მე და ჩემს დას ერთად გვიძინა. საჭმლის მომზადება რომ შეგვეძლებოდა, ქვაბების დასაწყობად პატარა მაგიდაც გვაქყოფო.

### **რა სამუშაოს ასრულებდით?**

დღისით ბამბას ვკრეფდით. წინსაფრები დავეკრივეს, მათ ბამბით ვაკესებდით და ვაბარებდით; იწერდნენ, რამდენსაც დავკრეფდით.

### **შრომას თუ გინაზღაურებდნენ?**

არავითარი ფული. ზოგჯერ, ფქვილსა და ოსპს გვაძლევდნენ. სანამ ფული გექონდა, ბაზარში დავლიდით, სტაფილოსა და ხახვს ყვიდულობდით. შემოდგომაზე ბამბა დამთავრდა და საკმეც აღარ გექონდა. თავმჯდომარემ აღმრიცხველად მიმიწვია ტრაქტორისტთა ბრიგადაში. მინდორში პატარა ქოხი იდგა, რომელშიც საღამოობით აღერიცხავდი, თუ რამდენი მოხსნეს. იქ ყაზახი მზარეული ქალი ცხოვრობდა, რუსული არ იცოდა. თავიდან არ ვიცოდი, რომ საკვებს ცხენის ზორცისგან ამზადებდა; გარდა ამისა, რაღაც ნამცხვარს აცხობდა და ფიანლებში უმაქრო ჩაის გვისხამდა. ორი ტრაქტორისტიდან ერთი გერმანელი იყო. ის ნამცხვარს და ჩაის იღებდა, მაგრამ ზორცს პირს არ აკარებდა. ეს რომ დავიჩანე, მეც აღარ ვუკმდი ზორცს.

### **იმ კოლმეურნეობაში გაატარეთ მთელი წლები?**

არც კი გამოგვიზამთრებია; არც საჭმელი გექონდა, არც სამუშაო და, ამიტომაც, სხვა კოლმეურნეობაში გადავედი. იქ სულზე 600 გრამ პურს გვაძლევდნენ და შუადღისას, მინდორში, რკინის ჯაბით წვნიანიც მოქონდათ. „სუპს“ უძახდნენ, თორემ... სუთი ადამიანი ამ ერთი ჯაბიდან ეჭამდით, ჩვენ-ჩვენი კოვზებით.

### **მოგცეს იქ დარჩენის უფლება?**

არა, ციმბირში გაგვგზავნეს. ნოვოსიბირსკამდე რომ მივედი, გადმოვცხსეს და 9 დღე-ღამე სადგურში გაატარეთ. გარეთ 40 გრადუსი ყინვა იყო, მაგრამ სადგურში თბილოდა, ცენტრალური გათბობა ქონდათ. საკვებს არ გვაძლევდნენ და ჩვენი ფულით ყვიდულობდით. ხელით, ნიჩბებით, ვავონის ნახშირით დატვირთვა გვიბრძანეს. მაშინ ორთქვალებით მგზავრობდნენ, ელმაგალი ჯერ კიდევ არ არსებობდა და უნახშიროდ გზას ვერ განაგრძობდით.

არ მივეყარს ამ ყველაფრის გახსენება... ჩემები არ გექონდა, მხოლოდ ფესსაცემლები და ნახევარჩემები გვეყვა. სანამ ვაგონში ნახშირი გადაგვექონდა, ფესები სულ გამყინა. ნოვოსიბირსკიდან ომსკში გაგვამგზავრეს. ქალმა, რომელსაც მივეყადით, ტყაპუჭი მოძეა, მაგრამ ფესები მაინც ვერ გავიტოვე. მან პირდაპირ იმ სახლში მიგვიყვანა, სადაც დედა ცხოვრობდა – მისამართი ვიცოდი. უმცროსი და შეგვეყება. დედა და და რუსეთთან ცხოვრობდნენ, ნაბდის ჩემები და რუსული ღუმელი ქონდათ. ჩემი ორი ძმა უკვე გაგვზავნათ შრომით ბანაკში, სვერდლოვსკის მახლობლად, ტიაგაში. დამ ჩემები გამომიტანა, მაგრამ ფესების განძრევაეც არ შემიძლო; ისე გამეყინა, ფურგონიდან ვერ გადმოვიდი. როგორმე სახლში რომ შევსულიყავი, ჩემმა დამ ფესსაცემლები გამაზადა და ჩემები ჩამაცვა.

### **რამდენი ხანი დარჩით ციმბირში?**

ციმბირში 1942 წლის ზამთარში ჩავედი. გაზაფხულიდან შემოდგოამდე კოლმეურნეობაში ვმუშაობდით, კიტრი მოგვეყავა. ამის შემდეგ შრომით არმიამი გაგვამწესეს. მობილიზაცია რომ დაიწყო, უფროსი და სახლში არ იყო. ასე რომ, იქ მხოლოდ მე და ჩემი უმცროსი და

გაგებ ზაენეს. კომის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაგვიყვანეს, სადაც 40-50 გრადუსი ყინვა ღაგებჲდა. იქ ჯანმრთელობისთვის მავნე წარმოებაში გვაძუშავეს.

### **სად მუშაობდით?**

ეს საიდუმლო იყო. ჩვენ იმის დამადასტურებელი დოკუმენტებიც კი არ მოგვეცეს, თუ სად ემუშაობდით და რას ვაკეთებდით. მაშინ ეს დიდი საიდუმლო იყო, განსაკუთრებით – გერმანულ-ბისტისთვის. მიწიდან ფანჯიანი, ჭუჭყიანი წყალი ამოდიოდა. იქვე დიდი ღუმელები და ტაფები ჰქონდათ. ამ წყალს ტაფებში ვასხამდით და ღუმელებში ეღვამდით; შრებოდა და მისგან ფზენილი რჩებოდა. მას კიდევ სადაღაც ამუშავებდნენ, ვიღრე 1 გრამს არ მიიღებდნენ. 1 გრამი 15 000 მანეთი ღირდა. ეს ძალიან მავნებელი, მაგრამ ძვირადღირებული სამუშაო იყო. ვერ გეტყვით, რას აწარმოებდნენ. ამის თქმა გვეკრძალებოდა, დღესაც კი აკრძალულია.

### **რამდენი ხანი დაჰყავით იქ?**

ორი თუ სამი წელი, ზუსტად არ მახსოვს. თითქმის ყველაფერი დამავიწყდა. შემდეგ იქ კორეელები ჩამოიყვანეს და მათ შევეცეაღეს.

### **იქიდან სად გადაგიყვანეს?**

გამგზავრების უფლება რომ მოგვეცეს, ომსკში, დედასთან დაებრუნდით. ჩვენი ძმები ქვანახ-შირის მადარობში მუშაობდნენ. ეს ძმბმე და ცუდი სამუშაო იყო. თითქმის არაფერს აჭმევდნენ და დასივდნენ; შემდეგ, უგლურაღსკში გადაიყვანეს, ისევ შახტებში. მათ დედაც წაიყვანეს. მე და ჩემი დაც იქ ჩავედით. 1956 წლამდე, ჩვენს განთავისუფლებამდე, იქ ემუშაობდით. ბოლოს კი საქართველოში ჩამოვედით, რადგან ჩემი და რუსთავეში ცხოვრობდა.

### **მთელი ოჯახით დაბრუნდით?**

არა, უმცროსი და არ წამოვიდა, კორეელს გაჰყვა ცოლად და მასთან ერთად ყაზახეთში წაი-და. იქ გარდაიცვალა. მისი შვილიშვილი გერმანიაში ცხოვრობს. სამწუხაროდ, ზუსტად არ ვიცი, სად.

### **რას საქმიანობდით რუსთავეში ჩამოსვლის შემდეგ?**

ქენსიაზე ვასვლამდე, ბულალტრად ემუშაობდი რკინა-ბეტონის ქარხანაში.

### **სად და როდის გაიცანით თქვენი მეუღლე?**

ის ჩვენი სოფლიდან იყო, ჩვენი დაბადების ადგილიდან. ისიც ყაზახეთში გადაასახლეს და ვიღაცისგან გაიყო, რომ რუსთავეში ეცხოვრობდით. დედაჩემს წერილებს სწერდა. მოგიანებთ, მისი მეუღლისა და დედაჩემის გარდაცვალების შემდეგ, ჩვენ გაავარძელეთ მიმოწერა. სტუმრად ჩამოსვლის ნებართვა მთხოვა. ჩამოვიდა და დავქორწინდით. სამწუხა-როდ, დიდხანს არ ვყოფილვართ ერთად, ორი წლის შემდეგ ისიც გარდაიცვალა.

### **რა ერქვა?**

ოტო კუპერი. სხვათა შორის, გერმანელებმა გაასახლეს სოფლიდან; ოღესაში იყო, როცა იქ შევიდნენ და გერმანიაში გაეზავენეს, შემდეგ ისევ უკან დააბრუნეს. ასე მოიქნენ გერმანელები.

### **თუ გსურთ გერმანიაში საცხოვრებლად წასვლა?**

შეცდომა დაეუშვი, ჩემი ქმრის სიცოცხლეში რომ არ წავედი. ის ბევრს ლაპარაკობდა ნათესავეებსა და ნაცნობებზე, რომლებიც გერმანიაში წასვლას აპირებდნენ.

ჩემი ქმარი ფანატიკოსებს ეძახდა მათ; მეკითხებოდა: რატომ უნდა წავიდე გერმანიაში? აქ რა, ცუდიაო? კარგი იქნებოდა, მაინც რომ წაესულიყავი. ახლა კი, სად უნდა წავიდე? უკვე 90 წელი მისრულდება.





## მარია კოშვაანი

მარია კოშვაანი 1894 წელს დაიბადა ბიბერახში, კაპიტალისტების ოჯახში. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ცოლად გააყვია ელექტროინჟინერ კარლ ვიხმანს და კილში დასახლდა. 1924 წელს, სამსახურის გამო, კარლ ვიხმანი ღრეზდენში გადავიდა. გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ, მას ოჯახის წაყვანაც სურდა, მაგრამ ვერ მოახერხა. 1925 წელს, ქმრის არყოფნის პერიოდში, ფინანსური პრობლემებიდან გამომდინარე, მარია იძულებული გახდა, თავისი ბინის ორი ოთახი გაეჭირავებინა. ოთახები იჭირავა ლევან ლეონიძემ (დაბ. 1893 წელს), რომელიც ასევე დაქორწინებული იყო. იგი

საქართველოს განათლების კომისარიატმა გაეზავნა კილში, სადაც პაქტოროლოგიურ ინსტიტუტში, დოქტორ პენებერგის ხელმძღვანელობით, რძისა და რძის პროდუქტების მიკრობიოლოგიის საკითხებს იკვლევდა. მარიასა და ლევანის მეგობრობა სიყვარულში გადაიზარდა და ისინი, მეუღლეებთან განქორწინების შემდეგ, შეუღლდნენ.

მარია ჯერ ლენინგრადში, იქიდან კი თბილისში წამოჰყვია ქმარს. მათ ორი შვილი შეეძინათ: ლილი (1929) და ლევანი (1934). 1929 წელს ლევან ლეონიძე სახელმწიფო ევტერინარული ინსტიტუტის დირექტორი ხდება; 1932 წელს კი – ზოოლოგიურ-ევტერინარული ინსტიტუტის (რომლის ერთ-ერთი დამაარსებელიც იყო) დეკანი. 1936 წლის ბოლოს, იგი დააპატიმრეს; მას კაპიტალისტებთან მეგობრობისა და კაპიტალისტის ქალიშვილის ცოლად შერთვის გამო, მოღალატეობასა და ხალხის მტრობაში დასდეს ბრალი.

მარია მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში ქონდა ქმართან მიმოწერის უფლება, რის შემდეგაც მათ შორის ყოველგვარი კონტაქტი შეწყდა. ოჯახს დღემდე არ მიუღია ლევან ლეონიძის დაღუპვის ცნობა. 1941 წელს, მარია, შეიღებოთურთ, გადაასახლეს ყაზახეთში. საქართველოში ლევანის ძმის, გიორგი ლეონიძის დახმარებით დაბრუნდა. იმის გამო, რომ თბილისში ცხოვრება აუკრძალეს, კახეთის სოფელ პატარძელში, ქმრის მშობლიურ სახლში გადავიდა. მარია, წლების განმავლობაში, შიშის ქვეშ ცხოვრობდა – სოფლის მაცხოვრებლები მას გერმანელ ფაშისტად აღიქვამდნენ და შესაბამისადაც უყურობოდნენ. 50-იან წლებში მარიას დასავლეთ გერმანიაში გამგზავრების უფლება მისცეს, რაზეც უარი განაცხადა; იგი დარწმუნებული იყო, რომ ქმარი დაბრუნდებოდა და საქართველოში დარჩა. მარია მ თავისი ცხოვრების ისტორია დაწერა შეიღებისთვის და, დევნით შემინებულმა, დაწვა ადრინდელი წერილები და

დღიურები. იგი 1961 წელს, თბილისში, ისე გარდაიცვალა, რომ ქმრის შესახებ არაფერი იცოდა.

ლილისთვის გერმანული ენა იყო მშობლიური – ამ ენაზე აღიზარდა. რაც შეეხება მოგვიანებით დაბადებულ ვაჟიშვილს, დედამ მისი უსიამოვნებებისგან დაცვა გადაწყვიტა – 40-იანი წლების საქართველოში გერმანელები ღვეანს განიცდიდნენ. ლილი უნაფქო შეიღმა (ამ ევარზე მოგვიანებით გადავიდა) გერმანული ენის ფაკულტეტი დაამთავრა და უცხო ენების ინსტიტუტში მუშაობდა.

ლილის ქალიშვილი, მათა, 1958 წელს დაიბადა. მათასთვისაც გერმანული იყო მშობლიური ენა. მან, დედის სურვილისამებრ, აღმოსავლეთ ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტი დაამთავრა და მოსკოვის ლინგვისტიკის ინსტიტუტში დაიცვა დისერტაცია. მას შემდეგ, მათა უნაფქო შეიღი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და გოეთეს ინსტიტუტში მუშაობს. მისმა ძმამ, მამუკამ, 1993 წელს იქორწინა გერმანელზე. იგი პროფესიით ფსიქიატრი იყო და კიოლნთან, ციულაიხში მუშაობდა. მამუკა უნაფქო შეიღი ავტოკატასტროფაში დაიღუპა.



ლკან ლეინიძე

### ნაწყვეტები მარიას დღიურებიდან და წერილებიდან (ორიგინალი):

ერთი კვირის შემდეგ, გაზეთში კიდევ გამოქვეყნდა განცხადება იმის თაობაზე, რომ შილერ-შტრაასეს N11-ში 2 ოთახი ქირავდებოდა. მეორე დღეს ორი ბატონი მოვიდა. ერთი მაღალი იყო, მეორე – დაბალი, გერმანელებს არ გაუდნენ. დაბალმა მკითხა, თუ სად ქირავდებოდა 2 ოთახი. მათ ოთახი ვაჩვენე. ბევრ რამეზე ვისაუბრეთ. მითხრა, რომ ოთახი მის მეგობარს (მალალს) სჭირდებოდა, თაყად კი ბერლინში ცხოვრობდა და მეორე დღეს მიემგზავრებოდა. მალალს სიტყვაც არ უთქვამს, ერთმანეთში უჩვეულო ენაზე საუბრობდნენ, ეს არც ფრანგული იყო და არც ინგლისური. მიაბბო, რომ ორივენი საქართველოდან, თბილისიდან იყვნენ. თვითონ, რამდენიმე წელი იყო, რაც ბერლინში ცხოვრობდა. ის საკმაოდ კარგად ფლობდა გერმანულს. აი მაღალმა, შავგერემანმა, კი მხოლოდ ცოტაოდენ იცოდა ენა. ის მღუპარულ იყდა და თუალს არ მაცვილებდა. დაბალი ბევრს ლაპარაკობდა. როგორც მან მითხრა, მისი მეგობარი აქ, ბაქტერიოლოგიურ ინსტიტუტში, პროფესორ ჰენებერგთან სწავლობდა და ამიტომაც ექვება ბინას: შეგიძლიათ, პროფესორ ჰენებერგს ჰკითხოთ ჩემი მეგობრის შესახებო. შემდეგ, ოთახის ფასი მკითხა. 100 მარკა-მეთქი რომ ვუთხარი, მისმა მეგობარმა მასწინე განაცხადა, რომ ოთახს

იჭირავენ და, იქვე მომცა პირველი თვის ქირა და მითხრა, რომ ბარგს მეორე დღეს მოიტანდა. ძალიან გახარებული ვიყავი, რომ უკვე მქონდა ფული. ამ ამბის მოსაყოლად ჩემი მეუღლის მშობლებთან წავიქედი.

ასე მოხდა ჩემს სახლში კაცი, რომელიც ჩემი ბედისწერა უნდა გამხდარიყო. რატომ უნდა ჩამოსულიყო ასე შორს მყოფი ადამიანი კილში სწორედ იმ დღეს, როდესაც ჩემი განცხადება იყო გახუთი? იმ უამრავი ოთახიდან, რომლებსაც ეს განცხადებები სთავაზობდა, რატომ მოხდა, მაინცდამაინც, ჩემს ბინაში? რატომ არ იყო ჩემი ქმარი სახლში სწორედ მისი ჩამოსვლის დღეებში? სწორედ მაშინ რატომ მოვიხდომე ოთახების გაქირავება, მანამდე ხომ არასდროს მიფიქრია უცხო ადამიანის სახლში შემოსვლაზე? გერმანიაში ხომ ბევრი უნივერსიტეტია – რატომ ჩამოვიდა მაინცდამაინც კილში?

ღამთხვევაა თუ ბედისწერა ეს ყველაფერი?

ღარწმუნებული ვარ, ყველაფერი ასეც უნდა მომხდარიყო, ასე გვეწერა ორივეს. ერთმანეთის ბედი ვიყავით. მაღლობა ღმერთს, რომ ძალა გვეყო ყველა წინააღმდეგობის გადასალახავად და, ამდენი ბრძოლის შემდეგ, საბოლოოდ, მაინც გავერთიანდით. ვუიქრობ, ყოველი ადამიანის ცხოვრებაში დგება წუთი, როცა ბედნიერება ძალზე ახლოსაა – მხოლოდ ხელი უნდა სტაყო. მაგრამ, ადამიანების უმრავლესობას არ აქვს ძალა მის დასანახად და შესაცნობად, არც ენერჯია და სიმამაცე იმისთვის, რომ ყველაფერს, რაც მანამდე ყოფილა მათ ცხოვრებაში, ხაზი გადაუსვან ამ ბედნიერებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ მებრძოლი ბუნების არ ვარ, მაინც მეყო სიმამაცე ამისთვის. მაგრამ, ბევრი უსამართლობაც ახლდა ამ ყველაფერს – უსამართლობა ჩემი ბავშვების მიმართ.

მაგრამ, ჯერ თხრობას გაევადრძელებ.

მეორე დღეს, უცნობი თავისი ჩემოდნით მოვიდა და ჩემს ბინაში მდგმურად დასახლდა. თავიდან სულაც არ მსიაზმუნებდა ის, რომ ღერეფანში უცხო კაცს უნდა შეეხვედროდი. თუმცა, ზშირად არც ვხედავდი – მთელ დღეებს თავის ოთახში, წერასა და კითხვაში ატარებდა. მას საცხოვრებელი და საძინებელი ოთახები დაეუთმე. იქიდან ჩემი საწოლი გამოვიტანე და, შეიღებთან ერთად, მათ ოთახში მემინა. პირველი კვირეების განმავლობაში, იშვიათად თუ გამოველაპარაკებოდით ერთმანეთს, ისიც დერეფანში შეხვედრისას. სხვა მხრივ, საერთოდ არ ვაქტვედი ყურადღებას. ოთახს ჩემი შინამოსამსახურე ულაგებდა, საჭმელად კი რესტორანში დადიოდა. ასე ცხოვრობდა ჩემს ბინაში ბატონი ლეონიძე, რომელიც თბილისიდან ჩამოსულიყო პროფესორ პენებერგთან, ბაქტერიოლოგიურ ინსტიტუტში, სამუშაოდ. მან ძალიან ცუდად იცოდა გერმანული. ჩემი მამაპთილი პროფესორ პენებერგთან მივიდა ამბის საკითხავად. მან უთხრა: ბატონი ლეონიძე წესიერი და ჭკვიანი ადამიანია, სახელმწიფომ გერმანიაში სასწავლებლად გამოაგზავნა და თბილისიდან ყოველდღიურად იღებს ფულს, ასე რომ, ქირის გადახდა ნამდვილად შეუძლიაო. მის შესახებ მეტი არაფერი ვიცოდი.

იმხანად, მეც იშვიათად ვიყავი სახლში. მშვიდად ვერ ვჩერდებოდი, მოსვენება არ მქონდა, ბავშვებს მოსამსახურე არ აკლებდა ყურადღებას. ხანდახან, წერილებს ვიღებდი ჩემი ქმრისგან – მოსწონდა ღრეზღენში ყოფნა და იმედოვნებდა, რომ მეც მალე ჩავიდოდი. უცნაური იყო – მიუხედავად იმისა, რომ ძალიან კარგ წერილებს მწერდა, ვერანობი, აღარ მიყვარდა. თუმცა, ჩემი მისდამი სიყვარული არც არასდროს ყოფილა ძალიან ძლიერი. ხშირად მესმოდა, თუ როგორ მღალატობდა ჩვენი შეიღწეიანი ქორწინების განმავლობაში და ის მცირედი სიყვარულიც სრულიად ჩამიჭრა. ღრეზღენში მასთან წასვლის, იმ უცხო ადამიანებთან ყოფნის არანაირი ხალისი არ მქონდა. თუმცა, მანამდე ჯერ კიდევ ბევრი დრო იყო.

საღამოებს, უმეტესად, მეგობრებთან და ნაცნობებთან ვატარებდი. ერთ საღამოს კი ძალიან წვიმდა და სახლში დავრჩი. კარზე კაკუნი გაისმა და ბატონმა ლეონიძემ მკითხა, თუ შეიძლება, რომ ერთი წუთით შემოსულიყო. მას ხელში წიგნი ეჭირა და მიხზოვა: რამდენიმე წინადადება არ მესმის და იქნებ ამისხნაოთ. სიტყვების მნიშვნელობა აუხსენი და ისეც გავიდა – არ ვიყავი მასთან საუბრის ხასიათზე. რამდენიმე დღის შემდეგ, ისეც მოვიდა და სხვა რაღაც მკითხა. ცოტა ხანს ვისაუბრეთ, დამტკრეული გერმანულით რას აღარ მიყვებოდა თბილისის შესახებ. ისე მოხდა, რომ საღამოობით უფრო და უფრო ხშირად ვისხედით ერთად და სხვადასხვა რამზე ვსაუბრობდით. ის ყოველთვის ზრდილობიანი და თავდაჭერილი იყო, ერთი ზედმეტი სიტყვაც არ უთქვამს. მაგრამ ზამთრის საღამოები ძალიან გრძელია და ჩვენც უფრო დიდხანს ვისხედით ხოლმე ერთად. მაშინ თავში აზრადაც არ მომსკვია, რომ ის ჩემში უბრალო ნაცნობზე, თავის დიასახლისზე მეტს ხედავდა. და აი, ერთ მშვენიერ დღეს, უფრო სწორად – საღამოს, სახლში დაბრუნებულს ჩემს მაგიდაზე წერილი დამხვდა. გაეხსენი და ლექსი იყო. არა, ლექსი კი არა – პროზა, მაგრამ მხოლოდ პოეტს თუ მოაფიქრებოდა ეს სიტყვები. „სასიყვარულო ბარათი“ – ეწერა ზემოდან. ხელმოწერა არ ჰქონდა, მაგრამ მივხვდი, რომ მხოლოდ ბატონი ლეონიძისგან შეიძლება ყოფილიყო. ისეთი ლამაზი სიტყვები იყო, რამდენჯერმე წაიკითხე. მივიკრდა, საიდან მოიტანა ეს გერმანული სიტყვები, თანაც უშეცდომოდ ეწერა (მოგვიანებით გავიგე, რომ მან რუსულად დაწერა ბარათი და გერმანულად ერთმა რუსმა უთარგმნა, რომელიც პროფესორ პენებერგთან მუშაობდა მრავალი წლის განმავლობაში.) მეორე დღეს წერილი ჩემს მეგობარ გრეტასთან წავიღე, ერთად წვაიკითხეთ და ბევრი ვიცინეთ. მაგრამ, როგორც ყველა ქალს, მეც მესიამოვნა, რომ ასეთი ლამაზი სიტყვები მომიძღვნეს. თავად ბატონი ლეონიძე ძალიან მომწონდა, მაგრამ – მეტი არაფერი. ის ჭკვიანურად და კარგად მსჯელობდა. ძალიან მეცოდებოდა, მარტო რომ იყო უცხო ქვეყანაში.

მას შემდეგ, ხშირად იღო ასეთი წერილი ჩემს მაგიდაზე. მეორედ აღარ ვამიცინია და არც ჩემი მეგობრისთვის მიჩვენებია. შემდეგ კი მომდევნო წერილს ეულოდებოდი და მიხაროდა, მაგიდაზე თუ დამხვებოდა.

შობას დედამთილ-მამამთილი მესტუმრა, კარგი ვახშაში მოვაშხადა და ბატონი ლეონიძე დაეპატივე. ბავშვებს ახარებდათ ლამაზად მორთული ნაძვის ხე. უფროსებს არც ისე მხიარული განწყობა ვკვირნდა – ყველას თავისი საფიქრალი და ღარი აწუხებდა. ჩემი ქმრის მშობლების წასვლისა და ბავშვების დაძინების შემდეგ, კიდევ დიდხანს ვისხელით მე და ბატონი ლეონიძე. მკითხა, რატომ ვიყავი ასე მოწყენილი და რა მატირებდა. ხშირად მხედავდა ნამტრიალევს. იმ საღამოს განსაკუთრებით მარტოდ და მიტოვებულად ვგრძნობდი თავს. შობის საღამო ხომ ჩვენთვის, გერმანელებისთვის, ის საღამოა, როდესაც ძალიან გიმნულდება მარტობა, ის, რომ არავის უყვარხარ და სიყვარულით არავინ გიკეთებს საჩუქარს. ჩემი შვილები ვერ კიდევ პატარები იყვნენ, მამაჩემი შორს იყო, ქმარი – სხვა ქალაქში და, ალბათ, არც ფიქრობდა ჩვენზე. გული ბრანით, მისდამი ზიზლით მქონდა საეხე, ზოგჯერ კი ამასაც არ ვგრძნობდი – ის ჩემთვის უცხო კაცით სულერთი გამხდარიყო. აქ კი ბატონი ლეონიძე იყო, რომელიც აღერსიანი სიტყვებით მიზოვდა, სადარდებელი გამეზნოდა. მეც ვერ გაკეპელი და ყველაფერი ეუბამე. იმ საღამოს პირველად მიზხრა (რაც უკვე მისი წერილებიდანაც ვიცოდი), რომ ყველაფერზე მეტად უყვარდა და ჩემი ცოლად შერთვა, თბილისში წაყვანა სურდა; რომ თბილისში ბეუღლე ჰყავდა, რომელიც არ უყვარდა, რომ განქორწინებას აპირებდა და მიზოვდა, თან წაყვარდოდი. გაოცებული ვუსმენდი, დარწმუნებული ვიყავი, რომ მსგავსი რამ შეუძლებელი იყო. როგორ უნდა მიმეტოვებინა ყველაფერი და გაეყოლოდი უცნობ კაცს უცხო ქვეყანაში, რომლის ენაც არ ვიცოდი? როგორ უნდა მეცხვოვრა მასთან ერთად სრულიად უცხო გარემოში? როგორ შემეძლო ჩემი შვილებისთვის ასეთი გაურკვეველი მომავლის შექმნა? მათ გარეშე ხომ არასდროს არსად წავიდოდი. რას იტყოდა მამა, ჩემი ძმა, ნათესაეები და მეგობრები? ეს ყველაფერი ძალზე რთული და წარმოუდგენელი იყო. რაიმე მსგავსზე ფიქრიც კი შეუძლებლად მიმაჩნდა. შეიძლება, ეს კაცი ძალიან რომ მეყვარებოდა, ეს სიბნელებიც არაფრად მომჩვენებოდა, მაგრამ ასე ძლიერადაც არ მიყვარდა. უბრალოდ, მომწონდა, როცა ასე თბილად მესაუბრებოდა. გულს მეფონებოდა, რომ ვიღაცას ასე უყვარდი და მისთვის ყველაფერი ვიყავი, მაგრამ მასთან ერთად თბილისში წასვლას ნამდვილად ვერ გადავიწყვეტდი.

მეგონა, მაღე დრეზდენში წავიდოდი, ამ ქართულსაც დავივიწყებდი და ამ ბენდიერი დროის შესახებ მხოლოდ ლამაზი მოგონებები დამრჩებოდა. ამასთანავე, ქმრის ჯიბიდან მქონდა: თუ მას შეეძლო ადენი ქალის შეყვარება და დრეზდენში, მარტოდ მყოფსაც, იქ ვიღაც ჰყავდა, ერთხელ მეც რატომ არ უნდა მეყვარებოდა სხვა კაცი?! მეც მასავით მქონდა ამის უფლება. პატივებს არ ვითხოვ, მაგრამ ეს არ იყო კარგი აზრი – ბავშვებზე უნდა მეფიქრა და ბატონი ლეონიძე სასლიდან მიმბრძანებინა.

მაგრამ, აკრძალული სიყვარული ხომ ტკბილია!

ვგრძნობდი, ჩემი მხრიდან არ იყო ნამდვილი სიყვარული. სანამ მასთან ვიყავი, მსიაოვნებდა, რომ ყოველდღე ეხედავდი, როდესაც მოცინდა და მეალერსებოდა, ბენდიერად ვგრძნობდი თავს. მაგრამ ემიზნობდი, რომ განმორების შემდეგ, ადვილად დამაიწყებოდა. კარლ ე. წერილებს

მიგზავნიდა, მე კი მათ იშვიათად და მოკლედ ეპასუხობდი. ის მწერდა, რომ ახლა კარგი მდგომარეობა ჰქონდა და, როცა შესაფერის ბინას იპოვიდა, ბავშვებთან ერთად, ღრუზდენში უნდა წავსულიყავი.

ბინის პოვნა გაჭიანურდა. გადაეწვივებოდი, ღრუბით ორი, აუჯიტი გაწვრილი ორი ოთახი გვექირავა და მთელი ჩვენი აუჯიტი კილში დაგვეტოვებინა. ბინის მყიდველიც ვიპოვე – გზაზე-რობისთვის ფული მჭირდებოდა.

ასე დადგა ის წუთი, როცა კილი უნდა დამეტოვებინა.

15/4

ლევანი და მე ძალიან განვიცდიდით. თუმცა, ერთხელ სადღაც წაიკითხე: ნამდვილ, ჭეშმარიტ სიყვარულს საყვარელი ადამიანისგან შორს ყოფნა აძლიერებს, სუსტ სიყვარულს კი უფრო ასუსტებს და, საბოლოოდ, აქრობსო. მეც მინდოდა, ჩემი სიყვარული გამომეცადა: იქნებ, დამეიწყებოდა, როდესაც ღრუზდენში, მისგან შორს ვიქნებოდი და კვლავ ვნახავდი. ეს კარგიც იქნებოდა, მასაც დაევიწყებოდი, თბილისში, ცოლთან დაბრუნდებოდა და თავისი „ღვლიკოს“ გარეშე, ბედნიერად იცხოვრებდა. ბავშვები ყოველთვის „ღვლიკოთი“ მომმართავდნენ და ისიც ასე მეძახდა. „მარიათო“ არ მომმართავდა, ამბობდა: „შენ ხარ ჩემი საყვარელი და დედაც, შენს გარდა აქ, გერმანიაში, არაფერს მყავს. ღრუზდენში რომც წახვიდე, მაინც ჩემი ცოლი გახდები. არ მიგატოვებ და იქაც ვიპოვი. ტყუილად მიდიხარ ჩემგან შორს, მე და ჩემს სიყვარულს ვერასოდეს დაივიწყებ.“

არც ჩემს თავს ვენდობოდი და არც მას. ეფიქრობდი: ისიც ისეთივეა, როგორც ყველა მამაკაცი; თავიდან ცოტა მოწყენილი იქნება, მერე – დაევიწყებები, ბოლოს კი, შეიძლება, ისიც იფიქროს, მადლობა დმერთს, არ წამომყვია, ჩემსავით ჭკვიანი იყო და კიდევ უფრო გონიერიც.

ასე რომ, ჩვენი გამგზავრებისთვის ვემზადებოდი.

15/4/49

ამ რვეულში იმ პერიოდის შესახებ ვწერ, როცა ძალიან უბედური ვიყავი და ძალიან მიჭირდა. მიკვირს, როგორ გადავიტანე ეს ყველაფერი.

მე არც მებრძოლი ბუნების, ენერგიული ვიყავი, არც – თავნება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ჩემი ქმარი მელაპარაკებოდა. ისე მიმტკიცებდა შავზე თეთრიაო, რომ ბოლოს მეც ეუჯერებდი: კი, შავი თეთრია-მეთქი. მაგრამ იმ თვეებში, როდესაც ასე საყარდენგამოცლილი, მიტოვებული და უბედური ვიყავი, ლევანისადმი ჩემმა სიყვარულმა ძლიერი გამძადა, ნებისყოფა შემძინა და, მიუხედავად ათასი წინააღმდეგობისა, საკმარისი ძალაც ვიპოვე ჩემი ბედნიერების მოსაპოვებლად. ლევანი მართალი აღმოჩნდა – ვერ შევძელით ერთმანეთის დაივიწყება.

12/10/50

ძალიან კარგად მახსოვს, 1926/27, ახალი წლის დამე. ჯერ კიდევ მტკიოდა ფეხები, მარტო ვიწვექი, მთელი ჩემი გონება საყვარელს დასტრიალებდა. მალე ვადამწვევტი ნაბიჯი უნდა გადაბედა. მამას მივწერე – ის, რა თქმა უნდა, აზრზეც არ იყო, რა ხდებოდა – ყველაფერი უკაბე და ვთხოვე, ჩამოსულიყო. მიასუსხა: „საკმაოდ ღიმი ხარ და თავად უნდა იცოდე, რას ჩაღიხარ. თუ ასე გასურს, მეც ყველაფერს გავაკეთებ შენ დასახმარებლად. მაგრამ, მიწერე ბატონ ლეონიძეს, რომ ჩამოვიდეს. ორივეს უნდა დაველაპარაკო.“

მეც ლეოს მივწერე, რომ ჩამოსულიყო. დათქმულ დღეს მამა და ლეოც მოვიდნენ. არ დამავიწყდება ის სურათი, როგორ ვუსხედით მაგიდას ოთხივე: მამა, ლეო, კარლი და მე. მამამ თქვა: „გვინდა, მარიამ თავად ვადამწვევტოს, ქმართან დარჩეს თუ ბატონ ლეონიძესთან წავიდეს.“ რა მძიმე იყო ის წუთი ჩემთვის. ორივემ შემომხედა, ორივეს ჩემთან ყოფნა სურდა. საშინლად მეცოდებოდა კარლი, მეზრალეობდა, ისეთი ხაწყალი შესახელი იყო. მაგრამ, ლეოს რომ ჩახვებდოდა თვალებში, მამინვე ვთქვი: „მე მინდა ბატონი ლეონის ცოლი გავხდე. სხვაგვარად არ შემიძლია!“ კარლი სიტყვის უთქმელად ადგა და გავიდა. ვადამწვევტილება მიღებული იყო. მამა, მე და ლეო სავახშმოდ რესტორანში წავედით.

*ლევან ლეონიძის დასტომრებიდან 10 წლის შემდეგ,  
მისდამი მიწერილი წერილებიდან:*

31/11/47

ლევან! ამას შენთვის ვწერ. ეზივარ და ეფიქრობ, შენზე ვფიქრობ, ფიქრებში გესაუბრები. თვალწინ მიდგას შენი სახე, გხედავ და უნდა გელაპარაკო. შენს გარდა ვის შემიძლია, იმ დარდსა და წუხილზე ვუამბო, გულით რომ დავატარებ. სხვებისთვის, ყველასთვის, მოსაწყენია ერთი და იმავეს მოსმენა. როდესაც აღამიანს სადარღებელი აქვს და მოწყენილია, ერთ დღეს, ერთი კვირის ან ერთი თვის მანძილზე შეიცოდებენ, შემდეგ კი მომაბეზრებელი ხდება და აღარ აინტერესებთ. მეც ასე მჭირს. 10 წელია, ერთი და იგივე მტანჯავს, ვის უნდა ველაპარაკო ამაზე?! ყველას თავისი სადარღებელი აქვს. ამიტომაც, ზოგჯერ, ძალიან რომ გამიჭირდება, მინდა, ამ ფურცლების საშუალებით გესაუბრო, ისე და ისე გითხრა, როგორ მენატრები. 10 წელი – ყოველ წელიწადთან ერთად, ჩემი ტანჯვაც სულ უფრო ღრმავდება და მძიმდება. არ შემიძლია ვიმხიარულო, როცა შენ აქ არ ხარ. როდესაც სხვები იციან და ხალისობენ, სწორედ მაშინ, უფრო მეტად უნდა ვიფიქრო შენზე. შენს სახლში ვარ, სახლში, სადაც შენ დაიბადე და გაიზარდე. მე მიყვარს ეს სახლი. რატომ? იმიტომ, რომ ვიცი, ძალიან გიყვარს შენი სამშობლო, შენი ზოფელი. სადაც არ უნდა იყო, ალბათ, ფიქრები ზოგჯერ მაინც გად-

მოვისურის აქ, ამ სახლში, სადაც ახალგაზრდობა გაატარე. რაც არ უნდა გადაგეტანა ამ წლები-ბის განმავლობაში, ვიცი, რომ შენი სამშობლო არ დაგვიწყებია. და თუ აჭაურობაზე ფიქრობ, მჯერა, რომ ჩემზე და ბავშვებზეც იფიქრებ. ამიტომაც მიყვარს ეს ძველი სახლი და აქ დაერჩები.

ლევან! ლევან! გეძახი. სადა ხარ, სად? ისეთი ძნელია, როცა არ ვიცი, სად უნდა გეძებონ ჩემმა ფიქრებმა. ისიც მართალია, რომ ბევრ ქალს დაღუპვითა ომში ქმარი ან შვილი და აღარა აქვს მათი ნახვის იმედი. მე კი მაქვს ეს იმედი – ღრმად მწამს, რომ ცოცხალი ხარ და კიდევ განსაგ. მაგრამ, ეს ლოდინი, ამდენი წლის მანძილზე ცდაც რომ ძნელია?! დრო მიდის, მეც ვბერდები და დიდი შიში მაქვს, შენს უნახავად არ მოეკედე. ვიცი, რომ უეცარი სიკვდილი მელის, ზშირად, ძალიან მტკიავა გული. როდესაც შენ ჩამოხვალ, თუ მე აღარ ვიქნები, ეს სტრიქონები წაიკითხე. უნდა იცოდე, როგორ ძალიან მიყვარდი მუდამ – რაც უფრო დიდხანს იყავი შორს, მით უფრო მეტად. ჩვენი ცხოვრების რამდენმა ლამაზმა წელმა ჩაიარა ასე ამაოდ, რა ტყუილად დაეკარგეთ! და ეს წლები აღარც დაბრუნდება. მე დღეს მარტო ვარ. ახალი წლის დაბეჭ, მაღე ბავშვებზეც მოვლენ. მათ არ უნდა მნახონ მოწყენილი, ისინი ზომ ახალგაზრდები არიან და წუხილს ვერ მიმიხვდებიან. რამდენი ახალი წლის დაბე გამოვიარე, ყველა განსხვავებულად ერთმანეთისგან – იყო ბედნიერიც და ნაღვლიანიც. რას მოგიტანს ეს ახალი წელი? კარგს ან ცუდს! შენს ამბავს რომ მომიტანდეს?! ნეტაე რამე მაინც ვიცოდე შენზე: რომ ცოცხლობ, რომ კარგად ხარ. მჯერა, ამ დამეს, როდესაც ძველი წელი მთავრდება და ახალი მოდის, შენც ჩვენზე იფიქრებ. ზუსტად ვიცი, მოწყენილი და მარტო ხარ თუ მხიარულ თავყრილობაზე, რამდენიმე წუთით მაინც გაგახსენდებით. ამის ცოდნა კიდევ უფრო მაახლოებს შენთან. ლევან, გესმის ჩემი? ვგრძნობ, რომ ჩემი ფიქრები ამ საღამოს განსაკუთრებით ძლიერად დაგტრიალებს? ლევან!





## ნელი კარიძი

ნელის ბაბუა, კარლ კრაუსე, სოფლის მეურნეობისთვის საჭირო მანქანების წარმოების წარმომადგენელი, 1870 წელს ჩამოვიდა საქართველოში. მან ოთხივე შვილს შეუქმნა ფინანსური პირობები კარგი განათლების მისაღებად. ორივე ვაჟი ინჟინერი გახდა, უფროსი ქალიშვილი – მუსიკის მასწავლებელი; უმცროსმა ქალიშვილმა, ნელი კროიციხის დედამ (1890-1961) კი რამდენიმე უცხო ენა შეისწავლა. მას იულიან კროიციხთან ხანმოკლე ქორწინება აკავშირებდა. იგი დიასახლისი იყო და ორ შვილს – ნელიის (დაბ. 1918) და ფრიცს (1915-2000) ზრდიდა. 1941 წელს

ოჯახი ყაზახეთში გადასახლეს. იქ მამამ მეორედ იქორწინა და 1956 წელს, ოჯახთან ერთად, სოხუმში გადასახლდა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ნელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უცხო ენათა ფაკულტეტის დოცენტი გახდა. ის დღესაც თბილისში, წინაპრებისეულ სახლში ცხოვრობს.

### რა ენაზე საუბრობდით ოჯახში?

როცა ყველა ერთად ვიყავით, უმეტესად, რუსულად ვსაუბრობდით, ხშირად გვეყავა რუსი სტუმრები. დეიდა ფორტკიანოს ასწავლიდა და მის მოწაფეებთანაც რუსულად უნდა გველაპარაკა. ნ წლის ვიყავი, მშობლები რომ დაშორდნენ. მამა ინჟინერი იყო, მაგრამ ჩვენი სსენებაც არ უნდოდა და ოჯახსაც არ ესმარებოდა. ის პოლონელი იყო და განათლებაც პოლონეთში მიიღო. ბავშვობა დიდ გაჭირვებაში გავატარე.

### რომელ სკოლაში სწავლობდით?

თავიდან გერმანულ საბავშვო ბაღში დაედიოდი, შემდეგ კი გერმანულ სკოლაში. იქ ერთად სწავლობდნენ ქართველები და სომხები. ჩვენ მათ არასდროს ვახვევებდით და, მთელი ცხოვრების განმავლობაში, ერთმანეთთან მჭიდრო მეგობრობა გვაკავშირებდა. სკოლის დამთავრების შემდეგ, უცხო ენათა ინსტიტუტში ვსწავლობდი. მოგვიანებით, კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტში ვასწავლიდი, შემდეგ კი ერთდროულად – 4 სკოლაში. სამამულო ომი რომ დაიწყო, პედაგოგად მუშაობა ამიკრძალეს. ამან ისე იმოქმედა ჩემზე, რომ სახლიდან გამოვვალა აღარ მინდოდა. ჩემს ძმას ნახევარი სხეული პარალიზებული ჰქონდა – 10 წლის ასაკიდან ლოკინად იყო ჩაყარნილი, დედაც დავრდიობილი და მწოლიარე იყო, მეც კოჭლი ვიყავი და ამიტომ თავიდანვე კი არ გადამასახლეს, არამედ – 1941-42 წლის ზამთარში.



ნელი კროიციის ოჯახი

### **როგორ ჩაიარა დებორტაციამ?**

მატარებელი ძალიან დიდხანს არ დაძრულა ადგილიდან. შებღვე კასპიის ზღვასთან მივედით. ყაზახეთისკენ მგზავრობა 2 თვეს გაგრძელდა. სიცივე იყო, საშინელი ტრანსპორტი. ვშიშვლოდით. მათ ძალიან ეშინოდათ გერმანელების. არადა, უფრო მეტად, სხვების უნდა შეშინებოდათ. გერმანელები არ იყვნენ მოლაღატეები. მოგვიანებით, მუშაობა დაიწყო ყაზახეთში. ერთი რუსული სკოლის დირექტორის მოადგილე გაეზღი და მათემატიკასა და გერმანულს ვასწავლიდი. გერმანულად საუბარი გვეკრძალებოდა. გამოძიბახეს და დამემუქრნენ: სამუდამოდ აქ დაგტოვებთო. ერთხარი, რომ დიალექტიკა მჭონდა ნასწავლი და ვიცოდი, ცხოვრებაში არაფერია მარადიული.

### **როგორ ცხოვრობდით ყაზახეთში?**

ჩემი ზასიათი დამეზმარა. სკოლაში წასვლამდე, დილის ექვსიდან ცხრა საათამდე, მინდორში ვმუშაობდი. პირში წყალი უნდა ჩამეგუებინა, სხვაგვარად არ გამოდიოდა. მხოლოდ ერთი სიტყვა ვიცოდი – „უნდა“. მაგრამ რის ფასად?! ალრე მუსიკას ვსწავლობდი. მუსიკა ყველა-

ფერზე მეტად მიყვარდა, კონცერტსა და საბალეტო წარმოდგენას არ ვაცდენდი. მუსიკის, ლიტერატურისა და ბუნების სიყვარულით გავიზარდე და უეცრად იქ აღმოჩნდი, სადაც მსგავსი არაფერი იყო. წყალიც კი მარილიანი გვექონდა. ამასაც შევეგუე. იმდენი ხნის განმავლობაში გვეძინა იატაკზე, საწოლს რომ ვეღირსე, გადმოვარდნის შემინოდა. ყველაზე უარესი ის იყო, რომ გარს მუდამ ავადმყოფები მეხვია.

### **საქართველოში როგორ დაბრუნდით?**

ყაზახეთში მყოფს მესიზმრებოდა, როგორ ებრუნებოდი ფეხით თბილისში. ადამიანს ის ადვილი უყვარს, სადაც დაიბადა, ისაა მისი სამშობლო. ყაზახეთში, იმ საშინელ პირობებში დაბადებულებს ყაზახეთი უყვართ, იქიდან წასვლა არ სურთ. ადამიანის ფსიქიკა ასეა მოწყობილი.

1956 წელს რომ დაებრუნდით, აქ ცხოვრების უფლება არ გვექონდა. დედასთან ერთად ქარელში გადავედი, სადაც 4 წელი გავატარე; შემდეგ ისევ თბილისში დაებრუნდი და, 33 წლის განმავლობაში, უნივერსიტეტში ვმუშაობდი, როგორც გერმანისტი.

### **თავს როგორ გრძნობთ საქართველოში?**

სადაც კი მიველიდი, ყველგან, მათ შორის უნივერსიტეტშიც, კარგად მექცეოდნენ, ქართველები განსაკუთრებით, კარგი და თბილი ხალხია – ყოველთვის მეკითხებიან, ოჯახი როგორ მყავს. დღესაც სტუმრად მებატეებიან, არ მივიწყებენ. მყავს ძალიან ბევრი ახლო ნაცნობი, რომლებიც მუდამ ზრუნავენ ჩემზე. მმა რომ გარდამეცალა, ყველანი დამეხმარნენ, არამარტო გერმანელები. მიყვარს ქართველები, მათ განსაკუთრებული თვისებები აქვთ; ზოგჯერ თავიანთ შეილებს ისე არ ზრდინან, როგორც საჭიროა. ეს ადამიანები ახლა იცელებიან – ცხოვრება ძალიან დამძიმდა. ბევრი მათგანი ტოვებს სამშობლოს, ფულის საშოვნელად რუსეთსა ან გერმანიაში მიდის. ქმარი მიდის, ცოლი კი რჩება. ეს რა გამოდის? ქართულ გაზეთებსაც ვკითხულობ. სამსახურს ნიჭიერი ქართველებიც ვერ შოულობენ. იძულებულები არიან, უცხოეთში წავიდნენ.

### **შეგიძლიათ, ცალკეულ ეროვნებათა შორის არსებული განსხვავება აღგვიჩეროთ?**

ვერანარ განსხვავებას ვერ ვგრძნობ გერმანელებს, ქართველებსა და რუსებს შორის. ჩვენ ყველანი მუდამ ვმუშაობდით. დღეს სხვაგვარადაა – ხალხი აღარ მუშაობს. დეიდარეში დიდიდანი გვიან დამემდეგ მუშაობდა, მთელი ცხოვრების განმავლობაში ამ საკმზე იჯდა. მეც ასე ვიყავი.

სომხები ქართველებზე უფრო ბევრითი ხალხია, მაგრამ, უბრალო სომხები დიდი სიძუნწით გამოირჩევიან ქართველებისგან. თუმცა, ძალიან ბევრს შრომობენ. ჩემთვის არ არსებობს ერებს შორის განსხვავება. ყველა ერს აქვს უარყოფითი თვისებები. ეს ხომ ნათელია?! ყველა ერში შეიძლება კარგი მხარეების დანახვაც. დღეს ბევრს მესმარებიან გერმანელები – ოფიციალური კი არა, პირადი ნაცნობები. ისინი მუდამ მზად არიან დახმარებისთვის. ადამიანები ერთმანეთს ეცნობიან და ეშველებიან. ერთი ჩემი მოსწავლე გერმანიაში წავიდა, იქ 4 წლით დარჩა და კარგი მოგადრეკე გახდა. მისი მასპინძელი ოჯახი რომ ჩამოვიდა, მეც მესტუმრნენ და თავიდაც დამაბატყეს; შემდეგ კი ამანათი გამომიგზავნეს გერმანიიდან.

### **როგორ უყურებთ საქართველოს დამოუკიდებლობას?**

ბავშვობიდანვე მიმაჩნდა, რომ ყველა ადამიანი კარგია. ამდენი რამ გამოვიარე და დღესაც ვფიქრობ, რომ მათ შორის, ვისაც აღანაშაულებენ, ყველა არაა დამნაშავე. ზოგჯერ, ადამიანის ბრალი არცაა, ცული რომ არის. მაგალითად, ყაზახეთში, შიშხილობისას, დღეაჩემი ტანჯვის შემყურე, მეც უბედური ვიყავი; მაგრამ, შეილი რომ მყოლოდა, ჯერ მასზე ვიზრუნებდი. სწორედ ასეთი ვითარებაა დღევანდელ საქართველოშიც. ადამიანები იცვლებიან, აღარ შეუძლიათ, ისეთები დარჩნენ, როგორებიც იყვნენ. სულ იმას ვკასწავდებოდა, რომ ეკონომიკა ყველაზე მინიმალური სფეროა, ხელოვნება და კულტურა კი შემდეგ მოდის. ასეთია ცხოვრება. ფული, მე რომ ასე მძულს, ჩვენს ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობს. ადამიანებს არასდროს ექნებათ ერთბაშად ბევრი ფული. მე მძულს ფული. ვის უნდა ვთხოვო? ჩემი ნაცნობებიდან ვერაფერი ვერაფერს მომცემს. მაგრამ, მძა რომ გარდამეცვალა, დამეხმარნენ. მსურს, რომ საქართველო აღდგეს და სულ სხვაგვარი ქვეყანა გახდეს. სულ თავისუფლებაზე ვლაპარაკობთ, მაგრამ თავისუფლება არ გავკანინა – სხვა სახელმწიფოებზე ვართ დამოკიდებულნი; როგორც, რუსეთთანაც უნდა დავაყაროთ მეგობრული ურთიერთობა. გვინდა, გამუდმებით სხვა ქვეყანა გვეხმარებოდეს და თავად ნაბიჯსაც არ ვდგამთ წინსვლისთვის. იჩენებ მთავრობაცაა დამნაშავე, რადგან ღარიბებზე არ ფიქრობს. ბოლო წლებში ქართველები დაოსტატდნენ საჯარო გამოსვლებში. ადრე, ასე კარგად ვერ საუბრობდნენ. რას აღარ ჰყვებიან, მაგრამ რისთვის ეს ყველაფერი?

### **გსურთ გერმანიაში გამგზავრება?**

არ მინდა გერმანიაში წასვლა. უკვე 83 წლის ვარ, ფიზიკურად ვერ შექცობ. აქ უნდა დავრჩე. ახალი ცხოვრების დაწყებაც არ შემიძლია და, ალბათ, ვერც ახალი ადამიანები გამიგებენ.

აქ არის ჩემი სახლი. მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ დღეს იგი საშინელია. ახლა შესაძლებელია დიად საუბარი. ნორმალურად ითვლება, რომ აკადემიკოსი ტაქსის მძღოლად მუშაობს. აქაური ინტელიგენცია მოისუსტებეს, კარგად ვერ იცავს თავს.

### **რას იტყობით თქვენს პირად ცხოვრებაზე?**

ჩემი მძა სიკვდილამდე საწოლს იყო მიჯაჭვული; დეიდარჩემი – რვა წლის განმავლობაში, დედა კი, 10 წელი ლოგინს არ მოსცილებია. მთელი ჩემი ცხოვრება ავადმყოფებს უეკლიდი, არაფერი დამრჩა ჩემი, საკუთარი. არ შემიძლო ცხოვრების სხვაგვარად მოწყობა. ყაზახეთიდან დაბრუნების შემდეგ, სანამ სწავლების უფლებას მომცემდნენ, ქართული უნდა მეწავლა. დღეაჩემისა და ჩემი მძისთვის ფული ხომ უნდა მეშოვნა?! დღეადავმ ქართულს ვსწავლობდი; უნივერსიტეტში კვირამი 34 საათს ვმუშაობდი და, ამასთანავე, კერძო გაკვეთილებსაც ვატარებდი. მთელი ცხოვრების განმავლობაში, ფულის შოვნაზე ვფიქრობდი. მხოლოდ მეგობრების დაშხაურებაა, დღესაც რომ ვცოცხლობ.

მიჭირს ჩემი ცხოვრების შესახებ საუბარი და ამიტომაც არ მინდოდა ინტერვიუს მოცემა, არ მსურდა ისევე ამაზე ლაპარაკი. თუმცა, ყველას უწყვეტ ცხოვრებაში სირთულეების გადატანა, რათა უკეთესი გახდეს. მესმის ჩემი მოსწავლეების, უყურებ მათ და უკვე ვციცი, ვინ არიან ისინი.

### **დღეს როგორ ცხოვრობთ?**

ყაზახეთში არასდროს მქონია ასეთი ცუდი განწყობა; ვიცოდი, ომის გამო, ასეც უნდა ყოფილიყო. დღეს კი მართლა უკმაყოფილო ვარ ყველაფრით, რაც ხდება. ეს ქართულ მენტალიტეტსაც უკავშირდება. ძალიან განვიცდი, რომ ამდენი ადამიანი დაიღუპა სოხუმში. ერთი შეილი გყავს და იმასაც ომში დასაღუპად აგზავნი. რატომ? აზრი რომ ჰქონოდა, კიდევ მესმის! მაგრამ აზრიც რომ არ აქვს – სოხუმში მაინც დაკარგულია. ჩემი ნახევარდა, ჯულიეტა, სოხუმში ცხოვრობს. ერთმანეთთან არავითარი კავშირი არ გვაქვს. ერთხანს ჩემთან ცხოვრობდა. მამა კი არასდროს დაგეხმარებია, ის ყაზახეთიდან დაბრუნდა და სოხუმში სახლი აიშენა.

ფული მჭირდება, მაგრამ მძულს კიდევც. მხოლოდ ზოგიერთებს რატომ უნდა ჰქონდეთ ამდენი ფული? ვინც ფულით სპეკულირებს, სწორედ ის დადის ქალაქში ცხვირაწეული.



## ნორა ჯუღვირი

ნორა ჯუღვირის ბაბუა, ქვის მთელი, XIX საუკუნის ბოლოს, ლონდონის ბიბლიური საზოგადოების დაჯალბით ჩამოვიდა თბილისში ოჯახთან ერთად. მან გოლოვინსკის პროსპექტზე საკანცელარო საქონლის მაღაზია გახსნა. მისმა ქალიშვილმა, ემილიამ (1887-1976), თბილისში დაამთავრა სკოლა. იგი შრომის სკოლაში ასწავლიდა გერმანულ და რუსულ ენებს (დაწყებითი და საბაზისო კლასები). სკოლაში ემილიამ გაიცნო გუსტავე ჯუღვირი (დაბ. 1888 წელს, თბილისში, გარდ. 1970 წელს, ყაზახეთში).

გუსტავემ სანკტ-პეტერბურგში მიიღო განათლება, რის შემდეგაც სკოლის ინსპექტორად გამოავაზუნეს

საქართველოში. წყვილმა 1917 წელს იქორწინა. I მსოფლიო ომში გუსტავე ჯუღვირი თურქეთის ფრონტზე, რუსული არმიის მხარეს იბრძოდა. ომის შემდეგ, გუსტავე ჯუღვირი გერმანული შრომის სკოლის დირექტორად დანიშნეს. მისმა ხუთივე შვილმა ეს სკოლა დაამთავრა. 1935 წელს, იგი, მეუღლესთან ერთად, დააპატიმრეს და, გასაპართლების გარეშე, სამწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. 1938 წელს გუსტავეს კიდევ სამი წლით გაუზანგრძლივეს პატიმრობა. საბოლოოდ, იგი ომის დამთავრებამდე დატოვეს ციხეში. რაც შეეხება მის მეუღლეს, იგი ერთ წელშივე დაკარგა. 1939 წელს მათი ქალიშვილი ნორა ცოლად გაჰყვა ქართველ გიორგი ყარაღაშვილს (1917-1993). ნორას დედა და ოთხი და-ძმა 1941 წელს გადაასახლეს ყაზახეთში. თავად ნორას, როგორც ქართველის მეუღლეს, საქართველოში დარჩენის უფლება მისცეს.

ნორა 1943 წელს დააპატიმრეს, იმ დროს, როდესაც მისი ქმარი II მსოფლიო ომში იბრძოდა. 1944 წელს მას ექვსწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს ეულაში და უკიდურესი ჩრდილოეთით, ტაიმირის ნახევარკუნძულზე, ლუდინკას ბანაკში გაეზაუნეს. გათავისუფლების შემდეგ, ნორა ჯუღვირი ალმა-ატაში, მშობლებთან ჩავიდა. იქ იგი, რადენიშე წლის განმავლობაში, შეიღთან, რეზო ყარაღაშვილთან (დაბ. 1940 წელს თბილისში, გარდ. 1989 წელს ვაიმარში) ერთად ცხოვრობდა. ნორა ჯუღვირი ალმა-ატის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში, გერმანული ლიტერატურის ოცენტილ შემსობდა, წერდა სტატიებს გერმანულენოვანი გაზეთებისთვის, იყო გერმანულენოვანი რადიოგადცემების დირექტორი და რედაქტორი, მწერალთა კავშირის წევრი. მან გერმანულ და რუსულ ენებზე გამოცა ლექსები და საბავშვო წიგნები. 1984 წლიდან ნორა ჯუღვირი, ძირითადად, მოსკოვში ცხოვრობდა, 1992 წელს კი გერმანიაში გადასახლდა. დღეს იგი კიოლნში ცხოვრობს.

## MEINE GEDICHTE

Hart sind meine Gedichte,  
und vielleicht  
sind sie einfach nur Prosa,  
denn, wovon sie berichten,  
war durchaus keine Lyrik  
in Rosa.

Weh tun meine Gedichte –  
tausend Splitter  
zerschmetterter Jugend...  
Der Terror der Geschichte  
war getarnt  
mit der Maske der Tugend.

Aufschrei sind meine Gedichte –  
Mit der Wahrheit,  
die dastand,  
verlassen,  
gingen stur zu Gerichte  
die mit Blindheit  
geschlagenen Massen.

Gramvoll sind meine Gedichte!  
Denn des Menschentums  
größter Verräter ließ vernichten,  
vernichten,  
vernichten,  
uns und unsere Mütter und Väter.





Grau sind meine Gedichte  
wie im Lager  
das Stöhnen und Sterben  
und  
    ergraute  
Gesichter...  
und seither  
Ist mein Herz  
voller Kerben...

*(Aus: Nora Pfeffer, Zeit der Liebe: Lyrik, Gotika 2000.)*

ნაცრისფერია ჩემი ლექსები,  
 როგორც ბანაკში  
 გმინვა, სიკვდილი  
 ღა  
 სახეები...  
 გული  
 მას მერე  
 მაქვს  
 დაღდასმული. <sup>102</sup>

(კრებულიდან: ნორა ჭყეფერი, სიყვარულის დრო: ლირიკა, გოთიკა 2000)



## IV. ბიბლიოგრაფია

Abich, Hermann, Aus kaukasischen Ländern, Reisebriefe, 2 Bde, Wien 1896.

ნოვოვო ახვლედიანი, „კუტკუმნასის ყველის ქარხანა“, თბილისი, 1872.

Allmendinger, Ernst, Katharinenfeld - Ein deutsches Dorf Im Kaukasus, Neustadt 1989.

Appelbaum, Anne, Gulag: A History, Britain 2003.

Auch, Eva-Maria, Öl und Wein Im Kaukasus, Deutsche Forschungsreisende, Kolonisten und Unternehmer Im vorrevolutionären Aserbaidschan, Wiesbaden 2001.

Dies., Deutsche Kolonisten als Unternehmer Im Kaukasus, in: „...das einzige Land In Europa, das eine große Zukunft vor sich hat.“ Deutsche Unternehmen und Unternehmer im Russischen Reich im 19. und frühen 20. Jahrhundert, Hg. Dahlmann, Dittmar/Scheide, Carmen, Essen 1998, S. 589-610.

Dies., Deutsche Kolonisten Im multiethnischen Umfeld Transkaukasus, in: Jenseits der Kriege und Konflikte. Gemeinsame Lebenswelten und politische Visionen kaukasischer Völker In Geschichte und Gegenwart, Hg. dies., Großbarkau 1996, S.47-79.

ლამა ბატრაძე. „ გერმანია-საქართველოს ურთიერთობები I მსოფლიო ომის დროს“ (ქართული ეროვნული კომიტეტის მიღეკანება გერმანიაში 1914-1918 წლებში); დისერტაცია, თბილისი, 2002.

Becker, Heinz, Die Auswanderung aus Württemberg nach Südrußland 1816 - 1830, Tübingen 1962.

Bihl, Wolddieter, Die Kaukasus-Politik der Mittelmächte, Teil II, Die Zeit der versuchten kaukasischen Staatlichkeit (1917-1918), Wien 1992.

Billington, James H., The Icon and the Axe, An Interpretive History of Russian Culture, New York 1970.

Bovykin, Valerij, Deutsch-russische Wirtschaftsbeziehungen und deutsche Unternehmen In Russland von der zweiten Hälfte des 19. Jahrhunderts bis 1914, in: Beitrag der Deutschbalten und der städtischen Russlanddeutschen zur Entwicklung des Russischen Reiches von der zweiten Hälfte des 19. Jahrhunderts bis zum Ersten Weltkrieg, Hg. Meissner, Boris/Eisfeld, Alfred, Köln 1999, S. 151-156.

Brandes, Detlef, Kolonist, Bauer und/oder Deutscher? Die Russlanddeutsche Landbevölkerung zwischen den Ständen und Nationalitäten des Russischen Reiches und der Sowjetunion, In: Forschungen zur Geschichte und Kultur der Russlanddeutschen, Hg. ders., Essen 1999. S. 8-15.

Brentjes, B., Kaukasien in der deutschen wissenschaftlichen Literatur, Halle 1982.

Breuste, Jürgen, Deutsch-russische Wissenschaftsbeziehungen und die Beteiligung Deutscher an der geographischen Erforschung Kaukasus im 19. und im beginnenden 20. Jahrhundert, 2 Bde, Halle 1982.

Brower, Daniel R./Lazzerini, Edward J. (Hg.), Russia's Orient: Imperial Borderlands and People, 1700-1917, Bloomington and Indianapolis 1997.

Bulla, Marina/Janjalla, Mzia (Hg.), Tbilisi, Old Georgian Cities and Towns, Tbilisi 2002.

- Burtschuldase, Guram, Deutsche Neubauten im Kaukasus, Tbilisi 1911.
- Chotiwart-Jünger, Steffi, Georgier In Berlin, Berlin 1999.
- Conquest, Robert, The Great Terror: A Reassessment, Edmonton/Alberta 1990.
- Ders., The Harvest of Sorrow, Soviet Collectivization and the Terror Famine, New York 1986.
- Dahlmann, Dittmar/Hirschfeld, Gerhard (Hg.), Lager, Zwangsarbeit, Vertreibung und Deportation: Dimensionen der Massenverbrechen in der Sowjetunion und in Deutschland 1933 bis 1945, Essen 1999.
- Dietrich, Hans-Christian, Siedler, Sektierer und Stundisten. Die Entstehung des russischen Freikirchentums, Berlin 1984.
- Eisfeld, Alfred, Die Russlanddeutschen, München 1999.
- Eisfeld, Alfred/Herdt,Victor (Hg.), Deportation, Sondersiedlung, Arbeitsarmee, Deutsche in der Sowjetunion 1941 bis 1956, Köln 1996, S. 105-106.
- Fischer, Fritz, Krieg der Illusionen, Düsseldorf 1969.
- Ders., Griff nach der Weltmacht, Düsseldorf 1971.
- Fischer, Karl August, Die Kaukasische Post, Leipzig 1944.
- Fleischhauer, Ingeborg/Plinkus, Benjamin, Deutsche in der Sowjetunion, Geschichte einer nationalen Minderheit im 20. Jahrhundert, Baden-Baden 1987.
- Föll, Renate, Sehnsucht nach Jerusalem, Zur Ostwanderung schwäbischer Pietisten, Tübingen 2002.
- Georgien im Spiegel seiner Kultur und Geschichte, Zweites Deutsch-Georgisches Symposium der Berliner Georgischen Gesellschaft e.V., Mai 1997.
- Gestrich, Andreas (Hg.), Ausweisung und Deportation: Formen der Zwangsmigration in der Geschichte, Stuttgart 1995.
- Groß, Andreas, Missionare und Kolonisten. Die Basler und die Hermannsburger Mission in Georgien am Beispiel der Kolonie Katharinenfeld 1818-1870, Studien zur Orientalischen Kirchengeschichte, Hamburg 1998.
- აკეთე გუგუშვილი, „გერმანელი კოლონისტები და ადგილობრივი ელენობა“, თბილისი, 1946.
- Hoffmann, Paul, Die deutschen Kolonien In Transkaukasien, Berlin 1905.
- Hosking, Geoffrey, Russia and the Russians, A History, Cambridge/Mass. 2003.
- Ischchanian, B., Nationaler Bestand, berufsmäßige Gruppierung und soziale Gliederung der kaukasischen Völker, Berlin 1914.
- Kapusciński, Ryszard, Imperium, Sowjetische Streifzüge, Frankfurt am Main 1993.
- Karbelaschwill, Andre, Brüder Siemens In Georgien, München 1990.

ანდრე კარბელაშვილი, „ტრანსკონტინენტური ტელეგრაფის ხაზი საქართველოში“, გამოქ. „გეორგია“, თბილისი 2000.

Klaproth, Julius, Reise in den Kaukasus und nach Georgien, unternommen in den Jahren 1807 und 1808, Halle 1812-14.

Kress von Kressenstein, Friedrich Freiherr, Meine Mission im Kaukasus 1918 (mit einer Einleitung von David Paitschadse), Tbilissi 2001. (Das getippte Exemplar seiner Lebenserinnerungen befindet sich in der Handschriftensammlung des Bayerischen Heeresarchivs, HS 2227).

Kunkel, Natalie, Wissenschaftsaustausch zwischen Russland und Westeuropa, München 1999.

Leibbrandt, Georg, Die Auswanderung aus Schwaben nach Russland 1816-1823, Stuttgart 1928.

Lemke, Heinz, Deutsche Unternehmen in der kaukasischen Manganindustrie 1900-1914, in: „...das einzige Land in Europa, das eine große Zukunft vor sich hat“: Deutsche Unternehmen und Unternehmer im Russischen Reich im 19. und frühen 20. Jahrhundert, Hg. Dahlmann, Dittmar/Scheide, Carmen, Essen 1998, S. 147-166.

მაია მანია, „გეოგრაფიკური ობსერვაციების ევროპელი დამარსებლები და მისი არქიტექტურის გენეტიკური საფუძველი“, „სტელა დაცვის დეპარტამენტის საკონფერენციო მასალები“, თბილისი, 2001; გვ. 84-124.

გია მანუგაძე, „გერმანული კოლონიზატორი სამხრეთ კავკასიაში“, თბილისი 1974.

Maurer, Trude, Between German and Russian Cultures: Germans in the Cities of the Tsarist Empire, in: Europa als Wanderungsziel, Ansiedlung und Integration von Deutschen im 19. Jahrhundert, Hg. Peter Marschalck, Osnabrück 2000, S. 13-24.

Otlen, S.W. (Pseudonym für Otar Kapanadse), Man wählt die Zeit nicht, Tiflis 1998. (russisch)

Pipes, Richard, A Concise History of the Russian Revolution, New York 1996.

Radde, Gustav, Kurze Geschichte der Entwicklung des Kaukasischen Museums während der ersten Jahre seines Bestehens, Tiflis 1891.

Ders., Vier Vorträge über den Kaukasus, gehalten im Winter 1873/1874 in den größeren Städten Deutschlands. Gotha 1874.

Rädde-Fomln, Olga, Lebensbild der Forscherfamilie Radde-Brandt, Füssen 1950. (Das unveröffentlichte Manuskript befindet sich im Staatlichen Historischen Museum in Tbilisi).

Reisner, Oliver, Ethnos und Demos in Tiflis (Tiflis) – Armenier, Georgier und Russen in den Stadtdumakämpfen 1890-1897, in: Gesellschaft als lokale Veranstaltung, Selbstverwaltung, Assoziierung und Geselligkeit in den Städten des ausgehenden Zarenreichs, Hg. Hausmann, Guido, Göttingen 2002, S. 301-329.

ნოდარ როლიანია, „მრეწველობა თბილისში, XIX საუკუნის მეორე ნახევარში“, თბილისი, 1961.

Rohrbacher, Heinrich, Materialien zur georgischen Bibliographie, Deutsches Schrifttum, Bonn 1981.

- Said, Edward, *Orientalism*, New York 1974.
- Schalamow, Warlam *Schocktherapie: Kolyma-Geschichten*, Berlin 1990.
- Schrenk, M. Friedrich, *Geschichte der deutschen Colonien In Transkaukasien*, Tiflis 1869.
- Schweinitz, Hans-Hermann Graf von, *Heidenorf – eine deutsche Kolonie im Kaukasus*, Berlin 1910.
- Solschenyzin, Alexander, *Archipel Gulag*, Reinbek 1978.
- Stadelbauer, Jörg, *Studien zur Agrargeographie Transkaukasiens*, Berlin 1983.
- Stark, Meinhard, *Frauen Im Gulag*, München/Wien 2003.
- Stettner, Ralf, *Archipel GULag: Stalins Zwangslager. Terrorinstrument und Wirtschaftsgigant*, Paderborn/München/Wien/ Zürich 1996.
- Stumpp, Karl, *Die Auswanderung aus Deutschland nach Russland in den Jahren 1763 bis 1862*, Tübingen 1974.
- Suny, Ronald Grigor, *The Making of the Georgian Nation*, Stanford 1988.
- Thielmann, Max Freiherr, *Streifzüge im Kaukasus, Persien und der asiatischen Türkei*, Leipzig 1875, Reprint Nürnberg 1979.
- Thörner, Klaus, *Deutscher Kaukasusimperialismus*, in: *Wider dem Zeitgeist*, Hg. Lembeck, Andreas/Potts, Lydia, Oldenburg 1996, S. 119-156.
- Westwood, J.N., *Endurance and Endeavour, Russian History 1812-1992*, New York 1993.





**ფანაკთი: კითხვარი**

## სახელმძღვანელო კითხვები ინტერვიუსათვის

- როგორ აღიქვამდნენ გერმანელები თავს სხვა ეროვნულ უმცირესობებთან მიმართებაში?
- როგორ შეინარჩუნეს გერმანელებმა თავიანთი „გერმანული იდენტურობა“? რას ნიშნავს, „იყო გერმანელი“ საქართველოში?
- რამდენად შეძლეს გერმანელებმა ქართულ საზოგადოებასთან ინტეგრირება?
- რა პოლიტიკური და სოციალური ცვლილებები მოხდა რუსეთის რევოლუციის ანუ რუსეთის ჯარების შემოსვლის შემდეგ?
- როგორი იყო მეორე მსოფლიო ომის შედეგები საქართველოში მცხოვრები გერმანელებისთვის?

## კითხვები ინტერვიუსათვის

1. საიდან ჩამოვიდნენ თქვენი წინაპრები საქართველოში?
2. როდის, სად და როგორ დასახლდნენ ისინი საქართველოში?
3. სად დასახლდნენ პირველად? შემდეგ ხომ არ შეიცვალეს საცხოვრებელი ადგილი?
4. რა ფუნქციით იმყოფებოდნენ თქვენი წინაპრები საქართველოში? რას საქმიანობდნენ?
5. როგორ ცხოვრობდნენ? იზოლირებულად თუ სხვა უმცირესობებთან ერთად?
6. იყვნენ თუ არა პოლიტიკით დაინტერესებულნი?
7. რამდენად უჭვრდით მხარს საქართველოს დამოუკიდებლობას?
8. რუსეთის რევოლუციამ თუ შეცვალა თქვენი ყოფა?
9. როგორ იზრდებოდნენ თქვენი მშობლები?
10. სად და როგორ გაიცნეს მათ ერთმანეთი?
11. თქვენ როგორ გზრდიდნენ? რომელ ენაზე საუბრობდით? მშობლიურზე?
12. რომელ სკოლაში დადიოდით? სხვა ეროვნების ბავშვებზე სწავლობდნენ იმ სკოლაში?
13. შინაბოსამსახურები თუ გყავდათ? გერმანული გუვერნანტი?
14. რა მოვონებები გაქვეყნებთ ბავშვობასთან?
15. რა განათლება მიიღეთ? თუ იყო განსხვავება გოგონებსა და ბიჭებს შორის?
16. რომელ კულტურულ ღონისძიებებს ესწრებოდით? მაგალითად, თეატრში თუ დადიოდით?
17. თქვენ ან თქვენს მშობლებს თუ აქონდათ ურთიერთობა რუსულ ან ქართულ წრეებთან?
18. თუ ხედავდით სხვა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს?
19. რა მოვონებები გაქვთ მეორე მსოფლიო ომზე?
20. დემორტაჟაციის მიმდინარეობა: ეინ გადაგასახლათ? მხოლოდ გერმანელები გადაასახლეს?
21. როგორ ცხოვრობდით ყაზახეთში?
22. როდის დაბრუნდით საქართველოში?

23. როგორი სიტუაცია დაგხვდათ საქართველოში?
24. რა იყო შეცვლილი 1941 წელს თქვენი გამგზავრების შემდეგ?
25. გულთბილად მიგიღეს საქართველოში?
26. როგორი სამუშაო პირობები გქონდათ იმ პერიოდში?
27. შეგეძლოთ თბილისში დარჩენა?
28. რა ცვლილებები მოხდა თქვენს პირად ცხოვრებაში?
29. როგორ ზრდიდით შეილეს?
30. როგორ გაიარეთ „გარდაქმნის“ პერიოდი?
31. რა შეიცვალა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ?
32. როგორ უყურებთ თქვენს პერსპექტივას საქართველოში?
33. როგორ დაახსიათებდით ქართველებს ან სხვა უმცირესობებს?
34. როგორ გესმით „იყო გერმანელი“?
35. რა ადგილი გიკავიათ ქართულ საზოგადოებაში?
36. გსურთ საქართველოს დატოვება?
37. დაინტერესებული ხართ საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარებით?
38. რა მოგწონთ საქართველოში?